საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თინა ონიანი

ინგლისური ენის გრამატიკა

მორფოლოგია და სინტაქსი

ნაწილი I - II

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თინა ონიანი

ინგლისური ენის გრამატიკა

მორფოლოგია და სინტაქსი

ნაწილი I – II

თბილისი
2020

თინა ონიანი

ინგლისური ენის გრამატიკა

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ინგლისური ენის გრამატიკის თეორიის უახლესი მიღწევების საფუძველზე და წარ-მოადგენს ისეთ პრაქტიკულ კურსს, რომელიც ითვალისწინებს, როგორც სტუდენტთა ტიპიურ შეცდომებს, ასევე ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს.
წიგნი წარმოადგენს ინგლისური ენის სახელმძღვანელოს, როგორც უნივერსიტეტის სპეციალური ფაკულტეტებისა და უცხო ენათა უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, ასევე ინგლისური ენის პედაგოგებისათვის.
წინასწარ გიხდით ბოდიშს, შესაძლებელი ხარვეზებისათვის და მადლობას მოგახსენებთ შენიშვნებისათვის, რომელსაც მომავალში გავითვალისწინებ.

რედაქტორი: ფილოლოოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ირმა ბარბაქაძე
რეცენზენტები:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი : მანანა გოშაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი: მაია აღაია

ინგლისური ენის გრამატიკა

ნაწილი პირველი

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა

შინაარსი

მეოცე საუკუნის მიწურულსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, მეტად აქტუალურია ინგლისური ენის შესწავლა - როგორც მეორე ენა. განსაკუთრებულად დიდი ყურადღება ეთმობა, საჯარო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ასევე დიდად აქტუალურია ინგლისური ენის, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კურსის დონის გაღრმავება.

ენა, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, უპირველესად ბგერითი, ზეპირი მეტყველების ფორმით არსებობს. სამეტყველო ბგერითი ერთეულები, ყოველ ენაში თავისებურია. თავისებურია ამა თუ იმ ენის ანბანი, რომლის საშუალებითაც ხდება ბგერების წერით ფორმებში გადმოცემა. თანამედროვე ინგლისურ ენაში მართლწერასა და წარმოთქმას შორის დიდი განსხვავებაა. ეს აიხსნება იმით, რომ ინგლისურმა წარმოთქმამ საუკუნეების მანძილზე ცვლილებები განიცადა, დამწერლობა კი მხოლოდ მცირედ შეიცვალა. ინგლისურისგან განსხვავებით ქართულ ენაში შესაბამისობაა ასოსა და ბგერას შორის. ქართულ ენაში 33 ასო და ამდენივე ბგერაა. ქართული ანბანის ყოველი ასო ერთ ბგერას გამოხატავს (როგორც იწერება ისე გამოითქმება) ინგლისურ ენაში კი 26 ასო და 44 ბგერაა. ერთი და იგივე ასო სხვადასხვა ვითარებაში იკითხება, როგორც რამდენიმე ბგერა. 44 ბგერადან 24 თანხმოვანია და 20 ხმოვანი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბგერათა რაოდენობა ბევრად

სჭარბობს ასოთა რაოდენობას. გარდა ამისა, ერთი ბგერა სხვადასხვა ასოს გადმოსცემს.

რადგან ინგლისურ ენაში ლათინური ანბანის 26 ასო საკმარისი არ აღმოჩნდა ინგლისური ერთეულების აღსანიშნავად, ამიტომ ზოგიერთი თანხმოვანის გამოსახატავად იყენებენ ასოთშენაერთებს. ბგერები, რომელთაც არ გააჩნიათ შესაბამისი ასოები, წარმოდგენილია სხვადასხვა ასოთშეთანხმებით, რომლებიც ერთ ბგერად იკითხება.

ინგლისური ენის დასაუფლებლად საჭიროა გრამატიკული წესების შესწავლა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მისი ფონეტიკური წყობის ე.ი. ბგერების სისტემის, ბგერების სწორად წარმოთქმის დაუფლება. სიტყვებისა და წინადადების სწორად წაკითხვა, შესაბამისი მახვილითა და ინტონაციით.

მოცემული სახელმძღვანელო აგებულია ქვემოთ მოყვანილი შემდეგი ძირითადი პრინციპების მიხედვით:

1) **მორფოლოგია**

2) **სინტაქსი**

1) მორფოლოგიაში თავმოყრილია ზმნა და ზმნის ძირითადი ფორმები, წესიერი და არაწესიერი ზმნები, ზმნის გრამატიკული კატეგორიები, ჯგუფები დროების მიხედვით, გვარი, კილოკავშირი, გერუნდივი და მისი თვისებები, მიმღეობა და მოდალური ზმნები. თითოეულ მათგანს განსაკურებული როლი და ფუნქცია უჭირავთ ინგლისური ენის გრამატიკაში. რაც შეეხება სინტაქს, იგი შეისწავლის წინადადების აგებულებას და წინადადების წევრებს შორის, არსებული დამოკიდებულების ხასიათს. მოცემულია, წინადადების წევრები და მათი აგებულების სტრუქტურა. ინგლისური ენის სახელმძღვანოლოს ბოლო ნაწილში მოცემულია არაწესიერი ზმნების სრული

ცხრილი, რადგანაც არაწესიერი ზმნები სხვადასხვა გვარად იწარმოება, დროებისა და ფორმის მიხედვით, რასაც დიდი როლი უჭირავს ინგლისური ენის წინადადების აგებულების დროს.

ზმნა - VERB

ზმნა არის სიტყვა, რომელიც საგნის მოქმედებას ან მდგომარეობას გამოხატავს.

აგებულების მიხედვით ზმნა შეიძლება იყოს მარტივი(the Simple Verb), წარმოქმნილი(the Derived Verb) და შედგენილი(the Compaund Verb).

ა) მარტივია - ზმნა, რომელიც მხოლოდ ძირისაგან შედგება. ასეთია მაგალითად: to come, to see და ა.შ.

ბ) წარმოქნილია - ზმნა, რომელიც შედგება ძირისა და სუფიქსი ან პრეფიქსისაგან. ზმნის მაწარმოებელი სუფიქსებია: ate, ise, ify, en.etc.

Ate - Can you calculate how much money we'll need?

შეგიძლია გამოიანგარიშო რამდენი დაგვჭირდება?

Ize Don't you recognize

ვერ მცნობ?

Ify Who can simplify this problem?

ვის შეუძლია გაამარტივოს ეს ამოცანა?

En Don't darken my light.

სინათლეზე ნუ მეფარები.

ზმნის მაწარმოებელი პრეფიქსებია: un, re, etc.

Un - we united the parcel.

ჩვენ ამანათი გავხსენით.

პრეფიქსის დართვით ზმნა ღებულობს საწინააღმდეგო მნიშვნელობას. მაგალითად :

Re -You must rewrite this text.

ეს ტექსტი უნდა გადაწერო.

re-პრეფიქსი აწარმოებს ზმნას, რომელიც გამოხატავს მოქმედების ხელახლა შესრულებას.

Our University has been greatly enlarged this year.

ჩვენი უნივერსიტეტი წელს ძალიან გაფართოვდა.

შედგენილია ზმნა რომელიც ორი ან ორზე მეტი სიტყვისა-გან შედგება. შედგენილი ზმნა რამდენიმე სახის არსებობს:

1) ზოგი ზმნა შედგება ინფინიტივისა და მასზე დართული ზმნიზედისაგან. ასეთი შედგენილი ზმნის მნიშვნელობა უდრის მისივე ორივე კომპონენტთა ჯამს. ასეთია მაგალითად : to sit down; რომელშიც გამოიყოფა ინფინიტივი to sit -ჯდომა და ზმნიზედა down, რომელიც გამოხატავს მოძრაობას, ამგვარად მიიღება ახალი მნიშვნელობა to sit down დაჯდომა, ზმნიზედა down დაერთვის სხვა ზმნებსაც და მათ მნიშვნელობას მატებს თავისას--მიმართულებას ზევიდან ქვევით, ასეთია შემდეგი ზმნები: to come down- ჩასვლა; to bend down--დაღუნვა, დახრა; to go down--დაბლა დაშვება; to take down--ჩამოღება და ა.შ.

ზოგჯერ ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა ზმნიზედას დაირთავს და ამის მიხედვით წარმოქმნის სხვადასხვა შინაარ-სის მქონე შედგენილ ზმნებს. მაგალითად, განვიხილოთ ზმნა to get და მასზე დართული სხვადასხვა ზმნიზედა ; to get away - წასვლა, გაქცევა; to get back -უკან დაბრუნება; to get by- გავლა; to get down--ჩასვლა; to get in - შესვლა.

2) ზოგი შედგენილი ზმნის მნიშვნელობა კი მისი კომპო-ნენტების მნიშვნელობათა ჯამს კი არ უდრის, არამედ, ისინი ორივე ერთად ინფინიტივი და მასზე დართული სიტყვა-წარმოქმნიან ერთ ლექსიკურ ერთეულს, ერთ ცნებას. სიტყვას, რომელიც ზმნას დაერთვის ეწოდება ბოლოდებული, რადგან

იგი ზმნას მოსდევს და მასთან ერთად ერთ მნიშვნელობას ქმნის. თავისი საკუთარი დამოუკიდებელი მნიშვნელობა მას არ გააჩნია, ბოლოდებულები ფორმით ემთხვევიან წინდებულებს და ზმნიზედებს, მაგრამ მათ თავისებურებას ის შეადგენს, რომ თუ წინდებულები ზმნებს დაერთვიან ზმნიზედებისაგან განსხვავებით კი მათ თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. ასეთი ტიპის ზმნებია: to make out-გაგება, to do up -- შეკეთება და ა.შ. მაგალითად:

I can't make out what you say-

არ მესმის რას ამბობთ.

We decided to do our house up all by ourselves.

გადავწყვიტეთ თვითონ შევაკეთოთ ჩვენი სახლი.

ზოგჯერ ერთი და იმავე ზმნას დაერთვის სხვსდასხვა ბოლო-დებული, რის შედეგად წარმოიქმნება ახალ ახალი ლექსიკური მნიშვნელობები, მაგალითად: to get round- მორჩენა.

He got round at last.

ის ბოლოს და ბოლოს მორჩა.

To get along.

ცხოვრება.

How are you getting a long?

როგორ მიდის თქვენი საქმეები? როგორ ცხოვრობთ?

I could not get through to them.

ვერაფრით ვერ დავრეკე მათთან.

To get up.

მიმატება, გამართვა, მოწყობა.

We had to get up speed.

იძულებული ვიყავით სიჩქარე მოგვემატებინა.

The students are going to get up a concert.

სტუდენტები აპირებენ გამართონ კონცერტი.

Ann got herself up.

ანა კარგად გამოეწყო.

3) ზოგი შედგენილი ზმნა შეიცავს ორ დამოუკიდებელი მნიშ-ვნელობის სიტყვას. მათაგან პირველია არსებითი სახელი ან ზედსართავი სახელი, ხოლო მეორე კი ზმნა. ორივე ეს სიტყვა ერთად წარმოქმნის ახალ მნიშვნელობას, რომელიც უდრის მათი მნიშვნელობების ჯამს. ასეთი შედგენილი ზმნები იწერება ერთად ან დეფისით. მაგ:

To black list.

შავ სიაში შეტანა.

To whole sale

ნაღდად ვაჭრობა.

To broadcast

რადიო გადაცემა.

To telecast

ტელე გადაცემა.

4) შედგენილ ზმნათა რიცხვს განეკუთვნებიან აგრეთვე ისეთი ზმნები,რომლებიც ფრაზეოლოგიურ ერთეულს წარმოადგენენ. ისინი შედგებიან ორი ძირითადი ნაწილისაგან: პირველი არის ზმნის საწყისი ფორმა-ინფინიტივი, ხოლო მეორე- არსებითი სახელი (უმეტესად აბსტრაქტული) ასეთი ზმნებია:

To pay attention

ყურადღების მიქცევა.

To take part in

მონაწილეობის მიღება.

To make friends with

დამეგობრება.

To make up one’s mind

გადაწყვეტა.

ასეთი ზმნის საერთო მნიშვნელობა არ უდრის მისი კომპო-ნენტების მნიშვნელობათა ჯამს, არამედ ისინი ერთად აღებული

გამოხატავენ ერთ ცნებას. ამიტომ ამ ზმნებს ფრაზეოლოგიურ ზმნებსაც უწოდებენ. ისინი წარმოადგენენ ერთ სინტაქსურ ერთეულს და წინადადებაში ასრულებენ ფრაზეოლოგიური შემასმენლის ფუნქციას. ასეთი ზმნების შემადგენლობაში ხშირად შედის წინდებული, როგორც ნიშანი იმისა, რომ ამ ზმნას დაერთვის წინდებულიანი დამატება: To take care of; to take part in; to take pay attention to;

Take care of yourself!

თავს გაუფრთხილდი!

She takes part in all affairs.

ის ყველა საქმეში აქტიურად მონაწილეობს.

Why don't pay attention to what I say?

რატომ არ აქცევ ყურადღებას, რასაც მე გეუბნები?

ფართოდ არის გამოყენებული ისეთი შედგენილი ფრაზეოლოგიური ზმნები, რომელთა პირველი კომპონენტი არის ზმნა , ხოლო მეორე არსებითი სახელი. მაგალითად:

To have a cold

გაცივება.

To have a headache

თავის ტკივილი.

To have a doctor in

ექიმის ბინაზე გამოძახება.

To have dinner

სადილობა.

To have supper

ვახშმობა.

Do you have a cold?

გაცივებული ხაართ?

I've a headache.

თავი მტკივა.

I had a doctor in

ექიმი გამოვიძახე. და ასე შემდეგ.

ბოლოდებული

The POSTPOSITION

ბოლოდებული დაერთვის ზმნას და მასთან ერთად ერთ ცნებას გამოხატავს. ამ ცნების შინაარსი არ უდრის ზმნისა და მასზე დართული ბოლოდებულის მნიშვნელობათა ჯამს. არამედ ორივეს ერთად ერთი მნიშვნელობა აქვს.

ერთსა და იმავე ზმნას შეიძლება სხვადასხვა ბოლოდებული დაერთოს და შესაბამისად ამისა მან სხვადასხვა შინაარსი გამოხატოს, მაგალითად, ზმნა to give - მიცემა.

Can you give me something to eat?

შეგიძლია რამე საჭმელი მომცე?

ზმნა to give -ს თუ დაურთავთ სხვადასხვა ბოლოდებულს, მივიღებთ ახალ მნიშვნელობებს:

To give - დათმობა

To give forth--გამოცხადება გამოქვეყნება;

To give out- გამოლევა, დაშრეტა;

To give up- უარის თქმა;

ახლა დავაკვირდეთ ზმნას to take - აღება.

Who took my book?

ვინ აიღო ჩემი წიგნი?

ვნახოთ რა მნიშვნელობები ექნება, როდესაც ზმნა to take დაერთვის სხვადასხვა ბოლოდებულებები:

To take after- დამსგავსება.

To take in- გაზეთის (ჟურნალის) გამოწერა ან ყიდვა.

To take off- გახდა, მოშორება.

To take up- დამაგრება, მიყვანა, წართმევა.

To take on-საქმეზე ხელის მოკიდება, აღელვება, პოპულა-რობის მოპოვება, წყენა.

To take to- ძლიერ შეყვარება.

როგორც ვხედავთ, ბოლო დებულებები ფორმით ემთხვევიან წინდებულებს, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა. წინდებულები აუცილებლად დაერთვიან არსებით სახელს ან მის ფარდ სიტყვას და იკავებენ ადგილს მის წინ . ამიტომაა რომ მათ წინდებულები ეწოდებათ. გარდა ამისა წინდებულიანი კონსტრუქციის საერთო მნიშვნელობა უმეტესად უდრის კომპონენტის - წინდებულისა და არსებითი სახელის მნიშვნე-ლობათა ჯამს. ბოლოდებული კი ზმნას დაერთვის და მის შემდეგ დგას, ამიტომაც ეწოდება მას ბოლოდებული. მას საკუთარი მნიშვნელობა არ გააჩნია. იგი ზმნასთან ერთად წარმოქმნის ერთ მნიშვნელობას. ამიტომ მნიშვნელოვანია , ყოველ კონკრეტიულ შემთხვევაში ერთმანეთისაგან განვასხ-ვავოთ წინდებული და ბოლოდებული. ზმნას შეიძლება დაერ-თოს წინდებულიანი არსებითი სახელი:

He looked at the picture.

მან სურათს შეხედა.

She looked into the mirror.

მან სარკეში ჩაიხედა.

2) ამავე ზმნას შეიძლება დაერთოს ბოლოდებული, რომელსაც თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნია და ამ ზმნასთან ერთად წარმოქმნის ერთ ლექსიკურ ერთეულს, ერთ მნიშვნელობას.

Look out.

ფრთხილად იყავით.

I'm looking for my friends.

ჩემს ამხანაგებს დავეძებ.

Who looks after you?

ვინ გივლის?

განვიხილოთ წინადადება this work will bi carried on the tenth of May --ამ სამუშაოს განაგრძობს 10 მაისს. როგორც ვხედავთ აქ ორი on იყრის თავს, აქედან პირველი on არის ბოლოდებული, რომელიც დაერთვის ზმნას to carry - წაღება, გადატანა, ხოლო to carry on გაგრძელება განგრძობას ნიშნავს. მეორე on კი არის დროის წინდებული, რომელიც აღნიშნავს თარიღს და დაერთვის რიცხვით სახელს the tenth.

ზმნას და მასზე დართულ ბოლოდებულს უწოდებენ ორსიტყვიან ზმნას the two word verb.and Prepositional Adverbal or Adverb particicle.

ლექსიკური და დამხმარე ზმნები -

LEXICAL AND AUXILIARY VERBS

მნიშვნელობის ხასიათის მიხედვით, ზმნები არის: ლექსიკური და დამხმარე.

ლექსიკურია ის ზმნა, რომელსაც დამოუკიდებელი (ლექსიკური) მნიშვნელობა გააჩნია და შეუძლია წინადადებაში შეასრულოს შემასმენლის ფუნქცია.

მაგალითად: He speaks English ამ წინადადების შემასმენელია სრული მნიშვნელობის ზმნა speaks, რომმელსაც თავისი ლექსიკური მნიშვნელობისა და სინტაქსური ფუნქციის გამო ეწოდება ლ ე ქ ს ი კ უ რ ი ზმნა.

დამხმარე ზმნები კი ისეთი ზმნებია, რომლებსაც დაკარგული აქვთ თავისი ლექსიკური მნიშვნელობა და გამოყენებული არიან სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიების საწარმოებლად. მაგალითად: Does he speak English? ამ წინადადებაში Does არის დამხმარე ზმნა, ვინაიდან მას არავითარი ლექსიკური მნიშვნელობა არ გააჩნია და მხოლოდ კითხვითი ფორმის საწარმოებლად არის გამოყენებული. ამავე დროს, იგი გამოხატავს ყველა გრამატიკულ კატეგორიას. კერძოდ, აწმყო დროს, მხოლობით რიცხვს, მესამე პირს და ა. შ. თანამედროვე ინგლისურ ენაში დამხმარე ზმნები დიდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ზმნის, თითქმის ყველა გრამატიკული კატეგორიის წარმოებაში. მთავარი დამხმარე ზმნებია to do, to Be, to have, Shall - Will ამ ზმნებს გააჩნიათ დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა და ამიტომ წინადადებაში ამავდროულად იხმარებიან როგორც ლექსიკური ზმნები, მაგრამ უფრო ხშირად ისინი ლექსიკური მნიშვნელობიდან არიან მოწყვეტილი და დამხმარე ზმნის ფუნქციას ასრულებენ.

ინგლისური ზმნის გრამატიკული კატეგორიების შესწავლისათვის, აუცილებელია ამ ზმნების ლექსიკურ გრამატიკული მნიშვნელობების ცოდნა. ამიტომ, მოდი განვიხილოთ ისინი: to do – did – done - doing

1) როგორც ლექსიკური ზმნა to do ნიშნავს "კეთებას"

Do as you are told?

გააკეთე ისე როგორც გითხრეს?

I did nothing all day yesterday.

გუშინ მთელი დღე არაფერი არ გამიკეთებია.

Can you do that?

შეგიძლია ეს გააკეთო?

2). როგორც დამხმარე ზმნა to do გამოყენებულია Present Indefinite და Past Indefinite ის კითხვითი და უარყოფითი ფორმების საწარმოებლად:

Do you speak English?
ინგლისურად ლაპარაკობ?
Where did you see him? –
სად ნახე ის?
Don't do it.
ნუ იზამ ამას.
Don't you know him?
განა არ იცნობ მას?
3) to do გამოყენებულია, როგორც შემცვლელი ზმნა:
Who painted this picture? Ann did.
ვინ დახატა ეს სურათი? ანნამ.
I like it. So do I.
მე მომწონს ეს. მეც.
4). to do გამოყენებულია ემფატური ზმნის მნიშვნელობით:
Do come to me.
აუცილებლად მოდი ჩემთან
She does know that.
მან ნამდვილად იცის ეს.
Who did make it?
მაინც ვინ გააკეთა ეს?
To do ზმნის უფლება განუსაზღვრელი დროების მტკიცებით ფორმაში:
1). Present Simple – I do; You do; He does; She does; It does; We do; You do; They do;
2). Past Simple – I did; You did; He did; She did; It did; We did You did; They did;
3). Future Simple – I shall do; You shall do; He shall do; She shall do; It shall do; We shall do; You shall do; They shall do;

4). Future in–the-Past Simple – I should do; You should do; He should do; She should do; It should do; We should do' You should do' They should do;

Too be – was – were – been .

1) როგორც ლექსიკური ზმნა to be ნიშნავს "ყოფნას".

Where are you Ann?

ანა სად ხარ?

The students were at the meeting.

სტუდენტები იყვნენ კრებაზე.

At 9 o'clock we must to be at the university.

9 საათზე უნივერსიტეტში უნდა ვიყოთ.

2) როგორც დამხმარე ზმნა to be გამოყენებულია განგრძობითი დროების საწარმოებლად ლექსიკური ზმნის ing - სუფიქსიან მიმღეობასთან ერთად;

I am waiting for my sister.

ჩემს დას ველოდები.

What is Ann doing?

რას აკე თებს ანა?

3) როგორც დამხმარე ზმნა to be გამოყენებულია ვნებითი გვარის საწარმოებლად ლექსიკური ზმნის ed სუფიქსიან მიმღეობასთან ერთად.

Who was sent to Batumi?

ბათუმში ვინ გაგზავნეს?

Many new buildings were built in our town last year.

გასულ წელს ჩვენს ქალაქში მრავალი ახალი შენობა აშენდა.

4) ზმნა to be გამოყენებულია მოდალური ზმნის მნიშვნელობით, ვალდებულებების გამოსახატავად. ასეთ შემთხვევაში მას მოსდევს ინფინიტივი to ნაწილაკით:

She is to come at 2 o'clock.

ის უნდა მოვიდეს 2 საათზე.

We are to meet at Ann.

ჩვენ უნდა შევხვდეთ ანნას.

You are to be at the university at 9 o'clock.

9 საათზე უნივერსიტეტში უნდა იყოთ.

5). ზოგ შემთხვევაში to be - ს ნაწილობრივ აქვს დაკარგული ლექსიკური მნიშვნელობა და (მაერთის) შედგენილი შემასმენ-ლის ზმნური ნაწილის ფუნქცია:

They are English.

ისინი ინგლისელები არიან.

I am cold.

მცივა.

They were very happy.

ისინი ძალინ ბედნიერები იყვნენ.

To be- ის უღლება განუსაზღვრელი დროების მტკიცებით ფორმაში:

1. Present Simple – I am; You are; he is; She is; It is; We are; You are; They are;

2. Past Simple – I was; You were; He was; She was; It was; We were; You were; They were;

3. Future Simple – I shall be; You shell be; He shall be' She shall be; It shell be; We shell be; You shell be; They shell be;

4. Future in-the Past Simple – I should be; You should be; He should be; She should be; It should be; We should be; You should be; They should be;

To have – had - had

1) to have - როგორც ლექსიკური ზმნა ნიშნავს - ქონას, ყოლას.

I have many friends here.

აქ მე ბევრი მეგობარი მყავს.

I had no time.

დრო არ მქონდა.

She has many good dictionaries.

მას ბევრი კარგი ლექსიკონი აქვს.

2) to have როგორც დამხმარე ზმნა, გამოყენებულია სრული დროების საწარმოებლად ლექსიკური ზმნის სუფიქსიან მიმღეობასთან ერთად :

I have read many English books this year.

წელს ბევრი ინგლუსური წიგნი წავიკითხე.

Father has already come from work.

მამა უკვე მოვიდა სამსახურიდან.

3. to have ფართოდ არის გამოყენებული როგორც მოდალური ზმნის must - ის ექვივალენტი. იგი გამოხატავს ვალდებულებას მნიშვნელობას:

We have to meet them.

მათ უნდა შევხვდეთ.

I have to learn English very well.

ინგლისური ენა ძალიან კარგად უნდა შევისწავლო.

You will have to be at the university tomorrow.

ხვალ უნივერსიტეტში უნდა იყოთ.

To have ზმნის უღლება განუსაზღვრელი დროების მტკიცებით ფორმაში:

1) Present Simple: I have; You have; He has; She has; It has; We have; You have; They have;

2) Past Simple: I had; You had; He had; She had; It had; We had; you had; They had;

3) Future Simple: I shall have; You shell have; He shall have; She shall have; It shall have; We shall have; You shall have; They shall have.

4) Future in-the Past simple: I should have; You should have; He should have; She should have; It should have; We should have; You should have; They should have;

To have - კითხვით ფორმას აწარმოებს ორგვარად:

1). have თავსდება პირველ ადგილზე ქვემდებარის წინ. -- Have you a book?

2) დამხმარე ზმნის to do- ს საშუალებით. – Do you have a book?

Have you a car? Or Do you have a car?

ავტომობილი თუ გყავთ?

Had you a good holiday? Or Did you have a good holiday?

შვებულება კარგად გაატარე?

Has she a lot to do? Or Does she have a lot to do?

მას ბევრი საქმე აქვს?

How many English books do you have?

რამდენი ინგლისური წიგნი გაქვს?

Does Ann have a car?

ანნას ჰყავს ავტომობილი?

Where do you have dinner?

სად სადილობ?

To have -- ქონა, ყოლას მნიშვნელობით იხმარება, როცა საუბარია ზოგადად, ხოლო to have get ზმნასთან ერთად კი წარმოქმნის სრული დროის ფორმას to have got;

I have got something to tell you.

რაღაცა მაქვს შენთვის სათქმელი.

Have you got a cigarette?

სიგარეტი თუ გაქვს?

We have got plenty to do.

ბევრი საქმე გვაქვს.

To have got - ცალკეულ შემთხვევებს გულისხმობს და ძირითადად ზეპირმეტყველებაში იხმარება. აქ მოყვანილ მაგალითებში იგულისხმება, რომ:

1) რაღაცა მაქვს შენთვის სათქმელი ახლა და არა ზოგადად, საზოგადოდ.

2) ამავდროულად მაინტერესებს, სიგარეტი თუ გაქვს თან.

3) ბევრი საქმე გვაქვს ახლა და არა საერთოდ.

Shall – Will მომავალი დროის აწმყო და ნამყო Should – Would მაწარმოებელი დამხმარე ზმნაა.

Shall/will –Should/would - აწარმოებენ აწმყო და ნამყო განუსაზღვრელ დროს.

Shall/will -- მყოფადი აწმყო განუსაზღვრელი დრო გამოხატავს ისეთ მოქმედებას რომელიც მოხდება სადღაც მომავალ განუსაზღვრელ დროში. ეს დრო იწარმოება shall/will დამხმარე ზმნისა და საუღლებელი ზმნის პირველი ანუ საწყისი ფორმით.

I shall/will go; You shall/will go; He shall/will go; She shall/will go; It shall/will go;

We shall/will go; You shall/will go; They shall/will go.

კითხვით და უარყოფითი ფორმა კი იწარმოება დამხმარე ზმნის Shall/will მეშვეობით.(I'll not go.) e. c. Shall/will I go? - I shall/will not go.

Shall/will you go? - you shall/will not go.

Shall/will he go? - he shall/will not go.

Shall/will she go? - she shall/will not go.

Shall/will it go? - she shall/will not go.

Shall/will it go? - it shall/will not go.

Shall/eill we go? - we shall/will not go/

Shall/will you go? – you shall/will not go.

Shall/will they go? - they shall/will not go.

ზმნის ძირითადი ფორმები

THE BASIC FORMS OF THE VERB

ინგლისურ ენაში ზმნას ოთხი ძირითადი ფორმა აქვს. ესენია:

1) ინფინიტივი, ანუ ზმნის საწყისი ფორმა. The Infinitive : to ask, to go, to cut;

2) ნამყო განუსაზღვრელი დრო The Past Simple : asked, went, cut.

3) ed --სუფიქსიანი მიმღეობა ed Participle : asked, gone, cut.

4) ing -- სუფიქსიანი მიმღეობა Ing Participle : asking, going , cutting.

როგორც ვხედავთ, to ask ზმნის ძირითადი ფორმებია: to ask –asked –asked –asking; to go –went-gone –going; to –cut –cut -cutting

ზმნის ოთხი ძირითადი ფორმიდან I, III და IV ანუ ინფინიტივი ed - სუფიქსიანი მიმღეობა da ing - სუფიქსიანი მიმღეობა არაშემასმენლური ფორმებია, ანუ ზმნის პირიანი ფორმები.

1) .ტერმინი: ზმნის პირიანი ფორმები არ არის ზუსტი, რადგან ზმნის ამ ფორმებს პირის გარდა, კიდევ სხვა გრამატიკული კატეგორიები აქვთ, რომელთაგან სწორედ პირი ყველაზე სუსტადაა გამოხატული Present Simple - მხოლობითი რიცხვის მესამე პირში - s სუფიქსით.

2) ტერმინი არაშემასმენლური ფორმები ეწოდებათ ეგრეთ წოდებულ უპირო ფორმებს, რადგან იგი მიუთითებს ზმნის ამ ფორმების ერთ - ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თვისებაზე, მათი გამოყენება შემასმენლის ფუნქციით არ შეიძლება.

3) ing სუფიქსიან მიმღეობას ვუწოდებთ ეგრეთ წოდებულ აწმყო დროის მიმღეობას ხოლო

4) ed სუფიქსიანი მიმღეობა ნამყო დროის მიმღეობას, რადგან მიმღეობა თავისთავად დროს არ გამოხატავს.

თანამედროვე ინგლისურ გრამატიკულ ლიტერატურაში იხმარება ტერმინები ing Participle ანუ ing სუფიქსიანი მიმღეობა და ed Participle ანუ ing სუფიქსიანი მიმღეობა.

ეს იმას ნიშნავს რომ ამ ფორმებს არ გააჩნიათ ისეთი გრამატიკული კატეგორიები, რომელიც მათ საშუალებას მისცემდა შეესრულებინათ შემასმენლის ფუნქცია წინადადებაში. ამიტომ ეს ფორმები, დამოუკიდებლად, დამხმარე ზმნის გარეშე, არასოდეს არ გვხვდებიან შემასმენლის ფუნქციით, რის გამოც, მათ არაშემასმენლურ ფორმებს უწოდებენ. ისინი ფართოდ არიან გამოყენებული ზმნის სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიების საწარმოებლად. ზმნის მეორე ფორმა the Past Simple Tense- კი შემასმენლური ფორმაა. ტერმინი შემასმენლური ფორმები კი სინტაქსის სფეროდანაა და შემასმენლის ფუნქციას ასრულებენ წინადადებაში. მას შეუძლია დამხმარე ზმნების გარეშე შეასრულოს წინადადებაში ფუნქცია.

ზმნის შემასმენლური და არა შემასმენლური ფორმები - FINITE AND NON—FINITE OF THE VERB

ინგლისურ ენაში ყოველ ზმნას, გარდა მოდალური და დამხმარე ზმნებისა shall/will აქვთ შემასმენლური და არაშემასმენლური ფორმები. როგორც თვით ტერმინი გვიჩვენებს, შემასმენლურია ზმნის ის ფორმა, რომელსაც გააჩნია ყველა საჭირო გრამატიკული კატეგორია, იმისათვის რომ წინადაებაში შეასრულოს შემასმენელის ფუნქცია. კერძოდ, შემასმენლურ ფორმებს გააჩნიათ პირის, რიცხვის, დროის, კილოს და გვარის

გრამატიკული კატეგორიები. როგორც წესი თანამედროვე ინგლისურში, ზმნას აქვს შემდეგი გრამატიკული კატეგორიები:

1. სამი პირი ; პირველი პირი, მეორე პირი და მესამე პირი; (the I- st person ; the II –nd person and the III- rd person.)
2. ორი რიცხვი: მხოლობითი (the Singular n Number) და მრავლობითი (the Plural Number)
3. სამი დრო: აწმყო ანუ ახლანდელი (The Present Tense, ნამყო ანუ წარსული (The Past Tense) და მყოფადი ანუ მომავალი (The Future Tense) მაგრამ თითოეული მათგანი სხვადასხვა დროის ფორმით გადმოიცემა
4. ორი გვარი: მოქმედებითი (The Active Voice) და ვნებითი(The Passive Voice)
5. სამი კილო: თხრობითი (Indicative Mood) ბრძანებითი (Imperative) და კავშირებითი (The Subjunctive Mood)
6. ორი ასპექტი: უსრული (NON-Perfect) და სრული(Perfect Aspect)

გარდა ამისა, თანამედროვე ინგლისურ ენაში, ზმნას გააჩნია არაშემასმენლური (ზმნის უპირო ფორმა) ფორმები. ეს ისეთი ფორმებია, რომელთაც არ გააჩნიათ პირის, რიცხვის, დროისა და კილოს გრამატიკული კატეგორიები და ამიტომ არ შეუძლით დამოუკიდებლად, დამხმარე ზმნის გარეშე, შეასრულონ შემასმენლის ფუნქცია. ინგლისურ ენაში ზმნის (უპირო) არაშე-მასმენლური ფორმა სამია: ინფინიტივი ანუ საწყისი ფორმა The Infinitive, მიმღეობს The Participle და გერუნდი The Gerund. მართალია ზმნის არაშემასმენლური ფორმები დამოუკიდებ-ლად ვერ ასრულებენ შემასმენლის ფუნქციას, მაგრამ ისინი ფართოდ არიან გამოყენებული ზმნის სხვადასხვა გრამატი-კული კატეგორიების საწარმოებლად და დამხმარე ზმნებთან ერთად ხმარებულ ფორმებს წარმოადგენს.

წესიერი და არაწესიერი ზმნები -

REGULAR AND IRREGULAR VERBS

ინგლისურ ენაში არსებული ყველა ზმნა იყოფა ორ ჯგუფად: წესიერ და არაწესიერ ზმნებად.

წესიერია ზმნა - რომელიც გამოხატავს სწორედ იმას, რასაც ინგლისური ტერმინი „Regular Verbs“. ეს ისეთი ზმნებია, რომლებიც მეორე და მესამე ფორმების წარმოებისას ექვემ-დებარებიან ed სუფიქსის დართვის წესს, ანუ წესიერია ყველა ისზმნა, რომელიც ოთხი ძირითადი ფორმიდან მეორე და მესამე ფორმებს აწარმოებს საწყის ფორმაზე _ed ან d სუფიქსის დართვით. მაგალითად: to ask –asked- asked-asking; to look- looked- looked- looking; to love- loved- loved და ა. შ.

ინგლისური ზმნების უმრავლესობა წესიერია. სუფიქსი ed (d) იკითხება შემდეგნაირად: ხმოვნებისა და მჟღერი თანხმოვნების შემდეგ, როგორც (d)-loved ; played; ყრუ თანხმოვნების შემდეგ, როგორც(t) –dressed; worked; ორი თანხმოვნის t და d- ს შემდეგ სუფიქსი ed იკითხება როგორც (Id) acted; landed;

არაწესიერია ყველა ის ზმნა, რომელიც ამ წესს არ ექვემ-დებარება და მეორე და მესამე ფორმებს აწარმოებს არა ed ან d სუფიქსის დართვით, არამედ სხვადასხვაგვარად, კერძოდ:

- ფუძისეული ხმოვნის შეცვლით: to begin –began – begun; to come – came – come;
- სხვა ძირიდან, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ორი ძირითადი ზმნისათვის: to be –was –were –been; to go- went- gone;
- ბოლო d- შეიცვლება t -ით. To build- built- built; to spend- spent- spent;

- ფუძისეული ხმოვნის შეცვლითა და d -ს ან t-ს დართვით: to buy-bought- bought; to tell- told- told;
- ზოგი ზმნა უცვლელი რჩება: to cut- cut- cut; to put- put- put;
- ფუძისეული ხმოვნის შეცვლითა და en- სუფიქსის დართვით: to take- took- taken; to write- wrote- written;
- რამდენიმე ზმნა კი მეორე ფორმას აწარმოებს ed - სუფიქსით, მესამე ფორმას კი როგორც ed- სუფიქსით ასევე n- სუფიქსითაც. ასეთ ზმნებს შერეულ ზმნებს უწოდებენ.

შ ე რ ე უ ლ ი ზ მ ნ ე ბ ი -

MIXED VERBS:

To saw –sawed- sawed - ხერხვა

To sew- sewed- sewed- კერვა

To shave- shaved- shaved - გაპარსვა

To show- showed- showed- ჩვენება

To sow- sowed- sowed- თესვა

To strew- strewed- strewed- მიმოფანტვა და ა.შ

არაწესიერი ზმნები ძირითად ფორმებს თუ დავაკვირდებით შევნიშნავთ რომ ერთ ნაწილს სამივე ფორმა ერთნაირი აქვთ.

To cut-cut-cut- ჭრა

To put- put-put - დადება

To cost-cost-cost- ღირებულება და ა.შ.

მეორე ნაწილს II და III ფორმები ერთნაირი აქვთ დსაწყისი ფორმა კი განსხვავებული :

To build-built-built- აშენება

To tell-told- told - თქმა

მესამე ნაწილს კი სამივე ფორმა სხვადასხვა აქვს:

To begin-began-begun- დაწყება

To take- took-taken- აღება

To write-wrote- written-წერა და ა.შ.

გარდამავალი და გარდაუალი ზმნები - TRANSITIVE AND INTRANSITIVE VERBS

ყოველ კონკრეტიულ შემთხვევაში გამოყენებული ზმნა გარდამავალია ან გარდაუალი.

გარდამავალია -ზმნა თუ მას დაერთვის დამატება, რომელიც აღნიშნავს პირს ან საგანს, რომელზეც უშუალოდ გადადის მოქმედება. ანუ თუ მას დაერთვის მოქმედების უშუალო ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვა. ინგლისურში ასეთი სიტყვის აღნიშვნა ხდება პირდაპირი დამატებით. ამიტომ ის ზმნა რომელსაც დაერთვის პირდაპირი დამატება როგორც ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვა - გარდამავალია. ასეთი ზმნებია: to love, to see, to tell, to take, to send, to get, to get, to bring, to look at, to wait for; და სხვა.

I often to see them.

ხშირად ვხედავ მათ.

I told him everything.

ყველაფერი უთხარი მას.

I shall wait for you.

დაგელოდებით.

Everybody is looking at you.

ყველა შენ გიყურებს.

ყველა ზმნა, რომელიც პირდაპირ დამატებას დაირთავს, გარ-დამავალია. როდესაც ზმნას წინდებულიანი დამატება დაერ-თვის, იგი შეიძლება გარდამავალი ან გარდაუვალი იყოს. ზმნა გარდამავალია მხოლოდ მაშინ როდესაც მასზე დართული წინდებულიანი დამატება აღნიშნავს მოქმედების ობიექტს. როგორც ცნობილია, წინდებულიანი დამატება გადმოსცემს კიდევ სხვადასხვა მრავალი ხასიათის მნიშვნელობას, ასეთ დროს ზმნა გარდაუვალი რჩება. მაგალითად განვიხილოთ with წინდებულიანი დამატება, რომელიც დაერთვის ორ ზმნას - to speak და to write;

She spoke with her friends.

ის თავის მეგობრებს ელაპარაკა

ამ წინადადებაში ზმნა spoke გარდამავალია, რადგან მას დაერთვის with წინდებულიანი კონსტრუქცია, რომელიც მოქმედების ობიექტს აღნიშნავს.

She wrote with a pen.

მან კალმისტარით დაწერა.

აქ კი ზმნა wrote - გარდაუვალია, რადგან მას არ დაერთვის მოქმედების ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვა. with წინდებუ-ლიანი კონსტრუქცია აქ გამოხატავს მოქმედების შესრულების საშუალებას და არა მოქმედების ობიექტს. ამავე წინადადებაში ზმნას wrote-ს თუ დაურთავთ პირდაპირ დამატებას, იგი გარდამავალი გახდება:

She wrote a letter with a pen.

მან წერილი კალმისტარით დაწერა.

მაშასადამე, გარდაუვალია ზმნა, რომელიც არ დაირთავს პირდაპირ დამატებას როგორც მოქმედების აღმნიშვნელ სიტ-ყვას. ასეთია: to live; to sit; to lie; to come; ton go; to sleep; და ა.შ.

ზოგიერთი ზმნა კი იხმარება როგორც გარდამავალი ასევე გარდაუვალი. ამის მიხედვით, ამ ზმნის მნიშვნელობა ნაწილობრივ იცვლება. მაგალითად, ზმნა to see როგორც გარდაუვალი ნიშნავს ხედვას; დანახვას.

I can not see well.

კარგად ვერ ვხედავ.

Does she poorly?

ის ცუდად ხედავს? (ე.ი. თვალს აკლია?)

ხოლო, როგორც გარდამავალი ზმნა to see ნიშნავს- ყურებას; ვინმეს ან რაიმეს დანახვას, ნახვას;

Do you often see Ann?

ხშირად ხედავ ანნას?

ასევეა ზმნა to write; რომელიც იხმარება როგორც გარდამავალი ასევე გარდაუვალი მნიშვნელობით:

This pen writes well.

ეს კალმისტარი კარგად წერს.

ამ წინადადებაში ზმნა writes - გარდაუვალია.

I wrote all the exercises.

ყველა სავარჯიშო დავწერე.

აქ კი wrote -გარდამავალია.

ასევე to break - როგორც გარდაუვალი ზმნა :

The chair broke.

სკამი გატყდა.

და როგორც გარდაუვალი ზმნა

He broke his leg.

მან ფეხი მოიტეხა.

გარდამავალ ზმნათა შორის ზოგიერთი გამოირჩევა უფრო ძლიერი გარდამავლობით. ეს იმაში მდგომარეობს, რომ ეს ზმნები თითქმის არ იხმარება. ასეთია: to tell; to give; to take; to bring და სხვა.

ზმნის გრამატიკული კატეგორიები -

GRAMMATICAL CATEGORIES OF THE VERB

თანამედროვე ინგლისურ ენაში, როგორც აღვნიშნეთ, ზმნას გააჩნია შემდეგი კატეგორიები: პირი; რიცხვი; ასპექტი დრო; კილო და გვარი;

პირის - გრამატიკული კატეგორია ინგლისურ ენაში სუსტადაა გამოხატული. მისი აღნიშვნა ძირითადად ნაცვალსახელების საშუალებით ხდება; მაგალითად, წინადადებაში I read -- ვკითხულობ - პირს გამოხატავს პირველი პირის ნაცვალსახელი I. პირის ნაცვალსახელის ნაცვლად რომ სხვა პირის ნაცვალსახელი ჩავსვათ, რის გამოც წინადადებაში მოქმედი პირის გაგება შეიცვლება, ისე რომ თვით ზმნა არავითარ ცვლილებას არ განიცდის. პირის გაგებას შეიცავს ზმნა მხოლოდ აწმყო დროის მხოლობითი რიცხვის მესამე პირში - read. ქართულში კი პირიქით, საპირისპირო მდგომარეობა გვაქვს. ზმნის ფორმა თვითონ შეიცავს პირის გაგებას, ე.ი. ზმნის ფორმაშივე იგულისხმება ესა თუ ის პირი. მაგალითად ზმნაში - ვკითხულობ იგულისხმება I - პირი, რაზედაც მიუთითებს პრეფიქსი -ვ-, ამიტომ ინგლისურში ნაცვალსახელები გაცილებით უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე ქართულში და მრავალ შემთხვევაში ინგლისური პირის ნაცვალსახელს ხშირად ქართულში ფარდი სიტყვა (ანუ შესაფერისი) არ გააჩნია;

I shall drop in on Sunday.

კვირას შემოვივლი თქვენთან.

You must be here sharp at 8:00 clock.

ზუსტად 9 საათზე უნდა იყოთ აქ.

They saw us.

დაგვინახეს.

რიცხვი - NUMBER

რიცხვის გრამატიკული კატეგორიის გამოხატვაც ნაცვალსახელებით ხდება. მაგალითად read ერთნაირად შეეწყობა ქვემდებარეს, როგორც მხოლობით რიცხვში , ისე მრავლობით რიცხვში- I read - მე ვკითხულობ; We read - ჩვენ ვკითხულობთ. ერთადერთი გამონაკლისია აწმყო დროის მხოლობითი რიცხვის მესამე პირის სუფიქსი - S - რომელიც მიუთითებს მხოლობითი რიცხვზე -He(she, it reads) - ის კითხულობს.

ასპექტი - ASPECT

ასპექტი არის ზმნის გრამატიკული კატეგორია, რომელიც მიუთითებს რომ ამა თუ იმ ზმნის მიერ აღნიშნული მოქმედება, დასრულებულია თუ დაუსრულებელი. ე.ი. მოქმედება დამთავ-რებულია თუ დაუმთავრებელი. წინადადებაში I write a letter to Ann - ანას ვწერ წერილს. ზმნა write - უსრული ასპექტისაა, რადგან მოქმედება დაუმთავრებელია.

I wrote a letter to ann.

წერილი მივწერე ანნას.

ამ წინადადებაში კი მოქმედება დამთავრებულია და ზმნაც სრული ასპექტისაა.

ასპექტის გრამატიკული კატეგორია თანამედროვე ინგლი-სურში თავის თავად სუსტად არის გამოხატული. იგი უფრო დროის გრამატიკულ კატეგორიასთან არის გადაჯაჭვული. კერძოდ, ზმნის დროთა ერთი ნაწილი მოქმედებას წარმოადგენს როგორც დამთავრებულს. ე.ი. სრული ასპექტისას, ხოლო მეორე ნაწილი კი - როგორც დაუმთავრებელს ე.ი.უსრულო ასპექ-ტისას, ანუ უსრულო ასპექტისას, კერძოდ განუსაზღვრელი

დროების ჯგუფში მხოლოდ Present (Indefinite) Simple გამოხატავს დაუმთავრებელ მოქმედებას. დანარჩენები კი-- დამთავრებულს. ე.ი. ნებისმიერ განგრძობით დროში მდგარი ზმნა, უსრული ასპექტისაა. ზემოთ მოყვანილ წინადადებაში I was writing a leter ზმნა wrote - Past Indefinite simple - დან Past Continuous -ში რომ გადავიყვანოთ, მივიღებთ I was writting a letter - წერილს ვწერდი. ესეც წარსულ მოქმედებას აღნიშნავს, მაგრამ დაუმთავრებელს და ამიტომ was writting არის to write ზმნის უსრული ასპექტის ფორმა.

სრული დროების ჯგუფში ყველა დრო დამთავრებულ მოქმედებას გამოხატავს. ე.ი. სრულ დროებში მდგარი ზმნა სრული ასპექტისაა, გარდა აწმყო სრული დროისა the Present perfect, რომელიც ზოგჯერ დამთავრებულ მოქმედებას გამოხატავს, ზოგჯერ კი დაუმთავრებელს. ამის მიხედვით, ზმნა Present Perfect - ში ხან სრული ასპექტის იქნება და ხანაც უსრულის, კერძოდ თუ Present Perfect გამოხატავს მოქმედებას, რომელიც წარსულში დაიწყო და თქმის მომენტისთვის ახალი დამთავრებულია, ზმნა სრული ასპექტის იქნება, ხოლო თუ იგი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც დაიწყო დათქმის მომენტისთვის ახალი დამთავრებულია, ზმნა სრული ასპექტის იქნება, ხოლო თუ იგი გამოხატავს მოქმედებას რომელიც წარსულში დაიწყო დათქმის მომენტშიც კი გრძელდება, ზმნა უსრული ასპექტის იქნება. მაგ :I have already come (have come— სრული ასპექტისაა) -- უკვე მოვედი.

I have worked at the University for 10 years.

ათი წელია უნივერსიტეტში ვმუშაობ. (have worked უსრული ასპექტისაა)

როგორც ვხედავთ, to Be დამხმარე ზმნა აწარმოებს განგრძობით დროებს და ამავე დროს, აწარმოებს ზმნის უსრული ასპექტის ფორმებს და ასევე სრული ასპექტის ფორმებს წარმოქმნის. ქართულში კი ასპექტი მორფოლოგიურად გაფორ-

მებულ გრამატიკულ კატეგორიას წარმოადგენს. იგი იწარმოება ზმნისწინების საშუალებით. მაგალითად: სრული ასპექტი აწარმოა ზმნისწინმა. მაგალითად - ვწერ აქ ზმნა უსრული ასპექტისაა, ხოლო დავწერ და დავწერე - სრული ასპექტის. ასევეა ზმნა - ვაკეთებ. იგი უსრული ასპექტისაა, ხოლო ზმნები -- გავაკეთე და გავაკეთებ სრული ასპექტისაა. მაშასადამე, ქართულში უსრულ ასპექტს არავითარი მაწარმოებელი არ გააჩნია. სრული ასპექტი კი, იწარმოება ზმნისწინების საშუალებთ.

დ რ ო - TIME

დრო - არის ზმნის გრამატიკული კატეგორია, რომელიც გამოხატავს თუ როდის ხდება მოქმედება და როგორ ეფარდება ეს დრო თქმის მომენტს. ინგლისურში სულ 16 დროა, რომლებიც 4 ჯგუფში ნაწილდებიან. ე.ი. თითო ჯგუფში შედის 4 დრო. დროთა განაწილება ჯგუფების მიხედვით ხდება, იმის მიხედვით, თუ როგორ ეფარდება მათ მიერ გამოხატული მოქმედების დრო თითქმის მომენტს. დროთა ჯგუფებია:

I ჯგუფი: განუსაზღვრელი დროები: (Indefinite) Simple Tenses

1) აწმყო განუსაზღვრელი დრო -- Present (Indefinite) Simple Tense

2) ნამყო განუსაზღვრელი დრო -- Past (Indefinite) Simple Tense

3) მყოფადი განუსაზღვრელი დრო -- Future (Indefinite) Simple Tense

4) ნამყო მომავალი განუსაზღვრელი დრო -- Future-in-the Past(Indefinite)Simple

II- განგრძობითი დროები: Continuous Tenses:

5) აწმყო განგრძობითი დრო -- Present Continuous Tense

6) ნამყო განგრძობითი დრო -- Past Continuous Tense

7) - მომავალი განგრძობითი დრო -- Future Continuous Tense

8) - ნამყო მომავალი განგრძობითი დრო -- Future – in- the- Past Continuous Tense

III- სრული დროები: Perfect Tenses

9) - აწმყო სრული დრო -- Present Perfect Tense

10) ნამყო სრული დრო -- Past Perfect Tenses

11) მომავალი სრული დრო -- Future Perfect

12) ნამყო მომავალი სრული დრო --Future –in- the Past Perfect

IV - სრული განგრძობითი დროები : Perfect Continuous Tenses:

13) აწმყო სრული განგრძობითი დრო – Present Perfect Continuous Tense

14) ნამყო სრული განგრძობითი დრო –Past Perfect Continuous Tense

15) მომავალი სრული განგრძობითი —Future Perfect Continuous Tense

16) ნამყოს მიმართ მომავალი სრული განგრძობითი დრო -- Future –in –the Past Continuous Tense

განვიხილოთ დროთა ჯგუფები ცალ - ცალკე:

ჯგუფი - I

THE (INDEFINITE) SIMPLE TENSES: განუსაზღვრელი დროები:

I-1 -- აწმყო განუსაზღვრელი დრო -- The Present (Indefinite) Simple Tense

The Present (Indefinite) Simple Tense - აწმყო განუსაზღვრელი დრო -- გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც ჩვეულებრივ, საზოგადოდ ხდება და მეორდება რეგულარურად; მაგალითად:

She works at school .

ის სკოლაში მუშაობს.

Gegi lives in Tbilisi.

გეგი თბილისში ცხოვრბს.

Ann likes to go to the theatre.

ანას უყვარს თეატრში სიარული

როდესაც აწმყო განუსაზღვრელ დროს The Present Simple (Indefinite) Tense ამ მნიშვნელობით ვხმარობთ, მას ხშირად ახლავს სიხშირის გამომხატველი ზმნიზედები: often, always, every day, usually, regularly etc. მაგალითად:

It often rains here.

აქ ხშირად წვიმს.

I do my physical exercises regularly.

მე სისტემატურად ვარჯიშობ

She always gets up at 7 o'clock.

ის ყოველთვის 7 საათზე დგება.

აწმყო განუსაზღვრელი დრო გამოხატავს აგრეთვე ისეთ მოქმედებას, რომელიც ობიექტურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს: მაგალითად:

The Earth goes round of the Sun.

დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს

The Sun shines in the day-time.

მზე დღისით ანათებს

Tbilisi is the capital of Georgia.

თბილისი საქართველოს დედაქალაქია.

აწმყო განუსაზღვრელი დრო present(Indefinite)Simple გამოხატავს მოქმედებას, რომელიც ხდება თქმის მომენტში, იგი ჩვეულებრივ იხმარება (აწმყო განგრძობით დროებში) ისეთ ზმნებთან, რომლებიც არ იხმარება განგრძობით დროებში. ასეთი ზმნებია: to see, to love, to like, to know, to understand etc. და ა.შ.

მაგალითად:

Do you see a man at the window of mine?

ხედავ ვიღაც კაცს ჩემი ოთახის ფანჯრიდან?

I love my nephew.

მე მიყვარს ჩემი ძმიშვილი

Ann understands mine.

ანას ესმის ჩემი.

აწმყო განუსაზღვრელი დრო იხმარება მომავალი მნიშვნელობით, როდესაც მის მიერ გამოხატული მოქმედება არის წინასწარ დაგეგმილი. მაგალითად:

We arrive Tbilisi on Saturday and on Sunday,we wisit the Art Gallery.

თბილისში ჩავდივართ შაბათს და კვირას მუზეუმს ვათვალიერებთ.

We go to the country on Sunday and return that day.

შაბათს მივდივართ სოფელში და იმავე დღეს ვბრუნდაებით უკან.

აწმყო განუსაზღვრელი დრო იხმარება მომავალი დროის მნიშვნელობით დროისა და პირის გამომხატველ დამოკიდებულ წინადადებაში. მაგალითად:

I ‘ll come to you, if I ‘ve a time.

თუ დრო მექნება შენთან მოვალ.

I’ll visit you, as soon as I come back.

გესტუმრები, როგორც კი უკან დავბრუნდები.

აწმყო განუსაზღვრელი დროის წარმოება - The Present (Indefinite) Simple Tense

აწმყო განუსაზღვრელი დრო იწარმოება - ინფინიტივისაგან to ნაწილაკის გარეშე, გარდა მხოლობითი რიცხვის მესამე პირის, სადაც ზმნას ემატება სუფიქსი - s, ხოლო სხვა პირებში ზმნას არავითარი დაბოლოება არ აქვს, არ მოუდის;

I ask ; You ask; He (She, It)ask -- Singular

We ask; You ask; They ask; -- Plural

კითხვითი და უარყოფითი ფორმები იწარმოება დამხმარე ზმნის do -ს მეშვეობით Present or Past (Indefinite) Simple - აწმყო (ნამყო) განუსაზღვრელი დროის საშუალებით, რომელიც კითხვით ფორმაში ადგილს იკავებს წინადადების თავში, ქვემდებარის წინ, მხოლობითი რიცხვის მესამე პირში დაბოლოება - s დაერთვის დამხმარე ზმნას -do/does. ლექსიკური ზმნა კი უცვლელია, ანუ ყველგან ინფინიტივშია;

Do I sak ?-do you ask?- does he(she, it) ask?-- Singular

Do we ask? Do you ask?; Do they ask? -- Plural

უარყოფით ფორმაში კი დამხმარე ზმნა do - ს დაერთვის not ნაწილაკი და ორივე ერთად თავსდება ლექსიკური ზმნის წინ:

I do not ask; You do not ask; He (She, It) does not ask -- Singular

We do not ask; You do not ask; They do not ask. -Plural

თუ ზმნა მთავრდება s, ss,sh, ch, x,(z) ით მხოლობითი რიცხვის მესამე პირში, ზმნა დაირთავს es goes, watches, washes, etc. და ა.შ.

თუ ზმნა მთავრედება y- ით, რომელსაც წინ უძღვის თანხმოვანი, y გადადის i-ში და დაემატება es ; მაგ: to try, - tries; to cry – cries; ხოლო, თუ y- ის წინ უძღვის ხმოვანი, იგი უცვლელი რჩება ; მაგ: to stay – stays; to play – plays; და ა.შ.

დაბოლოება es იკითხება სამნაირად: - როგორც={s}={z}= და={iz}=. კერძოდ, თუ ზმნა ბოლოვდება ყრუ თანხმოვანზე, სუფიქსი s- იკითხება როგორც =s=; asks, drops.

თუ ზმნა ბოლოვდება ხმოვანზე ან მჟღერ თანხმოვანზე -s(es) - იკითხება როგორც =z= cries,plays, swims; ; თუ ზმნა ბოლოვდება s,ss, sh, ch, x, ან z -ით სუფიქსი იკითხება =iz=ით; brushes, catches,mixes; და ა.შ.

I-2 ნამყო განუსაზღვრელი დრო -

THE PAST(INDEFINITE) SIMPLE TENSE

ნამყო განუსაზღვრელი დრო The Past (Indefinite) Simple Tense გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოხდა წარსულში. მოქმედების დრო ცნობილია და მისი აღნიშვნა ხდება წლის, დღეების და საათების მითითებით:

I met him at first in 2012.

მას პირველად შევხვდი 2012 წელს.

He came to see me on Sunday.

ის მოვიდა ჩემთან კვირას

Ann was at the University at 12 o' clock.

12 სათზე ანა უნივერსიტეტში უნდა იყოს.

ნამყო განუსაზღვრელი დრო (The Past (Indefinite) Simple -ით გამოხატული მოქმედების განსაზღვრა ხდება ისეთი დროის აღმნიშვნელი სიტყვებით, როგორიცაა yesterday -გუშინ, the other day-- ამდღეებში, ამას წინათ, two days ago -ორი დღის წინ,

last week- გასულ კვირას, last month - გასულ თვეს, last year - გასულ წელს.

They got married last week.

ისინი დაქორწინდნენ გასულ კვირას.

We moved in a new flat a month ago –

ერთი თვის წინ ახალ ბინაში გადავედით

I saw Gegi two days ago.

გეგი ვნახე ორი დღის წინ.

ნამყო განუსაზღვრელი დრო The Past (Indefinite) Simple გამოყენებულია ისეთი მოქმედებების გამოსახატავად, რომლებიც მოხდა წარსულში ერთიმეორეს მიყოლებით.

Ann bought a present , took it in a present box and gifted to her friends (congratulated Birthday)

ანამ საჩუქარი იყიდა, ამხანაგთან წაიღო და დაბადების დღე მიულოცა.

Gegi took his bag, puthis books into it and went to the university.

გეგიმ ჩანთა აიღო, წიგნები ჩაალაგა, და უნივერსიტეტში წავიდა.

ნამყო განუსაზღვრელი დრო Past (Indefinite)Simple Tense - გამოხატავს მრავალგზის განმეორებად ან ჩვეულ მოქმედებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში. ნამყო განუსაზღვრელ დროსთან იხმარება ხშირად ისეთი სიხშირის გამომხატველი ზმნიზედები როგორიცაა always, often, never, usually, etc. მოქმედების მრავალგზისობას ქართულში გამოხატავს სიტყვა - ხოლმე;

Ann usually came to me on Sunday.

ანა ყოველთვის კვირა მოდიოდა ჩემთან.

I didn't like to travel by train. I usually traveled by plane.

არ მიყვარდა მატარებლით მგზავრობა, ჩვეულებრივ თვითმფრინავით ვმგზავრობდი ხოლმე.

ნამყო განუსაზღვრელი დროის -The Past (Indefinite) Simple წარმოება.

ნამყო განუსაზღვრელი დრო The Past (Indefinite) Simmple Tense იწარმოება წესიერ ზმნებში ინფინიტივზე ed სუფიქსის დართვით, to ask – asked; to work – worked; to play – played; etc.

თუ ზმნა ბოლოვდება e- ზე და ის დაირთავს მხოლოდ d- ს ; to like – liked; to live – lived; to smile – smiled; და ა.შ. y- ზე დაბოლოებულ ზმნებში, თუ y- ს წინ დგას ხმოვანი, იგი არ იცვლება:to play – played; to stay – stayed; etc. მაგრამ თუ თანხმოვანია მაშინ y იცვლება i- ით და ემატება ed; მაგ:to cry – cried; to carry – carried; etc.

ერთმარცვლიანი ზმნები, რომლებიც მთავრდება თანხმოვან-ზე, იორმაგებენ ბოლო თანხმოვანს, თუ მათ წინ უძღვის მოკლე ხმოვანი. მაგ to drop - dropped; to beg – begged; to stop – stopped ; ასევე ორმაგდება ბოლო l, თუ მას წინ უძღვის მოკლე ხმოვანი: to travel – travelled, to quarrel – quarreled; ხოლო თუ i- ს წინ უძღვის გრძელი ხმოვანი იგი უცვლელი რჩება: to conceal - concealed.

როგორც აღვნიშნეთ ნამყო განუსაზღვრელი დრო Past (Indefi-nite) Simle Tense წესიერ ზმნებში იწარმოება ed სუფიქსის დართვით. ეს ფორმა ყველა რიცხვსა და პირში ერთნაირია.

I asked; You asked; He (She, It) asked; - Singular

We asked; You asked; They asked - Plural

კითხვითი ფორმის საწარმოებლად to do დამხმარე ზმნის the Past(Indefinite) Simple –did თავსდება ქვემდებარის წინ. ლექსი-კური ზმნა კი ინფინიტივში გადადის.

Did I ask? Did You ask? Did He (She, It) ask? - Singular

Did We ask? Did You ask?; Did They ask?; - Plural

ხოლო უარყოფით ფორმაში did not თავსდება ლექსიკური ზმნის წინ, რომელიც (Infinitive) ინფინიტივში დგას:

I did not ask; You did not ask; He (She, It) did not ask.- Singular

We did not ask; You did not ask; they did not ask - Plural

არაწესიერი ზმნები კი ნამყო განუსაზღვრელ დროს The Past (Indefinite) Simle Past - აწარმოებენ სხვადასხვაგვარად:

ა) ფუძისეული ხმოვნის შეცვლით: to come - came;

ბ) სხვა ძირიდან: to go – went;

გ) ბოლო d იცვლება t -ით : to build – built; to spend – spent;

დ) ხმოვნის შეცვლითა და d- ს ან t-ს დართვით: to buy- bought; to sell – sold;

ე) ზოგი არაწესიერი ზმნა კი უცვლელი რჩება to put – put; to cost – cost;

I –3 - მომავალი განუსაზღვრელი დრო -

THE FUTURE (INDEFINITE) SIMPLE TENSE

მომავალი განუსაზღვრელი დრო გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოხდება თქმის მომენტის შემდეგ.

Ann will be at home.

ანა 3 საათზე იქნება შინ.

Gegi will come to visit us tomorrow.

გეგი მოვა ჩვენთან ხვალ.

I shall call you this evening.

ამ საღამოს გინახულებ.

მომავალი მოქმედების გამოსახატავად ფართოდ არის გამოყენებული სხვა საშუალებების, კერძოდ The Present (Indefinite) Simple Tense - აწმყო განუსაზღვრელი;

The Present Continuous Tense - აწმყო განგრძობითი და to be going – (დაპირებ)ის ფორმა.

We'll meet at the station at 2 o'clock, take tickets and leave for Batumi –

ერთმანეთს შევხვდებით სადგურში 2 საათზე, ბილეთებს ავიღებთ და ბათუმში გავემგზავრებით.

აწმყო განგრძობითი დრო (The Present Continuous Tense) კი უფრო ხშირად ისეთი მოქმედების აღსანიშნავად გამოიყენება, რომელიც ახლო მომავალში უნდა მოხდეს:

The train is leaving in 5 minutes .

მატარებელი გავა (ან გადის) 5 წუთში.

Are you going to the cinema to night?

ამ საღამოს კინოში მიდიხარ?

მომავალი მოქმედების გამოსახატავად გამოიყენება აგრეთვე to be going to - ს ფორმა, რომელიც ნიშნავს დაპირებას (I'm going to.. ვაპირებ) to be - ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დგება, სათანადო პირში, რიცხვში, დროში და ა.შ. და ამის მიხედვით შესაბამის ფორმას ღებულობს. - going კი, ყველა პირში უცვლელად იხმარება, ხოლო to იმის ნიშანია, რომ აქ უნდა ზმნა ინფინიტივში:

I am going to sing.

სიმღერას ვაპირებ

He is going to leave us.

ის აპირებს ჩვენგან წასვლას.. და ა.შ.

To be going - გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც წინასწარ არის განზრახული, წინასწარ არის მოფიქრებულიდა რომელიც უნდა მოხდესახლო მომავალში.

She is going to stay here.

ის აქ დარჩენას აპირებს.

I am just going to ring Ann.

სწორედ ახლა ანასთან დარეკვას ვაპირებდი.

The Future Simple Tense ------ მომავალი განუსაზღვრელი დროის წარმოება.

The Future (Indefinite) Simple Tense - მომავალი განუსაზღვ-რელი დრო იწარმოება დამხმარე ზმნების shall/will- ისა და საუღლებელი ზმნის პირველი ანუ ინფინიტივიანი ფორმის საშუალებით. თანამედროვე ინგლისურ ენაში მიზანშეწონი-ლად ჩათვალეს ერთ ერთი ზმნის გამოყენება, როგორც მხოლობით ისე მრავლობით რიცხვში:

I shall ask; You shall ask; He (She, It) shall ask; --Singular

We shall ask; You shall ask; They shall ask; -- Plural

კითხვით ფორმაში კი shall/will დამხმარე ზმნა გადადის პირველ ადგილზე, ქვემდებარის წინ:

Shall I ask?: Shall you ask? Shall he (She, It) ask? -Singular

Shall we ask? Shall You ask? Shall they ask? - Plural

ხოლო უარყოფითში კი მტკიცებით ფორმას ემატება not ნაწილაკი:

I shall not ask. You shall not ask; He (She, It) shall not ask – Singular

We shall not ask; You shall not ask; They shall not ask; Plural

ხანდახან დამხმარე ზმნები Shall/Will ერთმანეთს ენაცვლე-ბიან ასეთი შენაცვლების დროს კი Shall და Will სხვა მნიშვნე-ლობას იძენს. კერძოდ Shall გამოხატავს მთქმელის ნება სურ-ვილს, ბრძანებას, განკარგულებას;

You shall do it.

შენ ამას გააკეთებ (მე ამას მოვითხოვ ასე)

ხოლო როდესაც will იხმარება პირველ პირში, იგი გამოხა-ტავს, რომ ჩვენ განსაზღვრული გვაქვს რაიმე მოქმედების აუცილებლად შესრულება:

I will go there.

მე იქ აუცილებლად წავალ.

I will call you this evening.

ამ საღამოს უსათუოდ დაგირეკავ.

ზოგ შემთხვევაში კი გამოხატავს განკარგულებას, ბრძანებას:

You will do it!

შენ ამას გააკეთებ! (კატეგორიულად მოთხოვნა)

All the students will stand to the lecture!

ყველა სტუდენტი დაესწრება ლექციას! (ბრძანება)

თანამედროვე ინგლისურისათვის დამახასიათებელია ტენდეცია shall ნაცვლად will- ის გამოყენება I (პირველ)-პირში;(ეს როგორც ზემოთ აღვნიშნეთ)

I will go to the country ---

სოფელში წავალ ერთი კვირით

We will help you –

ჩვენ დაგეხმარებით.

ნამყოს მიმართ- მომავალი განუსაზღვრელი დრო

The Future in-the-Past (Indefinite) Simple Tense

ნამყო მიმართ მომავალი განუსაზღვრელი დრო The future in-the- Past (Indefinite) Simple Tense გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც მომავალია ნამყო დროის მიმართ,(აწმყო და ნამყო დროის მიმართ) ეს არის ისეთი მომავალი მოქმედება, რომლის შესახებ ლაპარაკი იყო წარსულში. იგი გვხვდება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, როდესაც მთავარი წინადადების შემასმენელი ნამყო დროშია;

He said that he would come to see us -

ბრძანება და თხოვნა უმეტესად მეორე პირისადმი არის მიმარ-თული. მეორე პირისადმი მიმართული ბრძანება გამოიხატება ზმნით ინფინიტივში to ნაწილაკის გარეშე ;მაგ:

Come in!

შემოდით!

Sit down!

დაჯექით!

Stop talking!

შეწყვიტეთ საუბარი!

Do as I say!

გააკეთე ისე როგორც გეუბნები!

Be careful!

ფრთხილად იყავი!

Tell Anna not be nervosa!

გადაეცი ანნას, რომ არ ინერვიულოს!

Be quite!

წყნარად იყავი! და ა. შ.

ბრძანების გამოხატვა ზოგჯერ ხდება თავაზიანი ფორმით. ამისთვის ვიყენებთ სპეციალური სიტყვებისა და თავაზიანობის ფორმას; მაგალითად: please; will you; will you kindly; won't you kindly; would you kindly; will you be so kindas to; will you be so good as to; და ა. შ. ამ სიტყვებიდან ერთერთი სიტყვა please შეიძლება იდგეს ბრძანებითი წინადადების როგორც თავში ისე ბოლოში, როდესაც სიტყვის ბოლოში დგას იგი ჩვეულებრივ მძიმით გამოიყოფა;მაგ:

Please do it for me.

გეთაყვა ეს გამიკეთეთ.

Please speak louder.

თუ შეიძლება უფრო ხმამაღლა ილაპარაკეთ.

თუ შეიძლება მიპასუხე.

Press my trouser, please.

თუ შეიძლება შარვალი გამიუთოვეთ.

Give me an answer please.

თუ შეიძლება მიპასუხე.

Will you tell me the time?

თუ შიძლება მითხარით რომელი საათია?

იგივე აზრი სხვაგვარადაც შეიძლება გამოვხატოთ Will you? Tell me the time; მაგ:

Won't you go with us? or Go with us,won't you?

წამობრძანდით ჩვენთან ერთად.

Kindly sit down!

დაბრძანდით ბატონო.

Will you please wait for me?

თუ შეიძლება დამელოდეთ. და ა.შ.

ზმნის მნიშვნელობის გაძლიერების მიზნით ბრძანებით კილოსთან, მტკიცებით ფორმაში იხმარება დამხმარე ზმნა to do;

Do come to me Anna

ანნა აუცილებლად მოდი ჩემთან.

Do ring me.

უსათუოდ დამირეკე.

Do be quite!

ძალიან გთხოვთ ,წყნარად იყავით!

ზმნის მნიშვნელობის გაძლიერების მიზნით, მეორე პირის ბრძანებით კილოში იმარება აგრეთვე ნაცვალსახელი you;მაგ:

You sit down!

თუ შიძლება დაბრძანდით

You be quite!

აბა წყნარად იყავით!

Don't you be angry with me!

ნუ ხარ ჩემზე გაბრაზებული!

მეორე პირის ბრძანებითი კილოს უარყოფითი ანუ ნაკრძალ-ვითი ფორმა იწარმოება to do დამხმარე ზმნისა და not ნაწილაკის მეშვეობით.—do not-don't; მაგ:

Don’t sit down!

არ დაჯდეთ!

Don’t come in!

არ შემოხვიდეთ!

Don’t make a fool of yourself!

ნუ სულელობ!

Don’t be in a hurry!

ნუ ჩქარობ!

Don’t get angry!

ნუ ბრაზობ!

Please, don’t do it!

გენაცვალე, ამას ნუ გააკეთებ!

მხოლობითი რიცხვის პირველი პირის ბრძანებითი კილო გამოხატავს ნებართვას, თხოვნას რაიმე მოქმედების შესრულებისათვის. ეს მნიშვნელობა გადმოიცემა ზმნის to let-ის საშუალებით; მაგ:

Let me open the window!

თუ შეიძლება ფანჯარას გავაღებ!

Let me take your pen!

ნება მიბოძეთ, თწვენი კალამი ავიღო.

მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ბრძანებითი კილოკი გამოხატავს შეგულიანებას, წაქეზებას, რაიმე საქმის ერთად შესრულებისათვის. ესეც to let ზმნის საშუალებით გადმოიცემა, რომლის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში უაღრესად შესუსტებულია და ამის გამო იგი უფრო ხშირად შემოკლებული ფორმით იხმარება; მაგ:

Let’s (let us) go home.

მოდი შინ წავიდეთ.

Leyt’s have dinner together.

მოდი ერთად ვისადილოთ.

Let's talk about something together.

მოდი სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

უარყოფითი ფორმა იწარმოება not ნაწილაკის დართვით; მაგ

Let's not talk about it. Or Don't let's talk about it:

მოდი ამაზე ნუ ვილაპარაკებთ.

Let's not go home by bus, Let's walk or Don't let's go home by bus, let's walk;

მოდი ავტობუსით ნუ წავალთ შინ ფეხით წავიდეთ

მესამე პირში მიმართული ბრძანებაცროგორც მხოლობითში ასევე მრავლობითში გამოიხატება to let ზმნის საშუალებით; მაგ:

Let Anna call her brother to the telephone

ანნამ თავის ძმას დაუძახოს ტელეფონთან.

Let's Gegi call his mother.

გეგიმ დედას დაურეკოს.

Let's them try to be have at 8 o'clock.

შეეცადონ, რომ აქ იყვნენ 8 საათზე.

ბრძანებითი კილოს მესამე პირის არყოფითი ფორმა იწარ-მოება ზმნაზე not ნაწილაკის დართვით; მაგ:

Let Anna not go there.

ნუ წავა ანნა იქ.

Let our students not miss today's meeting. so on and so on.

ნუ გააცდენენ დღევანდელ შეხვედრას ჩვენი სტუდენტები და ა.შ.

თუმცა ეს წინადადებები უმეტესად შემდეგი სახით იხმარება; მაგალითად:

I don't want Anna to go there or Anna mustn't go there. და

Our students must not miss today's meeting or I don't want our students to miss today's meeting.

ბრძანებითი წინადადება შეიძლება შედგებოდეს არა მხოლოდ ზმნისაგან, არამედ არსებითი სახელისაგან; მაგ:

Silence! (be silent)

სიჩუმე!

Quite! (be quite)

სიწყნარე!

A moment please. (wait amoment please.)

თუ შიძლება ერთი წუთით მოიცადეთ.

კავშირებითი კილო

The Subjunctive Mood

კავშირებითი კილო არის ზმნის განსაკუთრებითი ფორმა, რომელსაც შეუძლია გამოხატოს, რომ მოქმედება რეალური ფაქტი კი არ არის, არამედ წარმოსახვითი ან სავარაუდოა. ე.ი. კავშირებითი კილოს საშუალებით ხდება გარკვეული მოქმე-დების დაშვება, წარმოდგენა. ასეთი წარმოსახვითი მოქმედება შეიძლება იყოს სურვილის, ნატვრის, შედარების და სხვათა გამომხატველი.

კავშირებითი კილო იმიტომ ეწოდება რომ, იგი ძირითადად გამოყენებულია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, რომლის ნაწილებს შორის არსებული აზრობრივი კავშირი ე.ი. მთავარ წინადადებასა და მასზე დამოკიდებულ წინადადებას შორის არსებული აზრობრივი კავშირი, განაპირობებს ამ კილოს გამოყენებას.

კავშირებით კილოს აქვს სამი დრო:

აწმყო კავშირებითი --- The Present Subjunctive

ნამყო კავშირებითი --- The Past Subjunctive

ნამყო სრული კავშირებითი --- The Past Perfective Subjunctive

1) აწმყო კავშირებითი The Present Subjinctive

აწმყო კავშირებითი The Present Subjinctive იწარმოება ინფინიტივისაგან to ნაწილაკის გარეშე. იგი ფორმით ემთხვევა თხრობითი კილოს The Present Indefinite-ს მაგრამ მისგან იმით განსხვავდება, რომ მხოლობითი რიცხვის მესამე პირში ზმნა არ დაირთავს -s- სუფიქსს, ე.ი. მას ყველა პირსა და რიცხვში ერთნაირი ფორმა აქვს. მაგ:

აწმყო კავშირებითი The Present Subjunctive :

I ask; You ask; He (She; It)ask

We ask; You ask; They ask;

ასევე საგულისხმოა ის ფაქტორიც რომ ზმნა - to be- ს აწმყო კავშირებითის ერთნაირი ფორმა აქვს ყველა პირსა და რიცხვში; მაგ:

I be; You be; He (She; It) be

We be; Yoube; They be;

აწმყო კავშირებითი კილო გამოხატავს მოთხოვნას, რჩევას, რომელიც განეკუთვნება აწმყოს ან მომავალს; მაგ:

I suggested that Anna must be here.

გირჩევთ, რომ ანნა აქ იყოს.

I demand that you study English better.

მე მოვითხოვ, რომ ინგლისური ენა უკეთესად შეისწავლო.

It is necessary that all the students be at the meeting.

აუცილებელია, რომ კრებას ყველა სტუდენტი ესწრებოდეს.

It is necessary that she be at the English lecture.

აუცილებელია, რომ ინგლისურ ლექციას დაესწროს.

2) ნამყო კავშირებითი The Past Subjunctive

ნამყო კავშირებითი The Past Subjunctive ფორმით ემთხვევა თხრობითი კილოს the Past Indicative, მაგრამ მისგან განსხვავებით, წარსულ მოქმედებას კი არ გამოხატავს, არამედ აწმყოს ან მყოფადს ანუ მომავალს. To be ზმნა ყველა პირში იხმარება ნამყო დროის მრრავლობითი რიცხვის ფორმით were; მაგ:

I were; You were; He (She; It) were

We were; You were; They were;

ზმნა to ask- ნამყო კავშირებითში შემდეგნაირად გამოიხატება:

I asked; You asked; He (She; It) asked

We asked; You asked; They asked;

ნამყო კავშირებითი ფართოდ არის გამოყენებული სურვილის, ნატვრის გამოსახატავად:

I wish Anna were here.

ნეტავი ანნა აქ იყოს.

I wish brother were not ill.

ნეტავი ჩემი ძმა ავად არ იყოს.

I wish you were English well.

ნეტავი, ინგლისური კარგად იცოდე.

I wish I were in Italy now.

ნეტავი ახლა იტალიაში ვიყო

ნამყო კავშირებითი გამოყენებულია ორი მოქმედების შედარებისას, ისეთი კავშირების შემდეგ, როგორიცაა: as if; asthought -ისე როგორც, ისე თითქოს. შედარება შეიცავს წარმოსახულ მოქმედებას.მაგ:

I love QAnna as if she were my sister.

ანნა ისე მიყვარს, როგორც ჩემი და.

You look like as if you were ill.

ისე გამოიყურები თითქოს ავად იყო.

Anna speaks English as if she were American.

ანა ისე ლაპარაკობს ინგლისურს, თითქოს ამერიკელი იყოს.

ასევე შედარების კონსტრუქციებში as if და as thought შეგვიძ-ლია ვიხმაროთ განურჩევლად. მათ ორივეს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ.

3) ნამყო სრული კავშირებითი The Past Perfect Subjunctive

ნამყო სრული კავშირებითი გამოხატავს მოქმედებას, რომე-ლიც წარსულ დროს განეკუთვნება. იგი ფორმით ემთხვევა ნამყო სრულ თხრობითს The Past Indicative მაგრამ მისგან განსხვავებით, იგი წარსულ მოქმედებას აღნიშნავსდა არა წინარე წარსულს. ე. ი. იგი არ გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც სხვა წარსულ მოქმედებაზე უფრო ადრე დასრულდა, არამედ მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მოქმედებას წარსულში ჰქონდა ადგილი.მაგ:

I wish Gegi had been here when Anna had been arrived.

ნეტავი გეგი აქ ყოფილიყო, როცა ანნა ჩამოვიდა.

I wish I had known Italian when we met Italian students.

ნეტავი იტალიური მცოდნოდა, როცა იტალიელ სტუდენტებს შევხვდით.

I wish mother had not beenill, when wewere at the sea.

ნეტავი დედა ავად არ ყოფილიყო, როდესაც ზღვაზე ვიყავით.

ნამყო კავშირებითისაგან Past Subjunctive განსხვავებით, ნამყო სრული კავშირებითი Past Perfect Subjunctive იმაზე მიუთითებს, რომ ამ მოქმედების შესრულება სრულიად შეუძლებელია, რადგან საამისო ვადები სავსებით ამოწურულია. კავშირებითი კილო ფართოდ არის გამოყენებულიპირობის გამომხატველ წინადადებაში. ამით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ამ კილოს ზოგი საზოგადოდ პირობით კილოს უწოდებს - The Conditional Mood მაგრამ ვინაიდან პირობის გარდა, კიდევ სახვა

მრავალი მნიშვნელობა გადმოიცემა ამ კილოს საშუალებით, სწორი არ იქნება, რომ მას საზოგადოდ პირობითი კილო ეწოდოს.

კავშირებით კილოში შეიძლება გამოიყოს პირობითი კილო, როგორც მისი ნაწილი.

პირობით კილო გამოხატავს ძირითადად ორი სახის არარეალურ პირობას:

1) არარეალური პირობა, რომელიც განეკუთვნება, აწმყო ან მომავალ დროს. მისი გამოსახატავად მთავარ წინადადებაში გვაქვს would პლუს მარტივი ინფინითივი (Simple Infinitive), ხოლო დამოკიდებულში -- ნამყო კავშირებითი, რომელიც როგორც ცნობილია, ფორმით ემთხვევა Past Simple -ის მრავლობითი რიცხვის ფორმას - were;

If I were you, I wouldn’t do it.

მე რომ თქვენ ადგილზე ვიყო, ამას არ გავაკეთებ.

If Gegi were ill today, he would ring me.

გეგი დღეს ავად რომ ყოფილიყო, დამირეკავდა.

If I were - მე რომ თქვენს ადგილას ვიყო - ფართოდ არის გამოყენებული თანამედროვე ინგლისურ ენაში, რაიმე რჩევის მიცემისას. მაგალითად:

If I were I would learn English well.

მე რომ თქვენს ადგილას ვიყო ინგლისურს ძალიან კარგად ვისწავლიდი.

If I were you, I wouldn’t go there.

მე რომ თქვენს ადგილას ვიყო, იქ არ წავიდოდი.

If I were you, I wouldn’t marry her.

მე რომ თქვენს ადგილას ვიყო, მას ცოლად არ მოვიყვანდი.

არარეალური პირობა, რომელიც განეკუთვნება წარსულ დროს. მისი გადმოცემა ხდება შემდეგნაირად : დამოკიდებულ წინადადებაში შემასმენელი დგას ნამყო კავშირებითში (Past

Subjunctive), რომელიც როგორც ვიცით, ფორმით ემთხვევა თხრობითი კილოს the Past Perfect ს, ხოლო მთავარში შემასმენელი დგას would-ს დამატებული სრუ ლ განსაზღვრულ (Perfect Simple) ში; მაგ:

If I had had a ticket yesterday, Iwould have gone to the theatre.

გუშინ ბილეთი რომ მქონოდა, თეატრში წავიდოდი.

If you had helped me, I would have Studied English.

მე რომ დამხმარებოდი, ინგლისურს კარგად შევისწავლიდი.

If they had come to us yesterday, they would surly helped us.

ისინი რომ გუშინ მოსულიყვნენ ჩვენთან, ნამდვილად დაგვეხმარებოდნენ.

ინგლისურსა და ქართულ ენებში პირობითი წინადადების სტრუქტურაში ის განსხვავებაა, რომ ინგლისურში თვით ზმნის ფორმა გამოხატავს რომ მოქმედება აწმყოს ეხება, მომავალს თუ წარსულს. ქართულში კი ამის აღნიშვნა ხდება ძირითადად დროის ზმნიზედების საშუალებით; მაგალითად:

If I had a ticket, I would go to the theatre.

If I had a ticket, I would have gone to the theatre yesterday

ბილეთი რომ მქონოდა, თეატრში წავიდოდი (ახლა, ხვალ, გუშინ)

ზოგ შემთხვევაში ხდება if ფორმიანი წინადადების საერთოდ გამოტოვება:

I would ask him (if I were you).

მას ვკითხავდი.(შენს ადგილას რომ ვიყო).

I would see him (if I had time).

მას მოვინახულებდი. (დრო რომ მქონოდა).

I would not buy this dress (even if I had money)

ამ კაბას არც ვიყიდიდი. (ფულიც რომ მქონოდა)

ზოგჯერ კი ხდება if იან წინადადებაში if ის გამოტოვება და დამხმარე ზმნის გადატანა ქვემდებარეს წინ; მაგალითად:

Wereif necessary, Anna would come (if it is necessary).

აუცილებელი რომ ყოფილიყო, ანნა მოვიდოდა.

Were he tired, he wouldn't go to thecinema.

ის რომ დაღლილი ყოფილიყო, კინოში არ წავიდოდა.

Had he come, we would have given him the book(if hehad come)

ის რომ მოსულიყო წიგნს მივცემდი

თანამედროვე ინგლისური ენისათვის დამახასიათებელია კავშირებითი კილოს მნიშვნელობით თხრობითი კილოს ფორმის გამოყენების ტენდეცია:

If Anna was here he would help us ნაცვლად if Anna were here hewould help us

ანნა რომ აქ იყოს მოგვეხმარებოდა.

ასეთ შემთხვევაში, კავშირებითი კილოს მნიშვნელობის გადმოცემა მთლიანად ეკისრებათ შესაბამისს კავშირებს: if - გამოხატავს პირობას, as if ; as though - შედარებას და ა. შ. მაგრამ რასაკვირველია, კავშირებს არ შეუძლიათ მთლიანად შეცვალონ კავშირებითი კილო, რადგან მათ არ შეუძლიათ გამოხატონ მოქმედების დრო; შევადაროთ ორი წინადადება ერთმანეთს:

If Anna came, we would go to the theatre together.

ანნა რომ მოვიდეს, თეატრში ერთად წავიდოდით.

If anna had come,we would have gone to the theatre together.

ანნა რომ მოსულიყო, თეატრში ერთად წავიდოდით.

კავშირებითი კილოს საშუალებით ვგებულობთ, რომ პირველ წინადადებაში გადმოცემულია სავარაუდო მოქმედების განხორციელება გამორიცხული არ არის, ხოლო მეორე წინადადებაში კი პირიქით..გარკვეული მიზეზის გამო შეუძლებელია ამ მოქმედების განხორციელება.

ზმნის არაშემასმენლური ფორმები -

NONE—FINITE FORMS OF THE VERBS

ზმნის არა შემასმენლური ფორმებია: ინფინიტივი--the Infinitive; გერუნდივი--the Gerund; ed- სუფიქსიანი მიმღეობა--ed - Participle და - ing სუფიქსიანი მიმღეობა -_ing Participle;

ი ნ ფ ი ნ ი ტ ი ვ ი----THE I N F I N I T I V E

ინფინიტივი ზმნის არაშემასმენლური ფორმაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ გააჩნია ისეთი გრამატიკული კატეგორიები, როგორიცაა პირი, რიცხვი, კილო. ამის გამო, იგი დამოუკიდებლად სხვა ზმნების გარეშე არ გვხვდება შემასმენლის ფუნქციით. იგი გამოხატავს ისეთ მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც არ მიეწერება, ამ თუ იმ პირს ან საგანს, ინფინიტივის ნიშანია to ნაწილაკი.

ინფინიტივი მიღებულია ძველი ინგლისური არსებითი სახელისაგან, რომელმაც დროთა განმავლობაში დაკარგა არსებითი სახელისათვის დამახასიათებელი ზოგი თვისება და სამაგიეროდ შეიძინა ინფინიტივის თვისებებეი, რომელიც საერთოა არსებითი სახელთან.

1) ინფინიტივი ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას:

To move in a new flat is very nice
ახალ ბინაში გადასვლა ძალიან სასარგებლოა
To pass the exam, in English was very difficult
ინგლისურში გამოცდის ჩაბარება ძალიან ძნელი იყო

2) ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს ინფინიტური კონსტრუ-ქცია (ინფინიტივი და აზრობრივად მჭიდროდ დაკავშირებული სიტყვები, რომელიც ერთ სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ;

To give him a definite answer is our duty

ჩვენი ვალია მას გარკვეული პასუხი მივცეთ.

To translate thisstory into English without dictionary is rather difficult

ამ მოთხრობის ინგლისურად გადათარგმნა ლექსიკონის გარეშე, საკმაოდ შეუძლებელია.

ხშირ შემთხვევაში ეს წინადადებები შემდეგნაირად ითქმის:

It's our duty to give him a definitive answer.

It's rather difficult to translate this story into English without a dictionary.

როგორც ვხედავთ ამ წინადაებაში რეალური ქვემდებარეა ინფინიტიური კონსტრუქცია, ხოლო ფორმალური ქვემდებარეა შემყვანი -to;

3) ინფინიტივი შედის ქვემდებარის შემადგენლობაში, რომე-ლიც გამოხატულია ინფინიტიური აბსოლუტური კონსტრუქ-ციით (აზრობრივად მჭიდროდ დაკავშირებული სიტყვათა jგუფი, რომელიც შეიცავს ქვემდებარისა და შემასმენლის ფარდ სიტყვებს.

He is known to be the best student of the group

ცნობილია რომ ის თავის ჯგუფში წარჩინებული სტუდენტია.

ქვემდებარეა--he—to be the beststudent of the group.

Anna is said to have arrived

ამბობენ, რომ ანნა ჩამოვიდა.

ქვემდებარეა-Anna--to have arrived--ინფინიტივის პერფექტუ-ლი ფორმა იმაზე მიუთითებს, რომ მის მიერ გამოხატული

მოქმედება უფრო ადრე მოხდა, ვიდრე შემასმენლით გადმოცემული მოქმედება. ასეთ კონსტრუქციას აბსოლუტური ეწოდება, იმიტომ, რომ არსებითი სახელი(Anna) ასრულებს მოქმედებას, რომელსაც გამოხატავს ინფინიტივი(to have arrived) ე.ი.კონსტრუქცია შეიცავს ქვემდებარისა და შემასმენლის ფარდ სიტყვებს.

4) ინფინიტივი შედის აგრეთვე ისეთ ქვემდებარეში, რომელიც გამოხატულია for წინდებულიანი ინფინიტიური კონსტრუქციით:

For Gegi to translate this articleis not difficult.

გეგისათვის ამ კონსტრუქციის გადათარგმნა ძნელი არ არის.

For you to read English books is very useful.

თქვენთვის ინგლისური წიგნების კითხვა სასარგებლოა.

პირველი წინადადების ქვემდებარეა--For Gegi to translate this article, ხოლო მეორესი--For youto read English books -- ეს წინდებულიანი კონსტრუქციები აბსოლუტურია, რადგან არსებითი სახელი და ნაცვალსახელი(Gegi, you) აღნიშნავენ მოქმედს, ხოლო ინფინიტივი -- მოქმედებას, რომელსაც ისინი ასრულებენ (forvtranslate, to read) მთელი ეს კონსტრუქცია, როგორც აღვნიშნეთ, ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას.

5) ინფინიტივი ასრულებს პირდაპირი დამატების ფუნქციას:

I must manage to get ticket.

უნდა მოვახერხო ბილეთის შოვნა.

I didn’t mean to do it.

არ ვაპირებდი ამის გაკეთებას

I made up my mind to study English well.

გადავწყვიტე ინგლისური კარგად შევისწავლო.
I've told you many times not to go to there.
ბევრჯერ გითხარი იქ ნუ წახვალ მეთქი.

6) პირდაპირი დამატების ფუნქციას ასრულებს ინფინიტიური აბსოლიტური კონსტრუქცია:

I want them to come us.
მინდა რომ ისინი ჩვენთან მოვიდნენ.
I expect my friends to arrive in Tbilisi.
ჩემი მეგობრების ჩამოსვლას ველოდები თბილისაიდან.
I never permitted you to do that.
არასოდეს არ მომიცია შენთვის ამის გაკეთების უფლება.
ასეთი დამატება შედგება არსებითი სახელისაგან საერთო ბრუნვაში (ან ნაცვალსახელისაგან დამატების ბრუნვაში) და ინფინიტივისაგან.
7) პირდაპირი დამატების ფუნქციას ასრულებს for წინდებულიანი ინფინიტიური აბსოლუტურიკონსტრუქცია:
I'm waiting for Anna to come.
ანას მოსვლას ველოდები.
Do you care for me to stay here?
გინდა რომ აქ დარჩე?
ინფინიტივი ასრულებს განსაზღვრების ფუნქციას. ასეთ შემთხვევაში, იგი ჩვეულებრივ მოსდევს საზღვრულ სიტყვას:
I have many things to do.
ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი.
There is no need to worry.
არ არის საჭირო ნერვიულობა.
He was the first to come to me.
ის პირველი მოვიდა ჩემთან.

9) ინფინიტივი შედის კონსტრუქციაში, რომელიც ასრულებს განსაზღვრების ფუნქციას:

Here is the ball to play football with.
აი, ფეხბურთის სათამაშო ბურთი.
This is the shelf to put these books into.
აი, ამ თაროში უნდა დააწყოთ ეს წიგნები.
Nicko is not a boy to be loughed at.
ნიკო არ არის დასაცინი ბიჭი.

10) ინფინიტივი ასრულებს შემასმენლის სახელადი ნაწილის ფუნქციას:

My only aim is to study well.
ჩემი ერთად ერთი მიზანია კარგად ვისწავლო.
His dream was to become an education man.
მისი ოცნება იყო, ნასწავლი კაცი გამოსულიყო.

11) ინფინიტივი შედის შედგენილი სახელად-ზმნურ შემასმენელში:

I was very glad tosee you.
ძალიან გამიხარდაშენი ნახვა.
He was lazy yo come to us.
მას დაეზარა ჩვენთან მოსვლა.
I'm sorry to disturb you.
ბოდიში რომ შეგაწუხეთ.
ამ ტიპის შემასმენელი შედგება to be დამატებული ზედსარ-თავი სახელი დამატებული ინფინიტივი(am –glad-tosee-; was-

lazy- to come e.c.) ვინაიდან ამ ტიპის შემასმენელში შედის რამდენიმე კომპონენტი, იგი შედგენილია რადგანაც ზედსარ-თავი სახელი შედის, ამიტომ იგი სახელადია და ამის გამო ასრულებს ინფინიტივის ფუნქციას; ასევე იგი ზმნურიცაა. ამიტომ ეწოდება მას შედგენილ - სახელადზმნური შემასმე-ნელი.

12) ინფინიტივი ასრულებს გარემოების ფუნქციას:

We went to the market to buy some fruit.
ბაზარში წავედით რომ ხილი გვეყიდა.
You must study hard to become a student.
ბევრი უნდა იმუშაო რომ სტუდენტი გახდე.
I'm in a hurry to finish this work today.
ძალიან ვჩქარობ რომ ეს სამუშაო დღეს დავასრულო.
შედეგის გარემოება:
It is too late to go on a visit.
ძალიან გვიანაა და სტუმრად წასვლა აღარ შეიძლება.
Your English is too poor to translate this article.
თქვენ ინგლისური ძალიან სუსტად იცით და ამიტომ ამ სტატიას ვერ გადათარგმნით.
ინფინიტივის ზმნური თვისებები:

1) გარდამავალი ზმნების ინფინიტივს დაერთვის დამატება;

I have to make a telephone call.
ტელეფონით უნდა დავრეკო.
I like to read English books.
მიყვარს ინგლისური წიგნების კითხვა.

2) ინფინიტივს განსაზღვრავს გარემოება:

We decided to walk quickly.
გადავწყვიტეთ სწრაფად გვევლო.
She wants to speak English well.
მას უნდა რომ ინგლისურად კარგად ილაპარაკოს.

3) ინფინიტივს აქვს გვარის, შედარებითი დროისა და ასპექტის კატეგორიები:

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი გ ვ ა რ ი ს ინფინიტივი:

ა) - Indefinite Infiniteve Active--მოქმედებითი გვარის განუსაზღვრელი დროის ინფინიტივი -to ask;
ბ) - Continuous Infinitive Active--მოქმედებითი გვარის განგრძობითი დროის ინფინიტივი-to be asking;
გ) - Perfect Infinitive Active--მოქმედებითი გვარის სრული დროის ინფინიტივი-to have asked;
დ)- Perfect Continuous Active--მოქმედებითი გვარის სრული განგრძობითი დროის ინფინიტივი-to have been asking;

ვ ნ ე ბ ი თ ი გ ვ ა რ ი ს ინფინიტივი

ვნებითი გვარის ინფინიტივი კი მხოლოდ ორი სახის არსებობს:

ა) - Indefinite Infinitive Passive--ვნებითი გვარის განუსაზღვრელი ინფინიტივი-to be asked;

ბ) - Perfect Infinitive Passive--ვნებითი გვარის სრული დროის ინფინიტივი-to have been asked;

როგორც ვხედავთ, ვნებითი გვარის ფორმა - არ გააჩნია განგრძობითი დროის ინფინიტივებს. იგი გააჩნიათ გარდამავალი ზმნების განუსაზღვრელი და სრული დროების ინფინიტივს. მაგალითად:

He wanted to be seen by everyone - (ვნებითი გვარის განუსაზღვრელი დროის ინფინიტივი)

მას არ უნდოდა რომ იგი ყველას დაენახა.

Gegi didn't want to have been see by anybody - (ვნებითი გვარის სრული დროის ინფინიტივი)

გეგის არ უნდოდა რომ იგი ვინმეს დაენახა.

როგორც ვხედავთ, განსხვავება ვნებითი გვარის, განუსაზღვრელი დროის ინფინიტივსა და სრული დროის ინფინიტივს შორის, ქართულ თარგმანში არ ჩანს. ინფინიტივის მოქმედებითი გვარის ფორმა, გამოხატავს მოქმედებას, რომელსაც სუბიექტი ასრულებს, ხოლო ინფინიტივის ვნებითი გვარის ფორმა გამოხატავს მოქმედებას, რომელსაც სუბიექტი განიცდის.

ინფინიტივის დროის გრამატიკული კატეგორია, სრულიად განსხვავდება ზმნის შემასმენლური ფორმების კატეგორიებისაგან. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ზმნის შემასმენლური ფორმები, დროს გამოხატავენ, თქმის მომენტთან შეფარდებით, ხოლო ინფინიტივი გამოხატავს, დროის შემასმენლით გამოხატულ მოქმედებასთან შეფარდებით, მაგალითად: I go-მივდივარ, I went-წავედი, I shall go-წავალ;

პირველ წინადადებაში-go გამოხატავს მოქმედებას, რომელიც ხდება აწმყო დროში; მეორე წინადადებაში- went -გამოხატავს მოქმედებას, რომელიც მოხდა თქმის მომენტზე ადრე ანუ

ნამყოში; ხოლო მესამეში- shall go აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც თითqმის მომენტის შემდეg მოხდება.

ინფინიტივით გამოხატული მოქმედების დრო კი, როgორც აღვნიშნეთ, ედრება არა თქმის მომენტს, არამედ, წინადადების შემასმენლით გამოხატული მოქმედების მომენტს. კერძოდ, განუსაზრვრელი და განაgრძობითი დროის ინფინიტივი, გამო-ხატავს მოქმედებას, რომელიც ხდება მაშინ, როდესაც ხდება, შემასმენლით აღნიშნული მოქმედება:

I try to speak English.

ვცდილობ ინgლისურად ვილაპარაკო;

აქ ინფინიტივს აქვს აწმყო დროის მნიშვნელობა , რადgან შემასმენელი- try-აწმყოშია.

I tried to speak English.

ვცდილობდი ინgლისურად მელაპარაკა.

აქ ინფინიტივს აქვს წარსული დროოის მნიშვნელობა, რადgან შემასმენელი -tried -წარსულ დროშია;

I shall try to speak English--შევეცდები ინgლისურად ვილაპარაკო

აქ კი ინფინიტივს აქვს მომავალი დროის მნიშვნელობა, რადgან შემასმენელი-shall try -დgას მომავალ დროში;

ასევეა განgრძობითი დროის ინფინიტივი-Continuous Infinitive to be trying-, რომლის მიერ გამოხატული მოოქმედება დროში ემთხვევა შემასმენლით აღნიშნულ მოქმედებას;

He seems to be trying his best--ჩანს, ის რაც შეიძლებს უკეთესობისkენ .

The Continuous Infinitive - to be trying -გამოხატავს მოქმედებას, რომელიც აწმყო დროში ხდება, რადgან წინადადების შემას-მენელი-seems-აწმყო დროშია. The Continuous Infinitive -ის თავისებურებას ის შეადgენს, რომ მის მიერ გამოხატული მოქმედება, განgრძობით ხასიათს ატარებს.

He seemed to be trying his best.

ჩანს, ის რაც შეიძლებს უკეთესობისკენ.

ამ წინადადებაში კი The Continuous Infinitive –to be trying - ნამყო დროის მნიშვნელობას იძენს, რადგან წინადაების შემასმენელი seemed-ნამყო დროში დგას.

The Perfect Infinitive - გამოხატავს მოქმედებას, რომელიც შემასმენელით აღნიშნულ მოქმედებაზე უფრო ადრე მოხდა:

He is awfully sorry not to have got this book.

ის ძალიან წუხს, რომ ეს წიგნი ვერ იშოვა.

ამ წინადაებაში The Perfect Infinitive –not to have got- გამოხატავს მოქმედებას, რომელიც შემასმენლით გამოხატულ მოქმედებაზე - is sorry-უფრო ადრე მოხდა.

He was awfully sorry not to have got this book.

ის ძალიან წუხდა რომ, ეს წიგნი ვერ იშოვა.

აქ კი The Perfect Infinitive--გამოხატავს მოქმედებას, რომელიც სხვა წარსულ მოქმედებაზე was sorry-- უფრო ადრე მოხდა.

The Perfect Continuous Infinitive -გამოხატავს ისეთ მოქმე-დებას, რომელიც შემასმენლით გადმოცმულ მოქმედებაზე უფრო ადრე მოხდა, მაგრამ ამასთან ერთად , იგი მიუთითებს, რომ ამ მოქმედებას განგრძობითი ხასიათი ჰქონდა.

He is awfully sorry not tohave been waiting for his mother at the station.

ის ძალიან წუხს,რომ დედას არ უცდიდა სადგურზე;

He was awfully sorry not to have been waiting for his motherat the station.

ის ძალიან წუხდა, რომ დედას არ უცდიდა სადგურზე.

როგორც ვხედავთ, The Continuous Infinitive - და The Perfect Continuous infinitive -გამოხატავენ განგრძობით მოქმედებას, ე.ი. მოქმედებას, რომელიც დასრულებული არ არის და ისევ გრძელდება. ამ თვალსაზრისით მიიჩნევა, რომ -The Continuous

infinitive და The Perfect Continuous Infinitive - უსრული ასპექტის ფორმებია, ხოლოThe Indefinite Infinitive-და Perfect Infinitive--კი სრული ასპექტის ფორმებია.

ინფინიტივი ასრულებს მეორე კომპონენტის როლს, შედგენილ ასპექტურ და შედგენილ მოდალურ შემასმენელში:

We began to watch TV.

ტელევიზორის ყურება დავიწყეთ.

I could not sleep.

ვერ დავიძინე.

ინფინიტივი დაერთვის ზმნას -to be going, რომელიც გამოხატავს რაიმე მოქმედების შესრულების მოქმედების განზრახვას. ეს მნიშვნელობა ქართულად გადმოიცემა სიტყვით ---ვაპირებ;

I'm going to study English very well--ვაპირებ ინგლისური ენა ძალიან კარგად შევისწავლო.

I'm going to be married--ცოლის შერთვას ვაპირებ (ან გათხოვებას ვაპირებ).

They are going to stay here--ისინი აქ დარჩენას აპირებენ.

ინფინიტივი იხმარება ისეთ მაკავშირებელ სიტყვებთან, როგორიცაა -Which, what, how, why, where, აგრეთვე კავშირებთან -in order, wheter, as if, so as;

I'll show you which way to take --გვიჩვენებს, თუ რომელი გზით უნდა წახვიდე.

The teacher told us how to pronounce this word.

მასწავლებელმა გვითხრა, თუ როგორ უნდა წარომთქვათ ეს სიტყვა.

Be quick so as to be late for university.

იჩქარე, რომ უნივერსიტეტში არ დაგაგვიანდეს.

ზოგ შემთხვევაში, იფინიტივი იხმარება to-ნაწილაკის გარეშე. კერძოდ, ინფინიტივს არ დაერთვის ნაწილაკი to-დამხმარე ზმნებისა და მოდალური ზმნების შემდეგ:

Where do you go after lectures?

სად მიდიხართ ლექციების შემდეგ?

I can not come at that time.

ამ დროს არ შემიძლია აქ მოსვლა.

I'll ring you this evening.

ამ საღამოს დაგირეკავ.

You must do it.

შენ ეს უნდა გააკეთოთ.

ინფინიტივი იხმარება to ნაწილაკის გარეშე ისეთი ზმნების შემდეგ, რომლებიც გამოხატავენ იზიკურ შეგრძნებასა და აღქმას:

I saw them come.

დავინახე რომ ისინი მოვიდნენ.

We didn't notice you go away.

ვერ შევნიშნე შენ როდის წახვედი.

They watched us comeback.

ისინი თვალს გვადევნებდნენ უკან როდის დავბრუნდით.

ინფინიტივი იხმარება -to- ნაწილაკის გარეშე ზმნა --to make-ის შემდეგ, როდესაც ის ნიშნავს -- იძულებას, ვინმე აიძულო რამე გააკეთებინო.

I'll make Nick do it.

ამას ნიკოს გავაკეთებინებ.

They made us work very hard yesterday.

გუშინ ბევრი გვამუშავეს.

The lecturer made us learn these words by hurt.

ლექტორმა ეს სიტყვები ზეპირად გვასწავლა.

to- ნაწილაკის გარეშე იფინიტივი იხმარება ისეთ გამოთქ-მებში, როგორიცაა: hard better-უმჯობესია, would sooner-მირჩევნია, had rather - უმჯობესია, would rather-მირჩევნია, და ასე შემდეგ.

I would rather stay here.

მირჩევნია აქ დავრჩე.

I would rather go with you.

შენთან ერთად მირჩევნია წამოსვლა.

You had betterspeak with Gegiyourself.

უმჯობესია თქვენ თვითონ მოელაპარაკოთ გეგის;

We had betterstay here.

უმჯობესია, ეს ჩვენ თვითონ გადავწყვითოთ.

He would sooner stayat home than go to the university.

უნივერსიტეტში წასვლას, მას ერჩივნა შინ დარჩენილიყო.

ზმნა იწარმოება - to ნაწილაკის გარეშე, როდესაც ის ბრძანებით კილოში დგას;

Do it in my presence!

გააკეთე ეს, ჩემი თანდასწრებით!

Let us talk about something else.

მოდი სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

Let him try!

სცადოს!

Let me go back!

ნება მიბოძეთ უკან დავბრუნდე!

ზოგჯერ კი ნაწილაკი to-იხმარება ინფინიტივის ნაცვლად. ინფინიტივის აღდგენა ადვილია კონტექსტის მიხედვით:

Promise to come to me - შემპირდი, რომ ჩემთან მოხვალ. I'll try to--შევეცდები.

Have you read this book?-წაიკითხე ეს წიგნი? I wanted to but I could not get it. მინდოდა, მაგრამ ვერ ვიშოვე.

გ ე რ უ ნ დ ი ვ ი ---- THE GERUND

გერუნდივი არის ზმნის არაშემასმენლური ფორმა. ამიტომ, მის მიერ გადმოცემული მოქმედება არ მიეწერება, რომელიმე პირს ან საგანს. იგი გამოხატავს მოქმედებას, როგორც გარკვეულ პროცესს - reading - კითხვა, writing-წერა, გერუნდივი იწარმოება ინფინიტივზე -ing-სუფიქსის დართვით. თუ ზმნა მთავრდება -e-ით, იგი იკარგება: to come – coming, to write -- writing; ერთმარცვლიან ზმნებში, რომელთა ხმოვანი მოკლეა, -ing სუფიქსის დართვისას, ბოლო თანხმოვანი ორმაგდება: to sit-- sitting; to stop--stopping;

გერუნდივის თვისებები რომლებიც საერთოა არსებით სახელებთან.

1- გერუნდივი ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას:

Smoking is bad for one's health.

სიგარეტის მოწევა ცუდია ჯანმრეთელობისათვის.

Skiing is very nice.

თხილამურებით სრიალი ძალიან სასიამოვნოა.

Coming to work so late is inconvenient.

სამსახუაში ასე გვიან მოსვლა უხერხულია.

ამ წინადადებაში გერუნდივის ნაცვლად შეიძლება ინფინიტივი გამოვიყენოთ. მაგალითად:

To smoke is bad for one's health.

To ski is very nice.

To come to work so late is inconvenient.

განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ინფინიტივი გამოხატავს მთქმელის მოსაზრებას, როგორც ცნობილ აზრს, ხოლო გერუნდივი კი გამოხატავს, რომ მთქმელი თავის საკუთარ მოსაზრებას გვიზიარებს.

წინადადების ფორმალური ქვემდებარეა შემყვანი - it; მაგ:

It is no use your being here.

შენს აქ ყოფნას აზრი არა აქვს.

It is no good laughing at your friend.

კარგი არა რის რომ ამხანაგს დასცინი.

2) გერუნდივი ასრულებს პირდაპირი დამატების ფუნქციას:

I've enjoyed meeting you.

ძალიან მესიამოვნა თქვენთან შეხვედრა.

I like walking to my work.

მიყვარს სამსახურში ფეხით წასვლა.

I don't mind going to the sea.

ზღვაზე წასვლაის წინააღმდეგი არ ვარ.

I regret going there.

იქ წასვლას ძალიან ვნანობ.

3) წინდებულიანი გერუნდივი ასრულებს დამატების ფუნ-ქციას:

What do you say going tonthe concert?

რას იტყვით, რომ კონცერტზე წავიდეთ?

He insisted on going to the sea.

ის დაჟინებით მოითხოვდა ზღვაზე წასვლას.

What do you know about Anna's having gone to London.

რა იცით ანნას ლონდონში წასვლის შესახებ?.

4). გერუნდი ვიასრულებს განსაზღვრების ფუნქციას:

I don't like the idea of your going to the mountain.

არ მომწონს შენი მთებში წასვლის იდეა.

What's the use of your staying here?

რა აზრი აქვს თქვენს აქ დარჩენას?

I have no chance of getting tickets.

ბილეთების შოვნის არავითარი შესაძლებლობა არა მაქვს.

There is no hope of his recovering.

მისი მორჩენის არავითარი იმედი არ არის.

როდესაც გერუნდივი ასრულებს განსაზღვრების ფუნქციას, იგი იხმარება- of წინდებულთან ერთად.

5). გერუნდივი შემასმენლის ე.წ. შემასმენლის სახელადი ნაწილის ფუნქციას:

Our only hope is meeting her and telling her the truth.

მასთან შეხვედრის და სიმართლის თქმის დიდი იმედი გვაქვს.

The main problem was getting to the university in time.

მთავარი პრობლემა იყო უნივერსიტეტში დროზე მისვლა.

6) გერუნდივი ასრულებს გარემოების ფუნქციას. განსაკუ-თრებით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში, იგი ყოველთვის იხმარება წინდებულთან ერთად.

გერუნდივი - დროის გარემოება:

Do you have a bath before going to bed?

ძილის წინ აბაზანას თუ იღებ?

On coming home, Anna began to do her home work.

როდესაც შინ მოვიდა, ანნამ გაკვეთილების მომზადება დაიწყო.

After meeting those English students, I decided to study English seriously.

ინგლისელ სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ, გადავწყვიტე ინგლისური ენა კარგად შევისწავლო.

გერუნდივი ვითარების გარემოებად:

You must answer all these questions without thinking.

ყველა ამ კითხვას მოფიქრების გარეშე უნდა უპასუხოთ.

She learned English by taking lessons from Mrs. White.

მას ქალბატონი ვაითი ამეცადინებდა და ასე ისწავლა ინგლისური.

გერუნდივი მიზეზის გარემოებად:

I'll punish you for telling a lie.

ტყუილის თქმისთვის დაგსჯით.

I apologize for being late.

ბოდიშს ვიხდი დაგვიანებისათვის.

I made him feel ashamed for having missed her leqtures.

მე ის შევარცხვინე ლექციების გაცდენისათვის.

7) გერუნდივს არსებით სახელთან კიდევ ის აახლოებს, რომ მას განსაზღვრავს კუთვნილებითი ნაცვალსახელი ან არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში:

What's your opinion about Nick's leaving the University?

რა აზრის ხართ ნიკოს უნივესიტეტიდან წასვლის შესახებ?.

ამ შემთხვევაში, გერუნდივი აბსოლუტური კონსტრუქცია (გერუნდივი და მასთან აზრობრივად მჭიდროდ დაკავშირე-ბული სიტყვები, რომელიც ერთ სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ)

About Nick's leaving the university--ასრულებს დამატების ფუნქციას. არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში (Nick's) აღნიშნავს პირს, ვისაც მიეწერება გერუნდივით გამოხატული მოქმედება. (leaving). ამიტომაა ეს კონსტრუქცია აბსოლუტური.

I don't care for your going to the sea.

წინააღმდეგი არა ვარ, რომ ზღვაზე წახვიდე.

ამ წინადადებაში for you going- არის წინდებულიანი გერუნ-დიული აბსოლუტური კონსტრუქცია, რომელიც პირდაპირი დამატების ფუნქციას ასრულებს. გერუნდივს - going განსაზღ-ვრავს კუთვნილებითი ნაცვალსხელი- your.

Forgive my interrupting you.

ბოდიში რომ შეგაწყვეტინეთ.

Do you mind Anna's living here?

წინააღმდეგი ხომ არ ხართ, ანნამ აქ რომ იცხოვროს?

ბოლო წინადადებაში დამატების ფუნქციას ასრულებს გერუნ-დივიანი კონსტრუქცია - Anna's living. არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში Anna's არის ქვემდებარის ფარდი სიტყვა, ხოლო გერუნდივი living- შემასმენლის. ე. ი. ეს გერუნდიული კოსტუქციას შეიცავს ქვემდებარისა და შემასმენლის ფართო სიტყვებს, ამიტომაა რომ იგი შეიძლება წინადადებად გადავაქციოთ:

Do you mind Anna lives here?

ზოგჯერ გერუნდივის კუთვნილებითი ნაცვალსახელის მაგივრად დაერთვის პირის ნაცვალსახელი დამატების ბრუნვაში, ან არსებითი სახელი საერთო ბრუნვაში:

They like their friends coming to them .

მათ უყვართ როდესაც მეგობრები მოდიან მათთან.

They like me coming to them.

მათ უყვართ, როდესაც მათთან მივდივარ.

გ ე რ უ ნ დ ი ვ ი ს ზმნური თვისებები:

1) გარდამავალი ზმნის გერუნდივს დაერთვის პირდაპირი დამატება:

I don't like writing letters.

არ მიყვარს წერილების წერა.

Do you mind, opening the window?

წინააღმდეგი ხომ არ ხართ, რომ ფანჯარა გააღოთ?

Getting tickets for today" concert is very difficult.

დღევანდელ კონცერტზე ბილეთების შოვნა ძალიან ძნელია.

2) გერუნდივს აქვს ვნებითი გვარის ფორმა, რომელიც იწარმოება დამხმარე ზმნის to be- სა და ing -იანი მიმღეობით, ასევე ლექსიკური ზმნის ed- იანი მიმღეობით:

He told me of his being sent to the country.

მან მითხრა იმის შესახებ, რომ სოფელში გააგზავნეს.

I don't mind your being punished.

წინააღმდეგი არა ვარ, რომ თქვენ დაისაჯოთ.

I don't believe in your having been to London

არ მჯერა, რომ თქვენ ლონდონში გაგაგზავნეს.

3) გერუნდივს აქვს განუსაზღვრელი დროის ფორმა და სრული დროის ფორმა. განუსაზღვრელი დროის ფორმა გამოხატავს მოქმედებას, რომელიც შემასმენელთან ერთად ხდება:

I don't care for having car.

არ მინდა მყავდეს მანქანა.

I didn't care for having car.

არ მინდოდა მყოლოდა მანქანა

I like reading English books.

მიყვარს ინგლისური წიგნების კითხვა.

I liked reading English books.

მიყვარდა ინგლისური წიგნების კითხვა.

გერუნდივის პრეფექტული ფორმა კი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც შემასმენლით აღნიშნულ მოქმედებაზე უფრო ადრე მოხდა. იგი იწარმოება დამხმარე ზმნის to have-ის, ing იანი მიმღეობითა და ლექსიკური ზმნის ed-იანი ფორმით:

I'm ashamed of having failed in English.

მრცხვენია რომ ინგლისურში ჩაიჭერი.

He thought of having been sent to the country.

ის ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ გააგზავნეს სოფელში.

ბოლო წინადადებაში მოცემულია ვნებითი გვარის გერუნ-დივის სრული დროის ფორმა -to have აწარმოებს სრული

დროის გერუნდივს, to be-ვნებით გვარს, sent კი არის ლექსი-კური ზმნა- ed-იანი მიმღეობის ფორმით.

Thanks for having come to us.

გმადლობთ, ჩვენთან მობრძანებისათვის.

ეს წინადადება კი გერუნდივის მოქმედებითი გვარის სრული დროის ფორმას შეიცავს--having come.

4) გერუნდივი დაერთვის ისეთ ზმნებს, რომლებიც გამო-ხატავენ მოქმედების დაწყებას, განგრძობას ან შეწყვეტას და მათთან ერთად წარმოქმნის შედგენილ ასპექტურ შემასმენელს:

He stopped crying.

მან ტირილი შეწყვიტა.

We began building the house.

ჩვენ დავიწყეთ სახლის შენება.

I began laying the table for dinner.

სუფრის გაშლა დავიწყე სადილისათვის

5) გერუნდივს განსაზღვრას ზმნიზედა:

He began speaking loudly.

მან ხმამაღლა ლაპარაკი დაიწყო.

We tried walking quickly.

ვცდილობდით სწრაფად გვევლო.

გერუნდივი ფართოდ არისგამოყენებული ისეთ კონსტრუქ-ციებში, რომელშიც შედის ზმნა to be დამატებული ზედსართავი სახელი. ასეთებია: to be afraid of, to be ashamed of, to be proud of, to be sure of, to be used to, და ა.შ.

I' afraid of meeting Nick' there.

მეშინია, იქ ნიკოს არ შევხვდე.

I'm used to getting up early.

ადრე ადგომას ვარ მიჩვეული.

უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი ზმნის შემდეგ მხოლოდ გერუნდივი იხმარება, ასეთებია: to deny, to prevent, to recollect, to go on, to feel like, to mind. და ა.შ.

If you feel like going to the theatre, I'll get tickets.

თეატრში წასვლა თუ გინდა, ბილეთებს ვიშოვი.

He keeps on waiting for you.

ის სულ შენ გელოდება.

He denied having taken our book.

მან თქვა, რომ წიგნი არ წაუღია.

Anna enjoys going to the concert.

ანნას უყვარს კონცერტზე სიარული. და ა.შ.

ზოგიერთი ზმნის შემდეგ კი შეგვიძლია გამოვიყვანოთ, როგორც გერუნდივი, ისე ინფინიტივი. ასეთი ზმნებია:--to take, to hate, to being, to start, to remember, to forget, to try და ა.შ.

We begin to train seriously.

We begin training seriously.

ვარჯიშს ვიწყებთ მთელი სერიოზულობით.

უმეტეს შემთხვევაში, გერუნდივს და ინფინიტივის გამოყენებას თან ახლავს რაიმე დამატებითი სემანტიკური ნიუანსის გადმოცემა, მაგალითად: I don't like to go to the party--ნიშნავს რომ არ მინდა წვეულებაზე სტუმრად წასვლა, რადგან გარკვეული მიზეზების გამო არ მიმაჩნია მიზან შეწონილად, ხოლო I don't like going to go to party -კი ნიშნავს, რომ არ მსიამოვნებს იქ წასვლა. (თუმცა შეიძლება წავიდე).

ხშირად ინფინიტივი გამოხატავს ერთგზის, დამთავრებულ მოქმედებას, ხოლო გერუნდივი ისეთ მოქმედებას, რომელიც მრავალგზის მეორდებადა ზოგადი ხასიათისაა:

To go to the mountains is great.

მთებში წასვლა შესანიშნავია.

Coming to the mountains is great.

მთებში სიარულიშესანიშნავია.

I don’t want to borrow money.

არ მინდა ფული ვისესხო.ნ (ახლა).

I don’t like borrowing money.

არ მიყვარს ფულის სესხება (საერთოდ)

როგორც ვხედავთ ინფინიტივი, ქართულად გადმოიცა სრული ასპექტის ფორმით-წასვლა, ვისესხო, ხოლო გერუნდივის კი - უსრული ასპექტის ფორმით-სიარული, სესხება.

გერუნდივი---თანამედროვე ინგლისურ ენაში ფართოდ არის გამოყენებული.

Ed- PAETICIPLE-ed სუფიქსიანი მ ი მ ღ ე ო ბ ა

ed- სუფიქსიანი მიმღეობა არის ზმნის არ შემასმენლური ფორმა. წესიერი ზმნების ed - სუფიქსიანი მიმღეობა იწარმოებაა ისევე, როგორც ნამყო გნუსზღვრელი დრო --the Past Simple. ე. ი. ინფინიტივზე -ed სუფიქსის დართვით - to ask - asked.

არაწესიერი ზმნების ეს ფორმა კი იწარმოება სხვადასხვანაირად: ზოგიერთი ზმნა შეიცვლის ფუძისეულ ხმოვანს -to begin- begun.ზოგიერთი ზმნა შეიცვლის ფუძისეულ ხმოვანს და დაირთავს სუფიქს-en. To take- taken. To break - broken. To write – written. ზოგი ზმნა უცვლელი რჩება -to cut- cut. To put -- put

ზოგი კი იცვლის ფუძისეულ თანხმოვანს -to make- made. და ა.შ

ინგლისურ ენაში -ed სუფიქსიან მიმღეობას აქვს ზმნის ზედსართავი სახელისა და ზმნიზედის ფუნქციები.

ed სუფიქსიანი მიმღეობის თვისებები, რომელიც საერთოა ზედსართავ სახელთან.

1). ed --იანი მიმღეობა ისევე, როგორც ზედსართავი სახელი, გამოხატავს საგნის ნიშან თვისებას, მაგრამ ზედსართავისაგან განსხვავებით, იგი გამოხატავს საგნის ისეთ ნიშან - თვისებას, რომელიც ამ საგანმა შეიძინა მას შემდეგ, რაც განიცადა გარკვეული მოქმედება: to write- წერა - written- დაწერილი. To light- ანთება. Lighted- ანთებული. to break- გატეხვა. broken- გატეხილი. To cut- დაჭრა . cut - დაჭრილი.

Take away this broken chair.

წაიღეთ ეს გატეხილი სკამი აქედან.

Do you understand spoken English?

სალაპარაკო ინგლისური თუ გესმით?

Developed countries.

გაერთიანებული ქვეყნები.

2). ისევე როგორც ზედსართავი სახელი, ed-იანი მიმღეობა, ასრულებს განსაზღვრების ფუნქციას. იგი შეიძლება იდგეს როგორც საზღვრული სიტყვის წინ, ისე მის შემდეგ. მაგალითად:

They speak broken English.

ისინი დამტვრეული ინგლისურით ლაპარაკობენ.

It is well done job.

ეს სამუშაო კარგად არის შესრულებული.

I like home made cake.

მიყვარს შინ გამომცხვარი ნამცხვარი.

ამ წინადადებაში, როგორც ვხედავთ , ed -იანი მიმღეობა დგას უშუალოდ საზღვრული სიტყვის წინ. ე.ი. ასრულებს პროპორ-ციული განსაზღვრების ფუნქციას. მისი მნიშვნელობა ქართუ-ლად გადმოიცემა ვნებითი გვარის მიმღეობის წარსული დროის ფორმით, კერძოდ -- ილ - ულ სუფიქსებით მაგალითად: დამტვრე-ულ-ი, მოტეხ-ილ-ი; broken; გადადუღებ-ულ-ი boiled, შესრულებ-ულ-ი-done, დამზადებ-ულ-ი-made. ამ

მნიშვნელობას გადმოსცემს აგრეთვე პრეფიქს--სუფიქსი - მ-არ . მაგ: და-მ- წ -ვ- არ- ი burnt, გა-მ დნ- არ- ი--melted.

ახლა კი დავაკვირდეთ იმ წინადადებებს, სადაც-ed-იანი მიმღეობა, რომელიც ასრულებს განსზღვრების ფუნქციას, მოსდევს საზღვრულ სიტყვას, ე. ი. ასრულებს პოსტპოზიციური განსაზღვრების ფუნქციას. მაგალითად:

Here is the bookbrought by Anna.

აი, ანნას მოტანილი წიგნი.

Today I recived the parcel sent a month ago.

ერთი თვის წინ გამოგზავნილი ამანათი დღეს მივიღე.

The translation made by our students is not good enough.

ჩვენი სტუდენტების მიერ შესრულებული თარგმანი, არცთუ კარგია.

ვნებითი გვარის მიმღეობის წარსული დროის ფორმით, რომელსაც ზოგჯერ ემატება სიტყვა-- მიერ; brought-მოტანილი, sent-- გამოგზავნილი, make by our students - ჩვენი სტუდენტების მიერ შესრულებული, მიერ-- დაერთვის სიტყვას, რომელსაც მიეწერება ed-იანი მიმღეობით გადმოცემული მოქმედება. ამ ტიპის ed- სუფიქსიანი მიმღეობის კონსტრუქცია წარმოადგენს, განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადების შეკუმშულ ფორმას, რომლის შემასმენელი ვნებით გვარში დგას. კერძოდ, ზემოთ მოყვანილი წინადადებები ასეც ითქმის: there is the book which we brought by Anna.Today I received the parcel which was sent a month ago.The translation which was made by our students iisn't good well. - ეს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები, ქართულში იმავე ტიპის წინადადებებით გამოიხატება:

აი წიგნი, რომელიც ანნამ მოიტანა. დღეს მივიღე ამანათი, რომელიც ერთი თვის წინ იყო გამოგზავნილი

თარგმანი რომელიც ჩვენმა სტუდენტებმა შეასრულეს, არც თუ კარგია.

იგივე ტიპის ed- იანი მიმღეობური კოსტრუქციები, ქართულად შეიძლება ითარგმნოს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებითაც. მაგ:

Here is the book brought by Anna.

აი წიგნი, რომელიც ანნამ მოიტანა.

The way found by us is the shortest.

ყველაზე მოკლეა ის გზა, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ.

Dog found by him was returned to the owner.

მან პატრონს დაუბრუნა ძაღლი, რომელიც იპოვა.

3) - ed-იანი მიმღეობა ასრულებს შემასმენლის სახელადი ნაწილის ფუნქციას; მაგ:

The meat seem boiled.

ხორცი მოხარშული ჩანს.

Anna got married.

ანნა გათხოვდა

4) – ed-იანი მიმღეობური კონსტრუქცია დამატების ფუნქციას ასრულებს:

He got his shoes mended.

მან ფეხსაცმელი შეაკეთებინა.

I have my photo taken.

სურათი გადავიღე.

We founded all the students gone.

ჩვენ ვნახეთ რომ ყველა სტუდენტი წასულიყო.

My friend got his leg broken playing football.

ჩემმა ამხანაგმა ფეხი მოიტეხა ფეხბურთის თამაშის დროს.

I felt myself all respected.

ვგრძნობდი რომ ყველა პატივს მცემდა.

ასეთი ტიპის ed-იანი მიმღეობური კონსტრუქცია, უმეტესად შემდეგ ზმნებს დაერთვის: to seem, to get,to feel, to find, to want, to have, და ა. შ.

Ed- სუფიქსიანი მიმღეობის ზმნური თვისებები

მართალია ed-სუფიქსიანი მიმღეობა თავისთავადარ გამოხატავს მოქმედების დროს, მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მის მიერ გამოხატული მოქმედება, განეკუთვნება იმ დროს, რომელშიც დგას წინადადების შემასმენელი:

The students are going on an excursion. accompainied by the dean.

სტუდენტები ექსკურსიაზე მიდიან. მათ დეკანიც თან მიჰყვება.

The students went on an excursion accompanied the dean.

სტუდენტები ექსკურსიაზე წავიდნენ. მათ დეკანიც თან გაჰყვა.

The studentswill go on an excursion accompanied by the dean. სტუდენტები ექსკურსიაზე წავლენ. მათ დეკანიც თან გაჰყვება.

როგორც ვხედავთ, პირველ წინადადებაში ed სუფიქსიანი მიმღეობა accompanied გამოხატავს მოქმედებას, რომელიც აწმყო დროში ხდება, რადგან შემასმენელი are going აწმყონ დროში დგას. მეორე წინადადებაში, იგივე accompanied ნამყო დროის მნიშვნელობას იძენს, რადგან შემასმენელი went ნამყო დროში დგას. ხოლო მესამე წინადადებაში accompanied, გამოხატავს მომავალ მოქმედებას რადგანაც შემასმენელი will go მომავალ დროშია. ამას ადასტურებს ქართული თარგმანიც. პირველ წინადადებაში accompanied ნიშნავს --მიჰყვება, მეორეში- გაყვა, მესამეში-- გაჰყვება.

2).– ed-სუფიქსიანი მიმღეობას განსაზღვრავს ზმნიზედა:

The way unexpectedly found by Gegi is the shortest.

გზა რომელიც გეგიმ მოულოდნელად აღმოაჩინა, ყველაზე მოკლეა.

It is a well written article.

ეს არ არის კარგად დაწერილი სტატია.

ed- სუფიქსიანი მიმღეობის ზმნიზედეური თვისებები.

ed- სუფიქსიანი მიმღეობა, ზმნიზედის მსგავსად, ასრულებს სხვადასხვა სახის გარემოების ფუნქციას. ასეთ შემთხვევაში, მას უმეტესად დაერთვის კავშირები--when if, though, unless, as if, while და მათთან ერთად წარმოქმნის მიმღეობურ კონსტ-რუქციას;

When asked he said then when and why of it.

როდესაც ჰკითხეს, მან თქვა თუ როდის და რატომ მოხდა ეს.

If taken to the hospital, phone me.

საავადმყოფოში თუ წაგიყვანეს, დამირეკე.

ed სუფიქსიანი მიმღეობური კონსტრუქცია -if taken to the hospital -ასრულებს პირობის გარემოების ფუნქციას.

Thoughnot asked , Anna said everything she knew about the matter.

თუმცა ანნასთვის არ უკითხავთ, მაგრამ მან მაინც ყველაფერი თქვა, რაც იცოდა ამ საქმის შესახებ.

ed- სუფიქსიანი მიმღეობური კონსტრუქცია --thought not asked -ასრულებს დათმობის გარემოების ფუნქციას.

Gegi went to the party, as if invited.

გეგი ისე წავიდა წვეულებაზე, თითქოს დაპატიჟებული ყოფილიყო

ამ წინადადებაში ed სუფიქსიანი მიმღეობური კონსტრუქცია-as if invited-ასრულებს შედარების გარემოების ფუნქციას. აქ მოცემული ed- სუფიქსიანი მიმღეობური კონსტრუქციები, რომელშიც შედის კავშირი და წარმოადგენს გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შეკუმშულ ფორმას.:

When (he was) asked, he said the when and why of it.

If (you are) taken to the hospital, ring me.

Though I (Anna was) not asked, she said everything she knew about the matter.

The work done everything went home.

რაკი სამუშაო შესრულდა, ყველა შინ წავიდა.

ed -სუფიქსიანი მიმღეობური კონსტრუქცია the work done ასრულებს მიზეზის გარემოების ფუნქციას. ხოლო The students went on an excursion, accompanied by the dean. აქ კი accompauned by the dean- ასრულებს თანმხლები გარემოების ფუნქციას.

ING--- სუფიქსიანი მიმღეობა

-ing- სუფიქსიანი მიმღეობა, ისევე როგორც -ing Participle – ed სუფიქსიანი არის mimgeoba- ed Participle ზმნის არაშემასმენლური ფორმა, როგორც აღვნიშნეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ თუმცა იგი ზმნის ფორმაა, დამოუკიდებლად, სხვა ზმნის გარეშე, მაინც არ შეუძლია შეასრულოს ფუნქცია. -ing-იანი მიმღეობა იწარმოება ისევე, როგორც გერუნდივი --ზმნის საწ-ყისს ფორმაზე -ing-სუფიქსის დართვით.

ing-სუფიქსიანი მიმღეობის ფორმა ყველა ზმნას ერთნაირი აქვს, როგორც წესიერს, ასევე არაწესიერ ზმნებს -to ask – asking; to go – going; - ing- იანი მიმღეობა, ისევე როგორც -ed-იანი მიმღეობა, არის შუალედური კატეგორია ზმნისა, ზედსართავ სახელისა და ზმნიზედას შორის, ამიტომ მას გააჩნია როგორც ზმნის, ისე ზედსართავი სახელისა და ზმნიზედის თვისებები.

Ing - სუფიქსიანი მიმღეობის თვისებები, რომელიც საერთოა ზედსართავ სახელთან.

-ing-იანი მიმღეობა, ისევე როგორც ზედსართავი, გამოხატავს საგნის ნიშან თვისებას და წინადადებაში ასრულებს განსაზ-ღვრების ფუნქციას, მაგრამ ზედსართავი სახელისაგან განსხვავებით, -ing-იანი მიმღეობა გამოხატავს საგნის ისეთ თვისებას, რომელიც გარკვეეულ მოქმედებას უკავშირდება a smiling girl --მომღიმარი გოგოან,

A sleeping child---მძინარე ბავშვი;

A dieng man---მომაკვდავი კაცი;

ზედსართავი სახელისაგან განსხვავებით, -ing - იან-ს არ აქვს შედარების ხარისხები.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში -ing-იანი მიმღეობა ასრუ-ლებს განსაზღვრების ფუნქციას და დგას საზღვრული სიტყვის წინ. იგი შეიძლება მოსდევდეს საზღვრულ სიტყვას, ასეთ შემთხვევაში, იგი უმეტესად ეხმარება მასზე დამოკიდებულ სიტყვებთან ერთად, როდესაც იგი წარმოქმნის მიმღეობურ კონსტრუქციას:

Who is the girl crossing the street?--ვინ არის ის გოგონა, ქუჩაზე რომ გადაის?

Is there anybodystanding at the door?---კარებთან დაგას ვინმე?

პირველ წინადებაში მიმღეობიური კონსტრუქცია- crossing the street- განსაზღვრავს შემასმენლის სახელად ნაწილს-the girl-, ხოლო მეორეში მიმღეობური კონსტრუქცია - standing at the door განსაზღვრავს ქვემდებარეს- anybody.

-ing- სუფიქსიანი მიმღეობის ზმნური თვისებები

ing-იან მიმღეობას აქვს დროის ორი ფორმა--ing Participle Simple—asking, goin და -ing Participle Perfect- მიმღეობა დამხმარე ზმნის -to have -ის -ingიანი მიმღეობით having და ლექსიკური ზმნის -ed-იანი მიმღეობით -asked, -gone;

-ing Participle Simple- გამოხატავს მოქმედებას, რომელიც ხდება შემასმენლით გამოხატულ მოქმედებესათან ერთად, ხოლო-ing- Participle Perfect- having asked, having gone- გამოხატავს მოქმედებას, რომელიც შემასმენლით გამოხატულ მოქმედებაზე უფრო ადრე მოხდა, მაშასადამე -ing- სუფიქსიანი მიმღეობა-ing- იანი Participle, გამოხატავს მოქმედების დროს და არა დამოუკიდებლად, არამედ შემასმენლით გამოხატულ მოქმედებასთან შეფარდებით:

I see them running away--ვხედავ, როგორ გარბიან ისინი.

I saw tham running away--დავინახე, როგორ გარბოდენ ისინი.

I'll see them running away.-- დავინახავ, როგორ გაიქცევიან ისინი.

პირველ წინადადებაში -ing -იანი მიმღეობას-runing away- აქვს აწმყო დროის მნიშვნელობა, რადგან შემასმენელი აწმყოშია (see) მეორეში -runing away- უკვე წარსული მნიშვნელობით იხმარება, რადგან შემასმენელი(-saw) წარსულშია, ხოლო მესამეში -runing away-მომავალის მნიშვნელობას იძენს, რადგან შემასმენელი (shall see) მომავალ დროშია. ამას ადასტურებს ქართული თარგმანიც. პირველ წინადადებაში-runing away -ნიშნავს გარბიან; მეორეში --გარბოდენ და მესამეში--გაიქცევიან.

-ing- Participle Poerfect - კი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც წინ უსწრებს შემასმენლით გამოხატულ - მოქმედებას;

მაგალითად:

Having seen my friends, I went out to meet them. - ჩემი მეგობრები დავინახე და მათ შესახვედრად გავედი (ე.ი. ჯერ დავინახე, შემდეგ გავედი)

Having finished his work, Nick went home. - ნიკომ სამუშაო დაამთავრა, და შინ წავიდა.

როგორც ვხედათ__ing- Poarticiple Perfect წინარე მოქმედებას გამოხატავს. ე.ი. მოქმედებას, რომელიც შემასმენლით გადმოცემულ მოქმედებაზე უფრო ადრე მოხდა. ამიტომაა, რომ იგი ქართულად ითარგმნება წარსული დროით--having seen დავინახე, having finished--დაამთავრა.

2) –ing-იანი მიმღეობის მეორე ზმნური თვისება ისაა, რომ იგი გარდამავალი ზმნისგანაა ნაწარმოები, დაერთვის დამატება--seeing my friends, having finished his work. ამ მიმღეობურ კონსტრუქციებში -ing- იანი მიმღეობის მიმართ დამატების ფუნქციას ასრულებენ, არსებითი სახელები friends,work.

3)-ing-იანი მიმღეობის შემდეგი ზმნური თვისება იმაში მდგომარეობს, რომ თუ გარდამავალი ზმნისგანაა წარმოებული მას აქვს გვარის გრამატიკული კატეგორია. ე.ი. გააჩნია მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმა, ხოლო-being written-ვნებითისა; როგორც ვხედავთ -ing-iani მიმღეობის ვნებითი გვარის ფორმა იწარმოება to be დამხმარე ზმნისა -ing-იანი ფორმით beeing და ლექსიკური ზმნის მე- 3-ე ფორმით written.

I can't have you being punished - არ დავუშვებ რომ დაგსაჯონ.

ამ წინადადებაში beeing punished -არის -ing- იანი მიმღეობის ვნებითი გვარის ფორმა. იგი გამოხატავს მოქმედებას, რომელსაც სუბიექტი (you) განიცდის, ხოლო თუ ვინ ასრულებს მოქმე-დებას ამ წინადადებაში არ ჩანს.

-ing- Participle Perfect Passive-ანუ -ing- იანი მიმღეობის სრული ფორმა შემდეგნაირად იქნება:having been punished, the pupils had to stay at school after classes. -რადგან დასჯილები იყვნენ,

მოსწავლეებს მოუხდათ სკოლაში დარჩენა გაკვეთი-ლების შემდეგ.

Having been punished –aris ზმნის -ing-იანი მიმღეობის სრული დროის ვნებითი გვარის ფორმა.

იგი იწარმოება დამხმარე ზმნის to have- ის -ing -იანი მიმღეობის-having, დამხმარე ზმნა -to be -ს -ed- იანი მიმღეობის- been და ლექსიკური ზმნის -ed-იანი ზმნის მიმღეო-ბისაგან. punished-დამხმარე ზმნა to have -აწარმოებს სრულ დროს, ხოლო დამხმარე ზმნა to be ვნებით გვარს.

-ing - სუფიქსიანი მიმღეობის ზმნიზედური თვისებები

-ing-იანი მიმღეობას ზმნიზედასთან ის საერთო აქვს, რომ იგიისევე როგორც ზმნიზედა, წინადადებაში სხვადასხვ სახის გარემოების ფუნქციას ასრულებს.

განვიხილოთ -ing-იანი მიმღეობის ფუნქციები წინადადებაში საზოგადოდ და მათ შორის გარემოების ფუნქციაც:

1) განსაზღვრების ფუნქცია:

Whose is this sleeping child? -ვისია ეს მძინარე ბავშვი?

I liking smilling girls. - მიყვარს მომღიმარე გოგონები.

2) -ing- იანი მიმღეობა წარმოქმნის მიმღეობურ კონსტრუქციას, რომელიც ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას:

The students were seen leaving the Institute- დაინახეს, თუ როგორ მიდიოდნენ სტუდენტები ინსტიტუტიდან.

Anna was heared speaking with the dean--გაიგონეს, თუ როგორ ელაპარაკებოდა ანნა დეკანს.

პირველი წინადადების ქვემდებარეა მიმღეობური კონსტრუ-ქცია -the students leaving the Institute, რომელსაც შემასმენლობას

უწევს were seen.. მეორე წინადადების ქვემდებარეა-Anna, ხოლო შემასმენელია -was heared

3) ing- Participle - წარმოქმნის მიმღეობურ კონსტრუქციას, რომელიც ასრულებს დამატების ფუნქციას:

I cann't have you going there - უფლებას არ მოგცემ, რომ იქ წახვიდე.

I shall not keep them waiting -დიდხანს არ ვალოდინებ მათ.

I saw him going from the University -დავინახე, როგორ წავიდა ის უნივერსიტეტიდან.

ამ კონსტრუქციაში -ing-იანი მიმღეობა გამოხატავს მოქმედებას, რომელსაც ასრულებს ამავე მიმღეობურ კონსტრუქციაში აღნიშნული პირი. კერძოდ, კონსტრუქციაში - you going - ეს იქნება you კონსტრუქციაში- them waiting- იქნება they -going him. -he-, ამიტომ ეს კონსტრუქციები არის აბსოლიტური.

4 -ing -იანი მიმღეობა ფართოდ არის გამოყენებული სხვადასხვა სახის გარემოების ფუნქციით:

ა) მიზეზის გარემოება:

Having come to the concert too early, I had to wait for an hour- რადგან კონცერტზე ძალიან ადრე მოვედი, ერთი საათი მომიწია ლოდინი.

Feeling herself better, Anna decided to go to the lectures - რადგან უკეთესად გრძნობდა თავს, ანნამ გადაწყვიტა ლექციებზე წასვლა.

ბ) თანმხლები მოქმედების გარემოება:

Giving me a friendly smile, Anna greeted me -- ანნა მომესალმა და თან მეგობრულად გამიღიმა.

The lecturer entered the room, carring English books for the students. --ლექტორი აუდიტორიაში შევიდა, თან ინგლისური წიგნები შეიტანა სტუდენტებისათვის.

გ) დროის გარემოება:

Going home, I met one of my friend --შინ რომ მივდიოდი, ჩემი ამხანაგი შემხვდა.

Working in the garden, Gegi and his brother told her a lot of good news.-- როდესაც ბაღში მუშაობენ გეგი და მისი ძმა ყოველთვის ეხმარებიან ერთმანეთს.

Having come to Anna's house, Gegi told a lot of goodnews -- როდესაც ანნასათან მოვიდა, გეგიმ მას ბევრი ახალი კარგი ამბავი უამბო.

დ) დათმობის გარემოება:

Though having a lot to do, Anna went for a walk --თუმცა ბევრისაქმე ჰქონდა, ანნა მაინც წავიდა სასეირნოდ.

Though being too tired, Anna went on writing her novel --თუმცა ძალიან დაღლილი იყო,ანნა მაინც განაგრძობდა რომანის წერას.

ე) შედარების გარემოება:

Anna wasn't in a hurry, as if not being late for the University -- ანნა არ ჩქარობდა, თითქოს უნივერსიტეტში არ აგვიანდებოდა.

Gegi went to the party, as if being invited -გეგი ისე წავიდა წვეულებაზე თითქოს დაპატიჟებული ყოფილიყო.

მ ო დ ა ლ უ რ ი ზ მ ნ ე ბ ი

MODAL VERBS

მოდალური ზმნებია: - must, can, may, ought to, to have to, to be to, need, shall/will, would, dare;- ეს ზმნები, სხვებისაგან განსხვავებით, მოქმედებას ან მდგომარეობას კი არ გამოხატავენ, არამედ გადმოსცემენ დამოკიდებულებას გარკვეული მოქმედებისადმი. მოდალური ზმნების საშუალებით შეგვიძლია გამოვხატოთ, ამა თუ იმ მოქმედების შესრულების აუცილებლობა, შესაძლებლობა, ვალდებულება, საჭიროება, მიზანშეწონილება,

ალბათობა, საეჭვოობა და ასე შემდეგ. როგორც ვხედავთ, მოდალურ ზმნებს აქვთ მრავალფეროვანი ლექსიკური მნიშვ-ნელობები: ამის გამო, ისინი თანამედროვე ინგლისურ ენაში, ფართოდ არიან გამოყენებული. მოდალური ზმნებს, სხვა ზმნებისაგან განსხვავებით, ბევრი თავისებურება ახსაითებს: კერძოდ, მოდალური ზმნები დამოუკიდებლად არ იხმარებიან, მათ ყოველთვის დაერთვის ლექსიკური ზმნა ინფინიტივში, რომელიც მოქმედებას ან მდგომარეობას გამოხატავს. მოდა-ლური ზმნა კი, როგორც აღვნიშნეთ, გადმოსცემს მთქმელის მიერ დამოკიდებულებას ამ მოქმედების ან მდგომარეო-ბისადმი. მოდალურ ზმნებს დაერთვის როგორც Simple - Infinitive (to go) ისე Continuous- Infinitive (to be going) და Perfect Infinitive (to have gone). მოდალურ ზმნებს დაერთვის, როგორც მოქმედებითი გვარის ინფინიტივი (to go), ასევე ვნებითის ინფინიტივი (to be gone) მოდალური ზმნები არ იცვლებიან, პირისა და რიცხვის მიხედვით. ისინი ერთი და იმავე ფორმით იხმარებიან, როგორც მხოლობით, ასევე მრავლობით რიცხვის ყველა პირში. მაგალითად: I can, Ypou can, He (She, It) can. (We can You can They can) და ა.შ. მოდალურ ზმნებს აქვთ ძალიან ცოტა დროის ფორმები, კერძოდ, can და may -ს აქვთ ორ ორი დრო. can- - აწმყო დრო და could- ნამყო ანუ წარსული დრო may და might- ნამყო ანუ წარსული დრო. დანარჩენ მოდალურ ზმნებს კი თითო-თითო დროის ფორმა აქვთ. ამის გამო, მათ მოეპოვებათ შემცვლელი ზმნები. ე.წ. მოდალური ზმნების ექვივალენტები, რომლებიც იმ დროებში იხმარებიან, რაც თვით მოდალურ არ გააჩნიათ. მოდალურ ზმნებთან არ იხმარება, დამხმარე ზმნები, მცირე გამონაკლისის გარდა. ამიტომ კითხვით ფორმას ისინი აწარმოებენ ინვერსიის სახით. კერძოდ, მოდალური ზმნა გადადის ქვემდებარის წინ. მაგალითად: Can I go? Can You go? Can he (She,It) go? – Can we(you,they) go? . ხოლო უარყოფით ფორმაში კი მოდალურ ზმნას დაერთვის not

ნაწილაკი. მაგალითად: Ican't go You cann't go. He(She,It) cann't go. We (You They) cann't go. მოდალურ ზმნებს არა ქვთ არაშემასმენლური ფორმები--ინფინიტივი, მიმღეობა და გერუნდივი.

მოდალური ზმნა- უნდა - MUST

მოდალურ ზმნას must ლექსიკური ზმნა დაერთვის ინფინი-ტივში to- ნაწილაკის გარეშე:

1) Must-გამოხატავს ვალდებულებას, მოვალეობას, განპი-რობებულს ობიექტური აუცილებლობებით. მაგალითად: You must come again -- კიდევ უნდა მოხვიდე (ან საჭიროა რომ მოხვიდე).

We must hurry - უნდა ვიჩქაროთ.

The students must pass all their exams by the end of the month.- აუცილებელია, რომ სტუდენტებმა დაამთავრონ გამოცდები ამ თვის ბოლომდე.

2) Must- გამოხატავს მთქმელის სურვილს, გადაწყვეტილებას. მაგალითად:

I must stay here.- - აქ უნდა დავრჩე.

In must send the parcel to my parents.- ჩემ მშობლებს ამანათი უნდა გაუგზავნო.

We must get home before dark. -- შინ უნდა მივიდეთ დაბნელებამდე.

3) - Must - გამოხატავს დაჟინებულ თხოვნად.მაგ:

You must study English well-ინგლისური ენა კარგად უნდა შეისწავლო

You must help me-უნდა დამეხმრო.

You must be calm--წყნარად უნდა იყო.

4)- Must- გამოხატავს მთქმელის ვარაუდს. მაგალითად:

They must be going home now. -ისინი ახლა ალბათ შინ მიდიან.

You must be very glad--თქვენ ალბათ ძალიან გახარებული ხართ (ან ძალიან გახარებული უნდა იყოთ)

You must be joking. - თქვენ ალბათ ხუმრობთ (ან უნდა ხუმრობდეთ).

It must be very late -- ალბათ ძალიან გვიანაა. ამ მნიშვნელობის გადმოცემისას must- ს უმეტესად დაერთვის Continuous Infinitive, თუ ზმნა იხმარება განგრძობით დროებში, მაშინ საერთოდ არ გამოიყენება must -ის ეს მნიშვნელობა ქართულად გადმოიცემა სიტყვით -ალბათ. როდესაც must-ს მოსდევს Perfect Infinitive, იგი გამოხატავს ვარაუდს წარსული მოქმედების მიმართ;

You must have beenvery glad. - თქვენ ალბათ გახარებული იყავით.

Anna have been at the concert - ანნა ალბათ კონცერტზე იყო.

Gegi must have already gone- გეგი ალბათ უკვე წავიდა.

5) - კითხვითი ფორმის წინადადებაში must- გამოხატავს აუცილებლობას:

Must you go now ? - აუცილებლია უნდა წახვიდე ახლა?.

Must she come back in a week? - აუცილებელია მისი დაბრუნება ერთ კვირაში?

Must they leave for London?- ისინი აუცილებლად უნდა წავიდნენ ლონდონში?

6)– Must უარყოფით ფორმაში გამოხატავს კატეგორიულ აკრძალვას. მაგალითად:

You mustn't do that -ეგ არ უნდა გააკეთო.

You mustn't go there. - იქ არ უნდა წახვიდე!. –

You mustn't miss lectures- ლექციები არ უნდა გააცდინოთ!

როდესაც must- ს დაერთვის Simple Infinitive იგი ეხება როგორც აწმყო, ასევე მომავალ დროს. მაგალითად:

We must meet them at the station tomorrow evening. - სადგურზე უნდა შეხვდეთ მათ ხვალ საღამოს.

They must be at home now- ისინი ალბათ შინ არიან ახლა. ხოლო როდესაც must-ს დაერთვის Perfect Infinitive, როგორც აღვნიშნთ, იგი ეხება წარსულ დროს. მაგ:

You must have been very angry with me.-თქვენ ალბათ ძალიან გაბრაზებული იყავით ჩემზე...

must- გვხვდება ისეთ დამოკიდებულ წინადადებაში, რომელთა მთავარი წინადადების შემასმენელი ნამყო დროში დგას. მაგალითად:

I told him that he must make it himself- მე მას ვუთხარი, რომ ეს თვითონ უნდა გააკეთოს.

The teacher told us we must read the English book in a week. მასწავლებელმა გვითხრა, რომ ეს ინგლისური წიგნი ერთ კვირაში უნდა წავიკითხოთ. იგივე წინადადებები შეიძლება ასე ითქვას: I told him, that he had to make it himself ან I told him to make it himself -or The teacher told us, we must read the English book in a week.

მოდალურ ზმნას must-ს აქვს დროის ერთი ფორმა. Present Simple –must - იგი ფორმა უცვლელი სიტყვაა და ყველა პირში ასეთი ფორმით იხმარება, როგორიც არის:

I must-You must-He (She, It} must; We (You, They) must;

კითხვით ფორმაში must გადადის ქვემდებარის წინ: Must I (you, he, she, it?)? Must we- you they? ხოლო უარყოფით ფორმაში must-ს დაერთვოს not- ნაწილაკი:

I must not You must not, He(She, It,) must not..We (You, They) must not. ყველა დანარჩენ დროში კი იხმარება must -ის ექვივალენტები: to have to ან to be to.

მოდალური ზმნა - TO HAVE TO

Must-ისაგან განსხვავებით, ზმნას to have to- ლექსიკური ზმნაა დაერთვის ინფინიტივში to ნაწილაკით. ამიტომ to, რომელიც მოსდევს to have to-ს, იმის ნიშანია, რომ აქ ადგილი უნდა დაიკავოს ლექსიკურმა ზმნამ, საწყის ფორმაში to ნაწილაკით. ვამბობთ : I must go, მაგრამ I have to go.

1) - to have to- გამოხატავს ვალდებულებას, აუცილებლობას, იძულებას, რომელიც გარკვეული სიტუაციით, გარკვეული მდგომარეობით არის განპირობებული:

We'll have to get up early - ხვალ აუცილებლად ადრე უნდა ავდგეთ. ან (ხვალ ადრე ადგომა მოგვიხდება)

We had to wait there until Anna came -აქ მოგვიწია მოცდა, ვიდრე ანნა მოვიდოდა.

I have to make a report today -დღეს მოხსენება უნდა გავაკეთო.

2) – to have to - გამოყენებულია ვალდებულები, აუცილებ-ლობის მნიშვნელობის გადმოსაცემად, როდესაც ლაპარაკია რეგულარულად განმეორებად მოქმედებაზე, ჩვევაზე:

I had to visit Anna everyday - ყოველდღე უნდა მომენახულებინა ანნა.

You have to walk to your work everyday - ყოველ დილით სამსახურში ფეხით უნდა იარონ.

I have to be at the University at 9 o' clock - 9 საათზე უნივერსიტეტშიუნდა ვიყო (იგულისხმება რეგულარულად)

ვალდებულების აუცილებლობის მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე to have got:

I have got to talk to you -თქვენთან მაქვს სალაპარაკო.

You have got to help to us -უნდა მოგეხმაროთ

Have you got to do it? -ეს უნდა გავაკეთო?

To have to-ს აქვს ყველა დრო, ამიტომ იცვლის must-ის ყველა დროში.მას დაერთვის მხოლოდ ინფინიტივის მარტივი ფორმა- Simple Infinitive

მოდალური ზმნა - To be to

მოდალური ზმნა to be to - ლექსიკურ ზმნა დაერთვის ინფინიტივში to ნაწილაკის დართვით.

1) to be to - გამოხატავს აუცილებლობას, ვალდებულებას განპირობებულს გარკვეული შეთანხმებით, წინასწარ მოლაპარაკები:

He is to come at 3 o'clock -ის უნდა მოვიდეს 3 საათზე

We were to meet them at the University - ჩვენ მათ უნივერსიტეტში უნდა შევხვედროდით.

When are you tosee them? - როდის უნდა ნახო ისინი?

2) to be to - გამოხატავს ბრძანებას შერბილებულ ფორმაში:

You are to tell me everything - ყველაფერი უნდა მითხრა

Anna is to come as soon as possible - ანნა უნდა მოვიდეს, რაც შეიძლება მალე.

The students are to read this English book - სტუდენტებმა უნდა წაიკითხონ ეს ინგლისური წიგნი.

3) - უარყოფით ფორმაში to be to - გამოხატავს აკრძალვას:

You were not to go there alone. - იქ მარტო არ უნდა წასულიყავი.

You are not to get up so late - ასე გვიან არ უნდა ადგე.

You are not to go to the Sea - ზღვაზე ნუ წახვალთ.

To be to - იხმარება მხოლოდ აწმყო და ნამყო დროებში, იგი არ იხმარება, მომავალ (მყოფად) დროში, მაგრამ მისი აწმყო დროის ფორმას ახლავს მომავლის მნიშვნელობა:

You are stay with us - ჩვენთან უნდა დარჩეთ.

To bo to -დაერთვის როგორც Simple Infinitive, ისე Perfect Infinitive. ზემოთ მოყვანილი წინადადებაში to be to - ს ყველგან დაერთვის Simple Infinitive, ხოლო როდესაც to be to-ს დაერთვის Perfect Infinitive, იგი გამოხატავს,რომ წარსულში დაგეგმილი იყო გარკვეული მოქმედება, მაგრამ იგი არ განხორციელებულა:

He was to come to us - ის უნდა მოსულიყო ჩვენთან (მაგრამ არ მოსულა)

They were to have been at the party by 8 o'clock - 8 საათისთვის ისინი წვეულებაზე უნდა ყოფილიყვნენ (მაგრამ არ მოვიდნენ)

Gegi was to have brought the book to me -გეგის უნდა მოეტანა ეს წიგნი (მაგრამ არ მოუტანია)

მოდალური ზმნა - CAN

მოდალური ზმნა can დაერთვის ინფინიტივი to ნაწილაკის გარეშე.

1) -იგი გამოხატავს გონებრივ უნარს ან ფიზიკურ შესაძლებლობას:

I can speak English - ინგლისურად ვლაპარაკობ.

They can translate this letter to you - მათ შეუძლიათ გადათარგმნონ ეს წერილი.

I cann'twalk home - ფეხით ვერ წავალ შინ

They cann't help us - ისინი ვერ დაგვეხმარებიან.

2) Can -გამოხატავს რეალურ შესაძლებლობას:

I can phone you - შემიძლია დაგირეკოთ (ე.ი. არის ამის შესაძლებლობა)

I'm sorry but I cann't come at this time - ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ამ დროს ვერ მოვალ.

3) - Can - გამოხატავს თხოვნას, ნებართვის მიცემას:

Can I have some water, please? - თუ შეიძლება წყალი დამალევინეთ.

Can we go home? - შეიძლება შინ წავიდე?

Now, you can read the book - ახლა შეგიძლიათ წიგნი წაიკითხოთ

You can get into my arm-chair - დაბრძანდით ჩემს სავარძელში

Can - ის მნიშვნელობა უახლოვდება may - ის ნებართვის გამოხატვის მნიშვნელობას. თანამედროვე ინგლისურ ენაში თხოვნის, ნებართვის მიცემის მნიშვნელობით, უფრო ხშირად იხმარება can ვიდრე may. Could - კი გამოყენებულია, ნებართვის თხოვნის უფრო თავაზიან ფორმაში:

Could I aske you something? - შეიძლება რაღაცა გკითხოთ?

Could you come again to us? - თუ შიძლება კიდევ გვესტუმრეთ (კიდევ მობრძანდით ჩვენთან)

ასეთ შემთხვევაში could გამოხატავს მომავალ მოქმედებას.

4) როდესაც could-ს დაერთვის Perfect Infinitive, იგი გამოხატავს, ისეთ მოქმედებას, რომელსაც შეიძლება ჰქონოდა ადგილი წარსულში, მაგრამ არ მომხდარა:

He could have told you about me - მას შეეძლო, თქვენთვის ეთქვა ჩემ შესახებ (მაგრამ არ უთქვამს).

The students could passed their English exam yesterday - სტუდენტებს შეეძლოთ ჩაებარებინათ ინგლისურის გამოცდა გუშინ, (მაგრამ არ ჩაუბარებიათ)

როდესაც could-ს დაერთვის Perfect Infinitive, იგი გამოხატავს აგრეთვე წარსულ მოქმედებას, რომლის შესახებ არ ვიცით, შესრულდა თუ არა:

They cold have gone - შეიძლება ისინი უკვე წავიდნენ.

He could have taken the tickets to the theatre - შესაძლოა მან უკვე აიღო თეატრის ბილეთები.

როგორც აღვნიშნთ, can-ს აქვს დროის ორი ფორმა: აწმყო-can, ნამყო-could. Can—could - უცვლელი სიტყვებია და ასეთი სახით იხმარება ყველა პირში:

Present Simple: I can; You can; He (She, It) can; We can You can They can;

კითხვით ფორმაში can გადადის ქვემდებარის წინ: Can I? Can you? Can he (she, it)? Can we? Can you? Can they?

უარყოფითში კი can -ს დაერთვის ნაწილაკი not: I can not; You can not; He (she,it) can not; We can not; You can not; they can not;

Past Simple: I could; You could; He (She, It) could; We could; You could; They could;

კითხვითი ფორმა: Could I?; Could you? Could he?(she? it?) ; Could we?; Could you?; Could they?'

უარყოფითი ფორმა: I could not; You could not; He(she, it) could not;

დანარჩენ დროებში can -ის ნაცვლად იხმარება მისი ექვივალენტი- to be able to, ხოლო Present Simple- სა და Past Simple -ში, შეგვიძლია ვიხმაროთ როგორც can, ისე მისი ექვივალენტი to be able to; for example:

Present Simple: - I can go or I am able to go;

Past Simple: - I could go or I was able to go;

Future Perfect: - I have been able to go;

Past Perfect: - I had been able to go;

როდესაც can გამოხატავს ნებართვას, მისი ექვივალენტია - to be allowed to; მაგალითად: When lessons over, we could go home or When lessons were over, we were allowed to go home.- როდესაც ლექციები დამთავრდა, ჩვენ შეგვეძლო შინ წასვლა.

მოდალური ზმნა -M A Y

მოდალურ ზმნას may დაერთვის ლექსიკური ზმნა ინფინიტივში to- ნაწილაკის გარეშე.

1) - იგი გამოხატავს ნებართვას, კერძოდ, კითხვით წინადადებაში, იგი გამოხატავს ნებართვის თხოვნას, ხოლო მტკიცებითში კი ნებართვის მიცემას:

May I ask you a question ? - შეიძლება ერთი რამ გკითხოთ?

May I go now? - შეიძლება ახლა წავიდე?

You may cvome to seeme tomorrow - თქვენ შეგიძლიათ ხვალ მოხვიდეთ ჩემთან

They may take these books - მათ შეუძლიათ ეს წიგნები წაიღონ.

ნებართვის თხოვნისას აწმყო დროში იხმარება აგრეთვე might, რომელიც გამოხატავს უფრო მოკრძალებულ თხოვნას:

Might I say a word - თუ შეიძლება ერთ სიტყვას ვიტყვი.

Might I take this book home? - თუ შეიზლება ამ წიგნს შინ წავიღებ?

2) –May - გამოხატავს ვარაუდს:

It may be very late now - ალბათ ახლა ძაკლიან გვიანაა.

This may interest you - ეს შეიძლება საინტერესო იყოს თქვენთვის?

He may have returned home - ეგებ უკვე დაბრუნდა შინ?

3) – May - გამოხატავს შესაძლო მოქმედებას:

You may be right - შესაძლოა შენ მართალი ხარ.

That may be very good for you - შეიძლება ეს შენთვის ძალიან კარგი იყოს

You may know this news already - შეიძლება შენ უკვე იცი ეს ამბავი.

ამ მნიშვნელობას უფრო ძლიერად გადმოსცემს might:

You might have something else to say? - ეგებ შენ სხვა რამე გაქვს სათქმელი?

He might return at the end of the month - ეგებ ის დაბრუნდეს ამ თვის ბოლოს.

Might -აქ აღნიშნავს მომავალ მოქმედებას:

Anna may (might) ring today - ანნამ შეიძლება დღეს დარეკოს.

She may (might) come very soon - შეიძლება ის ძალიან მალე მოვიდეს.

როგორც ვხედავთ, may და might ამ მნიშვნელობით იხმარება, როგორც აწმყო, ისე მომავალი მოქმედების მიმართ.

5) - Might - გამოხატავს საყვედურს. ასეთ შემთხვევაში მას დაერთვის Perfect infinitive:

You might have to told us that Gegi was ill - თქვენ შეგეძლოთ (უნდა) გეთქვათ რომ გეგი ავად იყო.

They might have called on us when we were alone - მათ უნდა ვენახეთ, როდესაც მარტო ვიყავით.

როდესაც may-ს ან might -ს დაერთვის Indefinite Infinitive, იგი გამოხატავს მოქმედებას, რომელსაც ადგილი აქვს აწმყო ან მომავალ დროში, ხოლო თუ ამ ზმნებს დაერთვის Perfect Infinitive მოქმედება წარსულს განეკუთვნება:

You may go there -ამ საღამოს შეგიძლია იქ წახვიდე.

You may have gone there yesterday.- უშინ შეგეძლოთ იქ წასულიყავით.

They may think they can pass their English exam - ალბათ მათ ეგონათ, რომ ინგლისურის გამოცდას ჩააბარებდნენ.

როგორც ვხედავთ, როდესაც may -ს ან might დაერთვის Perfect Infinitive, იგი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც არ მომხდარა. მოდალური ზმნას may აქვს მხოლოდ ორი დრო: Present Simple – may' Past Simple- might; May –might - ფორმა უცვლელი სიტყვებია და ასეთი სახით იხმარებიან ყველა პირში:

Present Simple:I may ; You may; He (She,It) may; We May; You may;They may;

კითხვით ფორმაში: May I?; May you? May he (she,it)? May we? May you? May they?

უარყოფით ფორმაში:I may not; You may not; He (she,it) may not; We may not; You may not; They may not;

Past Simple:

I might; You might; He (she,it) might; We might; You might; They might;

კითხვითი ფორმა:Might I?; Might you? Might he (she, it)? Might we? Might you? might they?; უარყოფითი ფორმა: I might not; You might not; He (she,it)might not; we might not; You might not; They might not;

May -ს ექვივალენტია to be allowed to, რომელიც შეგვიძლია ვიხმაროთ ყველა საჭირო დროში. Present Simple and Past Simple -ში კი შეგვიძლია ვიხმაროთ may ან to be able to allowed to;

Present Simple: I may go or I am allowed to go;

Past Simple: I might go or I was allawed to go;

Present Perfect: I have been allowed to go;

Past perfect: I had been allowed to go;

მოდალური ზმნა - OUGHT TO

მოდალურ ზმნას ought to-ს ის თავისებურება გააჩნია, რომ მის შემდეგ ლექსიკური ზმნა იხმარება ინფინიტივში to ნაწილაკით. ამ ზმნას მხოლოდ ერთი ფორმა აქვს, რომელიც იხმარება, როგორც აწმყო, ასევე ნამყო და აგრეთვე მყოფადი დროის მნიშვნელობითაც:

You ought to be there (now, tomorrow, yesterday) - შენ იქ უნდა ყოფილიყავი (ახლა, ხვალ, გუშინ)

1) - მოდალური ზმნა ought to - გამოხატავს მორალურ ვალდებულებას:

We ought to see them off - ჩვენ ისინი უნდა გავაცილოთ

You ought to return home in time - შინ დროზე უნდა დაბრუნდე.

You ought not to be late - არ უნდა დააგვიანო

2) - Ought to - გამოხატავს რჩევას რბილ ფორმებში:

You ought to go there - კარგი იყო იქ წასულიყავი.

You ought to stay at home - ჯობდა შინ დარჩენილიყავი.

3) Ought -გამოხატავს საყვედურს, სინანულს იმის გამო, რომ არ შესრულდება მოქმედება, რომელიც მთქმელს მიაჩნია მიზანშეწონილად; ასეთ შემთხვევაში ought to -ს შემდეგ უმეტესად იხმარება Perfect Infinitive;

You ought to have told me about it - ჩემთვის უნდა გეთქვა ამის შესახებ

The students ought to have bought the English –Georgian Dictionary yesterday - სტუდენტებს უნდა ეყიდათ ინგლისურ--ქართულის ლექსიკონი გუშინ (რადგან დღეს შეიძლება ვეღარ იშოვონ)

4) – Ought to - გამოხატავს ვარაუდს, განპირობებულს გარკვეული ობიექტური პირობებით:

They ought to be there by 2 o'clock - 2 საათისთვის ისინი იქ უნდა იყვნენ (ალბათ იქ იქნებიან)

She ought to play chess well - ის კარგად უნდა თამაშობდეს ჭადრაკს.

მოდალური ზმნა ought to პირების მიხედვიტ ფორმას არ იცვლის:

I ought to; You ought to; He ought to; (She, It) ought to; We ought to; You ought to; They ought to;

OughtI (you; he; she; it) to? Ought we (you; they) to?

I ought not to; You ought not to; He (she; it) ought not to; We (you; they) ought not to;

მოდალური ზმნა - NEED

მოდალური ზმნა need მიუთითებს, რომ საჭირო არ არის, ან აუცილებელი არ არის, ან მიზანშეწონილი არ არის გარკვეული მოქმედების შესრულება. იგი ფორმაუცვლელი სიტყვაა, და ყველა პირში ასეთი ფორმით იხმარება-Present Simple-ის მხოლობითი რიცხვის მესამე პირში არ დაირთავს - s სუფიქსს. იგი უმეტესად კითხვით და უარყოფითი ფორმის წინადა-დებაში გვხვდება. ლექსიკურ ზმნას დაერთვის to ნაწილაკის გარეშე:

You need not go there now - საჭირო არ არის, თქვენი ახლა იქ წასვლა.

He need not arrive in Tbilisi next week - მიზანშეწონილი არ არის, მისი თბილისში ჩამოსვლა მომავალ კვირას.

როგორც ვხედავთ, პირველ წინადადებაში need იხმარება, აწმყო დროის, ხოლო მეორე წინადადებაში კი, მომავალი დროის მნიშვნელობით, კერძოდ, როდესაც need-ს დაერთვის ინფინიტივის მარტივი ფორმა ანუ Simple Infinitive. იგი გამოხატავს აწმყო ან მომავალ მოქმედებას, ხოლო როდესაც მას დაერთვის Perfect Infinitive, იგი აღნიშნავს წარსულ მოქმედებას, რომლის შესრულება არ იყო საჭირო, მაგრამ, მიუხედავად იმისა, იგი მაინც განხორციელდა:

You need not have come -საჭირო არ იყო თქვენი მოსვლა (მაგრამ მოხვედით).

You need not have seen me -აუცილებელი არ იყო, რომ მე გენახეთ(მაგრამ მაინც მნახეთ)

Need they come to you? - საჭიროა თქვენთან მათი მოსვლა?

Need -ს დაერთვის როგორც მოქმედებითი, ისე ვნებითი გვარის ინფინიტივი.

Need Gegi go there? - საჭიროა გეგის იქ წასვლა?

Need Anna be invited? -საჭიროა ანნას დაპატიჟება?

Need -ფორმა უცვლელი სიტყვაა და ყველა პირში ასეთი ფორმით იხმარება:I need; You need; he(she, it) need; We need; You need; They need;

კითხვით ფორმაში: Need I (you, he, she,it)? Need we? Need you? Need they?

და უარყოფით ფორმას კი: I (You,He,She,It) need not; We (You, Theu) Need not;

ასევე აქვე დავსძენ, რომ need კითხვით-- უარყოფით ფორმაში, იწარმოება ზმნის to do-ს საშუალებითაც ან როგორც აღვნიშნეთ მის გარეშე;

კითხვითი ფორმა: Do I (You, He, She, It)need? Do we (You, They) need?

უარყოფითი ფორმა: I (You, He, She, It) need not; We (You, They)need not;

მოდალური ზმნა- DARE

მოდალური ზმნა dare - ნიშნავს გაბედვას, იგი ფორმაუცვლელი სიტყვაა და ყველა პირში ასეთი ფორმით იხმარება. Present Simple-ის მხოლობითი რიცხვის მესამე პირში არ დაირთავს-s სუფიქსს, ლექსიკური ზმნა დაერთვის to ნაწილაკის გარეშე:

They dare not do it - ისინი ვერ ბედავენ ამის გაკეთებას.

He dare not come to me - ის ვერ ბედავს ჩემთან მოსვლას.

Anna dare not speak with me - ანა ვერ ბედავს ჩემთან ლაპარაკს.

How dare you! -როგორ ბედავ!

How dare you miss your English lesson! -როგორ ბედავ ინგლისური ლექციის გაცდენას!

მოდალური ზმნა - SHOULD

მოდალურ ზმნას should ლექსიკური ზმნა დაერთვის ინფინიტივში to ნაწილაკის გარეშე.

1) Should- გამოხატავს რჩევას:

You should go to a doctor - ექიმთან უნდა წახვიდე.

Which why Should I go? - რომელი გზით ჯობია რომ წავიდე?

როდესაც should - დაერთვის Perfect Infinitive, იგი მიუთითებს იმაზე, რომ არ განხორციელდა, არ შესრულდა რჩევა:

You should not have gone there - თქვენ იქ არ უნდა წასულიყავით (მაგრამ წახვედით).

You should have stayed at home - შინ უნდა დარჩენილიყავით.

2) Should - მიუთითებს, რომ ინფინიტივით გადმოცემული მოქმედება მართებულია, მიზანშეწონილია, აუცილებელია გარკვეული ვითარების საუძველზე:

You should come to the University by 9 o'clock -კარგი იქნება, რომ უნივერსიტეტში 9 საათისათვის მოხვიდეთ.

The children should get up earlier - ბავშვები უფრო ადრე უნდა ადგნენ.

Gegi should not smoke -კარგი იქნება გეგიმ არ მოსწიოს სიგარეტი.

3)-Should- გამოხატავს ვარაუდს, განპირობებულს გარკვეული სიტუაციით:

They should exept us now.- ისინი ალბათ გველოდებიან

He should be on our side - ის ჩვენს მხარეზე უნდა იყოს.

4) Should-გამოხატავს ვალდებულების მნიშვნელობას რბილ ფორმებში:

Gegi should meet Anna at the station - გეგი უნდა დახვდეს ანნას სადგურზე

Everybody should help him - ყველა უნდა მოეხმაროს მას.

5) Should - გამოხატავს საყვედურს, სინანულს:

You should be ashamed of yourself! - გრცხვენოდეს!

You should not speak that way - ასე არ უნდა ილაპარაკო.

Yoy should not do that - ასე არ უნდა მოიქცე.

6) კითხვით წინადადებაში should- გამოხატავს გაკვირვებას, აღშფოთებას:

Why should I go ther? -რატომ უნდა წავიდე იქ?

How should I know? - მე საიდან უნდა ვიცოდე?

7) როდესაც should -ს დაერთვის პერფექტული ინფინიტივი, იგი გამოხატავს, რომ გარკვეული მოვალეობა არ იქნა შესრულებული:

He should have visited his friends! -მას უნდა მოენახულებინა თავისი ამხანაგები (მაგრამ არ მოინახულა)

They should have met us at the station - ისინი უნდა დაგხვედროდენ სადგურზე (მაგრამ არ დაგვხვდნენ)

Should - ფორმა უცვლელი სიტყვაა და ასეთი ფორმიით იხმარება ყველა პირში, როდესაც მას დაერთვის ინფინიტივის მარტივი ფორმა, იგი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც ხდება აწმყოში ან მომავალში, ხოლო როდესაც მას დაერთვის პერფექტული ინფინიტივი, იგი გამოხატავს წარსულ მოქმედებას:

You should go there now -კარგი იქნებოდა რომ იქ ახლა წასულიყავი.

You should there tomorrow - კარგი იყო რომ ის ხვალ წასულიყავი.

You should have gone there yesterday - კარგი იყო რომ იქ გუშინ წასულიყავი.

მოდალური ზმნა - WOULD

მოდალურ ზმნას would ლექსიკური ზმნა დაერთვის ინფინიტივში to ნაწილაკის გარეშე;

1) Would - გამოხატავს სურვილს:

I would rather go there - დიდი სიამოვნებით წავიდოდი იქ.

I would see her today - მას სიამოვნებით ვნახავდი დღეს.

I would like to go - წასვლა მინდა.

I would rather stay here - აქ სიამოვნებით დავრჩებოდი.

You wouldn't have me go, would you? - თქვენ არ გინდათ რომ წავიდე, ხომ ასეა არა?

2) Would-წარმოადგენს თხოვნის, მიპატიჟების, მიწვევის თავაზიან ფორმას:

Would you like a cup of tea? - ფინჯან ჩაის ხომ არ მიირთმევდით?

Would you please take me home? - ძალიან გთხოვ შინ მიმიყვანეთ?.

Would you go to the concert to night? -ამ საღამოს კონცერტზე ხომ არ ინებებ წასვლას?

3) Would- გამოხატავს ეჭვს, ვარაუდს:

He wouldn't go to the University today - დღეს ის ალბათ უნივერსიტეტში არ წავიდოდა.

He would say so - ის არ იტყოდა ასე.

Would - არის ფორმა უცვლელი სიტყვა და ისეთივე სახით იხმარება ყველა პირში: I would you would, He (She, It) would;

კითხვით ფორმაში would თავსდება ქვემდებარის წინ: Would I? Would you? Would he (she, it)? Would we? Would you? Would they?;

ხოლო უარყოფითში კი would-ს დაერთვის not ნაწილაკი: I would not; You would not; He (She, It) would not;

მოდალური ზმნა SHALL---WILL

მოდალურ ზმნას shall/will-ს ლექსიკური ზმნა დაერთვის ინფინიტივში to ნაწილაკის გარეშე

1) - მეორე და მესამე პირთან shall გამოხატავს მთქმელის ნება-სურვილს, ბრძანებას, გადაწყვეტილებას:

The chess competition shall take place in Tbilisi - ჭადრაკის ტურნირი ჩატარდება თბილისში.

The students shall take their exams this month -სტუდენტებმა გამოცდები უნდა დაამთავრონ ამ თვეში.

shall-ის მნიშვნელობა გამოყენებულია ძირითადად ოფიცია-ლურ დოკუმენტებში:

2) კითხვით წინადადებაში shall გამოხატავს არის თუ არა სასურველი ან აუცილებელი ამა თუ იმ მოქმედების შესრულება:

Shall I come to you? - მოვიდე შენთან?

Shall I tell Anna everything? -უთხრა ანას ყველაფერი?

Shall Gegi stay with us? -გეგიმ მოიტანოს წიგნები?

3) – Shall - გამოყენებულია რჩევის და შეთავაზების შეკით-ხვაში:

How shall I make it? -ეს როგორ გავაკეთო?

Shall I see you off? -(ხომ არ) გაგაცილოთ?

მოდალური ზმნა shall/will - ფორმა უცვლელი ზმნაა და ყველა პირში უცვლელი ფორმით იხმარება.

რაც შეეხება will -ის დამოუკიდებელ მნიშვნელობას, ის გამოხატავს:

1)will-გამოხატავს სურვილს, განზრახვას:

I willgo there at once - სიამოვნებით წავალ იქ ახლავე.

2) თავაზიან თხოვნას:

Will you please help us? - ძალიან გთხოვთ, დაგვეხმაროთ?

3) Will - გამოხატავს დაჟინებით მოთხოვნას:

You will come back in a week - ერთ კვირაში უნდა დაბრუნდეთ უკან

4)Will - გამოხატავს: მიწვევას, მიპატიჟებას:

Will you please dinner with us? - ძალიან გთხოვთ ისადილოთ ჩვენთან ერთად.

5) Will -გამოხატავს მოქმედების აუცილებლად შესრულებას:

I will go there - იქ ნამდვილად წავალ.

I will see you tomorrow - ხვალ უსათუოდ გნახავ.

6) Will- გამოხატავს ვარაუდს:

Anna will be a quite girl - ანნა წყნარი გოგონა უნდა იყოს.

You will be proud of your son - თქვენ ალბათ ამაყობთ თქვენი ვაჟიშვილით.

7)Will - გამოხატავს რომ მოქმედების შესრულება შესაძლოა:

We will buy these two English books and this dictionary with this money - ამ ფულით ორ ინგლისურ წიგნს ვიყიდით (ე.ი. ფული გვეყოფა)

We will visit our friends till 8 o'clock and than will go and see that new film- 8 საათამდე მეგობრებს ვინახულებთ, შემდეგ კი კინოში წავალთ (ე.ი. დრო გვაქვს.)

ბოლოდებულები -

THE POSTPOSITION

ბოლოდებულები დაერთვის ზმნას და მასთან ერთად ერთ ცნებას გამოხატავს; ამ ცნების შინაარსი არ უდრის ზმნისა და მასზე დართული ბოლოდებულის მნიშვნელობათა ჯამს, არა-მედ ორივეს ერთად, ერთი მნიშვნელობა აქვთ. ერთსა და იმავე ზმნას შეიძლება სხვადასხვა ბოლოდებული დაერთოს და შესაბამისად ამისა, მან სხვადასხვა შინაარსი გამოხატოს. მაგალითად: to give-მიცემა; განვიხილთ ეს ზმნა:

Can you give me something to eat? - შეგიძლიათ რაიმე საჭმელი მომცეთ?

ზმნას to give -ს თუ დაურთავთ სხვადასხვა ბოლოდებულს, მივიღებთ ახალ- ახალ მნიშვნელობებს:

To give in - დათმობა

To give forth - გამოცხადება, გამოქვეყნება.

To give out - გამოლევა, დაშრეტა.

To give up - უარის თქმა

ახლა კი დავაკვირდეთ ზმნას -to take- აღება.

Who took my pen?- ვინ აიღო ჩემი კალამი?

ვნახოთ, რა მნიშვნელობა ექნება, როდესაც ზმნას to take- დაერთვის სხვადასხვა ბოლოდებულებული:

To take after - დამსგავსება.

To take in - გაზეთის ან ჟურნალის გამოწერა ან ყიდვა

To take off - გახდა, მოშორება

To take up - დამაგრება, მიყვანა, წართმევა.

To take on - საქმეზე ხელის მოკიდება, პოპულარობის მოპოვება.

To take to - ძლიერ შეყვარება.

როგორც ვხედავთ, ბოლოდებულები ფორმით ემთხვევიან წინდებულებს, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა. წინდებულები აუცილებლად დაერთვიან არსებით სახელს და მის წინ იკავებენ ადგილს. ამიტომაა, რომ მათ წინდებულები ეწოდებათ. გარდა ამისა, წინდებულიან კონსტრუქციას, საერთო მნიშვნელობა უმეტესად უდრის ორივე კომპონენტის წინდებულისა და არსებითი სახელის - მნიშვნელობათა ჯამს. ბოლოდებული კი ზმნას დაერთვის და მის შემდეგ დგას, ამიტომაც ეწოდება მას ბოლოდებული.

ბოლოდებულს საკუთარი მნიშვნელობა არ გააჩნია. იგი ზმნასთან ერთად წარმოქმნის ერთ მნიშვნელობას. ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ წინდებული და ბოლოდებული:

1) ზმნას შეიძლება დაერთოს წინდებულიანი არსებითი სახელი:

He looked at the picture - მან სურათს შეხედა.

She looked into the mirror - მან სარკეში ჩაიხედა.

2) იმავე ზმნას შეიძლება დაერთოს ბოლოდებული, რომელსაც თავის დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნია და ამ ზმნას თან ერთად წარმოქმნის ერთ ლექსიკურ ერთეულს, ერთ მნიშ-ვნელობას:

Look out! - ფრთხილად იყავი!

I'm looking for my dog - ჩემ ძაღლს დავეძებ

Who looks after? - ვინ გივლის?

ავიღოთ წინადადება:

--This work will be carried on on the tenth of May - ამ სამუშაოს განაგრძობენ 10 მაისს.

როგორც ვხედავთ, აქ ორი on იყრის თავს. აქედან პირველი on არის ბოლოდებული, რომელიც დაერთვის ზმნას to carry და

მასთან ერთად ახლ მნიშვნელობას იღებს, რადგან to carry ნიშნავს წაღებას, გადტანას, ხოლო to carry on - გაგრძელებას, განგრძობას. მეორე on- კი არის დროის წინდებული, რომელიც აღნიშნავს თარიღს და დაერთვის რიცხვით სახელს -the tenth ზმნას და მასზე დართულ ბოლოდებულ უწოდებენ ორ სიტყვიან ზმნას the two-word verb, ბოლოდებულს უწოდებენ კიდევ Prepositions Oral Adverb ან Adverb Participle.

ზმნიზედა

THE ADVERBS

ზმნიზედა არის სიტყვა, რომელიც იძლევა მოქმედების დახასიათებას, კერძოდ, იგი გამოხატავს თუ როგორ, რატომ სად, როდის, და ა. შ. ხდება მოქმედება. მაგალითად: He came here--ის აქ მოვიდა; He came quickly--ის სწრაფად მოვიდა; He came soon--ის ძალიან მალე მოვიდა; და ა. შ.

შინაარსის მიხედვით ზმნიზედები ქმნიან შემდეგ ჯგუფებს:

1- **დროის ზმნიზედები:** რომლებიც გამოხატავენ მოქმედების დროს ; დროის ზმნიზედებია: now-ახლა, than-შემდეგ მაშინ, იმ დროს, მერე; late-გვიან; early-ადრე, ადრიანად; just- ეს არის, ეს ეს არის ახლა; today-დღეს; tomorrow-ხვალ; დროის ზმნიზედები დაისმის წინადადების თავში ან ბოლოში, უფრო ხშირად, ბოლოში. თუ წინადადების ბოლოს, რამდენიმე ზმნიზედა იყრის თავს, დროის ზმნიზედა სულ ბოლოში თავსდება:

Do you believe me now? -ახლა გჯერა ჩემი?

I was a little girl than -მაშინ პატარა გოგო ვიყავი.

Tomorrow I'll be all right - ხვალ კარგად ვიქნები.

Do you going to the concert today?- დღეს კონცერტზე მიდიხაარ?

What happened here yesterday? -რა მოხდა აქ გუშინ?

2- **ადგილის ზმნიზედები** გამოხატავენ მოქმედების ადგილს და მიმართულებას. ადგილის ზმნიზედებია:

Here-აქ, there-იქ, near-ახლოს, მახლობლად, ახლო; far- შორს, შორის; home -შინ; everywhere-ყველგან; up - ზევით, მაღლა; down - ძირს დაბლა, ქვევით და ა.შ.

ადგილის ზმნიზედა უშუალოდ ზმნას მოსდევს, ხოლო თუ ზმნას დაერთვის დამატება, იგი იკავებს ადგილს დამატების შემდეგ:

I live here-აქ ვცხოვრობ.

My house is quite near-ჩემი სახლი სულ ახლოსაა

We shallmeet our students there-ჩვენს სტუდენტებს იქ შევხვდებით

3 **ვითარების ზმნიზედა** გამოხატავს თუ როგორ ხდება მოქმედება, ვითარების ზმნიზედებია:

Quick-სწრაფად, ჩქარა, მარდად.

Slowly-ნელა, დინჯად.

Well-კარგად, მშვენიერად.

Hard-მაგრად, გულმოდგინედ, ძლიერ.

Fast-სწრაფად მაგრად, ჩქარა, მარდად.

ვითარების ზმნიზედა თავსდება უშუალოდ ზმნის შემდეგ, ხოლო თუ ზმნას მოსდევს დამატება, იგი დაისმის დამატების შემდეგ:

Time passes quickly-დრო სწრაფად გადის.

Gegi speaks Fnglish well-გეგი მშვენივრად ლაპარაკობს ინგლისურად.

It is raining hard-მაგრად წვიმს.

I hope you will do this woek properly-იმედი მაქვს ამ საქმეს გააკეთებთ ისე როგორც საჭიროა.

4 - **სიხშირის ზმნიზედები** გამოხატავენ თუ რამდენჯერ სრულდება მოქმედება. სიხშირის ზმნიზედებია:

Once-ერთხელ
Twice-ორჯერ
Always-მუდამ, ყოველთვის
Never-არასოდეს, ვერსდროს
Often-ხშირად ხშირ-ხშირად
Seldom-იშვიათად და ა. შ.

5- **ზომა-ოდენობის ზმნიზედები** გამოხატავენ თუ რა ზომით, რა ოდენობით ხდება მოქმედება; ზომა-ოდენობის ზმნიზე-დებია:

Very-ძალიან, ძალზე
Almost-თითქმის
Quite-სავსებით, სრულიად, მთლიანად, სულ
Too-მეტად, მეტის-მეტად
Nearly-თითქმის, დაახლოებით კინაღამ
Enough-საკმარისად და ა.შ.

ზომა-ოდენობის ზმნიზედა დაისმის ამ სიტყვის წინ, რომელსაც განსაზღვრავს:

I am very happy- ძალიან ბედნიერი ვარ.
Dinner is ready- სადილი თითქმის მზადაა.
You arequite right- თქვენ სავსებით მართალი ხართ.
It is too late- ძალიან გვიანაა. და ა.შ.

6 - **კითხვითი ზმნიზედები** გამოყენებულია კითხვით წინადადებაში; კითხვითი ზმნიზედებია:

When?

Where?-სად?

Why?-რატომ?

How?-როგორ?

კითხვითი ზმნიზედები დაისმის წინადადებაში პირველ ადგილზე:

When did it happen?-როდის მოხდა ეს?

Where are you going?- სად მიდიხარ? (საით გაგიწევია?)

How do you like this picture? ეს სურათი როგორ მოგწონს?

Why don't you come to us? ჩვენთან რატომ არ მოდიხარ?

7 -**კავშირებითი ზმნიზედები** ამყარებენ კავშირს მთავარ და დამოკიდებულ წინადადებებს შორის;კავშირებითი ზმნიზე-დებია:

When-როდესაც, თუ როდის,

How-როგორ, თუ როგორ,

Where-სად, იქ სადაც, სადაც

Why-რატომ, თუ რატომ,

we stayed where we could see them-ჩვენ დავრჩით იქ სადაც მათი ნახვა შეგვეძლო

I know where theyare waiting for us-მე ვიცი თუ სად გველოდებიან ისინი

I don't knowhow you live-არ ვიცი თუ როგორ ცხოვრობ შენ.

აგებულების მიხედვით ზმნიზედა შეიძლება იყოს მარტივი, წარმოქმნილი, რთული და შედგენილი.

ა) **მარტივი ზმნიზედებია:** here, there, now,then,well, soon,etc.

ზედსართავი სახელი: Quick-სწრაფი; Slow-ნელი; Easy-ადვილი.

ზმნიზედა: Quickly-სწრაფად, ჩქარა; Slowly-ნელა; Easily-ადვილად.

წარმოქმნილი ზმნიზედა მიიღება აგრეთვე მიმღეობაზე, არსებით სახელზე ან რიცხვით სახელზე-ly- სუფიქსის დართვითა:

არს. სახელი: part-ნაწილი; ზმნიზედა: partly-ნაწილობრივ.

არს. სახელი: day-დღე; ზმნიზედა: daily-ყოველდღიურად

რიცხვ. სახელი:first-ირველი;ზმნიზედა: firstly-ჯერ ერთი

რიცხვ. სახელი: second-მეორე; ზმნიზედა: secondly- მეორეც ერთი

ბ)- **რთული ზმნიზედა** შედგება ორი კომპონენტისაგან, რომელიც ქმნის ერთ სიტყვას: sometimes; whenever; everywhere; nowhere;

გ) - **შედგენილი ზმნიზედა** წარმოადგენს რამდენიმე სიტყვის შეკავშირებას: the day before yesterday-გუშინწინ; the day aftertomorrow-ზეგ; all of a sudden-მოულოდნელად;

როგორც აღვნიშნეთ, წარმოქმნილი ზმნიზედა მიიღება ძირითადად ზედსართავი სხელზე-ly-სუფიქსის დართვით. მაგალითად : ზედს. სახელი: true-სწორი ჭეშმარიტი; ზმნიზედა: truly-ზუსტად, გულწრფელად. თუ ზედსართავი სახელი ბოლოვდება ხმოვანი-e-თ ზოგ შემთხვევაში იგი იკვეცება და ზოგჯერ არა. მაგალითად: idle- ზარმაცი--idle-ზოზინით, ზანტად; მაგრამ არის ისეთი ზემნიზედები, რომლებიც უცვლელი ფორმით იმატებენ -ly-სუფიქს; მაგალთად :immediately -,უშუალო, პირდაპირი; immediately-უშუალოდ, დაუყონებლივ; severe-მკაცრი, სასტიკი severely-მკაცრად, სას-ტიკად; sincere-გულწრფელი; sincerely--გულწრფელად; მაგრამ, თუ სიტყვა ბოლოვდება y-ით, სუფიქსი ly-ს დართვისას y -

იცვლება i-ით; მაგალითად: easy -easily; ზოგჯერ კი ზედსა-რთავსა და მის შესაბამის ზმნიზედას ერთნაირი ფორმა აქვს. :hard- hardly; near -nearly; ხოლო, ამავდროულად არსე-ბობს განსხვავებული მნიშვნელობაც. მაგალითად: near-nearly- ახლო ახლობელი-nearly-თითქმის, კინაღამ; late-გვიან- lately-ახლა-ხან, ამასწინათ;

ზმნიზედას, ისევე როგორც ზედსართავ სახელს, აქვს ხარის-ხები და იგივე მნიშვნელობით და ფორმით იწარმოება (er-est -) სუფიქსების დართვით, როგორც ზედსართავი სახელები; მაგალითად: soon-sooner-soonest;

fast-faster-fastest;

hard- harder-hardest; და ა.შ.

წარმოქმნილი ზმნიზედები კი more და most -სუფიქსებით აწარმოებენ; მაგალითად:

quickly- more qyickly-most quickly;

Slowly-more slowly-most slowly

Kindly-more kindly-most kindly და ა. შ.

არის რამდენიმე ზმნიზედა გამონაკლისთა რიცხვს რომ მიეკუთვნება; მაგალითად: early-earlier-earliest და ა. შ . ამავდროულად ზმნიზედა well-better best; badly-worse-worst; little-less-least; very—much-განსაზღვრავს ზედსართავ სახელს, სხვა ზმნიზედას-ed-იან მიმღეობას და დაისმის ამ სიტყვების წინ; მაგალითად:

Gegi speaks English best of all/ or Gegi speaks best - გეგი ყველაზე კარგად ლაპარაკობს ინგლისურად;

Anna was very pleased to meet us- ანნა ძალიან კმაყოფილი იყო რომ ჩვენ შეგვხვდა;

They are very busy today -ისინი დღეს ძალიან დაკავებული არიან.

წ ი ნ დ ე ბ უ ლ ი- PREPOSITION

წინდებული არის დამხმარე სიტყვა, რომელიც დამოუკიდებ-ლად არ იხმარება. იგი, ჩვეულებრივ, დაერთვის არსებით სახელს ან მის შესაბამის სიტყვას (ნაცვალსახელს, რიცხვით სახელს, გერუნდივს) და გამოხატავს მრავალფეროვან ლექსი-კურ-გრამატიკულ მნიშვნელობებს. თანამედროვე ინგლისურში წინადადებები გამოირჩევიან მნიშვნელობათა სიმრავლითა და გამოყენების მაღალი სიხშირით. წინდებულების მნიშვნელობე-ბი სხვადასხვა ხასიათისაა--ზოგი მნიშვნელობა კონკრეტულია (ადგილის, დროის, მიმართულების) ზოგის მნიშვნელობა აბსტრაქტულია (მიზეზის, მიზნის და ა.შ.) ზოგჯერ კი წინდებულებს მთლიანად აქვთ დაკარგული ლექსიკური მნიშვნელობა და ფორმალურ სიტყვად არიან გადაქცეული, რომელთა დანიშნულება მხოლოდ სიტყვათაშორის კავშირის განხორციელებაა. ასეთ წინდებულებს გრამატიზებული წინდე-ბული ეწოდებათ. ერთსა და იმავე წინდებულს შეიძლება ჰქონდეს როგორც კონკრეტული ისე აბსტრაქტული მნიშვ-ნელობა, ზოგ შემთხვევაში კი შესაძლოა, იგი მხოლოდ სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირებას ემსახურებოდეს, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ სიტყვას დაერთვის წინდებული.

აგებულების მიხედვით წინდებული არის:

ა)-მარტივი: at, for, with, in, on, etc.

ბ)- წარმოქმნილი: into, inside, upon, within, etc.

გ) - შედგენილი: because of, inspite of, in front of, etc.

შინაარსის მიხედვით კი წინდებულები შემდეგ ჯგუფებს ქმნიან:

I-ადგილის წინდებულები-რომლებიც გამოხატავენ თუ სად ხდება მოქმედება.ესენია: on, in, at, under, behind, in front of, by,etc.;

ა) on-გამოხატავს რაიმე საგნის ზედაპირზე ყოფნას. მაგალითად: She laied the breakfast on the kitchen table.

ბ) in-გამოხატავს რაიმე ფარგლებს შიგნით ყოფნას. მაგალითად: Is there room for me in the car?

გ) at-გამოხატავს რაიმე საგნის ახლოს ყოფნას. მაგალითად: They sitat the window.

დ) under-გამოხატავს რაიმე საგნის ქვეშ ყოფნას. მაგალითად: Where is my pen? Don't you see, it is underthe table.

ე) behind-გამოხატავს რაიმე საგნის უკან ყოფნას. მაგალითად: The boy hid behind this tree.

ვ) in front of-გამოხატავს რაიმე საგნის წინ ყოფნას. მაგალითად: Don't stand in front of us.

ზ) by-გამოხატავს რაიმე საგნთან ახლოს, გვერდით ყოფნას. მაგალითად: We were sitting by the fireside.

თ) before-გამოხატავს რაიმეს ან ვინმეს წინ ყოფნას. მაგალითად: Who stands before you?

ი) for-გამოხატავს დანიშნულების ადგილს. მაგალითად: He left for London.

II- მიმართულების წინდებულები გამოხატავენ, თუ საით არის მოქმედება მიმართული, ან საიდან დაიწყო იგი. ესენია: to, into, from, out of, through, by, etc.

ა) I want to go to the country.

ბ) into-გამოხატავს მოძრაობას გარედან- შიგნით; მაგალითად: Come into the home.

გ) from-გამოხატავს თუ საიდან იწყება მოქმედება: მაგალითად :My close relatives came from the country.

დ) out of-გამოხატავს მოძრაობას შიგნიდან-გარეთ; მაგალითად :I lookedof the window and saw Anna

ე) through-გამოხატავს რომ მოქმედება ხდება რაღაცის გავლით. მაგალთდ: The river Mtkvary flows through Tbilisi.

ვ) by-გამოხატავს რომ მოქმედება ხდება ახლოს, იქვე ჩავლით. მაგალითად: We passed by our University.

III - დროის წინდებულებიგამოხატავენ თუ როდის ხდება ან რამდენ ხანს გრძელდება მოქმედება, როდის იწყება ან როდის მთავრდება იგი. დროის წინდწბულები in, on, at, by, for, from.

ა) in გამოყენებულია წელიწადის, დღეების, თვეების,დროების გადმოცემისას. მაგალითად: I leave home in the morning.

ბ) on გამოყენებულია კვირის დღეებისა და თარიღების აღნიშვნისას. მაგალითად: Anna will come to uson the tenth of May.

გ) at გამოხატავს ზუსტ დროს საათის აღნიშვნისას. მაგალითად: Gegi came to his friend at 12 o'clock.

დ) by გამოხატავს მიახლოებით დროს. მაგალითად: I have to meet Anna and Gegi by 2 o'clock.

ე) for გამოხატავს დროის პერიოდს. მაგალითად: I waited them for two hours, but Anna and Gegi did not come.

ვ) from გამოხატავს თუ როდის დაიწყო მოქმედება. მაგალითად: I know them from a childhood.

ზ) from …till (to) გამოხატავს თუ როდის იწყება და მთავრდება მოქმედება. მაგალითად: We have meeting from 10 till 12 o'clock.

თ) to გამოხატავს დროის ზღვარს. მაგალითად: Anna and Gegi are very busy to the end of the week.

IV-წინდებულები, რომლებიც გადმოსცემენ აბსტრაქტულ მნიშვნელობებს. თითქმის ყველა წინდებულს, კონკრეტული მნისვნელობის გარდა გააჩნია, აბსტრაქტული მნიშვნელობები; ესენია: მიზეზის, მიზნის, პირობის, დანიშნულების, და ა.შ.

ა) for გამოხატავს მიზანს, დანიშნულებას, მიზეზს. მაგალითად: They Fought for Freedom.

ბ) on გამოხატავს პირობას მიზეზს. მაგალითად: I won't do it on principle.

გ) on გამოხატავს ინფორმაციის წყაროს. მაგალითად: I heared a very nice poem on the radio

დ) on გამოხატავს თუ რას აკეთებს ადამიანი. მაგალითად: My friend is on sick-leave.

ე) with გამოხატავს მოქმედების დამახასიათებელ ნიშანს. მაგალითად: Gegi speaks Georgian with a Russian accent

ვ) with გამოხატავს რაიმე მოქმედების ერთად შესრულებას. მაგალითად: I live with my 2 sisters.

ზ) with გამოხატავს დათანხმებას. მაგალითად: Anna and Gegi agree with us.

V-გრამატიზებული წინდებულები

ზოგ შემთხვევაში, წინდებულებს თითქმის მთლიანად დაკარგული აქვს ლექსიკური მნიშვნელობა და მათ დანიშნულებას შეადგენს, მხოლოდ სიტყვათა შორის კავშირის განხორციელება, როგორც აღვნიშნეთ, ასეთ წინდებულებს, გრამატიზებული წინდებულები ეწოდებათ. დავასახელებ, მხოლოდ რამდენიმე მათგანს;

It is very important to me -ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის;

It is different with us -ჩვენთან ძალიან სხვაგვარადაა საქმე.

Are you angry with me? -ნაწყენი ხარ ჩემზე?

What sort of books do you like? -როგორი წიგნი მოგწონს?

წინდებულები-რომლებიც ქართული ბრუნვის ზოგიერთ მნიშვნელობას გადმოსცემენ

თანამედროვე ინგლისურ ენაში ორი ბრუნვაა, ქართულში კი შვიდი. ქართული ბრუნვის ზოგიერთი მნიშვნელობა ინგლისურში წინდებულებით გადმოიცემა და შემდეგი წინდებულები გადმოსცემენ : to, of, with, by.

ა) to გადმოსცემს მიცემითი ბრუნვის მნიშვნელობას - I must give this books to Annaand Gegi.

ბ) of გადმოსცემს ნათესაობითი ბრუნვის მნიშვნელობას - The students of our University study English with great pleasure.

გ) with - და by - გადმოსცემენ მოქნედებითი ბრუნვის მნიშვნელობას; I'lldo it with your help. Will you go to California by air?

ქართული ბრუნვის მნიშვნელობები შეიძლება სხვა წინდებულებშიც გადმოსცენ. ნაჩვენებია მხოლოდ ყველაზე ძირითადი შემთხვევები.

ინგლისური წინდებულები, რომლებიც ქართული ზმნის ზოგიერთი გრამატიკული კატეგორიის მნიშვნელობას გადმოსცემენ. თანმედროვე ქართული ზმნა გამოირჩევა მორფოლოგიური კატეგორიების სიმრავლით. ინგლისურ ზმნას კი ამ კატეგორიების მხოლოდ ნაწილი გააჩნია, დანარჩენი კატეგორიების მნიშვნელობები ინგლისურში სახვადასხვა საშუალებებით გადმოიცემა, კერძოდ, წინდებულები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქართული ზმნის ისეთი კატეგორიების მნიშვნელობათა ინგლისურად გადმოცემაში, როგორიცაა: პირი, ქცევა და გეზი.

პირი

განვიხილოთ ზმნა ''მწერს''. ეს ზმნა ქართულში სამ პირიანია, რადგან მას შეეწყობა სამი ნაცვალსახელი-მწერს-ის, მე, მას მაგალითად: მწერს მე ჩემი ძმა წერილს. ინგლისურ ზმნას პირის ასეთი გაგება არ გააჩნია. ამიტომ წინადადებაში He writes -ის წერს, არ ჩანს თუ ვის წერს ის წერილს. ეს მნიშვნელობა ინგლისურში გადმოიცემა to წინდებულიანი კონსტრუქციით:

მწერს--He writes to me	გვწერს--He writes to us
გწერს--He writes to you	გწერს--He writes to you
წერს--He writes to him(her)	წერს--He writes to them

როგორც ვხედავთ, ქართული ზმნის ობიექტური პირის მნიშვნელობა ინგლისურად გადმოიცემა to წინდებულითა და შესაბამისი პირის ნაცვალსახელებით.

ქ ც ე ვ ა

ქცევა-არის ქართული ზმნის გრამატიკული კატეგორია, რომელიც გამოხატავს თუ ვისთვის სრულდება მოქმედება. იგი სამი სახისაა: საარვისო, სასხვისო, და სათავისო; მაგალითად: ზმნა - ვაშენებ- არ უჩვენებს თუ ვისთვის სრულდება მოქმედება, ამიტომ იგი საარვისო ქცევისაა. ზმნაში - ვიშენებ - ჩანს, რომ მოქმედებას ვასრულებ ჩემთვის და მოქმედების შედეგიც მე მეკუთვნის. ამის გამო, ზმნა - ვიშენებ - სათავისო ქცევისაა. ამ მნიშვნელობის გადმოცემა ინგლისურში ხდება for წინდებულით და შესაბამისი ნაცვსალსახელით, მაგალითად:

სახლს ვაშენებ--I build a house

სახლს ვიშენებ--I build a house for myself`

სახლს ვუშენებ--I build a house for him

გეზი

გეზი-არის ქართული ზმნის გრამატიკული კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს აქვს თუ არა რაიმე მიმართულება მოქმედებას. მოქმედებას, რომელსაც აქვს რაიმე მიმართულება, არის მიმართული გეზისა, ხოლო მოქმედება რომელიც არ ვითარდება რაიმე მიმართულებით, არის მიუმართავი მოქმედება, მაგალითად: ზმნა-ვწერ-არის მიუმართავი მოქმედება, ხოლო ზმნა--მივწერ--არის მიმართული. ახლა განვიხილოთ ორი ინგლისური წინადადება: 1) I'll write a letter ---წერილს დავწერ, და 2) I'll write a letter to him- წერილს მივწერ.

პირველ წინადადებაში I'll write a letter--გამოხატავს მიუმართავ მოქმედებას; ხოლო მეორეში კი I'll write a letter to him გამოხატავს მიმართულ მოქმედებას; მაშასადამე, მიმართული მოქმედების მნიშვნელობა, ინგლისურში გადმოსცა to-წინდებულიანმა კონსტრუქციამ; ქართულში კი იგი აისახა ზმნის ფორმაშივე ზმნისწინის-მი-ს სახით, ინგლისური მიმარულების წინდებულები გადმოსცემენ ზოგიერთი ქართული ზმნისწინის მნიშვნელობას. კერძოდ, წინდებული into-როგორც ცნობილია, გამოხატავს მიმართულებას გარედან შიგნით. ეს მნიშვნელობა ქართულში გადმოიცემა ზმნისწინებით. ბოლო ორი ზმნისწინი გამოხატავს მოძრაობას, გარედან შიგნით და ამავე დროს ზევიდან-ქვევით:

We came into the room--ჩვენ ოთახში შევედით,

Anna came into the yard--ანნა ეზოში შემოვიდა

Gegi jumped into the pool--გეგი აუზში ჩახტა

ზმნისწინები: -ში და შემო- ერთსა და იმავე მიმართულებას გამოხატავენ. ანუ მოძრაობას გარედან შიგნით; შემოდამატებით კიდევ გამოხატავს რომ მთქმელიც იქ არის, საითკენაც მოქმედებაა მიმართული. ასევეა ზმნისწინები: ჩა- და ჩამო-; როგორც აღვნიშნეთ, ესენი გამოხატავენ მოქმედებას

გარედან - შიგნით და ამავე დროსვ ზევიდან - ქვევით; ჩამო--კი დამატებით იმასაც გამოხატავს, რომ მოქმედება ვითარდება მთქმელის მიმართულებით. მაგალითად: He is in the claas-room--ის არის აუდიტორიაში და He came into the class-room--ის შემოვიდა აუდიტორიაში.

წინდებული in-ის მნიშვნელობა ქართულად გადმოიცემა -ში თანდებულით, ხოლო წინდებული into-ს მნიშვნელობა გადმოიცა შემო - ზმნისწინითა და -ში თანდებულით.

წინდებულები out of და from გამოხატავენ მოძრაობას, მიმართულს შიგნიდან გარეთ და ამიტომ გადმოსცემენ ქართული ქართული ზმნისწინების--ამო;-გადმო; -გამო; -მნიშვნელობებს:

He took a book from the bag--მან ამოიღო წიგნი ჩანთიდან;

He took a book from the bookcase--მან გამოიღო წიგნი კარადიდან;

He took a book from the shelf--მან გადმოიღო წიგნი თაროდან;

როგორც ვხედავთ, წინდებული from - გადმოსცემს - დან მოქმედებითი ბრუნვის (ჩანთიდან, კარადიდან)და ზმნისწინების -ამო- გამო-გადმო-მნიშვნელობებს. ასევეა წინდებული -out of; მაგ: He took a key out of the pocket--მან ჯიბიდან გასაღები აიღო.

Gegi looked out of the window---გეგიმ ფანჯრიდან გადმოიხედა

Take this chair out of my room---გაიტანე ეს სკამი ჩემი ოთახიდან.

მაშასადამე, ინგლისური წინდებულები to, into, from, out of-გამოხატავენ მოქმედების მიმართულებას და გადმოსცემენ ქართული ზმნისწინების სხვადასხვა მნიშვნელობას. ამ მნიშვნელობის გადმოცემაში გარდა ზმნისწინებისა მონაწილეობს აგრეთვე თანდებული (გასაღები ამოიღო ჯიბიდან; გადმოიხედა ფანჯრიდან; გაიტანე ოთახიდან;)

კ ა ვ შ ი რ ი

კავშირი დამხმარე სიტყვაა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სიტყვებსა და წინადადებებს.

მაგალითად: I'll go and buy something to eat--წავალ რამე საჭმელს ვიყიდი;

He wanted to go with us but he couldn't --მას უნდოდა ჩვენთან ერთად წამოსვლა, მაგრამ ვერ მოახერხა;

If you ask him, he will help you--თუ თქვენ სთხოვთ, ის დაგეხმარებათ. პირველ წინადადებაში კავშირი and- აერთებს ორ სიტყვას; მეორე წინადადებაში კავშირი but- აერთებს ორ ერთმანეთისაგან გრამატიკულად დამოუკიდებელ წინადადებას. მესამე წინადადებაში if -კავშირი აერთებს დამოკიდებულ წინადადებას მთავართან.

კავშირებს--რომლებიც აერთებენ სიტყვებს და ერთმანეთისაგან გრამატიკულად დამოუკიდებელ წინადადებებს, მაერთებელი კავშირები ეწოდებათ.

კავშირებს--რომლებიც აერთებენ დამოკიდებულ წინადადებებს მთავართან რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, მაქვემდებარებელი კავშირები ეწოდებათ.

მ ა ე რ თ ე ბ ე ლ ი კავშირები - COORDINATING CONJUNCTIONS

მნიშვნელობის მიხედვით მაერთებელი კავშირები შემდეგი სახისაა:

1) მაჯგუფებელი კავშირები - Copulative Conjuctions: as wellas as--ისევე, როგორც; neithe nor-არც neither- არც not only - but--

არა მხოლოდ - არამედ; both - and-როგორც - ისე - ისე- ც- და კიდეც - nor; არც;

2) მაცალკევებელი-Disjunctive Conjunctions

or-თუ; or else-თორემ; eithr -or --ან -ან:

3) მაპირისპირებელი--Adversative Conjunctions:

but-მაგრამ; while-ხოლო, თუმცა, მაშინ -yet-, მიუხედავად ამისა, ჯერ, მაგრამ; still-მაინც მაგრამ თუმცა;

4) მიზეზ-შედეგობრივი-Causative-Consecutive Conjunctions : for-რადგან, ვინაიდან, იმიტომ, რომ; so--ამიტომ;

მ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ე ლ ი კავშირები - Subortinating Conjunctions

ინგლისურ ენაში შემდეგი სახის მაქვემდებარებელი კავშირე-ბია:

1) დ რ ო ი ს ---Temporal Conjunctions

when-როდესაც,რომ, ვიდრე,;

while-ვიდრე, სანამ, მაშინ, როდესაც;

since--მას შემდეგ, რაც;

as soon as--როგორც კი;

till--ვიდრე, სანამ;

untill-ვიდრე არ, სანამ არ, მას შემდეგ, რაც;

2) პ ი რ ო ბ ი ს ა - Conditional Conjuctions

if-თუ;

unless- თუ არ, ვიდრე არ;

provided that -იმ პირობით რომ,იმ შემთხვევაში თუ, თუკი;

3) მ ი ზ ე ზ ი ს Causal conjunctions

as-რადგან, ვინაიდან, რაკი, იმის გამო,რომ;

because-იმიტომ რომ, რადგან;
since-ვინაიდან, რადგან,რაკი, იმის გამო რომ;
for-რადგან, იმიტომ რომ, ვინაიდან;
4) მ ი ზ ნ ი ს - Conjunctions of Purpose
That-რომ, იმისთვის რომ;
In order that-თუ რომ,იმისთვის რომ;
5) დ ა თ მ ო ბ ი ს - Conjunctions of Comparision
though --თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ;
although--მიუხედავად იმისა, რომ,თუმცა;
yet--მაინც,მაგრამ მაინც, მიუხედავად ამისა;
however -მიუხედავად ან=მისა, თუმცა, მაგრამ მაინც;
6) შ ე დ ა რ ე ბ ი ს --Conjunctions of Comparison
than-ვიდრე;
as..as-როგორც;
not…as--არც ისე..როგორც;
7) შ ე დ ე გ ი ს- Conjunctions of Consequence
that-რომ, რათა;
so that-ისე ....რომ,ისეთი...რომ;

ნაწ ი ლ ა კ ი - The Particle

ნაწილაკი- არის დამხმარე სიტყვა, რომელიც დაერთვის სხვა სიტყვას ან მთელ წინადადებას და მას შინაარსობრივ ან ემოციურ შეფერილობას აძლევს.

შინაარსის მიხედვით ნაწილაკი იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

1) გამაძლიერებელი ნაწილაკები -- Intensifying Particles:
still-კიდევ; even-ც, კი;
simply-მაინც, პირდაპირ,
just- უბრალოდ, სწორედ, მხოლოდ

yet-მაინც;

I just don't care for it--მე ეს უბრალოდ არ მენაღვლება.

That's just wonderful-ეს პირდაპირ აღმაფრენაა.

Even a child cant understand it -ბავშვსაც კი ესმის ეს

He began to speak still louder-მან კიდევ უფრო ხამაღლად დაიწყო ლაპარაკი.

I simply want to know--მე მაინც უბრალოდ მინდა ვიცოდე.

2) გამორჩევითი ნაწილაკი--Limiting Particles

just- მხოლოდ, მაინც; only-მხოლოდ; solely-მხოლოდ; but-მარტო, გარდა, მხოლოდ; alone -მხოლოდ, მარტო; merely-მხოლოდ;

even-ც, კი;

I didn't recognize even you.-თქვენც კი ვერ გაიცანით.

He alone is afraid of me- ხოლოდ მას ეშინოდა ჩემი;

Just listen to him--მხოლოდ თქვენ მოუსმენთ მას;

Gegi only tried to do it-გეგი მხოლოდ შეეცადა ამის გაკეთებას;

I've seen Anna but once-ანნა მხოლოდ ერთხელ ვნახე;

I'll do my best to help you yet-მე მაინც შევეცდები ამის გაკეთებას.

3) მაკავშირებელი ნაწილაკები--Connecting Particles

also-ც, -ც, აგრეთვე;

too-ც, აგრეთვე, კიდეც, თანაც;

I'm a student. My sister is also student a student-- სტუდენტი ვარ, ჩემი დაც სტუდენტია.

We came home late. My sister was also late that evening-ვინ მოვედით შინ. ჩემმა დამაც დაიგვიანა აგრეთვე, იმ საღამოს.

Anna and Gegi are hungry.I'm hungry too--ანნა და გეგი მშიერი არიან. მეც მშია.

4) დამაზუსტებელი ნაწილაკები ---Particles of Precision

right-ზუსტად; exactly-სწორედ, ზუსტად;

This bus will take you right ther-ეს ავტობუსი ზუსტად იქ მიგიყვანთ

I accompanied Anna and Gegi right to London--ანნა და გეგი გავაცილე ინგლისში.

That's exactly what I thought-- მე სწორედ ამას ვფიქრობდი.

5) უარყოფითი ნაწილაკები--Negative Particles

no-არა, not-არა, never-არ,არასოდეს;

Are you serious or not?--სერიოზულად ამბობ თუ არა?

Why not? --რატომ არა?

You should have never come--არ უნდა მოსულიყავი.

Never a word was mentioned about his coming- ერთი სიტყვაც კი არ თქმულა მის მოსვლამდე.

ნაწილაკი ფორმაუცვლელი სიტყვაა, მის თავისებურებას ის შეადგენს, რომ დაერთვის წინადადების ნებისმიერ წევრს. ამის მიხედვით, წინადადების შინაარსი სხვადასხვა ელფერს ღებულობს, მაგალითად: We had a letter fromAnna and Gegi yesterday-და მაის ყოველ წევრს დაურთოთ ნაწილაკი nor ცალ-ცალკე.

We had a letter from Anna and Gegi - მხოლოდ ჩვენ მივიღეთ ანასა და გეგისაგან წერილი გუშინ.

We had only a letter from Anna and Gegi--მხოლოდ წერილი მივიღეთ ანასა და გეგისაგან გუშინ;

We had a letter fromAnna and Gegi yesterday--მხოლოდ ანასა და გეგისაგან მივიღეთ წერილი გუშინ.

We had a letter from Anna andGegi only yesterday--მხოლოდ გუშინ მივიღეთ ანანსა და გეგისაგან წერილი

როგორც აღვნიშნეთ, ნაწილაკი შეიძლება დაერთოს მთელ წინადადებას:

We went to the country only when we had a letter Anna and Gegi--სოფელში წავედით მხოლოდ მას შემდეგ, რაც ანასა და გეგის წერილი მივიღეთ.

წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვები

მიმართვა - Direct Adress

შორისდებული-Interjection

ჩართული----Parenthtical words, Phrases and Clouses

1) მიმართვა - Direct Adress ჰქვია სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რომელიც აღნიშნავს მისამართ პირს. მიმართვად უმეტესად ვხვდებით ადამიანთა საკუთარ სახელებს, თანამდებობის, წოდების აღმნიშვნელ სიტყვებს:

When will you come back Ann?-ანნა როდის დაბრუნდები?

Gegi, how's your mother?– გეგი დედა როგორ არის?

2) შორისდებული --Interjection გამოხატავს ადამიანის შინაგან განცდებს, გრძნობებს, მის ნება - სურვილს. შორის-დებულები ინგლისურ ენაში მრავალია; დავასახელებ ზოგიერთ მათგანს:

ა)გაოცების გამომხატველი: oh, indeed, strange;

He spoke to me about you—oh, indeed,strange?--ის თქვენს შესახებ მელაპარაკა --ოჰ, მართლა?

ბ) ყურადღების მიპყრობა: look here, look, say

Look here, do you know who is that man? - მომისმინე, შენ იცი ის კაცი ვინაა?

გ) უკმაყოფილების გამომხატველი: Nonsense, fooly

Nonsense, I don't believe a word of it--სისულელეა, არცერთი სიტყვა არ მჯერა.

დ) გამომშვიდობების - good bye.

Thank you, good bye--გმადლობთ და ნახვამდის.

ე) შიშის: oh, ough, hah, ha..

Oh, there is somebody at the door. ვაიმე, კარებთან ვიღაცაა.

ზ) სიხარულის: thank God, right.

It's right! - სწორია!

თ) შექების: bravo, fine, good, well done.

Fine! Your article is excellent--შესანიშნავია, შენ საუკეთესო სტატია გაქვს.

ი) გაჩუმების: hush,quite.

Hush, baby is a sleep - ჩუმად პატარს სძინავს.

კ) მწუხარების, გულისტკენის: oh, oh me, oh no.

Oh, what a pity! - ეჰ, აფსუს!

ლ) მოწყენილობის: ah my, dear me, o my.

O my God how dull! - ღმერთო ჩემო. რა მოწყენილობაა.

3) ჩართული --Parenthetical words, Phrases and Clauses

ჩართული - ჰქვია სიტყვას, სიტყვათა ჯგუფს ან მთელ წინადადებას, რომელიც გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას, წინადადებაში გადმოცემული აზრისადმი. მნიშვნელობის მიხედვით გამოიყოფა ჩართულის შემდეგი ნიშანთვისება, კერძოდ: ჩართული გამოხატავს, რომ მთქმელი დარწმუნებულია წინადადებაში გადმოცემული აზრის უეჭველობში. ასეთია: certainly- რა თქმა უნდა, რა საკვირველია; of course- ცხადია, რა თქმა უნდა; no-doubt-უეჭველად: undoubtedly- უეჭველად, უდაოდ; evidently- ცხადია, აშკარაა, - surely-უეჭველად, ნამდვილად; indeed-ნამდვილად, მართლაც და ა.შ.

He is wrong indeed--ის ნამდვილად ცდება

You are certainly right--თქვენ რა თქმა უნდა სწორი ხართ ;

Do you know him? of course! თქვენ მას იცნობთ?- რათქმა უნდა!

ჩართული აგრეთვე, გამოხატავს იმას, რომ მთქმელი საეჭვოდ მიიჩნევს წინადადებაში გამოთქმულ აზრს. ასეთებია: probably--ალბათ, შესაძლებელია, may be--შეიძლება; perhaps--შეიძლება იქნებ; მაგალითად:

Perhaps they'll come--ისინი შეიძლება მოვიდნენ.

It will probably rain--ალბათ იწვიმებს.

ჩართული გამოხატავს იმ განცდებს, რომელსაც წინადადებაში გადმოცემული აზრი იწვევს მთქმელში, ასეთია:-happily--

საბედნიეროდ; unhappily--საუბედუროდ; fortunately-- ბედად, საბედნიეროდ, ბედზე; unfortunately-- საუბედურდ, luckily--ბედზე, ჩვენდა საბედნიეროდ; to my great sorrow--სამწუხაროდ, საუბედუროდ;

To my great sorrow, my brother couldn't pass the entrance exams--სამწუხაროდ, ჩემმა ძმამ მისაღები გამოცდები ვერ ჩააბარა.

Unfortunately, you don't understand me. -- საუბედუროდ, ჩემი არ გესმის.

Luckily I was inn when Anna and Gegi came---ანნა და გეგი რომ მოვიდნენ, ბედზე, შინ დავხვდი.

ზოგ შემთხვევაში, ჩართული გამოხატავს, თუ როგორია აზრის გადმოცემის ფორმა. ესენია: საზოგადოდ; in general--საერთოდ რომ ვთქვათ; in short--მოკლედ, ერთი სიტყვით, მოკლედ რომ ვთქვათ; to tell the truth--მართალი რომ ვთქვათ; frankly speaking--გულახდილად რომ ვთქვათ; in other words--სხვანაირად რომ ვთქვათ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ:

To tell the truth, they always help eacccch other.--მართალი რომ ვთქვათ, ისინი ყოველთვის ეხმარებიან ერთმანეთს.

In short, you had better shut up--მოკლედ, თქვენ ჯობია გაჩუმდეთ.

ჩართული გამოხატავს, თუ ვის ეკუთვნის წინადადებაში გამოთქმული აზრი, ასეთებია წინდებულიანი არსებითი სახელები- to my mind--ჩემი აზრით; in my opinion--ჩემი აზრით, მე მგონია;

ჩართული წინადადებები they say--ამბობენ, როგორც გადმოგვცემენ; I think-- მე ვფიქრობ, ჩემი აზრით. As I told you--როგორც მოგახსენეთ; as you know--როგორც მოგეხსენებათ, როგორც იცით და ა.შ.

I think you are quite right--ვფიქრობ, რომ თქვენ სავსებით მართალი ხართ.

They say, Anna and Gegi already know about it--ამბობენ, რომ ანნამ და გეგიმ უკვე იციან ამის შესახებ..

To my mind, they are the perfect persons. --ჩემი აზრით ისნი იდეალური ადამიანები არიან.

As you know, Anna and Gegi work at the Art University--როგორც მოგეხსენებათ ანნა და გეგი ხელოვნების უნივერსიტეტში მუშაობენ.

კონვერსია - CONVERSION

კონვერსია -- ეწოდება ერთი და იმავე სიტყვის გამოყენების, მეტყველების სხვადასხვა ნაწილის სახით. მაგალითად: hand- არის არსებითი სახელი, ისეთ წინადადებაში, როგორიცაა

Give me your hand--ხელი მომეცი, იგივე სიტყვა იხმარება როგორც ზმნა, თუ მის წინ to ნაწილაკი დაისმის. მისი მნიშვნელობაც შესაბამისად შეიცვლება--to hand- ნიშნავს --გადაცემას; ხელის ხლებას;

The sportsmen were handed the prizes --სპორტსმენებს გადაეცათ პრიზები.

hand--შეიძლება ზედსართავიც იყოს. ასეთ შემთხვევაში იგი თვისებების აღვმნიშვნელ სიტყვად გადაიქცევა და ნიშნავს--ხელით, ხელის, ამ მნიშვნელობით, იგი იხმარება რთულ სიტყვაში -hand-made--ხელით ნაკეთი.

I've bought a hand-made jacket- ხელით ნაქსოვი ჟაკეტი ვიყიდე.

ზოგი სიტყვა მეტყველების ორ სხვადასხვა ნაწილს განეკუთვნება:

არსებითი სახელი:	ზმნა
aim-მიზანი	to aim-დამიზნებით, მიზნად დასახვა;
alarm-განგაში	to aiarm-განგაშის ატეხა, შეშინება;
nose-ცხვირი	to nose-ყნოსვა, სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა.

balance-სასწორი to balance-გაწონასწორება

ზოგი სიტყვა მეტყველების სამ სხვადასხვა ნაწილს ეკუთვნის:

არსებითი სახელი:-air-ჰაერი; baby-ბავშვი;

ზედსართავი სახელი: air-საჰაერო,ჰაერი; baby-პატარა, პაწაწა, ბავშვური, საბავშვო;

ზმნა: to air--განიავება, ;to baby- განებივრება; და ა.შ. ასევეა შემდეგი სიტყვებიც: before-1 ზმნიზედა--წინ, უფრო ადრე. 2-წინდებული: წინ, წინაშე. 3 - კავშირი, ვიდრე, სანამ. yet: 1-ზმნიზედა: ჯერ კიდევ; 2- კავშირი--მიუხედავად ამისა, თუმცა. 3-ნაწილაკი--მაინც.

ზოგი სიტყვა კი მეტყველების ოთხ ან მეტს სხვადასხვა ნაწილს განეკუთვნება:

1-back--არსებითი სახელი--ზურგი

2-to back--ზმნა--მხარის დაჭერა, მხარში ამოდგომა.

3-back--ზედსართავი სახელი--უკანა, დაშორებული

4-back-ზმნიზედა--უკან.

1-to like--ზმნა--მოწონება

2-like --ზმნიზედას--ასე, ამის მსგავსად

3 –like--არსებითი სახელი---რაღაც მსგავსი, ერთგვარად

4 -like--ზედსართავი სახელი----მსგავსი

5 –like--სუფიქსი.

წინადადების საერთო შინაარსის გასაგებად დიდი მნიშვნელობას აქვს ვიცოდეთ ესა თუ ის სიტყვა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მეტყველების რომელ ნაწილს განეკუთვნება. ამისთვის საჭიროა დავადგინოთ წინადადებაში სიტყვას რომელი ადგილი უკავია, რომელ სიტყვებს დაერთვის და რა გრამატიკული კატეგორიები გააჩნია. ამრიგად, ერთი და იმავე სიტყვის გამოყენებას მეტყველების სხვადასხვა ნაწილის სახით, კონვერსია ანუ გრამატიკული ომონიმი ეწოდება.

THE IRREGULAR VERBS არაწესიერი ზმნები

Infinitive	Past	Past Participle
Abide	abode/abided	abode/abided-ატანა, ცდა
Alight	alit/alight	alit/alighted-ჩამოხტომა, ჩამოსვლა
Arise	arose	arisen-წამოჭრა
Awake	awoke	awoken-გაღვიძება, ფხიზლობა
Backbite	backbit	backbitten-ცილის წამება, ავად ხსენება
Backslide	backslid	backslidden-უარყოფა, უარის თქმა
Be	was/were	been-ყოფნა
Bear	bore	born/borne-დაბადება
Beat	beat	beaten-ცემა
Become	became	become-გახდომა
Befall	befell	befallen-შემთხვევა
Beget	begat	begotten-შობა, გაჩენა, წარმოშობა
Begin	began	begun-დაწყება
Behold	beheld	beheld-შემჩნევა, დანახვა
Bend	bent	bent-მოხრა, მოღუნვა
Bereave	bereaved/bereft	bereaved/bereft-მოკვლა, დაობლება
Beseech	besought/beseeched	besought/beseeched-თხოვნა, მუდარა
Beset	beset	beset-გარშემორტყმა, კითხვების მოყრა
Bestrew	bestrewed	bestrewen/bestrewed-მობნევა, მოყრა
Bet	bet	bet-სანაძლეო, ფსონი
Betake	betook	betaken-მიმართვა, გაქცევა, გაპარვა
Bethink	bethought	bethought-გახსენება,მოგონება/შესანდობარ
Bid	bade	bidden-ბრძანება, ბრძანების გაცემა
Bid	bid/bade	bidden-დაპატიჟება ,მოწვევა
Bide	bade/bided	bided-ვაჭრობა, ფასის შეთავაზება
Bind	bound	bound-შეკვრა, დაბმა
Bite	bit	bitten-კბენა
Bleed	bled	bled-სისხლის დენა
Bless	blessed/ blest	blessed/ blest-კურთხევა, დალოცვა, ხოტბა

Blow	blew	blown-ბერვა
Break	broke	broken-გატეხვა, ტეხვა
Breed	bred	bred-გავრცელება, გამრავლება
Bring	brought	brought-მოტანა
Broadcast	broadcast/broadcasted	broadcast/broadcasted-რადიო-გადაცემა
Browbeat	browbeat	rowbeaten-დაშინება, ქედმაღლობა
Build	built	built-აშენება, შენება
Burn	burn/burned	burnt/burned-წვა, ნათება
Burst	burst	burst-აფეთქება
Bust	bust	bust- მარცხის განცდა, გაკოტრება
Buy	bought	bought-ყიდვა
Can	could	(---) შეძლება (მოდალ.ზმნა)
Cast	cast	cast-გადატყორცნა, (გადა)სროლა
Catch	caught	caught-დაჭერა
Chide	chided/chid	chided/chidden-ბუზღუნი, ლანძღვა, ღმუილი
Choose	chose	chosen-არჩევა
Clap	clapped/clapt	clapped/clapt-ტაშის დაკვრა
Cleave	cleft/clove	cleft/clove-გაპობა
Cling	clung	clung-მიკვრა, მიწებება
Clothe	clad/clothed	clad/clothed-ჩაცმა, შემოხვევა, გადაფარება
Come	came	come- მოსვლა
Cost	cost	cost-ღირებულება
Creep	crept	crept-ხოხვა, ცოცვა
Crow	crowed	crew/crowed-ზეიმი, ლხენა. მამლის ყივილი
Cut	cut	cut- გაჭრა, ჭრა
Dare	dared/durst	dared-არევა, მორევა; რისკზე წასვლა
Daydream	daydreamed/daydreamt	daydreamed/daydreamt-ზმანება, ფუჭი ოცნება
Deal	dealt	dealt-საქმის ქონა, ვაჭრობა.წილი
Dig	dug	dug-თხრა, გათხრა.
Disprove	disproved	disproved/disproven-უარყოფა, დარღვევა,
Dive	dived/dove	dived-მოულოდნელად გაუჩინარება
Do	did	done-კეთება

Draw	drew	drawn-გაძღოლა, ხატვა
Dream	dreamt/dreamed	dreamt/dreamed-ოცნება, სიზმარი
Drink	drank	drunk-სმა, დალევა
Drive	drove	driven-ტარება
Dwell	dwelt	dwelt-დაბინავება
Eat	ate	eaten-ჭამა
Enwind	enwound	enwoud-მოხვევა, შემოკვრა
Fall	fell	fallen-დაცემა
Feed	fed	fed-გამოკვება
Feel	felt	felt-გრძნობა
Fight	fought	fought-ბრძოლა, ჩხუბი
Find	found	found-პოვნა, გატაცება
Fit	fit/fitted	fit/fitted-მოხდენა, მორგება, შეფერება
Flee	fled	fled-გაქცევა, თავის დაღწევა
Fling	flung	flung- გადაგდება
Fly	flew	flown-ფრენა
Forbear	forbore	forborne-თავის შეკავება
Forbid	forbade/forbad	forbiddenდავიწყება
Forecast	forecast/forecasted	forecast/forecasted-ამინდის ცნობა,
Forego	forewent	foregone-წინ გაძღოლა; უარის თქმა
Foreknow	foreknew	foreknown-განჭვრეტა, ცოდნა,
Foresee	foresaw	foreseen-წინასწარ ცოდნა
Foretell	foretold	foretold-წინასწარ თქმა
Forget	forgot	forgotten-დავიწყება
Forgive	forgave	forgiven-პატიება
Forsake	forsook	forsaken-მიტოვება ,თავის მინებება
Forswear	forswore	forsworn-ფიცის გატეხა, უარის თქმა
Fraught	fraught	fraught-შედეგიანი, სავსე, აღსავსე
Freeze	froze	frozen-დაყინვა, ყინვა
Frostbite	frostbit	frostbitten-მოყინვა. გულის აცრუება
Gainsay	gainsaid	gainsaid-შეკამათება, წინააღმდეგობა,უარყოფა
Get	got	got-მიღწევა, მიღება

Gild	gilded/gilt	gilded/gilt-მოვარაყება, მოოქროება
Give	gave	given-მიცემა
Gnaw	gnawed	gnawed-ღრღნა, ამოჭმევა(ჟანგისგან)
Go	went	gone-წასვლა, სიარული
Grind	ground	ground-დაფქვა,დაქუცმაცება
Grip	gripped/grip	gripped/gript-მიხვედრა,გაგება.მოჭერა
Grow	grew	grown-გაზრდა, მოყვანა
Hamstring	hamstrung	hamstrung-დასახიჩრება, მყესის მოჭრა
Hang	hung/hanged	hung/hanged-ჩამოხრჩობა, ჩამოკიდება
Hang	hanged/hung	hanged/hung-გაჩერება, გადადება
Have	had	had-ქონა, ყოლა
Hear	heard	heard-მოსმენა, გაგონება
Heave	heaved/hove	heaved/hove-ზიდვა, გადანაცვლება, აწევა
Hew	hewed	hewn/hewed-ჩეხა, პობა, გათლა
Hide	hid	hidden-დამალვა,დაფარვა
Hit	hit	hit- დარტყმა, ხელისკვრა
Hold	held	held-დაჭერა, თავის შეკავება
Hurt	hurt	hurt-ტკენა, დაშავება.
Inbreed	inbred	inbred-თანდაყოლილი ავადმყოფობა
Inlay	inlaid	inlaid-მოზაიკით ჩასმა, მოფენა
Input	input/inputted	nput/inputted-შენატანი, დანამატი
Inset	inset	inset-ჩამატება. ჩაკერება
Interbreed	interbred	interbred-შეჯვარება (ცხოველთა)
Keep	kept	kept-შენახვა,სიტყვის არგატეხა
Kneel	knelt/kneeled	knelt/kneeled-დაჩოქება
Knit	knit/knitted	knit/knitted-ქსოვა
Know	knew	known-ცოდნა
Lade	laded	laden/laded-დატვირთვა, ტვირთვა
Landslide	landslid	landslid-დამეწყვრა'აზრის ცვლილება
Lay	laid	laid-დაწყობა,სუფრის გაშლა
Lead	led	led-გაძღოლა, წაყვანა
Lean	leant/leaned	leant/leaned-დახრა, დაღუნვა

Leap	leapt/leaped	leapt/leaped-ხტუნვა
Learn	learnt/learned	learnt/learned -სწავლა, შესწავლა
Leave	left	left-დატოვება, გამგზავრება
Lend	lent	lent-სესხება, სესხის მიცემა
Let	let	let-ნების დართვა
Lie	lay	lain-წოლა, განსვენება
Light	lit	lit-დაშვება, ჩამოსვლა, ჩამოშვება
Lose	lost	lost-დაკარგვა,წართმევა,
Make	made	made-გამოშვება, წარმოება
May	might	(---)ნებართვის ქონა, შეძლება
Mean	meant	meantმნიშვნელობა, გულისხმობა
Meet	met	met-შეხვედრა
Melt	melted	molten/melted-ლღვობა, დნობა
Misdeal	misdealt	misdealt-უწილო ,საქმის არქონა
Mishear	misheard	misheardარასწორად მოსმენა
Mislay	mislaid	mislaid-დაკარგვა ,გადაკარგვა
Mislead	misled	misled-შეცდომაში შეყვანა
Misread	misread	misread-არასწორად ახსნა-კითხვა
Misspell	misspelled/misspelt	misspelled/misspelt-შეცდომით წერა
Misspend	misspent	misspent-ფუჭი დროის ხარჯვა
Mistake	mistook	mistaken-შეცდომა, ცდომილება
Misunderstand	misunderstood	misunderstood-გაუგებრობა
Mow	mowed	mown-ტიბვა, ცელვა, მოთიბვა
Offset	offset	offset-ანაზღაურება, კონპენსირება
Outbid	outbid	outbid- მაღალი ფასის დაწესება
Outbreed	outbred	outbred-გაუვრცელობა
Outdo	outdid	outdone-დაძლევა, გადაჭარბება
Outdrive	outdrove	outriven-გასწრება
Outfly	outflew	outflown-ფულის ხარჯვა,
Outgrow	utgrew	outgrown-ზრდაში გასწრება,
Outlay	outlaid	outlaid-ფულის დახარჯვა
Output	output/outputted	output/outputted-გამოშვება,

Outride	outrode	outridden- გასწრება , გაძლება
Outrun	utran	outrun-გაქცევა, გასწრება
Outsell	outsold	outsold - ღალატი თვალის ახვევ
Outshine	utshined/outshone	outshine/outshoneდაჩრდილვა,
Outsit	outsat	outsat-სხვისხარჯზე ცხოვრება
Outwear	utwore	utworn-გამოფიტვა,გაცვეთვა
Overbear	overbore	overborne/overborn-დაძლევა,
Overbid	verbid	verbid
Overbuy	overbought	overbought-შესყიდვა, გამოსყიდვა
Overcast	overcast	overcast-მოღრუბლული
Overcome	overcame	overcome-შეპყრობა,მორევა
Overdo	overdid	overdone-გადამეტება
Overdraw	overdrew	verdrawn-უტრირება,
Overeat	overate	overeaten-დანაყრება,
Overfeed	overfed	overfed-დანაყრება, გატყვრომა
Overhang	overhung	overhung-გადმოკიდება, ჩაწოლა
Overhear	overeheard	overheard-მიყურადება,მიყურება
Overlay	overlaid	overlaid-შეღებვა
Overleap	overleaped/overleapet	overleaped/overleapt-გადახტომა
Overlie	overlay	overlain-რაიმეზე წოლა
Overpay	overpaid	overpaid-ზედმეტის გადახდა
Override	overrode	overridden-გადათელვა, გადავლა
Overrun	overran	overrun-საზრვრის გადალახვა
Oversee	oversaw	overseen-მეთვალყურეობა
Overset	overset	overset-დარღვევა , მოშლა
Overshoot	overshot	overshot-შორსწასვლა, აცდენა
Oversleep	overslept	overslept-ძილისგაბმა. დაძინება
Overspend	overspent	overspent-დროის მეტად ხარჯვა
Overspiil	overspilled/overspilt	overspilled/overspiltვარდნა,გდება
Oversplead	overspread	verspread-დაფარება, მოფანტვა
Overtake	overtook	overtaken-წამოწევა, დაწევა
Overthrow	overthrew	overthrown-ჩამოგდება, დამხობა

Overwear	overwore	overworn-ჩაცმა-დახურვა
Overwrite	overwrote	owerwritten-წარწერა , მიწერა
Partake	partook	partook-დაგემოვნება,
Pay	paid	paid-ანაზღაურება, გადახდა
Pen	pent/penned	pent/penned-შენახვა, შერეკვა
Plead	pleaded/plead	pleaded/pled-შუამდგომლობა
Prepay	prepaid	prepaid-წინასწარ გადახდა
Presell	presold	presold-დამარცვლა განმეორები
Preset	preset	preset-წარდგენა, გადაცემა
Proofread	proofread	proofread-კორექტირება
Prove	proved	proven/proved-დამტკიცება, აღმოჩენა
Put	put	put-დადება, დაწყობა
Quit	quit	quit-სამსახურიდან წასვლა
Read	read	read-კითხვა
Rebind	rebound	rebound-აკინძვა. ყდაში ჩასმა
Rebuild	rebuilt	rebuilt-რესტარვაცია,ხელახლაშენება
Recast	recast	recast-გადადნობა,ხელახლაჩამოსხმა
Redeal	redealt	redealt-გარიგება,განაწილება
Redraw	redrew	redraw-კენჭისყრა,
Reeve	reeved/rove	reeved/rove-შესაბამობა,მომზადება
Refit	refit/refitted	refit/refitted-ვარგისი
Regrow	egrew	regrown-გამოყვანა,შეზრდა
Rehear	reheard	eheard-განმტკიცება,განმეორება
Relay	relaid	relaid-რადიოგადაცემა,ტრანსლაცია
Relearn	elearned/relearnt	relearned/relearnt-შესწავლა,ზეპირად
Relight	relit/relighted	relit/relighted-გამოვლენა,სააშკარო
Remake	remade	remade-მოწესრიგება,მოწყობა
Rend	rent/rended	rent/rendedგაპობა,ჩეხვა
Repay	repaid	repaid-მიზღვევა,სესხის გადახდა
Reread	reread	reread-გადაკითხვა
Rerun	reran	rerun-გადარბენა
Resell	resole	resold-ყიდვა-გაყიდვა.ვაჭრობა

Reset	reset	reset-საკითხის აღძვრა
Retake	retook	retaken-თავისთავზე აღება.
Rethink	ethought	rethought-გადაფიქრება,განსჯა
Rewind	rewound	rewound-ყბედობა,ლაქლაქი;ქოშინი
Rewrite	rewrote	rewrotten-გადაწერა, ჩაწერა
Rid	rid/ridden	rid/ridden-გადარჩენა, დაღწევა
Ride	rode	riddenჭენება, ცურვა-ლივლივი
Ring	rang	rung-რეკვა,ჟღარუნი,წკრიალი
Rise	rose	riven/rived-მზის ამოსვლა,ფეხზედგომა
Rive	rived	riven-დაპობა, გახლეჩა
Roughcast	roughcast	roughcast-შელესვა; გეგმის მოხაზვა
Run	ran	run-გარბენა
Saw	sawed	sawen/sawed-ხერხვა,გადახერხვა
Say	said	said-თქმა
See	saw	seen-ხედვა, ნახვა
Seek	sought	sought-ძებნა ,ჩხრეკა
Sell	sold	sold-გაყიდვა;გაცემა,ღალატი
Send	sent	sent-გაგზავნა
Set	set	set-დადება,მოთავსება,მზისჩასვლა
Sew	sewed	sewen /sewn-კერვა,მიკერება
Shake	shook	shaken-რხევა,რყევა,კანკალი
Shall	should	-------მტკიცე რწმენა,განზრახვა
Shave	shaved	shaven/shaved-პარსვა,გაპარსვა
Shear	shore/sheared	shorn/sheared-განაწილება,წილის ქონა
Shed	shed	shed-დაღვრა ხმის გამოცემა
Shine	shone	shone-ცხუნება,კაშკაში,ნათება
Shoe	shod	shod-დაჭედვა; ფეხზ ეჩაცმა
Shoot	shot	shot-ბურთის დარტყმა,სროლა
Show	showed	shown-ჩვენება,წარდგენა
Shred	shred/shredded	shred/shredded-დაქუცმაცება,დახევა.
Shrink	shrank	shrunk-ქსოვილისშესვლა,შედგომა
Shrive	shrive/shrove	shriven-აღსარების თქმა,მონანიება

Shut	shut	shut-მოკეტვა,მოხურვა
Sing	sang	sung-გალობა,მღერა
Sink	sank	sunk-ჩაძირვა,დახრჩობა
Sit	sat	sat-ჯდომა
Slay	slew	slain-კვლა, მოკვლა
Slay	slew/slayed	slain/slayed-ცემა, ნაჭრებად გაჭრა
Sleep	slept	slept-ძილი
Slide	slid	slid/slidden-დაცურება, ციგურაობა
Sling	slung	slung-სროლა, გატყორცნა
Slink	slunk	slunkმიპარვა, ფეხაკრეფით მისვლა
Slit	slit	slit-გაკვეთა, სიგრძეზე გაჭრა
Smell	smelt/smelled	smelt/smelled-ყნოსვა
Smite	smote	smitten/smote-განგმირვა,მოკვლა
Sneak	sneaked/snuck	sneaked/snuck-დაბეზღება,დასმენა
Soothsay	sootsaid	soothsaid-ჭეშმარიტება, სიმართლის თქმა
Sow	sowed	sown-დათესვა; ხმის გავრცელება
Speak	spoke	spoken-ლაპარაკი
Speed	sped/speeded	sped/speeded- აჩქარება, წინსვლა
Spell	spelt/spelled	spelt/spelled-დამარცვლა
Spend	spent	spent-დროის ტარება/გაფლანგვა
Spill	spilt/spilled	spilt/spilled-გაპობა, გახლეჩვა, დაშლა
Spin	span/spun	spun-დაგრეხვა, რთვა, ქსელის გაბმა
Spit	spat/spit	spat/spit-ფურთხვა, შამფურზე წამოცმა
Split	split	split-გაყოფა, გახლევა
Spoil	spoilt/spoiled	spoilt/spoiled-გაფუჭება, წახდენა, გაძარცვა
Spread	spread	spread-გავრცელება,მომრავლება
Spring	sprang	sprung-აღმოცენება, გაღვივება, მივარდნა
Stand	stood	stood-დგომა
Stave	staved/stove	staved/stove-შემთვრევა; თავიდან აცილება
Steal	stole	stolen-ქურდობა;,გაპარვა
Stick	stuckl	stuck-ჩასობა, ჩარჭობა
Sting	stung	stung-კბენა,დასუსხვა.

Stink	stank	stunk-აყროლება,დამყაყება
Strew	strewed	strewn/strewed-მოყრა, მობნევა, მოშხეფება
Stride	strode	stridden-გადაბიჯება
Strike	struck	struck/stricken-გაფიცვა,დაკვესება-ანთება.
String	strung	strung-გამონასკვა, შეკვრა, დაჭიმვა
Strip	stript/stripped	stript/stripped-აგლეჯვა, გატყავება, განიარაღება
Strive	strove	striven-მცდელობა,ცდა
Sunburn	sunburnt/sunburned	sunburnt/sunburned-მზისზაგარი,წვა
Swear	swore	sworn-დაფიცება
Sweat	sweat/sweat	sweat/swealed-გაოფლიანება, დაორთქვლა
Sweep	swept/sweep	swept/sweeped-დაგვა,გასუფთავება
Swell	swelled	swollen-შეშუპება,გასიება
Swim	swam	swum-ცურვა
Swing	swung	swung-რწევა,რხევალივლივი
Take	took	taken-აღება, ტარება, ხელში ჩაგდება
Teach	taught	taught-სწავლა.რჩევა-დარიგება
Tear	tore	torn-არევა,მორევა.დახევა
Telecast	telecast	telecast-გადაცემა
Tell	told	told-თქმა,თხრობა,მოყოლა
Think	thought	thought-ფიქრი, აზროვნება
Thrive	throve/thrived	thriven/thrived-წარმატების მიღწევა
Throw	threw	throw-გადაგდება, გადატყორცნა
Thrust	thrust	thrust-ხელისკვრა, ზუსტიდარტყმა
Tread	trod	trodden-ნაბიჯითსვლა; ღვინისგაწურვა
Typecast	typecast	typecast- გადაცემის ჩაწერა
Upbend	upbent	upbent-წელში გამართვა
Unbind	unbound	unbound-გახსნა, თმისგაშლა
Underbid	underbid	underbid-ფასების დაკლება
Undercut	undercut	undercut-ძირში მოჭრა, ფასდაკლება
Undergo	underwent	undergone-განცდა, გადატანა, გამოვლენა
Underlay	underlaid	underlaid-ზომისშედგომა, გამაგრება
Underlie	underlay	underlain-ქვეშყოფნა, საფუძვლადქონა

Underrun	underran	underran-გადარბენა
Undersell	undersold	undersold-ფასდაკლება,დაბალფასად
Undershoot	undershot	undershot-დარტყმისქვეშ,
Understand	understood	understood-გაგება,მიხვედრა
Undertake	undertook	undertaken-ხელისმოკიდება, წამოწყება
Underwrite	underwrote	underwritten-დაზღვევა, ხელმოწერა
Undo	undid	undone-გახსნა,ანულირება
Unfreeze	unfroze	unfrozen-გაუყინავ.
Unsay	unsaid	unsaid-გაუტეხლობა,უარისთქმა
Unwind	unwound	unwound-ხლართის გახსნა-დაძლევა
Uphold	unheld	unheld-დახმარების გაწევა
Upset	upset	upset-გადაყირავება,გულისტკენა
Vex	vex/vexed	vex/vexed-გაჯავრება, გაღიზიანება
Wake	woke	woken-გაღვიძება
Waylay	waylaid	wayla-ჩასაფრება,დადარაჯება
Wear	wore	worn-ჩაცმა, ტარება
Weave	wove	woven-ქსოვა, დაწვნა
Wed	wed	wed-დაოჯახება, გათხოვება,
Weep	wept	wept-ქვითინი,გოდება
Wend	went/wended	went/wended-დახმარება, გზაზედაყენება
Wet	wet	wet-დასველება
Whet	wetted	wretted-გალესვა, მადისაღძრვა
Win	won	won-მოგება, დაპყრობა
Wind	wound	wound-მობრუნება, ქოშინის გამოწვევა
Withdraw	withdrew	withdrawn-დაშორება, უკანდახევა
Withhold	withheld	withheld-თავისშეკავება,უარისთქმა
Withstand	withstood	withstood-გაძლება, დაპირისპირება
Wring	wrung	wrung-გამოწურვა, გამოძალვა, დაგრეხა
Write	wrote	written-წერა
Zinc	zinced/zinc	zinced/zinc--მოთუთიება

სინტაქსი

სინტაქსი შეისწავლის წინადადების აგებულებას და წინადადების წევრებს შორის არსებული დამოკიდებულების ხასიათს.

წინადადების წევრებია: - ქვემდებარე; შემასმენელი; დამატება; განსაზღვრება და გარემოება. აქედან, ქვემდებარე და შემასმენელი, წინადადების მთავარი წევრებია, ხოლო დამატება, განსაზღვრება და გარემოება, მეორე ხარისხოვანი წევრები.

ქვემდებარეს და შემასმენელს - მთავარ წევრები იმიტომ ეწოდებათ, რომ ისინი ყოველი წინადადების აუცილებელი წევრები არიან. ყოველი წინადადება უთუოდ უნდა შეესაბამებოდეს, შეიცავდეს როგორც ქვემდებარეს, ისე შემასმენელს, (მცირე გამონაკლისის გარდა).

განვიხილოთ წინადადების წევრები:

ქვემდებარე - THE SUBJECT

ქვემდებარე წინადადების ის წევრია, როელიც შემასმენლით გამოხატულ მოქმედებას ასრულებს, ან განიცდის მას. ქვემდებარეს მიეწერება აგრეთვე შემასმენელით გადმოცემული თვისება:

-Gabrieli visited his friends - გაბრიელიმ ინახულა თავისი მეგობრები

-Gabrieli was visited by his friends გაბრიელი ინახულეს მეგობრებმა

-Gabrieli is a cleaver boy- გაბრიელი ჭკვიანი ბიჭია.

ქვემდებარის ფუნქციით წინადადებაში გვხვდება შემდეგი მეტყველების ნაწილები და კონსტრუქციები:

1) .არსებითი სახელი:

The lift is out of order -ლიფტი არ მუშაობს.

A new film ison at the “Amirani” cinema. „ამირანში“ ახალი ფილმი გადის.

My watch is ten minutes slow (fast)---ჩემი საათი ათი წუთით უკან არის (წინაა).

2).პირის ნაცვალახელი:

They live in a three- room flat.---ისინი სამოთახიან ბინაში ცხოვრობენ.

He prepares everything himself. ის ყველაფერს თვითონ ამზადებს.

He gave me a pen as a present- მან კალმისტარი მაჩუქა.

He has a lot to do - მას ბევრი საქმე აქვს.

ბოლო სამი წინადადება საინტერესოა იმ მხრივ, რომ ნაცვალსახელს - he - ქართულში შეესაბამება სამი ფორმა - ის, მან, მას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ქართულში ქვემდებარის ბრუნვებია - ის; მოთხრბითის - მან; მიცემითი - მას; ხოლო ინგლისურში - ქვემდებარის ბრუნვა - he.

3) განუსაზღვრელი ნაცვალსახელი:

Everythingis ready - ყველაფერი მზადაა.

Someone is coming - ვიღაცა მოდის.

Somebody told her about it - ვიღაცამ უთხრა მას ამის შესახებ.

4) ჩვენებთი ნაცვალსახელი:

That is very difficult questions - ეს ძალიან ძნელი საკითხია.

This is too much- ეს კი მეტისმეტია.

5) კითხვითი ნაცვალსახელი:

Who is calling? -ვინ ლაპარაკობს?

What is your profession? - რა პროფესიისა ხართ?

6) რიცხვითი სახელი:

One of the them must be here -ერთ -ერთიმათგანი აქ უნდა იყოს.

Ten is five time as much as two -ათი ხუთჯერ მეტია ორზე.

7) გაარსებითებული ზედსრთავი სახელი:

ზოგჯერ ზედსართავი სახელი იძენს არებითი სახელის თვისებებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მას დაერთვის განსაზღვრული არტიკლი და იგი ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას, ასეთ ზედართავს ეწოდება გაარსებითებული ზედსართავი სახელი. იგი იხმარება, ზოგადი მნიშვნელობით და აღინიშნავს ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას. მას შემსასმენელი შეეწყობა მრავლობით რიცხვში:

The poor live in this part of the city -ქალაქის ამ ნაწილში ღარიბები ცხოვრობენ.

The young like modern music- ახალგაზრდებს უყვართ თანამედროვე მუსიკა.

8) ინფინიტივი ან ინფინიტური კონსტრუქცია:

To walk in the forest is very nice. - ტყეში სიარული ძალიან სასიამოვნოა.

To translate from Georgian in to English is more difficult than vice versa from English into Georgian- ქართულიდან ინგლისურად გადათარგმნა უფრო ძნელია, ვიდრე პირიქით, ინლისურიდან ქართულად.

To go there means to stay there forever.- იქ წასვლა ნიშნავს, სამუდამოდ იქ დარჩენას.

9) ინფინიტური აბსოლიტური კონსტრუქცია:

ასეთი ტიპის ქვემდებარე შედგება არსებითი სახელისგან საერთო ბრუვაში (ან ნაცვალსახელისაგან) ქვემდებარის ბრუნვაში და ინფინიტივისაგან. ნაცვალსხელის ბრუნვის მხედვით ასეთ ქვემდებარეს უწოდებენ - The subjective with the infinitive- ინფინიტივიან ქვემდებარეს.

He is known to be the best studentin the group.- ცნობილია, რომ ის ჯგუფში საუკეთესო სტუდენტია.

ქვემდებარეა he - to be the best student, რომელსაც შემასმენლობას უწევს is known. ქვემდებარის კომპონენტებს შორის ისეთივე ურთიერთობაა, როგორიც ქვემდებარესა და შემასმენელს შორის. კერძოდ, ნაცვალსახელი აღნიშნავს პირს, რომელიც ინფინიტივით გამოხატულ მოქმედებას ასრულებს. ამიტომ, ეს კონსტრუქცია არის აბსოლუტური;

Gabrieli is said to have arrived -ამბობენ, გაბრიელი ჩამოვიდა

ამ წინადადებაში ქვემდებარეა Bob to have arrived. შემასმენელი is said ე.ი. ამ წინადადებაში მხოლოდ ორი წევრია- ქვემდებარე და შემასმენელი, ქვემდებარე წარმოადგენს აბსოლუტურ კონსტრუქციას, რადგან არსებითი სახელი Bob აღნიშნავს მოქმედ პირს, ხოლო პერფექტიული ინფიფნიტივი to have arried –მოქმედებას, რომელიც მან შეასრულა.

10). For წინდებულიანი ინფინიტური აბსოლუტური კონსტრუქცია:

For you to read English books is very useful - თქვენთვის ინგლისური წიგნების კითხვა ძალიან სასარგებლოა

For Bob's to translate this article is not difficult - ბობისთვის ამ სტატიის გადათარგმნა ძნელი არ არის.

ამ წინადადებაში ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს For წინდებულიანი არსებითი სახელი და ინფინიტივი; კონსტრუნქციები აბსოლუტურია - არსებითი სახელი (ან ნაცვალსახელი) აღნიშნავს მოქმედების შემსრულებელს, ხოლო ინფინიტივი - თვით მოქმედებას.

11) გერუნდივი ან გერუნდიული კონსტრუქცია:

Gardening is my hobby---მებაღეობა ჩემი ჰობია.

Reading English books is real pleasure for me - ინგლისური წიგნების კითხვა ჩემთვის ნამდვილად სიამოვნებაა.

12) გერუნდიული აბსოლუტური კონსტრუქცია:

ეს კონსტრუქცია შედგება ორი ძირითადი კომპონენტისაგან- არსებითი სახელისა(ან ნაცვალსახელისა) და გერუნდივისაგან. არსებითი სახელი, ჩვეულებრივ ნათესაობით ბრუნვაში დგას, ხოლო ნაცვალსახელი- კუთვნილებითია:

Our arriving in Batumi made Gabrieli very glad - ბათუმში ჩვენმა ჩასვლამ გაბრიელი ძალზედ გაახარა.

Ann's bring right is clear to everybody - ყველასათვის ნათელია, რომ ანა მართალია.

როგორც ვხედავთ, პირველი წინადადების ქვემდებარეა Our arriving, ხოლო მეორესი Ann's bring right ამ კონსტრუქციების სახელადი ნაწილი აღნიშნავს პირს, რომელიც ზმნური ნაწილით აღნიშნული მოქმედებას ასრულებს. ასეთი გერუნდიული კონსტრუქცია წარმოადგენს ერთ მთლიან სინტაქსურ ერთეულს, რომელიც ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას.

13. ემფატური - it

It was he who came to me first- სწორედ ის მოვიდა ჩემთან პირველი.

It was in this street that I saw her yesterday - სწორედ ამ ქუჩაზე ვნახე ის გუშინ.

ემფატური-- it , რომელიც დგას პირველ ადგილზე და ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას, აძლიერებს წინადადების რომელიმე წევრის მნიშვნელობას. პირველ წინადადებაში იგი აძლიერებს შემსამენლის სახელადი ნაწილის(he) ფუნქციას, ხოლო მეორეში, ადგილის გარემოების ფუნქციას (is this street) მისი მნიშვნელობა ქართულად გადმოიცემა სიტყვით - სწორედ.

14. შემყვანი - it

თანამედროვე ინგლისურში ფართოდაა გამოყენებული კონსტრუქციები, რომელშიც ნაცვალსახელი it ასრულებს ფორმალურ ქვემდებარის ფუნქციას. მას თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, წინადადებაში პირველ ადგილზე დგას

და გამოყენებულია რეალური ქვემდებარის ნაცვლად, რომელიც შემასმენელს მოსდევს:

It is easy to go there- იქ წასვლა ადვილია.

It is not difficult to speak English. - ინგლისურად ლაპარაკი ძნელი არ არის.

ამ წინადადებაში ფორმალური ქვემდებარეა it, ხოლო რეალური ქვემდებარე პირველ წინადადებაში არის to go, მეორეში to speak English. ე.ი. პირველ წინადადებაში It ნიშნავს to go, ხოლო მეორეში to speak English და ასე ყოველ წინადადებაში იგი იძენს იმ სიტყვის მნიშვნლეობას, რომელსაც სცვლის. ასეთ წინადადებებში ნაცვალსახელს it ეწოდება შემყვანი it (the anticipatory it).

15) უპირობო-- it:

უპირობო it არ აღნიშნავს რომელიმე პირს ან საგანას. იგი საზოგადოდ არაფერს არ აღნიშნავს და მხოლოდ ფორმალურად ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას, წინადადებები, რომლებშიც უპირო it ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას, გამოხატავენ ბუნების მოვლენებს, მანძილს, დროს და ა.შ.

It is cold - ცივა.

It is hot -ცხელა.

It is raining -წვიმს

It is one kilometer to the Rustaveli square. -რუსთაველის მოედნამდე ერთი კილომეტრია.

It is exactly 9 o'clock - ზუსტად, 9 საათია.

უპირო It - ს შეიძლება მოსდევდეს to be -ს ing -იანი მიმღეობა.

It being time to start, everybody was in a hurry - რადგან სწავლის დრო იყო, ყველა ჩქარობდა

It early morning, there was nobody in the street. - რადგან ადრიანი დილა იყო, ქუჩაში არავინ ჩანდა.

ამ წინადადებაში უპირობო It - ის შემცვლელი კონსტრუქცია (it being time to tart, it being early morning) გამოხატავს მიზეზს, რომელმაც განაპირობა შემასმენლით გამოხატული მოქმედების შესრულება, იგი გამოიყოფა მძიმით.

16) ქვემდებარის დამოკიდებული წინადადებები:

რასაც თქვენ ამბობთ, არ შეიძლება სწორი იყოს -What you say can't be true.

მნიშვნელობა არ აქვს, თუ სად მიდის ის - Where he goes makes no difference.

მოყვანილი მაგალითებში ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს წინადადებები - what you say და where he goes მიუხედავად, იმისა, რომ ამ წინადადებებში არის ორივე მთავარი წევრი - ქვემდებარე და შემასმენელი - ისინი მაინც არ გადმოსცემენ დასრულებულ აზრს. ჯერ ერთი იმის გამო, რომ მათში არის მაკავშირებელი სიტყვები what და where და კიდევ იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ უფრო რთულ სინტაქსური ერთეულის - რთული ქვეწყობილი წინადადების - ქვემდებარეს. მხოლოდ ამ რთული ქვეწყობილი წინადადების შემასმენელთან ერთად ღებულობს აზრი დასრულებულ ხასიათს. ასეთ შემხვევაში ქვემდებარე გამოხატულია დამოკიდებული წინადადებით, რომელსაც თავისი ფუნქციის მიხედვით ეწოდება ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება.

ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურში ქვემდებარე წინადადების აუცილებელი წევრია. (გარდა უმნიშვნელო გამონაკლისისა) ქართულში კი იგი წინადადებაში შეიძლება არც კი იყოს წარმოდგენილი, რადგან ზმნის სუბიექტური პირის კატეგორია თავისთავად გამოხატავს, თუ ვინ ასრულებს მოქმედებას. ეს განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ინგლისურ წინადადებაში ქვემდებარე გამოხატულია ნაცვალსახელით:

I wrote a letter.- წერილი დავწერე.

როგორც ვხედავთ, ქართულ წინადადებაში ქვემდებარე არ არის, რადგან ზმნის პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ-ნათლად მიუთითებს, რომ მოქმედება მე შევასრულე. ამ მხრივ საინტერესოა კიდევ შემდეგი წინადადებები:

I am cold.- მცივა(მე).

We go to the Institute -ინსტიტუტში მივდივართ (ჩვენ)

Are you ill? - ავადა ხარ? (შენ)

We are late - დაგვაგვიანდა (ჩვენ)

როდესაც ინგლისურად ვთარგმნით ისეთ ქართულ წინადადებებს, რომლებიც არ შეიცავენ ქვემდებარეს, როგორიცაა მაგალითად -„მცივა"; „ინსტიტუტში მივდივარ"; „ავადა ხარ?"; „დაგვაგვიანდა" და ა.შ. საჭიროა, მოვძებნოთ მოქმედების შემსრულებელი და იგი ქვემდებარის საშუალებით გამოვხატოთ. ინგლისურ ენაში, ქართულისგან განსხვავებით, ქვემდებრისათვის დამახასიათებელია ფიქსირებული პოზიცია - მტკიცებითი ფორმის წინადადებაში, ქვემდებარე თავისი მსაზღვრელი სიტყვებითურთ, ჩვეულებრივ, პირველ ადგილზე დგას, შემასმენლის წინ. ქვემდებარის გადატანა შემასმენლის შემდეგ დაკავშირებულია რაიმე აზრობრივი ნიუანსის გადმოცემასთან ან გრამატიკული ფორმის წარმოებასთან.

შემასმენელი -

THE PREDICATE

შემასმენელი არის წინადადების ის წევრი, რომელიც გამოხატავს საგნის მოქმედებას ან მდგომარეობას. გვიჩვენებს თუ რა არის იგი, ან როგორია იგი და ა.შ.

შემასმენელი ორი ძირითადი სახის არსებობს: მარტივი The Simple Predicate და შედგენილი Compound Predicate

მარტივი შემასმენელი THE SIMPLE PREDICATE

მარტივი შემასმენელი გადმოცემულია ზმნის შემასმენლური ფორმით ნებისმიერ დროში, გვარსა და კილოში. ვინაიდან ზმნის დროის, გვარისა და კილოს გრამატიკული კატეგორიები იწარმოება დამხმარე ზმნების საშუალებით, მარტივი შემასმენ-ლის შემადგენლობაში, შეიძლება შედიოდეს ერთი, ორი, სამი ან ოთხი ზმნაც კი. მაგალითად:

I speak -შემასმენელი დგას Present Indefinite-ში.

I am speaking - შემასმენელი Present Continuous -შია

I have been speaking ** -Present Perfect Continuous - შია.

ამ წინადადებაში speak, am speaking , have been speaking, - I shall have been speaking ყველა მარტივ შემასმენელს წაროადგენს. რამდენი ზმნისგანაც არ უნდა შედგებოდეს მარტივი შემასმენე-ლი, ლექსიკური მნიშვნელობა მხოლოდ ბოლო ზმნას აქვს. დანარჩენი კი დამხმარე ზმნებია, რომლებიც სხვადასხვა გრამა-ტიკულ მნიშვნელობას გადმოსცემენ. კერძოდ, შემასმენელში am speaking დამხმარე ზმნა to be ემსახურება Present Continuous -ის წარმოებას. შემასმენელში have been speaking – to have აწარმოებს აწმყო რთულ დროს. To bee გამოყენებულია განგრძობითი დროის საწარმოებლად და ამგვარად, მიიღება აწმყო სრული განგრძობითი Present Perfect Continuous. შემასმენელში shall have been speaking – shall აწარმოებს მომავალ დროს. to have სრულ დროს, ხოლო to be - განგრძობითს და ასეე ვღებულობთ მომავალ სრულ განგრძობით დროს - Future Perfect Continuous -ს. როგორც აღვნიშნეთ, მარტივი შემასმენელი რამდენი ზმნის-განაც არ უნდა შედგებოდეს, მხოლოდ ბოლო ზმნას გააჩნია ლექსიკური მნიშვნელობა, დანარჩენი ზმნები კი დამხმარე ზმნებია, ამიტომ shall have been spaking არის მარტივი შემას-მენელი, რომელიც გამოხატულია to speak ზმნის Future Perfect Continuous -ით.

შედგენილი შემასმენელი -
THE COMPOUND PREDICATE

შედგენილი შემასმენელი - სამი სახის არსებობს: შედგენილი სახელადი, შედგენილი ზმნური და შედგენილი ფრაზეოლოგიური.

შედენილი ზმნური შემასმენელი, თავის მხრივ, შემდეგი ტიპისა შეიძლება იყოს: შედგენილი მოდალური, შედგენილი მოდალურ--სახელადი და შედგენილი სახელად--ზმნური.

შედგენილი სახელადი შემასმენელი - Compound Nominal Predicate - შედგება ორი ნაწილისაგან: ერთია მაერთი--copula, ხოლო მეორე--სახელადი ნაწილი--the predicative. Ex. I am ill -- ავად ვარ. ამ წინადადებაში შემასმენელია -am ill, სადაც –am მაერთია,ხოლო - ill კი სახელადი ნაწილი, გამოხატული ზედსართავით. სახელად ნაწილს შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ს ა ც უწოდებენ.

მაერთი ანუ შემასმენლის ზმნური ნაწილი ამ წინადადებაში გამოხატულია ზმნით am რომელიც გადმოსცემს, ყველა საჭირო გრამატიკულ კატეგორიას- -დროს, პირს, რიცხვს, კილოს, გვარს. კერძოდ მაერთი - am -შეიძლება შემდეგნაირად დავახასიათოთ. იგი დგას Present Simple ის პირველ პირში, მხოლობით რიცხვში, თხრობით კილოში, მოქმედებით გვარში მაერთი შემასმენლის ცვალებადი ნაწილია. იგი შეიძლება შეიცვალოს პირის, რიცხვის, დროისა და გვარის მიხედვით, ხოლო სახელადი ნაწილი კი შემასმენლისს უცვლელი ნაწილია:

I am ill-- ავად ვარ.

I was ill --ავად ვიყავი.

I shall be ill--ავად გავხდები.

მაერთს ნაწილობრივ დაკარგული აქვს ლექიკური მნიშვნელობა, ხოლო შედგენილი სახელადი შემასმენლის სემანტიკურ ცენტრს, მისი სახელადი ნაწილი წარმოადგენს.

ყველაზე ფართოდ მაერთის პუნქციით გამოყენებულია ზმნა - to be. ამავე პუნქციას ასრულებს აგრეთვე შემდეგი ზმნები: to get, to be come, to grow, to remain, to keep, to turn, togo,so on and so on.

How tall Gabro has grown this year ---როგორ გაიზარდა წელს გაბრიელი.

How get tired.---დავიღალე.

პირველ წინადადებაში შემასმენელია -has grown tall - მაერთია -has grown- სახელადი ნაწილი -tall. მეორე წინადადების მაერთია - got- სახელადი ნაწილი-tired.

შედგენილი სახელადი შემასმენლის სახელადი ნაწილის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს არსებითმა სახელმა, ზედ-სართავმა სახელმა, რიცხვითმა სახელმა, ნაცვალსახელმა, ე.ი. სახელის ჯგუფის სიტყვებმა, ამიტომ ეწოდება ამ ტიპის შემასმენელს შედგენილი სახელადი შემასმენელი:

Who is that man? (არსებითი სახელი) - ვინ არის ის კაცი?

They are English (ზედსართავი სახელი) - ისინი ინგლისელები არიან.

Twice two is four (რიცხვითი სახელი) - ორჯერ ორი ოთხია.

This book is not mine (ნაცვალსახელი) - ეს ჩემი წიგნი არაა.

სახელადი ნაწილის ფუნქციით გვხვდება, აგრეთვე, ინფინი-ტივი- for-წინდებულიანი ინფნიტიური კონსტრუქცია და გერუნდიული კონსტრუქცია:

The main thing is to speak English well.(ინფინიტივი) - მთავარია ინგლისურად კარგად ლაპარაკი.

The main thing is for him to pass the entrance exams well-(FOR წინდებულიანი ინფინიტიური კონსტრუქცია) ---მთავარია მან მისაღები გამოცდები კარგად ჩააბაროს.

The main thing is crossing the river (გერუნდიული კონსტრუქცია)- მთავარია ამ მდინარეზე გადასვლა.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ისეთი შედგენილი სახელადი შემასმენელი, რომლის მაერთის როლს ასრულებს - to be- აწმყო დროში, ასეთი შემასენლის ქართულად გადმოცემისას - to be -ხშირად იკარგება, ან იგი ბოლოკიდური - a-ს სახით არის წარმოდგენილი.

I am hot.- მცხელა.

These books are mine.- ეს ჩემი წიგნებია.

It is impossible.- ეს შეუძლებელია.

Is it GAbrieli your friend? - გაბრიელი შენი მეგობარია?

Whose book is it? - ეს ვისი წიგნია.

შედგენილ ზმნური შემასმენელი - Compound Verbal Predicate----როგორც აღვიშნეთ, შემდეგი ტიპისა შეიძლება იყოს: შედგენილ - მოდალური, შედგენილ - ასპექტური, შედგენილი მოდალურ- სახელადი და შედგენილი სახელად ზმნური.

შედგენილი მოდალური ზმნური შემასმენელი - Compound Modal Predicate - ორი კომპონენტისგან შედგება, ესენია: მოდალური ზმნა და ლექსიკური ზმნის ინფინიტივი. პირველი კომპონენტის მიხედვით, ამ ტიპის შემასმენელს ეწოდება - შედგენილი მოდალური შემასმენელი:

I can go with you - მე შემიძლია თქვენთან ერთად წამოსვლა.

We must solve this problem - ეს საკითხი უნდა გადავწყვიტოთ.

They may miss the train- იმათ შეიძლება მატარებელს ვერ მიუსწრონ.

ამავე ტიპს მიეკუთვნება აგრეთვე შემასმენელი, რომლის შემადგენლობაში შედის მოდალური ზმნების რომელიმე ექვივალენტი - to be ableto, to be allowed to, to have to, ან to be to და ლექსიკური ზმნის ინფინიტივი:

We had to stand in a long queue to get tickets for today's concert - რიგში მოგვიხდა ჩადგომა, რომ დღევანდელი კონცერტის ბილეთები აგვეღო.

I was not able to come to your place on Sunday---კვირას ვერ მოვახერხე შენთან მოსვლა.

შედგენილი მოდალური შემასმენელია აგრეთვე შემასმენელი, რომლის პირველი კომპონენტი, გამოხატული ზმნის შემასმენ-ლური ფორმით, გვიჩვენებს ქვემდებარის დამოკიდებულებას ინფინიტივით გადმოცემული მოქმედების მიმართ. კერძოდ, მას შეუძლია გამოხატოს მოქმედების შესრულების განზრახვა, თანხმობა, მცდელობა და ა. შ. მეორე კომპონენტია ინფინი-ტივიან გერუნდივი:

I want to tell you something - რაღაც მინდა გითხრა.

He intends to marry Ann - ის ანას ცოლად თხოვას აპირებს.

I hate to get up early - ძალიან არ მიყვარს დილით ადრე ადგომა.

She lives reading English books - მას უყვარს ინგლისური წიგნების კითხვა.

შედგენილი ასპექტური შემასმენელი - Compound Aspect Predicate

შედგენილი ასპექტური შემასმენელი ორი კომპონენტისგან შედგება ანუ ორი ზმნაა: to began, to speak.

He began to speak - მან ლაპარაკი დაიწყო.

ამ წინადადების შემასმანელია - began to speak. Began პირველი კომპონენტი გამოხატულია ზმნის შემასმენელური ფორმით - began იგი აღნიშნავს ყველა საჭირო გრამატიკულ კატეგორიას. მეორე კომპონენტი კი ინფინიტივით ან გერუნდით არის გამოხატული:

It is beginning to rain - წვიმა იწყება.

It began to snow - თოვა დაიწყო.

შედგენილი ასპექტური შემასმენლის პირველ კომპონენტად გვხვდება ისეთი ზმნები, რომლებიც მიუთითებენ მოქმედების დაწყებაზე, მის განგრძობაზე ან შეწყვეტაზე. ამიტომ ეწოდება ამ ტიპის შემასმენელს -ასპექტური. ასეთი ზმნებია:

She went on reading - ის განაგრძობდა კითხვას.

They stopped talking - მათ შწყვიტეს საუბარი.

The child ceased crying - ბავშვმა შეწყვიტა ტირილი.

I finished reading by 12 o'clock - თორმეტი საათისთვის დავამთავრე კითხვა.

შედგენილი სახელად - ზმნური შემასმენელი - Compound Verbal Nominal Predicate შედგება შემდეგი კომპონენტისაგან to be ზმნის, ზედსართავი სახელისა და ინფინიტივისაგან.

I am lazy to go there - მეზარება იქ წასვლა.

They were glad to see us - მათ გაუხარდათ ჩვენი ნახვა.

3) შედგენილი ფრაზოლოგიური შემასმენელი შედგება ძირითადი კომპონენტისაგან: ზმნის შემასმენლური ფორმისა და არსებითი სახელისაგან. ამ ტიპის შემასმენლის თავისებურებას, ის შეადგენს, რომ იგი ფრაზეოლოგიური ერთეულია, ანუ მისი საერთო მნიშვნელობა არ უდრის, მისი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს, არამედ ორივე კომპონენტი ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ წარმოქმნის ერთ ცნებას. ასეთებია:

To take attention with - ყურადღების მიქცევა.

To take part in - მონაწილეობის მიღება.

To take a walk - სეირნობა.

To make up with - გადაწყვეტა.

To make friends with - დამეგობრება.

He doesn't pay any attention to Ann - ის არავითარ ყურადღებას არ აქცევს ანას.

Let's take a walk - მოდი გავისეირნოთ.

Take care of yourself - თავს გაუფრთხილდით.

Do you have a cold? - გაცივებული ხართ?

შემასმენლის შეთანხმება ქვემდებარესთან CONCORD

ქვემდებარე წინადადების უმთავრესი წევრია. მას უთანხმდე-ბა შემასმენელი რიცხვში:

He is my friend - ის ჩემი მეგობარია.

They are my friends - ისინი ჩემი მეგობრები არიან.

He doesn't understand me - მას არ ესმის ჩემი.

They do not understand me - მათ არ ესმი ჩემი.

ზოგჯერ შემასმენლის შეთანხმება ქვემდებარესთან რიცხვში გარკვეული თავიებურებით ხასიათდება. გამოიყოფა შემდეგი ძირითადი შემთხვევები:

1) შერწყმულ წინდადებაში, რომელიც ორი ან მეტი ქვემდებარეა, შემასმენელი დგას მრავლობით რიცხვში.

Ann and Nick are going to the theatre in the evening. ანა და ნიკო საღამოს თეატრში მიდიან.

Do Nick's brother and sister study English? ნიკოს ძმა და და სწავლობენ ინგლისურს?

2) თუ წინადადებაში, რომელიც იწყება კონსტრუქციით: there is…(to be) რამდენიმე ქვემდებარეა და შემასმენელი უთანხმდება პირველს:

Thereis a table and four chair I the room - ოთახში მაგიდა დაოთხი სკამია

ამ წინადადებაში, მეორე ქვემდებარე წინ რომ გადმოვიტანოთ, შემასმენელი მრავლობით რიცხვში დადგება.

There are four chairs and a table in the room---ოთახში ოთხი სკამი და მაგიდაა.

ასევე წინადადებაში, რომელიც იწყება სიტყვა - here- შემასმენელი რიცხვში უთანხმდება პირველ ქვემდებარეს:

Here is your bag and your books - აი, შენი მაგიდა და წიგნები

ამ წინადადებაში books წინ რომ გადმოვიტანთ, შემასმენელი მრავლობითში დადგება:

There are your books and your bag - თქვენი წიგნები და ჩანთა.

3) როდესაც ქვემდებარე გამოხატულია კრებითი არსებითი სახელით, შემასმენელი შეიძლება იდგეს მხოლობითში ან მრავ-ლობითში. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იგულისხმება ამ არსებითი სახელით. მაგალითად, კრებითია არსებითი სახელი family-ოჯახი. თუ იგი ნახმარია ოჯახის როგორც ერთი მთლი-ანის მნიშვნელობით. შემასმენელი მხოლობით რიცხვში შეეწ-ყობა, ხოლო თუ ამ სიტყვაში იგულისხმება ოჯახის ყველა წევრი ცალ-ცალკე შემასმენელი მრავლობითში უნდა იდგეს:

My family lives in the country - ჩემი ოჯახი სოფელში ცხოვრობს.

Where were all your family yesterday? - სად იყვნენ თქვენი ოჯახის წევრები გუშინ?

4) კრებით არსებით სახელებს people, police, cattle--საქონელი, შემასმენელი შეეწყობა მრავლობით რიცხვში:

What are these people doing here? ---რას აკეთებს ეს ხალხი აქ?

The police were waiting for him at the door - მასკარებში პოლიციელები ელოდებოდნენ.

Whose are these cattle? - ვისი საქონელია?

5) შერწყმული წინადადებაში, რომელშიც ორი ქვემდებარეა და მეორე ქვემდებარე გამოხატულია ნაცვლსახელით- I - შემასმენელი მრავლობითი რიცხვით იხმარება:

Ann and I are students--- ანა და მე სტუდენტები ვართ.

My mother and I were ill last week --- დედა და მე ავად ვიყავით გასულ კვირას.

6) კითხვით წინადადებაში, რომელიც იწყება კითხვითი სიტყვით who შემასმენელი შეიძლება იდგეს მხოლობითში ან

მრავლობითში, იმის მიხედვით, თუ კითხვა დაესმის ქვემდე-ბარეს, შემასმენელი უმეტესად მხოლობითში დგას:

Who is calling? - ვინ ლაპარაკობს? (ტელეფონით)

Who wants to go there? - ვის უნდა იქ წასვლა.

ხოლო თუ კითხვა დაესმის შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს, მაერთი მას უთანხმდება რიცხვში:

Who is he? - დაესმის კითხვა წინადადებას,რომლის მაერთი მხოლობით რიცხვშია.

He is my friend.

Who are they? - დაესმის კითხვა წინადადებას, რომლის მაერთი მხოლობით რიცხვშია.

They are my friends.

7) როდესაც წინადადების ქვემდებარეა ემფატური it, მას შემასმენელი უთანხმდება მხოლობით რიცხვში, თუნდაც რეალური ქვემდებარე მრავლობითში იდგეს:

It was our students that helped me with the translation of this article - სწორედ ჩვენი სტუდენტები მომეშველენ ამ სტატიის გადათარგმნაში.

It is my parents that sent me some money - სწორედ ჩემმა მშობლებმა გამომიგზავნეს ფული.

8) როდესაც ქვემდებარე გამოხატულია ერთ-ერთი ისეთი ნაცვალსახელით, როგორიცაა everything, everybody, everyone. შემასმენელი დგას მხოლობით რიცხვში.

Everybody says so - ყველა ასე ამბობს .

Everything is O.K - ყველაფერი რიგზეა.

ქვემდებარისა და შემასმენელის რიცხვში შეთანხმების საკი-თხში ინგლისურისაგან განსხვავებით ქართულს ერთი თავისე-ბურება გააჩნია. ქვემდებარე, რომელსაც ახლავს განაზღვრება, გამოხატული სიტყვით many ან რიცხვითი სახელით, მხოლო-

ბით რიცხვში დგას და შემასმენელიც მას მხოლობითში შეეწ-ყობა:

ბევრმა სტუდენტმა კაარგად იცის ინგლისური.

ბევრი წიგნი დაიწერა საქართველოს შესახებ.

ორმა სტუდენტმა სრულებით არ იცის ინგლისური.

ინგლისურში კი, ქვემდებარე, რომელსაც განსაზღვრავს სიტყვა.

Many -ან რიცხვითი სახელი, აუცილებლად მრავლობით რიც-ხვში უნდა დადგეს და შემასმენელიც მას მრავლობითში უნდა შეეწყოს, იგივე წინადადებები ინგლისურად შემდეგნაირად იქნება:

Many students know English well.

Many books were written about Georgia.

Two students don't know English at all.

დამატება - OBJECT

დამატება არის წინადადების წევრი, რომელიც აღნიშნავს მოქმედებაში მონაწილე ყველაპირს, გარდა ქვემდებარისა. მოქმედებაში მონაწილეობის მიხედვით დამატება არის სამგვარი : პირდაპირი; ირიბი და უბრალო.

პირდაპირი დამატება - THE DIRECT OBJECT აღნიშნავს პირს ან აგანს, რომელიც უშუალოდ განიცდის მოქმედებას, ასეთი დამატება შეიძლება იყოს უწინდებულო ან წინდებულიანი. იგი გამოიხატება არსებითი სახელით, პირის ნაცვალსახეით, განუ-საზღვრელი ნაცვალსახელით, ინფინიტივით ან ინფინიტიური კონტრუქციით, გერუნდივით ან გერუნდიული კონსტრუ-ქციით:

1.არსებითი სახელი:

She made a report yesterday - გუშინ მან მოხსენება გაკეეთა.

I must buy woolen socks.- შალის წინდები უნდაა ვიყიდო.

He knows my address - მან იცის ჩემი მისამართი.

Look at this man - შეხედეთ ამ კაცს.

We sent for the doctor - ექიმი გამოვიძახეთ.

We 'll fight for peace - ჩვენ მშვიდობისთვის ვიბრძოლებთ.

2. პირის ნაცვალსახელი:

I saw him week ago- ერთი კვირის წინ ვნახე ის.

They know us very well - ისინი ჩვენ ძალიან კარგად გვიცნობენ.

Don't argue with me - ნუ მეკამათები.

I can't bear it.---ამას ვერ ავიტან.

3. განუსაზღვრელი ნაცვალსახელი

I saw somebody here - ვიღაცა დავინახე აქ.

Don't criticize everybody - ყველას ნუ აკრიტიკებ.

I'll tell you something - რაღაცას გეტყვი.

They remember everything very well - ყველაფერი ძალაინ კარგად ახსოვთ.

4. ინფინიტივი ან ინფინიტიური კონსტრუქცია

Ask Ann to wait - სთხოვეთ ანას, მოიცადოს

He offered to help- შემოგვთავაზა დახმარება

We asked Ann to ring you - ანას ვთხოვეთ შენთვის დაერეკა

She didn't know what to say- მან არ იცოდა რა ეთქვა

5.ინფინიტიური აბსოლოტური კონსტრუქცია:

ასეთი ტიპის დამატება შედგება არსებითი სახელისგან (ან ნაცვალსახელისგან) და იფინიტივისგან. არსებითი სახელი დგას საერთო ბრუნვაში, ხოლო ნაცვალსახელი დამატების ბრუნვაში. ნაცვალსახელის ბრუნვის მიხედვით ამ დამატებას ეწოდება - დამატების ბრუნვიანი ინფინიტიური დამატება - The Objective With The Infinitive. იგი ასრულებს პირდაპირი დამატების ფუნქციას:

I want them to come to us - მინდა რომ ისინი ჩვენთან მოვიდნენ.

ამ წინადადებაში შემასმენლის want დაერთვის დამატება them to come. როგორც ვხედავთ, იგი შედგება ნაცვალსახელისგან დამატების ბრუნვაში ინფინიტივისგან. ასეთი ტიპის დამტება გვხვდება ისეთი ზმნების შემდეგ, რომლებიც გამოხატავენ ვარაუდს, სურვილს. ასეთ კონსტრუქციას სამწვერიან კონსტრუ-ქციას უწოდებენ. მისი კომპონენტებია - ზმნის შემასმენელური ფორმა, არსებითი სახელი (ან ნაცვალსახელი) და ინფინიტივი, დამატების კომპონენტებს შორის ისეთივე დამოკიდებულება, როგორც ქვემდებარეს და შემასმენელს შორის, კერძოდ, არსებითი სახელი (ან ნაცვალსახელი) აღნიშნავს სუბიექტს, ხოლო ინფინიტივი გამოხატავს მოქმედებას, რომელსაც ეს სუბიექტი ასრულებს:

I want you to go to the doctor - მინდა, რომ (შენ) ექიმთან წახვიდე

Would you like me to visit you? - გინდა რომ გინახულო?

ამ ტიპის დამატების ფუნქციით გვხვდება არსებითი სახელი (ან ნაცვალსახელი)და ინფინიტივის ვნებითი გვარი ფორმა:

სტუდენტებს უნდოდათ, რომ მათი საკონტროლო ნამუშე-ვრები შეემოწმებინათ.

Everybody wished him to be gone - ყველას სურდა, რომ ის წასულიყო (წასული ყოფილიყო).

ზოგ შემთხვევაში, ინფინიტიური აბსოლუტური კონსტრუქ-ცია იხმარება -to- ნაწილაკის გარეშე. ეს ხდება მაშინ, როდესაც იგი დაერთვის ერთ - ერთ ისეთ ზმნას, რომელიც გამოხატავს ფიზიკურ აღქმას და შეგრძნებას - to hear, to see, to feel, to notice, to watch და ასე შემდეგ.

Did you see Ann go?---თქვენ დაინახეთ , რომ ანა წავიდა?

Do you hear her sing?---გესმით მისისიმღერა?

I'll let them stay here.---მე მათ უფლებას მივცემ, რომ აქ დარჩნენ.

Don't make me laugh - ნუ მაცინებ.

ინფინიტური აბსოლუტური კონსტრუქცია დაერთვის არა მხოლოდ ზმნის შემასმენელურ ფორმას, არამედ არაშემასმენლურსაც:

I wanted to watch him play football - მინდოდა, რომ მისი ფეხბურთის თამაშისთვის მეყურებინა.

დამტება -him play football- დაერთვის ინფინიტივს -to watch--

We were afraid of asking him to help us - გვეშინოდა, რომ მისთვის დახმარება გვეთხოვა.

დამატება -him to help us--დაერთვის გერუნდივს--asking-

6) For-წინდებულიანი ინფინიტიური აბსოლუტური კონსტრუქცია:

ასეთი დამატება შედგება for- დამატებული არსებითი სახელისა (ან ნაცვალსახელი) და ინფინიტივისაგან:

I'm waiting Ann to come - ანას მოსვლას ველოდები.

Do you care for me to stay here ?- გინდა, რომ აქ დავრჩე?

ამ კონსტრუქციებში არსებითი სახელი, (ან ნაცვალსახელი) აღნიშნავს სუბიექტს, ხოლო ინფინიტივი კი --მოქმედებას, რომელსაც იგი ასრულებს. ასეთი ტიპის -for- წინდებულიანი ინფინიტიურის კონსტრუქცია ასრულებს პირდაპირი დამტები ფუნქციას.

7) წინდებულიანი გერუნდიული აბსოლუტური კონსტრუქცია:

He gave up smoking - მან სიგარეტს თავი დაანება.

I remember telling him about it - მახსოვს რომ ამის შესახებ ვეუბნებოდი მას.

I forgot having seen you at the institute---დამავიწყდა რომ ინსტიტუტში გნახე.

8) წინდებულიანი გერუნდიული აბსოლიტური კონსტრუქცია:

ასეთი ტიპის დამატება წარმოადგენს გერუნდიულ კონსტრუქციას, რომელიც შედგება კომპონენტებისაგან წინდებული არსებითი სახელითა (ან ნაცვალსახელით) და გერუნდივით. არსებითი სახელი, ჩვეულებრივ ნათესაობით ბრუნვაში დგას, ხოლო ნაცვალსახელი კუთვნილებითია, როდესაც გერუნდიულ კონსტრუქციაში შემავალი არსებითი სახელი აღნიშნავს უსულო საგანს, იგი საერთო ბრუნვაში დგას, ნაცვალსახელი კი აქაც კუთვნილებითია:

What do you think of Gabrieli's coming from England? - რას ფიქრობთ გაბრიელის ინგლისიდან წამოსვლის შესახებ?

I'm against your going from the Institute - თქვენი ინსტიტუტიდან წასვლის წინააღმდეგი ვარ.

გერუნდიული კონსტრუქციის კომპონენტებს შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორც ქვემდებარესა და შემასმენელს შორის, კერძოდ, არსებითი სახელი (ან ნაცვალსახელი) აღნიშნავს სუბიექტს, ხოლო გერუნდივი- მოქმედებას, რომელსაც ეს სუბიექტი ასრულებს (Gabrieli's coming, you are going.)

სამივე ტიპის პირდაპირ დამატებას -- ინფინიტიურ აბსოლუტურ კონსტრუქციას,- for- წინდებულიან ინფინიტიურ კონსტრუქციას და წინდებულიან გერუნდიულ აბოლუტურ კონსტრუქციას აქვთ საერთო დამახასიათებელი ნიშნები, კერძოდ, მათი პირველი კომპონენტი არის გამოხატული არსებითი სახელით ან ნაცვალსახელით, მეორე კი - ზმნით. კონსტრუქციის პირველი კომპონენტი აღნიშნავს სუბიექტს, რომელიც კონსტრუქციის მეორე კომპონენტით გამოხატულ მოქმედებას ასრულებს. ამიტომ არიან ისინი აბსოლუტური კონსტრუქციები. როგორც აღვნიშნეთ, აბსოლუტური ეწოდება კონსტრუქციას თუ იგი შეიცავს ქვემდებარისა და შემასმენლის ფარდ

სიტყვებს, რომელიც არა არის მთლიანი წინადადების ქვემ-დებარე და შემასმენელი.

9) პირდაპირი დამატება, რომელიც დაერთვის -to have- და -to make- ზმნებს ---შედგება არსებითი სახელისა და -ed- სუფიქ-სიანი მიმღეობისაგან და გამოხატავს, რომ მოქმედება დამატე-ბაში აღნიშნული საგნის მიმართ შეასრულა არა ქვემდებარის მიერ გამოხატულმა პირმა, არამედ სხვამ. ეს არის მოქმედება, რომელიც შესრულებულ იქნა სუბიექტის სურვილის თანახმად, მაგრამ სხვა პირის მიერ;

I had my hair cut -თმა შევაჭრევინე.

Gabriel had his shoes repaired -მან ფეხსაცმელები შეაკეთებინა.

We had our photo taken- სურათი გადავიღეთ.

ამ წინადადებაში -ed- სუფიქსიანი მიმღეობა, წინ რომ გადმო-ვიტანოთ, შეიცვლება წინადადების სტრუქტურაც და მნიშვნელობაც:

I had cut my hair - თმა შევიჭერი.(მე თვითონ)

He had repaired his shoes - მან შეაკეთა თავისი ფეხსაცმელები (მან თვითონ).

We had taken our photo - ჩვენ სურათი გადავიღეთ (თვითონ)

სტრუქტურულად - ეს წინადადებები შემდეგი ხასიათის გახდება: we-ქვემდებარეა, -had taken- მარტივი შემასმენელი - our photo - პირდაპირი დამატება.

დანარჩენი წინადადებებიც ასეთივე სტრუქტურის იქნებიან. როგორც დავინახეთ, პირდაპირი დამატება, რომელიც დაერ-თვის -to have- ზმნას, შედგება არსებითი სახელისა (ჩვეულე-ბრივ უსულო) და ზმნის -ed- იანი ფორმისაგან, არსებითი სახელი აღნიშნავს საგანს, რომელიც განიცდის მოქმედებას, ხოლო ზმნის -ed- იანი ფორმა გამოხატავს თვით მოქმედების ხასიათს. ე. ი. არსებითი სახელი არის პირდაპირი დამატების ფარდი სიტყვა, ხოლო -ed- იანი ფორმა--შემასმენლის ფარდი.

კონსტრუქცია ასრულებსს მოქმედებას, წინადადების ქვემდებარე აღნიშნავს პირს, ვისი სურვილის მიხედვითაც სრულდება მოქმედება.

-to have-ზმნას დაერთვის კიდევ სხვა ტიპის დამატება, კერძოდ, არსებითი სახელის (ჩვეულებრივ სულიერ), ინფინიტივისა და არსებითი სახელისაგან:

I'll have Gabriel say the truth - მე გაბრიელს სიმართლეს ვათქმევინებ.

She had her son do lessons - მან თავის შვილს გაკვეთილები მოამზადებინა.

Father had his son dig a hole and plant a tree - მამამ თავის შვილს ორმო ამოათხრევინა.

Gabriel had his mother buy new shoes გაბრიელმა დედამისს ახალი ფეხსაცმელები აყიდინა.

ამ კონსტრუქციის პირველი არსებითი სახელი აღნიშნავს პირს, რომელიც ასრულებს ინფინიტივით გადმოცემულ მოქმედებას. ე. ი. პირველი არსებითი სახელი არის ქვემდებარის ფარდი სიტყვა, ხოლო ინფინიტივი - შემასმენელის ფარდი. მეორე არსებითი სახელი აღნიშნავს პირს, ან საგანს, რომელიც განიცდის ინფინიტივით გადმოცემულ მოქმედებას, ე.ი. ის არის დამატების ფარდი სიტყვა, მთლიანად ეს კონსტრუქცია არის აბსოლუტური, რადგან შეიცავს ქვემდებარისა და შემასმენელის ფარდ სიტყვებს. იგი, როგორც აღვნიშნეთ, ასრულებს პირდაპირი დამატების ფუნქციას, რომელიც დაერთვის ზმნას-to have-წინადადების საერთო ქვემდებარე - აღნიშნავს პირს, ვისი ინიციატივითაც სრულდება ინფინიტივით გადმოცემული მოქმედება. კონსტრუქციაში ჩაქსოვილია ძალდატანების მნიშვნელობა.

ამავე აზრის გადმოსაცემად ეს კონსტრუქცია დაერთვის, აგრეთვე, ზმნას- to make - ზემოთ მოყვანილი წინადადებები შემდეგ სახეს მიიღებს:

I'll make Gabriel say the truth.

She made her son do lessons.

Fathermade his son dig a hole and plant a tree.

Gabriel made his mother buy new shoes.

აქ მოყვანილი მაგალითი ქართულად გადმოიცემა ზმნის ისეთი გრამატიკული კატეგორიით, შუალობითი კონტაქტი: ვათქმევინებ, მოამზადებინა, ამოათხრევინა, აყიდინა.

10.დამოკიდებული წინადადება:

Gabriel says that he is ill.-ის ამბობს , რომ ავადაა.

Remember, what I said.- გახსოვდეს, რაც გითხარი.

Please, repeat what you want- თუ შეიძლება გაიმეორეთ რა გნებავთ.

ირიბი დამატება -

THE INDIRECT OBJECT

ირიბი დამატება აღნიშნავს პირს ან საგანს, ვისკენაც მოქმედება არის მიმართული, კერძოდ ვისთვისაც მოქმედება სრულდება ან ვისაც გადაეცემა რაიმე საგანი და ა.შ. ირიბი დამატების ფუნქციას ასრულებს არსებითი სახელი საერთო ბრუნვაში ან უფრო ხშირად, ნაცვალსახელი დამატების ბრუნვაში. იგი დგას პირდაპირი დამატების წინ. ირიბი დამატება შეიძლება იყოს უწინდებულო ან წინდებულიანი:

1. არსებითი სახელი:

I bought my mother a present - დედაჩემს საჩუქარი ვუყიდე. იგივე აზრი ასეც შეიძლება გამოვხატოთ: I bought a present for my mother.

პირველი წინადადება შეიცავს უწინდებულო ირიბ დამატებას - my mother-ხოლო მეორე წინდებულიანს -for my mother-

The teacher told the pupils all about the final exams - მასწავლებელმა უთხრა მოწავლეებს ყველაფერი გამოსაშვები გამოცდების შესახებ.

I'll do anything formy parents - ჩემი მშობლებისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

2. პირისნაცვალსახელი:

I can't allow you to do that - ამის გაკეთების უფლებას ვერ მოგცემთ.

What can I do for you? - რითი შემიძლია გემსახუროთ?

Why did you give my book to her?---რატომ მიეცი ჩემი წიგნი მას?

როგორც აღვნიშნეთ, ირიბი დამატება შეიძლება იყოს უწინ-დებულო ან წინდებულიანი. მისი მნიშვნელობა წინადადებაში უფრო ძლიერია, როდესაც იგი წინდებულია. ამ მიზნით, ძირითადად -to- და -for- წინდებულებს ვიყენებთ:

Did you give Ann my regards -ჩემი მოკითხვა თუ გადაეცით ანას? Or – Did you give my regards to Ann?

He bought me some flowers - მან ყვავილები მიყიდა. Or He bought some flowers for me.

Gabriel writes you letters - გაბრიელი წერილებს გწერს. Or Gabriel writes letters to you.

ბოლო ორ წინადადებას თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ქართულში არ არის ინგლისური წინდებულიანი ირიბი დამატების -for me-სა და - to you-ს ფარდი სიტყვები. (bought…for me-მიყიდა, writes…to you-გწერს) ე.ი. ქართულში გამოტოვებულია ირიბი დამატება, პირველ წინადადებაში მე (მიყიდა მე) ხოლო მეორე წინადადებაში შენ (გწერს შენ). ამის მიზეზი ის არის, რომ ქართული ზმნის ფორმაში კარგად ჩანს, თუ ვისთვის სრულდება მოქმედება. ინგლისუერში კი, წინდე-ბულიანი ირიბი დამატება აუცილებლად უნდა იყოს მოცე-

მული. წინააღმდეგ შემთხვევაში, წინადადების საერთო მნიშვ-ნელობა შეიცვლება. კერძოდ შევადაროთ შემდეგი წინადა-დებები:

He bought me some flowers - მან ყვავილები იყიდა. Or He borght some flowers for me ---მან ყვავილები მიყიდა.

He bought---იყიდა.

He bought for me---მიყიდა

He bought for you---გიყიდა

He bought for her---უყიდა და ა.შ.

ყურადღებას იმსახურებს ისეთი ქართულად გადმოცემის საშუალებები, როგორიცა:

My brother builds a house - ჩემი ძმა სახლს აშენებს და

My brother builts a house for himself - ჩემი ძმა სახლს იშენებს.

ინგლისური -for- წინდებულიანი ირიბი დამატება გამო-ხატავს პირს, ვისთვისაც მოქმედება სრულდება. ეს მნიშვ-ნელობა ქართულში გადმოიცემა ზმნის ფორმაშივე. ქცევის გრამატიკული კატეგორიის საშუალებით.

როგორც ცნობილია, ქცევა სამგვარია: 1). საარვისო ანუ ნეიტრალური. მისი ნიშანია პრეფიქსი „ა“ ანუ უნიშნოა, მაგა-ლითად: ჩემი ძმა სახლს აშენებს -ამ წინადადებაში ჩანს თუ ვისთვის სრულდება მოქმედება. ეს წინადადება ინგლისურად შემდეგნაირად იქნება: My brother builts a house for himself.

2). სათავისო ანუ სასუბიექტო. მისი ნიშანია პრეფიქსი ,,ი'' მაგალითად

ჩემი ძმა სახლს ი-შენებს.---My brother builds a house for himself. ე.ი. ქართული სათავისო ქცევის პრეფიქსი -.,,ი'' ს ინგლისურში გადმოსცემს წინდებულიანი დამატება -for himself.- სწორედ-for-- წინდებულიანი დამატება გამოხატავს თუ ვისთვის სრულ-დება მოქმედება და ამიტომ მისი გამოტოვებით წინადადების საერთო აზრი იცვლება.

3.-სასხვისო ანუ საობიექტო,მისი ნიშნებია -ი- (პირველ და მეორე პირში) -უ- (მესამე პირში)

ჩემმა ძმამ სახლი ა -მიშენა(მე) ინგლისურად იქნება: My brother built a house for me. Or:-ჩემმ ძმამ სახლი ა-უ-შენა (მას)--My brother built a house for him.

მაშასადამე, მოყვანილ მაგალითებსი-for- წინდებულიანი ირიბი დამატება აღნიშნავს პირს, ვისთვისაც მოქმედება სრულდება. ქართულში კი ეს მნიშვნელობა გადმოიცემა პრეფიქსების საშუალებით, ზმნის ფორმაშივე.

განვიხილოთ ქართული წინადადება- სახლს აშენებ? ზმნას - ამიშენებ - შეეწყობა სამი ნაცვალსახელი: შენ, მე, მას(სახლს).

როგორც ვხედავთ, ქართულ წინაადადებაში მხოლოდ პირდაპირი დამატებაა წარმოდგენილი (სახლს), ხოლო ქვემდებარე და ირიბი დამატება იგულისხმება ზმნის ფორმაშივე. ეს წინადადება ინგლისურად შემდეგნაირად იქნება:

Will you build a house for me?

მაშასადამე, ინგლისურწინადადებაში, ქართულისაგან განსხვავებით, ქვემდებარე და ირიბი დამატება აუცილებლად სათანადო სიტყვებით უნდა იყოს წარმოდგენილი. ქართულში კი იგი შეიძლება გამოხატული იყოს სუფიქსებით ზმნის ფორმაშივე.

უბრალო დამატება

THE MERE OBJACT

უბრალო დამატება გამოხატავს მრავალფეროვან მნშიშვნელობებს, კერძოდ მოქმედების შესრულების საშუალებას, თანაობას, ე.ი. მოქმედების ერთად შესრულების, მიზეზისა და სხვა მნიშვნელობებს. იგი თავსდება პირდაპირი და ირიბი დამა-

ტების შემდეგ. უბრალო დამატება ყოველთვის წინდებულია-ნია:

Come along with me - მამაცობისათვის ყველას გვიყვარდა ის.

Come along with me - წამოდი ჩემთან ერთად.

He came with all his lugage - იგი მთელი თავისი ბარგით მოვიდა.

I don't know anything about it - არაფერი არ ვიცი ამის შესახებ.

შენარჩუნებული დამატება

THE RETAINED OBJECT

ინგლისური ენის თავისებურებას ის შეადგენ, რომ ვნებითი გვარის ქვემდებარის ფუნქცია შეუძლია შეასრულოს არა მხოლოდ პირდაპირმა დამატებამ, არამედ ირიბმა და უბრალო დამატებამაც კი.

როდესაც, ვნებითი გვარი ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს, მოქმედებითი გვარი ირიბი დამატებაა. ზოგ შემთხვევაში კი მოქმედებითი გვარის პირდაპირი დამატება უცვლელად გადადის ვნებითში. ასეთი დამატება, ინარჩუნებს თავის პოზიციას ზმნის შემდეგ და ამავდროულად ინარჩუნებს პირდაპირი დამატების ფუნქციასაც. ასეთ დამატებას ეწოდება შენარჩუნებული დამატება - The Retained Oblect. იგი გვხვდება მხოლოდ ვნებითი გვარის კონსტრუქციებში. ასეთი ტიპის დამატება, უმეტესად დაერთვის ისეთ ზმნებს, როგორიცაა to give, to teach, to ask, totall, to pay, to invite და ა.შ.

by წინდებულიანი დამატება, რომელიც აღნიშნავს მოქმედების რეალურ შემსრულებელს ასეთ წინადადებაში შეიძლება იყოს წარმოდგენილი და შეიძლება არა:

I was taught English for two years - ორწელიწადი მასწავლიდნენ ინგლისურს.

He was asked the way to the station - მას ჰკითხეს გზა სადგურისკენ.

განსაზღვრება -

THE ATTRIBUTE

განსაზღვრება არის წინადადების ის წევრი, რომელიც განსაზღვრავს არსებით სახელს ან მის ფარდ სიტყვას და ახასიათებს საგანს, რაიმე მნიშვნელობის მიხედვით, რომელიც საზღვრული სიტყვის წინ, განსაზღვრების ფუნქციით გვხვ-დება:

1) ზედსართავი სახელი:

My younger brother is a student - ჩემი უმცროსი ძმა სტუდენტია.

Megi is my distant relation.---მეგი ჩემი შორეული ნათესავია.

You are a very strange person.---თქვენ ძალზედ უცნაური ადამიანი ხართ.

2) ნაცვალსახელი:

Rememeber me to your brother - თქვენი ძმა მომიკითხეთ.

It is all my fault - ეს სულ ჩემი ბრალია.

What does this shop sell? - რა იყიდება ამ მაღაზიაში?

3) რიცხვითი სახელი:

What were you marks in the first term? - პირველ სემესტრში როგორი ნიშნები გქონდა?

Who taught you English in the second year? მეორე კურსზე ვინ გასწავლიდა ინგლისურს?

I'll see you in two days - ორ დღეში გინახულებ.

როდესაც განსაზღვრების ფუნქციას ასრულებს რაოდენობითი რიცვითი სახელი, საზღვრული არსებითი სახელი, ქართულისაგან განსხვავებით, მრავლობით რიცხვში დაისმის, შეადარეთ:

Can I borrow ten dollars from you?---შეგიძლიათ ათი დოლარი მასესხოთ?

There are two excellent students in this group - ამ ჯგუფში ორი ფრიადოსანი სტუდენტია.

4) არტიკლი:

Are you the person I wanted to see - თქვენ სწორედ ის ადამიანი ხართ, რომლის ნახვაც მე მინდოდა.

You are sure to like the book - თქვენ ნამდვილად მოგეწონებათ ეს წიგნი.

A man came to us yesterday - ვიღაც კაცი მოვიდა ჩვენთან გუშინ.

5 -არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში:

What is your husband's salary? - შენ ქმარს რამდენი აქვს ხელფასი?

I enjoyed yesterday's concert very much - გუშინდელი კონცერტი ძალიან მომეწონა.

We had a two hour's walk - ორი საათი ვისეირნეთ.

6) არსებითი სახელი საერთო ბრუნვაში:

Where's the bus stop? სად არის ავტობუსის გაჩერება?

What's your mother tongue?---რა არის თქვენი დედა ენა?(მშობლიური ენა)

Gegi and Anna are school friends.---გეგი და ანა სკოლის ამხანაგები არიან.

She finished a country school - მან სოფლის სკოლა დაამთავრა.

7) ing -იანი მიმღეობა:

There are many developing countries in Africa - აფრიკაში ბევრი განვითარებადი ქვეყანაა.

Do you know that dancing couple? - იმ მოცეკვავე წყვილს თუ იცნობ?

8) ed-იანი მიმღეობა:

He speaks broken English - ის დამტვრეული ინგლისურით ლაპარაკობს.

Do you understand spoken English?- სალაპარაკო ინგლისური თუ გესმით?

როგორც აღვნიშნეთ, ყველა აქ ჩამოთვლილ მაგალითებში, განსაზღვრება საზღვრული სიტყვის წინ დგას, ამიტომ მას ,, Preposition''-განსაზღვრებას უწოდებენ. განსაზღვრება შეიძ-ლება მოსდევდეს საზღვრულ სიტყვას, ასეთ შემთხვევაში, მას ,,პოსტპოზიციურ'' განსაზღვრებას უწოდებენ. რომელიც პოსტ-პოზიციური განსაზღვების ფუნქციით გვხვდება წინადადებაში.

9) წინდებულიანი არსებითი სახელი:

What are the rules of the games? როგორია თამაშის წესები?

At the end of the term we'll have an exam in English - სემესტრის ბოლოს, ინგლისურში გამოცდა გვექნება.

The owner of the house is out - სახლის პატრონი შინ არაა.

უნდა გვახსოვდეს, რომ როდესაც-of-წინდებულიანი კონსტ-რუქცია ასრულებს განსაზღვრების ფუნქციას, მისი ქართულად თარგმნისას სიტყვათწყობა ინგლისურსა და ქართულში საპი-რისპიროა. კერძოდ, ინგლისურში გვაქვს სიტყვათწყობა. საზღვ-რული--მსაზღვრელი, ხოლო ქართულში კი პირიქით, მსაზღვრელი--საზღვრული:

The window of my room - ჩემი ოთახის ფანჯარა.

ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტები. ე.ი. პირველ რიგში -of-წინდებულიანი კონსტრუქცია უნდა ვთარგმნოთ და შემდეგ დანარჩენი.

ზოგჯერ, განსაზღვრების ფუნქციით, ერთად იყრის თავს რამდენიმე -of- წინდებულიანი კონსტრუქციაა. ასეთ შემთხ-

ვევაში, თარგმნა უნდა დავიწყოთ ბოლო -of- წინდებულიანი კონსტრუქციით:

The capital of Georgia is Tbilisi - საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი.

Gegi, the little brother of Ann's is a doctor - გეგი, ანას უმცროსი ძმა არის ექიმი.

10) ინფინიტივი ან ინფინიტიური კონსტრუქცია:

It's time to start - წასვლის დროა.

You've no right to do it.---უფლება არ გაქვს ეს გააკეთო.

I've got something to tell you - თქვენთვის რაღაცა მაქვს სათქმელი.

11) For - წინდებულიანი ინფინიტიური კონსტრუქცია:

ეს კონსტრუქცია არის აბსოლიტური. იგი შედგება კომპონენ-ტისაგან for დამატებული არსებითი სახელი და ინფინიტივი. მთელი ეს კონსტრუქცია წარმოადგენს, ერთ სინტაქსურ ერთეულს, რომელიც განსაზღვრების ფუნქციას ასრულებს. შინაარსობრივად კი კონსტრუქციის კომპონენტებს შორის ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორიც ქვემდებარესა და შემასმენელს შორის. კერძოდ, for - წინდებულიანი არსებითი სახელი აღნიშნავს მოქმედების სუბიექტს, ხოლო ინფინიტივი - მოქმედებას, რომელსაც ამ სუბიექტმა უნდა შეასრულოს. ამ კონსტრუქციაში ჩაქსოვილია ვალდებულების მნიშვნელობა:

It is time for you return home - დროა შინ დაბრუნდე.

The main thing for him to do is to learn English well - მთავარი, რაც უნდა გააკეთოს ის არის, რომ კარგად ისწავლოს ინგლისური.

This is the problem for us to solve - აი საკითხი, რომელიც ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ.

12) ed - სუფიქსიანი მიმღეობური კონსტრუქცია:

ეს კონსტრუქცია, ჩვეულებრივ, შედგება ed - სუფიქსიანი მიმღეობისა და მასზე დამოკიდებული სიტყვებისაგან, რომელთან ერთად იგი წარმოქმნის ერთ სინტაქსურ ერთეულს და განსაზღვრების ფუნქციას ასრულებს, რადგან იგი უმეტესად ორი ან მეტი სიტყვისაგან შედგება, მისი მოთავსება საზღვრული სიტყვის წინ მოუხერხებელია და ამიტომ იგი უფრო ხშირად , საზღვრულს მოსდევს:

Everything written in this article is true - რაც ამ სტატიაში წერია ყველაფერი სწორია.

They went to the post office situated not far from here - ისინი წავიდნენ ფოსტაში, რომელიც აქედან შორს არ არის.

13) ing- სუფიქსიანი მიმღოებური კონსტრუქცია:

I took the train for Kutaisi - ქუთაისის მატარებელზე დავჯექი.

Do you know the student standing at the window? - ფანჯარასთან რომ დგას, იმ სტუდენტს თუ იცნობ?

14) წინდებულიანი გერუნდივი:

We have no hope of getting tickets - ბილეთების შოვნის იმედი არ გვაქვს.

He felt out of the habit of smoking - მან სიგარეთს თავი დაანება.

15) გერუნდიული კონსტრუქცია:

ეს კონსტრუქცია შედგება ორი ძირითადი კომპონენტისაგან:- არსებითი სახელისა (ან ნაცვალსახელისა) და გერუნდივისაგან. არსებითი სახელი, ჩვეულებრივ, ნათესაობით ბრუნვაში დგას, ხოლო ნაცვალსახელი კი კუთვნილებითია, არსებითი სახელი (ნაცვალსახელი) აღნიშნავს სუბიექტს, რომელიც გერუნდივით გამოხატულ მოქმედებას ასრულებს. მას უმეტესად დაერთვის წინდებული -of.

I don’t like the idea of their leaving for Svaneti. - არ მომწონს მათი სვანეთში წასვლის იდეა.

The news of Anna's and Gegi's arriving in Svaneti made me very glad - გეგის და ანას სვანეთში ჩამოსვლის ამბავმა, ძალიან გაგვახარა.

16) განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება:

Tis is the student who speaks English fluently - აი სტუდენტი, რომელიც ინგლისურად თავისუფლად ლაპარაკობს.

He is the lecturer who impressed me greatly - ის არის ლექტორი, რომელმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ინგლისურ ენაში განსაზღვრების სწორად ხმარებისათვის საჭიროა გვახსოვდეს შემდეგი: ქართულში განსაზღვრება ზოგ შემთხვევაში საზღვრულს ეწყობა ბრუნვაში, ინგლისურში კი ასეთ წყობას ადგილი არა აქვს. დავაკვირდეთ განსაზღვრებას, შემდეგ წინადადებებში:

The old man came into the room - მოხუცი კაცი ოთახში შემოვიდა.

The old man made a phone call - მოხუცმა კაცმა ტელეფონზე დარეკა.

The old man was offered a chair - მოხუც კაცს სკამი შესთავაზეს.

როგორც ვხედავთ, ინგლისურ განსაზღვრებას old ქართულში შეესაბამება სამი ფორმა --მოხუცი, მოხუცმა, მოხუცს.

განმარტოებული განსაზღვრება

ქართულში ფართოდ ვიყენებთ, განმარტოებულ განსაზღვ-რებას, რომელიც იხმარება საზღვრული წევრის გარეშე, რათა თავიდან ავიცილოთ ერთი და იმავე სიტყვის გამეორება, მაგალითად: ,,რომელ კაბას იყიდი? - წითელს (იგულისხმება წითელი კაბა) აქ განმარტოებული განსაზღვრებაა - წითელს

ინგლისურში კი ასეთი სახის განმარტოებული განსაზღვრება იშვიათად გვხვდება. იმ შემთხვევაში, როდესაც სურთ თავიდან აიცილონ საზღვრული წევრის გამეორება, მის მაგივრად, ხმარობენ შემცვლელ ნაცვალსახელს - one Replacive one-:

I don't like this bag, I'll buythat one - ეს ჩანთა არ მომწონს, აი იმას ვიყიდი.

Don't give me this book, give me that one over there - ამ წიგნს ნუ მაძლევ, აი ის მომეცი.

ნაცვალსახელს - one-შეუძლია შეცვალოს, აგრეთვე, არსებითი სახელი, რომელიც მრავლობით რიცხვში დგას. ასეთ შემთხვევა-ში თვითონაც მრავლობითის ფორმას ღებულობს. მოყვანილი მაგალითები შემდეგი ხასიათის იქნება:

I don't like these bags, I'll buy those ones over there.

Don't give me these books, give me those ones overthere.

განმარტოებულ გაგანსაზღვრებას, ე.ი. განსაზღვრებას, რომე-ლიც იხმარება საზღვრული წევრის გარეშე, იშვიათად ვხვდე-ბით, ინგლისურშიც ფერების აღმნიშვნელ ზედსართავ სახელე-ბში და ზედსართავ სახელში, რომლებიც შედარებით და აღმა-ტებით ხარისხში დგანან:

Which bag have you lost? – the black - რომელი ჩანთა დაკარგე? - შავი.

Which dress are you going to buy? – the cheapest - რომელი კაბის ყიდვას აპირებ? - ყველაზე იაფი.

Which roes do you like? the white - რომელი ვარდები მოგწონს? -თეთრი.

დანართი THE APPOSITION.

დანართი ჰქვია ისეთ განსაზღვრებას, რომელიც აზუსტებს საზღვრული სიტყვის მნიშვნელობას, რაიმე დამატებით ინფორმააციას გვაწვდის მის შესახებ, ან მის სხვა სახელწოდებას იძლევა. ასეთი დანართი შეიძლება გამოიხატოს არსებითი

სახელით, რომელიც საზღვრული სიტყვის წინ დგას და აღნიშნავს პროფესიას, წოდებას, ნათესაობას:

I'm going to see aunt Lely - დეიდა ლელის სანახავად მივდივარ.

არსებითი სახელი -aunt - ,,დეიდა''- არის დანართი, რომელიც ნათესაურ კავშირს გამოხატავს.

Professor James will deliver alecture on Modern English Literature.---პროფესორი ჯეიმსი წაიკითხავს ლექციას -თანამედროვე ინგლისური ლიტერატურის შესახებ.

-Professor - არის დანართი, რომელიც გამოხატავს წოდებას.

Mrs. James is a nervous sort of a woman.---ქალბატონი ჯეიმსი ნერვიული ქალია.

-Mrs- არის დანართი. იგი დაისმის გათხოვილი ქალის გვარის წინ. დანართი შეიძლება მოსდევდეს საზღვრულ სიტყვას. ასეთ შემთხვევაში იგი უმეტესად შესიტყვებას წარმოადგენს, რომელიც გამოიყოფა მძიმით:

Than we saw Ann, a lovely and remarkable young woman - შემდეგ, ჩვენ დავინახეთ ანა, შესანიშნავი, მომხიბლავი ახალგაზრდა ქალი.

ამ წინადადებაში დანართია: -a lovely and remarkable young woman, რომელიც გამოხატულია არსებითი სახელითა და მისი მსაზღვრელებით. მთლიანად ეს შეესიტყვება და ასრულებს განსაზღვრების ფუნქციას, რომელიც მოსდევს საზღვრულს.

დანართის გამოყენება ხშირად განპირობებულია იმით, რომ მსაზღვრელი სიტყვათა ჯგუფი გრძელია და ამიტომ მათი მოთავსება საზღვრული სიტყვის წინ მოუხერხებელია:

A young woman, dressed in black, came into the room - ოთახში შემოვიდა შავებში ჩაცმული ახალგაზრდა ქალი.

ამ წინადადებაში დანართია -dressed in black. იგი განსაზღვრავს არსებით სახელს -woman.

Mrs Dunia, Anna's mother, feels slightly better today.--- ქალბატონი დუნია, ანას დედა, ცოტა უკეთ გრძნობს თავს დღეს.

ამ წინადადებაში -Anna's mother- განსაზღვრავს ქვემდებარეს - Mrs Dunia-

გარემოება -

THE ADVERBIAL MODIFIRE

გარემოება - არის წინადადების წევრი, რომელიც გამოხატავს თუ სად, როდის, რატომ, როგორ, რა მიზნით და რა ვითარებით ხდება მოქმედება. გარემოება ძირითადად განსაზღვრავს ზმნას. მას შეუძლია აგრეთვე განსაზღვროს ზედსართავი სახელი და სხვა ზმნიზედა:

Anna speaks EngliSh very well - ანა კარგად ლაპარაკობს ინგლისურად.

ვითარების გარემოება -well განსაზზრვრავს ზმნას - speaks- ს.

ანა ძალიან კარგად ლაპარაკობს ინგლისურად. ზომა--ოდენობის გარემოება - very განსაზღვრავს ზმნიზედას - well.

He is a very dangerous man - ის ძალიან საშიში კაცია. ამ შემთხვევაში ზომა - ოდენობის გარემოება - very განსაზღვრავს ზედსართავ სახელს - dangerous-

გარემოება შეიძლება იყოს:

1) ადგილისა, რომელიც აღნიშნავს ადგილს, სადაც ხდება მოქმედება, ან სადაც იმყოფება საგანი. აგრეთვე ადგილს, საიდანაც მოქმედება იწყება ან საითკენაც მოქმედება არის მიმართული:

I met Anna on the stair - ანას კიბეზე შევხვდი.

Gabrieli lives in this street - გაბრიელი ამ ქუჩაზეცხოვრობს.

Are you going to the cinema? - კინოში მიდიხართ?

I'll to go and take some books from the library - ბიბლიოთეკაში მომიხდება წასვლა და წიგნების გამოტანა.

ადგილის გარემოება, ჩვეულებრივ, დაისმის წინადადების ბოლოს, მაგრამ თუ გვინდა, რომ მასზე ყურადღება გავამახ-ვილოთ, იგი წინადადების თავში უნდა მოვათავსოთ:

At the Institute everybody was waiting for me - სპორტის უნივერსიტეტში ყველა მე მელოდება.

2) დროისაა გარემოება, რომელიც მიუთითებს, თუ როდის დაიწყო, როდის მოხდა, ან როდის დასრულდა და რამდენ ხანს გრძელდებოდა მოქმედება:

I know him from a child - მას ბავშვობიდან ვიცნობ.

What happened yesterday? - რა მოხდა გუშინ?

How are you today? - დღეს როგორა ხართ?

Will you be back soon? - მალე დაბრუნდებით?

I finished my work by 9 o'clock - სამუშაოს ცხრა საათისათვის მოვრჩი.

დროის გარემოება შეიძლება იდგეს წინადადების თავში ან ბოლოში, როდესაც წინადადების თავში დგას, მისი მნიშვნე-ლობა უფრო ძლიერია;

At two o'clock, I'll be waiting for you at the universitete - ორ საათზე უნივერსიტეტში დაგელოდები.

კითხვით წინადადებაში იგი ყოველთვის ბოლოში დგას:

Where were you yesterday? სად იყავი გუშინ?

What has happened to you today? - ახლა როგორა ხართ?

What has happened to you today? დღეს რა დაგემართათ?

3) ვითარების გარემოება იძლევა მოქმედების თვისობრივ დახასიათებას. იგი მიუთითებს, თუ როგორ ხდება მოქმედება. ვითარების გარემოება წინადადებაში ჩვეულებრივ დგას, პირდაპირი დამატების შემდეგ ,ხოლო , თუ პირდაპირი დამატება არ არის, იგი უშუალოდ მოსდევს ზმნას;

Rememeber you very well - მე თქვენ ძალიან კარგად მახსოვხართ.

I slept well last night - წუხელ კარგად მეძინა.

Anna spoke in a quiet voice - ანა ჩუმად ლაპარაკობდა.

4) მიზნის გარემოება ინგლისურ ენაში, ჩვეულებრივ წინადადების ბოლოში იკავებს ადგილს;

Gegi stopped to wait forus.---გეგი გაჩერდა, რომ ჩვენთვის მოეცადა.

We ran to help her.---გავიქეცით, რომ მას მივშველებოდით.

I opened the window to air the room.---ფანჯარა გამოვაღე, რომ ოთახი გამენიავებინა.

5) -ჯერობისა და სიხშირის გარემოებანი --თავსდებიან წინადებაში სხვადასხვა ადგილას: როგორც თავში, ასევე შუაში და ბოლოში. ამათგან გამოირჩევა რამდენიმე ზმნიზედა -ever, never, often, rarely, always და usually რომლებიც თავსდებიან უშუალოდ ზმნის წინ, ან დამხმარე და ძირითად ზმნებს შორის;

You always spoil everything - შენ ყოველთვის ყველაფერს აფუჭებ.

She feels unwell sometimes - ხანდახან ის ცუდად გრძნობს თავს.

I'll never forget you - არასოდეს დაგივიწყებ.

I have been there once or twice - ერთი - ორჯერ ვყოფილვარ იქ.

Have you ever been in London? - ლონდონში ყოფილხართ ოდესმე?

6) დათმობის გარემოება გამოხატავს პირობს, რომლის გაამო არ არის მოსალოდნელი ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულება. თუმცა, მიუხედავად ამისა, მოქმედება მაინც სრულდება. ასეთი ტიპის გარემოება თავსდება წინადადების თავში ან ბოლოში;

In spite of bad weather, the plane landed in time - მიუხედავად ცუდი ამინდისა, თვითმფრინავი დროზე ჩამოფრინდა.

I walked home not wish standing the rain - მიუხედავად წვიმისა, შინ ფეხით წავედი.

7) თანმხლები მოქმედების გარემოება გამოხატავს მოქმედებას, რომელიც შემასმენლით გამოხატული მოქმედების პარალერულად ხდება. იგი ჩვეულებრივ თავსდება წინადადების ბოლოს;

He shook me by the hand giving me a friendly smile - მან ხელი ჩამომართვა და თან მეგობრულად გამიღიმა. (or He shook me by the hand. He gave me a friendly smile)

ამ ორი მოქმედებიდან პირველი -He shook me by the hand - არის ძირითადი, ხოლო მეორე-going me a friendly smile- არისს თანმხლები.

He went out slamming the door - ის გავიდა და კარი მიიჯახუნა. (or-He went out. He slammed the door.)

8) ზომა - ოდენობის გარემოება - დგას იმ სიტყვის წინ, რომელსაც განსაზღვრავს - very tired, too late, almost always, much better, quitewell. და ა. შ.

He almost always makes this mistake - ის თითქმის ყოველთვის უშვებს ამ შეცდომას.

I'm very tired - ძალიან დაღლილი ვარ.

Anna, doesn't be late - ანა, ძალიან არ დააგვიანო.

You are quite right- თქვენ სავსებით მართალი ხართ.

9) შედეგის გარემოება თავსდება წინადადების ბოლოს;

I'm too busy to see you off ძალიან დაკავებული ვარ და ვერ გაგაცილებ.

His English too poor to translate article - მან ძალიან სუსტად იცის ინგლისური და ამ სტატიას ვერ გადათარგმნის.

გარემოება შეიძლება გამოიხატოს:

1) ზმნიზედით:

Let's go somewhere else - მოდი, სადმე წავიდეთ.

Come quickly! - მალე მოდი!

I never said that - არასოდეს არ მითქვამს ეგ.

2) არსებითი სახელით:

Wait a minute - ერთი წუთით მოიცადე.

You are 20 minutes late - თქვენ ოცი წუთით დააგვიანეთ.

3) წინდებულიანი არსებითი სახელით :

I stood in a quite for an hour but couldn't get tickets - ერთი საათი ვიდექი რიგში, მაგრამ ბილეთები მაინც ვერ ავიღე.

There is a little garden behind my house - ჩემი სახლის უკან პატარა ბაღია.

Will you go to the country in summer? ზაფხულში სოფელში წახვალთ?

4) ინფინიტივითან ინფინიტიური კონსტრუქციით:

I was too late to catch the train - დამაგვიანდა და (ამიტომ) მატარებელს ვეღარ მივუსწარი.

I have no doubt that Gabriel will lcome to see you - ეჭვი არ მეპარება, რომ გაბრიელი მოვა თქვენს სანახავად.

We stopped to rest - ჩვენ გავჩერდით, რომ დაგვესვენა.

5) for= წინდებულიანი ინფინიტიური კონსტრუქციით:

Let's go to my place for mother to see you - მოდი, ჩემთან წავიდეთ, რომ დედამ გნახოს.

I bought some envelope for Anna to send cards to her friends - კონვერტები ვიყიდე, რომ ანამ თავის მეგობრებს ბარათები გაუგზავნოს.

I bought a very interesting book for you to read - ძალიან საინტერესო წიგნი მოვიტანე წასაკითხად.

6) ing= სუფიქსიანი მიმღეობური კონსტრუქციით:

Having a bad headache, Gabriel went home - რადგანაც გაბრიელს თავი ძალიან სტკიოდა, შინ წავიდა.

Seeing that he was late Ann apologized - როდესაც ანამ დაინახა, რომ დაიგვიანა, ბოდიში მოიხადა.

ასეთ კონსტრუქციებში - ing- სუფიქსიანი მიმღეობა პერფექტული ფორმით, იმაზე მიუთითებს, რომ მის მიერ გადმოცემული მოქმედება უფრო ადრე მოხდა, ვიდრე შემასმენლით გადმოცემული მოქმედება;

Having come home, Gegi began to watcha football match- გეგი შინ მოვიდა და ტელევიზორში ფეხბურთის ყურება დაიწყო.

Having found all the unknown words in the dictionary, Annabegan to translate the text - ანამ, ჯერ ყველა უცნობი სიტყვა მონახა ლექსიკონში და შემდეგ, ტექსტის თარგმნა დაიწყო.

7) ing= სუფიქსიანი აბსოლუტური კონსტრუქციით

ამ კონსტრუქციაში შედის არსებითი სახელი(ან ნაცვალსახელი)და -ing- სუფიქსიანი მიმღეობა. არსებითი სახელი(ან ნაცვალსახელი) აღნიშნავს საგანს, რომელიც -ინგ-იანი მიმღეობით გადმოცემულ მოქმედებას ასრულებს; წინადადებას კი თავისი ქვემდებარე და შემასმენელი აქვს:

The weather forecast being good, the student went on an excursion. - რადგან ამინდი (პროგნოზი) კარგი იყო, სტუდენტები ექსკურსიაზე წავიდნენ.

This train beginning to move, Gabriel hurried into carriage - რადგან მატარებელი უკვე იძვროდა, გაბრიელი საჩქაროდ ავიდა ვაგონში.

My watch being five minutes slow, I was late for the university - რადგან, ჩემი საათი ხუთი წუთით ჩამორჩებოდა, უნივერსიტეტში დამაგვიანდა.

The children being out, mother began to do their room - რადგან ბავშვები წასულიყვნენ, დედამ დაიწყო მათი ოთახის დალაგება.

The window being broken, it was very cold in his room - რადგან ფანჯარა გატეხილი იყო, ძალიან ციოდა მის ოთახში.

The work having been done, all of us are ready to help you - რაკი საქმე გაკეთდა, ჩვენ ყველანი მზად ვართ დაგეხმაროთ.

ამ კონსტრუქციებში შეიძლება -being- გამოვტოვოთ, მაშინ ზემოთ მოყვანილი მაგალითები შემდეგ სახეს მიიღებენ:

The window broken, it was very gold in his room.

The work done, all of us ready to help you.

-ing- სუფიქსიანი მიმღეობური კონსტრუქციები, ხშირად იწყება კავშირებათ:

Though being tired, Gegi went on working - თუმცა დაღლილი იყო გეგი, მაგრამ მაინც განაგრძობდა მუშაობას. -ეს კონსტრუქცია შეიძლება -being - ის გარეშეც გამოვიყენოთ.--- Though tired, Gegi went on working.

-ing- სუფიქსიანი მიმღეობური კონსტრუქცია შეიძლებაც გადავაკეთოთ ისე, რომ მისი შინაარსი არ შეიცვალოს: Though Gegi was tired, he went working. იგივე ითქმის -ing- სუფიქსიანი მიმღეობური კონსტრუქციის მიმართაც: When being asked, Gegi said that he didn't know them. იგივეა რაც: when asked,Gegi said that he didn't know them.

როდესაც გეგის ჰკითხეს, მან უპასუხა, რომ არ იცნობდა მათ. -ეს კონსტრუქციაც შეიძლება გადავაკეთოთ დროის გარემოებით: When Gegi was asked, he said that he didn't know them.

8) წინდებულიანი გერუნდიული კონსტრუქციით: - ასეთი კონსტრუქციის კომპონენტებია: წინდებულიანი გერუნდივი და მასზე დამოკიდებული სიტყვები;

Can you do this exercise without looking in the dictionary?- შეგიძლიათ ეს სავარჯიშო ისე გააკეთოთ, რომ ლექსიკონში არ ჩაიხედოთ?

On seeing her little brother in the corner of the hospital, Anna asked him: - what are you doing? -როდესაც ანამ თავისი უმცროსი ძმა, სავადმყოფოს კუთხეში დაინახა, ჰკითხა: - აქ რას აკეთებ?

9) წინდებულიანი გერუნდიული აბსოლუტური კონსტუქ-ციით: - ამ კონსტრუქციის ძირითადი კომპონენტებია: წინ-დებული, კუთვნილებითი ნაცვალსახელი და გერუნდივი. ამ შემთხვევაში, ნაცვალსახელი აღნიშნავს სუბიექტს, რომელიც გერუნდივით გადმოცემულ მოქმედებას ასრულებს:

On his coming home, Gabriel- my brother asked if anybody had phoned him - როდესაც ჩემი ძმა გაბრიელი შინ მოვიდა, იკითხა, ჩემთვის ხომ არავის დაურეკავს.

After their arriving in Tbilisi, Gabriel and Nana often met each other - თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, გაბრიელი და ნანა ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს.

10) გარემოებით დამოკიდებული წინადადებებით:

We shall do it quite easily when we have time - როდესაც დრო გვექნება ჩვენ ამას სულ ასე გავაკეთებთ.

At two o'clock shaaarp he at the bridge where our friends will be waiting for us.ზუსტად ორ საათზე იყავი ხიდთან, სადაც ჩვენი მეგობრები დაგველოდებიან.

განკერძოებული გარემოება

THE DETACHED ADVERBIAL MODIFIER

ზოგ შემთხვევაში, გარემოების მნიშვნელობა ძლიერდება და ერთგვარ აზრობრივ დამოკიდებულებას იძენს. იგი აზუსტებს და ხსნის შემასმენელს ან სხვა გარემოებას და დამატებით ცნობებს გვაწვდის მათ შესახებ. ასეთ გარემოებას ეწოდება განკერძოებული გარემოება.

განკერძოებული გარემოება ხასიათდება მეტი გამომსახველობითი ძალით, ვიდრე განკერძოებული გარემოება. განკერძოების მიხედვით, გარემოება ხშირად თავსდება წინადადებაში პირველ ადგილზე, ან პირიქით -იკავებს ბოლო ადგილს: ზოგ შემთხვევაში, იგი თავსდება იმ სიტყვის შემდეგ, რომელსაც აზუსტებს. განკერძოებული გარემოება გამოიყოფა მძიმით, ხოლო ზეპირმეტყველებაში - სათანადო ინტონაციით.

ინგლისურისათვის დამახასიათებელია, ძირითადად ვითარებისა და თანმხლები მოქმედების, დროისა და მიზეზის გარემოებათა განკერძოება. უფრო მეტად კი, გავრცელებულია თანმხლები გარემოების განკერძოება. განკერძოებულია ყველა აბსოლიტური კონსტრუქცია, რომელიც გარემოების ფუნქციას ასრულებს.

Giving me a friendly smile, he shook me by the hand - მან ხელი ჩამომართვა და თან მეგობრულად გამიღიმა.

Givig me a friendly smile - არის განკერძოებული თანმხლები მოქმედების გარემოება.

Though tiredI wenton working - თუმცა დაღლილივიყავი, მაგრამ მაინც განვაგრძობდი მუშაობას.

Though tired -განკერძოებული დათმობის გარემოებას.

The window broken, it was cold in the room - რადგან ფანჯარა გატეხილი იყო, ოთახში ციოდა

The window broken -- განკერძოებული მიზეზის გარემოებაა.

On his cominghome, Gabriel aked if anybody had phoned himროდესაც გაბრიელი შინ მოვიდა, იკითხა, ჩემთვის ხომ არავის დაურეკიაო.

On his coming home - განკერძოებული დროის გარემოებაა, რომელიც გამოხატულია წინდებულიანი გერუნდიული აბსოლუტური კონსტრუქციით.

The weather forecast being good, the students went on an excursion - რადგან ამინდის პროგნოზი კარგი იყო, სტუდენტები ექსკურსიაზე წავიდნენ.

The weather forecast being good - არის განკერძოებული მიზეზის გარემოება, გამოხატული ing -იანი მიმღეობის აბსოლუტური კონსტრუქციით.

წ ი ნ ა დ ა დ ებ ა

THE SENTENCE

წინადადება - არის სიტყვა ან სიტყვათა გუფი, რომელიც რამდენიმე დამთავრებულ აზრს გამოხატავს. აგებულების მიხედვით, წინადედბა არის მარტივი და რთული.

მ ა რ ტ ი ვ ი წინადადება

THE SIMPLE SENTENCE

შედგენილობის მიხედვით, მარტივი წინადადება შეიძლება იყოს გაუვრცობელი ან გავრცობილი.

გაუვრცობელია - წინადადება, რომელიც შედგება, მხოლოდ მთავარი წევრებისაგან: ქვემდებარისა და შემასმენლისაგან:

I'm working - ვმუშაობ.

Bob speaks - ბობი ლაპარაკობს.

Who comes?- ვინ მოდის?

ხოლო, გავრცობილია მარტივი წინადადება, რომელშიც, გარ-და მთავარი წევრებისა, ერთი ან რამდენიმე მეორე ხარისხოვანი წევრია:

I'm working at the University - უნივერსიტეტში ვმუშაობ.

Gegi speaks English - გეგი ინგლისურად ლაპარაკობს.Who comes with us? - ვინ მოდის ჩვენთნ ერთად?

პირველი წინადადება, ქვემდებარისა და შემასმენელის გარდა, შეიცავს ადგილის გარემოებას (at the university) მეორე და მესამე კი დამატებას (English with us.)

შ ერ წ ყ მ უ ლ ი წინადადება -

SENTENCES WITH HOMOGENEOUS PARTS

მარტივი წინადადება შეიძლება იყოს შერწყმული, როდესაც წინადადებაში არის ორი ან მეტი სიტყვა, რომელთაც ერთნაირი სინტაქსური ფუნქცია აქვთ. მათ წინადადების ერთგვარი წევრები ეწოდებათ, ხოლო ერთგვარ წევრებიან მარტივ წინადადებას კი --შერწყმული -- წინადადება ეწოდება.

არსებობს შემდეგი სახის წინადადება:

1) რამდენიმე ქვემდებარე ერთ შემასმენელთან:

Gegi and Anna speak English well - გეგი და ანა ინგლისურად კარგად ლაპარაკობენ.

I and Anna went to visit mother - მე და ანა დედას სანახავად წავედით.

როგორც აღვნიშნეთ, როდესაც რამდენიმე ქვემდებარის ერთ - ერთი კომპონენტია, პირველი პირის ნაცვალსახელი - I - (მე). ინგლისურსა და ქართულში საპირისპირო წყობა გვაქვს, კერძოდ, ინგლისურში - I- ბოლო ადგილზე დგას, ხოლო ქართულში კი - ,, მე '' პირველ ადგილს იკავებს;

My friendsand I enjoed yesterday's concert immensely - მე და ჩემს ამხანაგებს ძალიან მოგვეწონა გუშინდელი კონცერტი.

I and Khatuna are going to Anna's Birthday's party - მე და ხათუნა ანას დაბადების დღეზე მივდივართ.

2) რამდენიმე შემასმენელი ერთ ქვემდებარესთან:

They tired and got tickets for today's concert - ისინი შეეცადნენ და აიღეს ბილეთები დღევანდელ კონცერტზე.

I took off my hat and put it on the chair - ქუდი მოვიხადე და სკამზე დავდე.

3) რამდენიმე დამატება ერთ შემასმენელთან:

I must buy myself a new dress and a pair of shoes - ახალი კაბა და ფეხსაცმელები უნდა ვიყიდო.

Gabriel invited Anna and me to his birthday party - გაბრიელმა, მე და ანათავის დაბადების დღეზე დაგვპატიჟა.

4) რამდენიმე განსაზღვრება ერთ საზღვრულთან:

What a wonderful ,suuny day! - რა შესანიშნავი მზიანი დღეა!

I watched a very nice, musical Film on TV yesterday - გუშინ ძალიან კარგი მუსიკალური ფილმი ვნახე ტელევიზორში.

5) რამდენიმე გარემოება ერთ შემასმენელთან:

Gabriel will come here tomorrow at, 5 o' clock - გაბრიელი მოვა აქ ხვალ 5 - საათზე.

We shall see Gabriel at the universitety or Anna - ჩვენ გაბრიელს ვნახავთ ანასთან ერთად უნივერსიტეტში.

წინადადების ერთგვარი წევრები აუცილებლად ერთი და იმავე კითხვას უნდა პასუხობდნენ, თუნდაც ისინი მეტყველების სხვადასხვა ნაწილით იყვნენ გამოხატული. მაგალითად: გასულ წელს, ინგლისში ვიმგზავრე - I traveled in England last summer - ამ წინადადებაში ორი გარემოებაა -last summer- და - in England- მაგრამ ეს წინადადება არ ჩაითვლება შერწყმულ წინადადებად, რადგან ერთი ადგილის გარემოებაა -in England, მეორე კი დროისა -last summer- ხოლო წინადადება -We'll see Gegi at the university or at Anna- შერწყმულია, რადგან მასში არის ორი ადგილის გარემოება და ორივე მიუგებს კითხვაზე - where?-

წინადადება - We shall see Gabriel here at the university ჩვენ ვნახავთ გაბრიელს აქ უნივერსიტეტში - არის აგრეთვე შერწყმული. მასში ორი ადგილის გარემოებაა, ორივე მიუგებს კითხვაზე: -where?-, თუმმცა ისინი მეტყველების სხვადასხვა ნაწილით არიან გამოხატული -here- არის ზმნიზედა, ხოლო -at the university- კი წინდებულიანი არსებითი სახელი.

წინადადების ერთგვარ წევრებს შორის დაისმის მაერთებელი კავშირი ან მძიმე.

სრული და უსრული წინადადება-
NON - ELLIPITICAL AND ELLIPITICAL ENTENCES

წინადადება შეიძლება იყოს: სრული ან უსრული.

სრულია წინადადება - რომელიც შეიცავს ორივე ძირითად წევრს - ქვემდებარესა და შემასმენელს, ხოლო წინადადება უსრულია, როდესაც მას რომელიმე ძირითადი წევრი აკლია. გამოტოვებული წევრი იგულისხმება კონტექტის მიხედვით; უსრულ წინადადებას - ელიფურ - წინადადებასაც უწოდებენ:

Did you do it yourself? - ეს თვითონ გააკეთე? –Certainly - რა თქმა უნდა.

აქ , უსრულია ერთსიტყვიანი წინადადება - certainly - სრული წინადადება იქნებოდა - certainly I did it myself.

Which do you like better, the cinema or the theatre? - რომელი უფრო გიყვარს კინო თუ თეატრი? – The theatre - თეატრი.

უსრულია ერთსიტყვიანი წინადადება -the theatre - სრული წინადადება იქნებოდა - I like the theatre better.

ინდლისურენაში ძირითადად გვხვდება შემდეგი ტიპის ელიფური წინადადებები:

ა) -წინადადებას აკლია ქვემდებარე:

What did you do yesterday? - რაქენი გუშინ? –Took my English exam - ინგლისურის გამოცდა ჩავაბარე.

სრული წინადადება იქნებოდა:-=I took my English exam.=

Did Gegi speakwith you? - გეგი თუ გელაპარაკა? Didn't even see me - არცკი ვუნახივარ.

უსრული წინადადებაა - Didn't even see me - სრული წინადადება იქნებოდა - He didn't even see me.

ბ)წინადადებას აკლია ორი მთავარი წევრი - ქვემდებარე და შემასმენელი. ასეთი ელიფსური წინადადება, შედგება გარემოებისაგან ან დამატებისაგან:

When did you see Gegi? როდის ნახე გეგი? – yesterday - გუშინ. ელიფსურია ერთსიტყვიანი წინადადება - yesterday - სრული წინადადება იქნებოდა - I saw Gegi yesterday-

Who are you waiting for? - ვის ელოდები? for Anna -ანას. სრული წინადადება იქნებოდა - I'm waiting for anna.=

გ) გამოტოვებულია ქვემდებარე და მაერთი:

What are you doing? -რას აკეთებ? - Reading a book. - წიგნს ვკითხულობ.

სრული წინადადება იქნებოდა - = I'm reading a book.= გამოტოვებულია - =I am.=

What is your father? - მამაშენი რა პროფესიისაა? A doctor. --- ექიმია. (ე.ი. აქ იქნებოდა - He is a doctor)

დ) აკლია შემასმენელი:

Who speaks English well? - ვინ ლაპარაკობს ინგლისურად კარგად? - Anna --ანა.

სრული წინადაება იქნებოა: -Anna does ან Anna speaks.

ელიფსურია წინადადება, რომელიც შეიცავს - ed- სუფიქსიან მიმღეობას განსაზღვრების ფუნქციით:

Here is the book (wich was)brought by Gegi. - აი, გეგის მოტანილი წიგნი

Today I received the letter (whichhad been) sent a month ago. დღეს მივიღე ერთი თვის წინ გამოგზავნილი წერილი.

ე) აკლია შემასმენელის ნაწილი. კერძოდ, აკლია ლექსიკური ზმნა: ასეთი წინადადება, შეიცავს ქვემდებარესა დადამხმარე, მოდალურ ზმნას:

Have you read today's newspaper ,,ALIA"? - დღევანდელი გაზეთი ,,ალია'' წაიკითხეთ? - I have (read today's newspaper ,,ALLIA") - წავიკითხე.

I have taken English exam and so have my friends - მეც ჩავაბარე ინგლისური გამოცდა და ჩემმა ამხანაგებმაც.

Did you order a taxi? - ტაქსი გამოიძახე? - I did (I ordered a taxi) - კი.

Ican do it. --- მე შემიძლია ამის გაკეთება.—Yes, but I can't (do it) - მე კი არა.

ელიფსურია წინადადება, რომელიც შეიცავს -to - ნაწილაკს ნაცვლად ინფინიტივისა.

Promise toget this book for me. შემპირდი, რომ ამ წიგნს მიშოვი. – I'll try to (to get this book for you) - შევეცდები.

ელიფსური წინადადებები ძირითადად გვხვდება ზეპირმეტ-ყველებაში და აგრეთვე საგაზეთო სტატიების სათაურებში.

ქართული ელიფსური წინადადებები გაცილებით უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე ინგლისური. განაპირობებს ქართული ზმნების თვისებურება. ქართულში ხშირად ვიყენებთ ისეთ წინადადებას, რომელსაც აკლია ქვემდებარე ანდამატება, ან ორივე, გამოხატული პირველი და მეორე პირის ნაცვვალსახე-ლებით: მე, შენ; ჩვენ, თქვენ; მაგალითად: გუშინ უნივერსიტეტი დაგინახე; - ზმნის ფორმა: დაგინახე -- საშუალებას გვაძლევს ადვილად აღვადგინოთ გამოტოვებული წევრები - დაგინახე - მე, შენ. --ასეთი ტიპის წინადადება ქართულში ელიფსურად არც კი ითვლება:

I am cold. - მცივა.

ქართულ წინადადებას აკლია ინგლისური - I am-ფარდი სიტყვები ე.ი. ქვემდებარე და მაერთი.

Wait for me! - დამაცადეთ!

ქართულ წინადადებას აკლია -for- წინდებულიანი დამატების ფარდი სიტყვა, რომლის მნიშვნელობა გადმოიცემა ზმნის ფორმაშივე. უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი ტიპის ელიფსური წინადადებები ინგლისურში არ არსებობს.

უპირო წინადადება-

IMPERSONAL SENTENCE

უპირო - ჰქვია ისეთ წინადადებას, რომლის ქვემდებარე ნაცვალსახელი არ აღნიშნავს რომელიმე პირს ან საგანს. იგი საერთოდ არაფერს არ აღნიშნავს და არაფერზე არ მიუთითებს, და მხოლოდ იმისათვის არის საჭირო, რომ ფორმალურად შეასრულო ქვემდებარის ფუნქცია, რაც წინადადებას მიეცეს დასრულებული სახე. უპირო წინადადებები ინგლისურ ენაში ფართოდ არის გამოყენებული. ისინი აღნიშნავენ:

ა)ბუნების მოვლენებს;

It rains. - წვიმს.

It iscold. --ცივა.

It is snows -- თოვს.

ასეთი ტიპიის უპირო წინადადებები ქართულში, როგორც ვხედავთ, გადმოიცემა უქვემდებარო წინადადებებით- წვიმს, თოვს ...

ბ) -მანძილს;

It is about two kilometers to the station - სადგურებამდე დაახლოებით ორი კილომეტრი იქნება.

It is only a short way now - ახლა უკვე შორს აღარაა.

გ) დროს;

It istwo o‘clock -ორი საატია.

It takes 45 minutes to get to the office - სამსახურში მისვლას 45 წუთს ვანდომებ.

დ) შემთხვევითობას, ვარაუდს;

It seems that nobody knows about it - მგონი არავინ არ იცის ამის შესახებ.

Does it seem so toyou? - შენც ასე გგონია?

განზოგადებულპირიანი წინადადება- INDEFINITE PERSONAL SENTENCES

ზოგიერთ წინადადებაში შემასმენელით გამოხატული მოქმედება არ მიეწერება ერთ რომელიმე კონკრენტულ პირს, არამედ იგი განზოგადებული ხასიათისა და ეხება საერთოდ ყველას. ასეთ წინადადებას ეწოდება განზოგადებულპირიანი წინადადება. მისქვემდებარედ გვხვდება განუსაზღვრელი ნაცვალსახელი -one- და პირის ნაცვალსახელები: we, you, they.

One can’t tell - ძნელია ამის თქმა (ე.ი.ყველასათვის ძნელია)

What can one do? --- რისი გაკეთება შეიძლება? (ანუ , რა შეიძლება გააკეთოს ადამიანმა?)

როგორც ვხედავვთ, აქ წარმოდგენილი მოქმედებებიარ ეხება რომელიმე კონკრეტიულ პირს, არამედ ისინი განზოგადებულია და ეხება ყველას, მათ შორის ამ სიტყვების მთქმელსაც.

One never know what may happen - არავინ არ იცის რა მოხდება.

აქაც, როგორც ვხედავთ, მოქმედება განზოგადოებულია და იგი ეხება ყველას. იგივე წინადადდება ქართულად შეიძლება ასეც გადმოიცეს: - კაცმა არ იცის რა მოხდება.

They say you're going to leave us - ამბობენ, რომ თქვენ აპირებთ ჩვენგან წასვლას. They say you know him well - ამბობენ, რომ თქვენ ძალიან კარგად იცნობთ მას.

ბოლო ორ მაგალითში კი, სადაც ქვემდებარეა ნაცვალსახელი - they - შემასმენლის მოქმედება არ მიეწერება, რომელიმე კონკრეტულ პირს, იგი ეხება ყველას, ოღონდ მათ შორის, არ იგულისხმება მთქმელი ე. ი. მოქმედება ეხება ყველას, გარდა მთქმელისა.

როგორც ვხედავთ, განსხვავება - one -სა და -they- ს შორი ისაა, რომ როდესაც წინადადების ქვემდებარეა განუსაღვრელი ნაცვალსახელი -one-, შემასმენელით გამოხატული მოქმედება განზოგადებული ხასიათისაა და ეხება ყველას, მათ შორის თვით მთქმელსაც. ხოლო როდესაც განზოგადებულ, პირიანი წინადადების ქვემდებარეა -they, მოქმედება ეხება ყველას, გარდა მთქმელისა.

როგორც აღვნიშნეთ, განზოგადებულ პირიანი წინადადების ქვემდებარე შეიძლება იყოს აგრეთვე ნაცვალსახელები: -we- , -you-.

You must be careful while crossing the street - ქუჩაზე გადასვლის დროს, ფრთხილად უნდა ვიყოთ. (ან ქუჩაზე გადასვლისას საჭიროა სიფრთხილე)

იგივე წინადადებაში -you- ს ნაცვლად შეიძლება ვიხმაროთ - we-

We must becarefule whie crossingthe street.

განზოგადებულპირიანი წინადადება ხშირად შეიცავს ფორ-მალურ -it- სა და ვნებითის კონსტრუქციას;

It is said that there will be much snow this winter - ამბობენ, რომ წელს თოვლიანი ზამთარი იქნება.

სიტყვის ადგილი წინადადებაში-
WORD --- ORDER IN A SENTENCE

სიტყვის ადგილს წინადადებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინგლისური ენისათვის. სიტყვის კონკრეტულ ლექსიკურ მნიშვნელობას და მის სინტაქსურ ფუნქციას განაპირობებს სწორედ მისი ადგილი წინადადებაში. თუ სიტყვას ადგილს შეუცვლით, მისი სინტაქსური ფუნქციაც შეიცვლება და წინადადების საერთო მნიშვნელობაც, სრულიად სხვა ხასიათს მიიღებს.

Gegi loves mother - გეგის დედა უყვარს.

Mother loves Gegi - დედას გეგი უყვარს.

ზოგ შემთხვევაში, სიტყვათა გადაადგილებით წინადადება გადაიქცევა სიტყვების გროვად, რომელიც არავითარ აზრს არ გადმოსცემს;

I don't want to go there to night - ამ საღამოს იქ არ მინდა წასვლა.

ეს წინადადება სხვაგვარად რომ დავაწყოთ, აზრი გაუგებარი გახდება;

Tonight there I to go to not want.

ზოგ შემთხვევაში, ერთსა და იმავე სიტყვას, შეუძლია შეასრულოს, წინადადების სხვადასხვა წევრის ფუნქცია, იმის მიხედვით, თუ რომელ ადგილზე დგას იგი. ამასთან დაკავშირებით, წინადადების საერთო მნიშვნელობაც იცვლება;

Water is rare in the desert - წყალი იშვიათობაა უდაბნოში.

They water flowers - ისინი რწყავენ ყვავილებს.

I like water sport - მიყვარს საწყლოსნო სპორტი.

როგორც ვხედავთ, სიტყვა რომელიც პირველ ადგილზე დგას, ასრულებ ქვემდებარის ფუნქციას, არ არის არსებითი სახელი და ნიშნავს - წყალი.

მეორე წინადადებაში იგი დგას მეორე ადგილზე. ე. ი. ასრულებს შემასმენელი სფუნქციას, არის ზმნა და ნიშნავს - მორწყვა; ხოლო, მესამე წინადადებაში იგი ასრულებს განსაზღვ-რების ფუნქციას, დგას საზღვრული სიტყვის (sport) წინ და ნიშნავს - საწყლოსნოს.

სიტყვათა განლაგება მტკიცებითი ფორმის წინადადებაში

სიტყვათა ფიქსირებული ადგილები მტკიცებითი ფორმის წინადადებაში ასე ნაწილდება: პირველ ადგილზეა - ქვემ-დებარე, მეორეზე- შემასმენელი, მესამე -დამატება და ბოლოს, მეოთხე ადგილზე სხვადასხვა სახის გარემოება.

She put money into her bag - მან ფული ჩანთაში ჩადო.

1. ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე --- she
2. შ ე მ ს მ ე ნ ე ლ ი -- put
3. დ ა მ ა ტ ე ბ ა -- money
4. გ ა რ ე მ ო ე ბ ა -- into her bag

ინგლისური ენისათვის - სიტყვის ადგილს წინადადებაში, ასეთი მნიშვნელობა იმიტომ აქვს, რომ არსებით სახელს, დაკარგული აქვს ბრუნვები. როგორც ცნობილია, არსებით სახელს გააჩნია მხოლოდ ორი ბრუნვა: საერთო და ნათესაობითი. აქედან, ნათესაობითი ბრუნვის ფუნქცია, წინადადებაში ამოიწურება განსაზღვრების ფუნქციით, ხოლო სხვა დანარჩენი ფუნქციები, კერძოდ ფუნქციები ქვემდებარისა, დამატებისა, განსაზღვრებისა, შემასმენლელის სახელადი

ნაწილისა და გარემოებისა საერთო ბრუნვის ფუნქციებში შედის. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ ერთი და იგივე ფორმის არსებით სახელს, შეუძლია შეასრულოს ხუთი სხვადასხვა ფუნქცია, იმის მიხედვით თუ რომელი ადგილი უკავია, მას წინადადებაში. ამიტომ, წინადადების წევრთა დიფერენციაცია ხდება, სწორედ მათი ადგილის მიხედვით წინადადებაში და ასე მათი მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით.

ქართულში კი ქვემდებარეს თავისი ბრუნვები აქვს. ესენია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, როდესაც არსებითი სახელი ერთ- ერთ ამ ბრუნნვაში დადგება, მან წინადადებაში რომელი ადგილიც არ უნდა დაიკავოს, არც მისი მნიშვნელობა შეიცვლება და არც მისი ფუნქცია.

ინგლისურში კი ერთგვარი თავისუფლებაა დაშვებული გარემოების პოზიციაში. იგი შეიძლება წინადადების თავში ან ბოლოში იდგეს. ქვემდებარის წინ:

I'll be back at eight o'clock tomorrow morning - ხვალ დილის რვა საათზე დავბრუნდები or: At eight o'clock tomorrow I'll be back.

This year my daughter graduates from the Sport university - ჩემი ქალიშვილი წელს სპორტის უნივერსიტეტს ამთავრებს.

თუ წინადადებაში რამდენიმე სხვადასხვა სახის გარემოებაა, მაშინ, დროის გარემოება უნდა მოვათავსოთ, სულ ბოლოში სხვა გარემოებათა შემდეგ.

I had a letter from home yesterday - გუშინ სახლიდან წერილი მივიღე.

I came to the concert too early - კონცერტზე ძალიან ადრე მივედი.

კითხვითი წინადადება -

THE INTERROGATIVE SENTENCE

წარმოებისმიხედვით წინადადება სამი სახისაა:

A)კითხვითი წინადადება - რომელიც, შეიცავს ერთ-ერთ მოდალურ ზმნას, ან ერთ-ერთ ისეთ ზმნს, როგორიცაა -TO BE, TO HAVE, SHALL/WILL, - ასეთი კითხვითი წინადადება იწარმოება ამ ზმნების გადატანით ქვემდებარის წინ.:

1.Gegi is in home- გეგი შინაა(ე.ი. სახლშია) .

Is Gegi in? - გეგი შინაა?

2.We have four lectures today - დღეს ოთხი ლექცია გვაქვს.

Have we four lectures today? - დღესოთხი ლექცია გვაქვს?

3.- He will go there by bus - ის ავტობუსით წავიდა იქ.

Will he go there bybus? - ის ავტობუსით წავიდა იქ?

4. –You must to speak to her - თქვენ უნდა მოელაპაარაკოთ მას.

Must you to speak to her? - თქვენ უნდა მოელაპარაკოთ მას?

5. –They can go now . ---. ახლა მათ შეუძლიათ წასვლა.

Can they go now? --ახლა მათ შეუძლიათწასვლა?

6. He may be right - შეიძლება ის სწორი იყოს.

May be he right? - შეიძლება ის სწორი იყოს?

B) -კითხვითი წინადადება - რომელიც არ შეიცავს რომელიმე მოდალურ ზმნას ან ისეთ ზმნებს, როგორიცაა: to be, to have, shll/will ასეთი კითხვითი წინადადება იწარმოება დამხმარე ზმნის to do საშუალებით, რომელიც თავსდება ქვემდებარის წინ, Present Indefinite -ში გვაქვს - do - ან -does-, ხოლო Past Indefinite - ში - did-, ლექსიკური ზმნა დგას ინფინიტივში:

1.-They live near the park - ისინი პარკთან ახლოს ცხოვრობენ.

Do they live near the park? - ისინი პარკთან ახლოს ცხოვრობენ?

2. He lives next door - ის ჩემს მეზობლად ცხოვრობს.

Does he live next door? - ის ჩემს მეზობლად ცხოვრობს?

3.You lived here . - თქვენ აქ ცხოვრობდით.

Did you live here? - თქვენ აქ ცხოვრობდით?

a)კითხვითი წინადადება, რომელიც დაესმის ქვემდებარეს ან მის მსაზღვრელს, იგი შეიცავს ერთ - ერთ ისეთ კითხვით სიტყვას, როგორიცაა, who-ვინ ,what -რა, what, როგორი- wich, რომელი, whose ვის, how many ან how much -რამდენი. ეს კითხვითი სიტყვები იკავებენ ქვემდებარის ან მისი მსაზღვრელის ადგილს, წინადადების სტრქტურაში სხვა ცვლილებას ადგილი არა აქვს;

1.Anna is a sleep - ანას სძინავს.

Who is sleep? - ვის სძინავს?

2.She has made many buys today - დღეს მან ბევრი რამ იყიდა.

Who has made many buystoday? - ვინ იყიდა ბევრი რამ დღეს?

3.These students play chess well - სტუდენტები თამაშობენ ჭადრაკს კარგად.

Which students play chess well? - რომელი სტუდენტები თამაშობენ ჭადრაკს კარგად?

4. Interesting books sell well - საინტერესო წიგნები კარგად იყიდება.

What books sell well? - რომელი წიგნები იყიდება კარგად?

5. My friend's brother playsthe piano very well - ჩემი ძმა ძალიან კარგად უკრავს ფორტეპიანოს.

Whose brother plays the piano very well? - ვისი ძმა უკრვს ძალიან კარგად ფორტეპიანოს?

6.Two students painted this picture - ორმა სტუდენტმა დახატა ეს სურათი.

How many students painted this picture? - რამდენმა დახატა ეს სურათი?

როგორც ვხედავთ, პირველი ტიპის კითხვითი წინადადება იწრმოება ინვერსიის საშუალებით. ე.ი. ზმნის გადატანით ქვემდებარის წინ. მეორე ტიპის კითხვითი წინადადება იწარმოება დამხმარე ზმნის - to do- ს მეშვეობით, ხოლო მესამე ტიპის კითხვითი წინადადება, არავითარ ცვლილებას არ განიცდის, მასში ქვემდებარის ან მისი მსაზღვრელის ადგილს იკავებს შესაბამისი კითხვითი სიტყვა;

პირველი - ტიპი: - She is asleep - Is she a sleep?

მეორე -ტიპი: - She lives here. - Does she live here?

მესამე-ტიპი; - She lives here.- Who lives here?

შინაარსის მიხედვით კითხვითი წინადადება შეიძლება იყოს შემდეგი სახის :

1. ზოგადი კითხვა (General Questions) დაესმის მთელი წინადადებას და მოითხოვს დადებით ან უარყოფით პასუხს; იგი არ შეიცავს კითხვით სიტყვას:

Do you have a cold? - გაციებული ხარ?

Yes, I do. - დიახ.

Will Gegi come back in a week? - გეგი ერთ კვირაში დაბრუნდება?

N0 won't (he will not).- არა.

Are you coming with me? ჩემთან ერთად მოდიხარ?

No, I am not - არა.

Do you like coffee? - გიყვართ ყავა?

Yes,, I do -დიახ.

როგორც აღვნიშნეთ, ზოგადი კითხვა მოითხოვს დადებით ან უარყოფით პასუხს, ამიტომ ამ ტიპის კითხვებს უწოდებენ, Yes – No questions.

2. სპეციალური კითხვა (Special Question) დაესმის წინადადების რომელიმე წევრს. იგი შეიცავს კითხვით სიტყვას, რომელიც ჩვეულებრივ წინადადებაში პირველ ადგილზე დგას.

ეს კითხვითი სიტყვებია: who -ვინ; what -რა; what- როგორი,whom - ვის , whose -ვისი, which - რომელი, when - როდის, where - სად, how - როგორ, how many/how much - რამდენი, how long - რამდენ ხანს, why- რატომ;

Who are you? --- ?ვინ ხართ თქვენ?

What doyou want? - რა გნებავთ?

What books do you like? - როგორი წიგნი გიყვარს?

Whom did you meet yesterday? - ვის შეხვდი გუშინ?

Whose book is this? - ეს ვისი წიგნია?

Which is your room? - რომელია თქვენი ოთახი?

When will I see you? - როდის გნახავ?

Where are you? - სად ხარ?

How doyoulike it? - ეს როგორ მოგწონს?

How much do I owe you?- რამდენი მართებს შენი?

How many times must I repeat? - რამდენჯერ უნდა გაგიმეორო?

How long will you be here? - რამდენ ხანს იქნები აქ?

Why are you so angry? - რატომ ხარ ასე გაბრაზებული?

სპეციალური კითხვა, როგორც წესი, შეიცავს კითხვით სიტყვას, ამიტომ ამ ტიპის კითხვებს wh - s questions უწოდებენ.

3. განცალკევებული კითხვა(TagQuestions) ორი ნაწილისაგან შედგება. თუ პირველი ნაწილი დადებითია, მეორე უარყოფითი უნდა იყოს და პირიქით. მათ შორის დაისმის მძიმე. იგი გამოხატავს კითხვას, რომელზეც უმეტესად დადასტურებითი პასუხია მოსალოდნელი;

You are better today, aren't you? - შენ დღეს უკეთესად ხარ.ხომ მართალია?

He is a doctor, isn't he? - ის ექიმია არა?

You can do it for me, can't you? - შენ ხომ შეგიძლია ეს გამიკეთო?

Hechaanged greatly, didn't he? - ის ძალიან შეიცვალა, ხომ სწორია?

He didn't chande greatly, did he? - ის ძალიან არ არის შეცვ-ლილი, ხომ სწორია?

უარყოფის შემცვლელი წინადადება

უარყოფის შემცვლელ წინადადებაში შეიძლება შედიოდეს შემდეგი უარყოფის გამომხატველი სიტყვები:

ა) - უარყოფის ნაწილაკი -no- ან - not და არსებითი სახელი:

Not a word! - არ გავიგონო არც ერთი სიტყვა!

He has no brother - მას ძმა არა ჰყავს.

There can be no doubt it - ამაში არაფერია საეჭვო.

ბ) – not - და ნაცვალსახელი:

I will not go there, not I -არ გეგონოთ, რომ მე იქ წავალ.

He will not bring the book, not he - ყოველ შემთხვევაში ის წიგნს არ მოიტანს.

You have the English book, don't you? - შენ გაქვს ინგლისურის წიგნი ხომ სწორია?

გ)უარყოფითი ნაცვალსახელი:

Nobody else can help me - სხვა ვერავინ დამეხმარება.

I know nothing about it - არაფერი არ ვიცი ამის შესახებ.

None of us like him - არცერთ ჩვენგანს არ მოსწონს იგი.

დ) not და ზედსართავი სახელი:

I am not cold. - არა მცივა.

We were not late - არ დაგვაგვიანდა.

They are not many - ისინი ბევრნი არ არიან.

ე) not და რიცხვითი სახელი:

They were not two, they were three - ისინი ორნი არ ყოფილან. ისინი სამნი იყვნენ.

He wasn't the first to come - ის პირველი არ მოსულა.

ვ) ზმნა უარყოფით ფორმაში:

I don’t know him - არ ვიცნობ მას.

He doesn’t speak Franch - ის ფრანგულად არ ლაპარაკობს.

I couldn’t sleep last night. - წუხელ ვერ დავიძინე.

I should not go there - მე იქ არ წავიდოდი.

ზ)უარყოფითი მნიშვნელობის ზმნიზედები:

I never sawGegi here - გეგი აქ არასოდეს არ მინახავს.

Where do you go? ---სად მიდიხარ?

Nowhere-- არსად.

თ) უარყოფითი მნიშვნელობის კავშირი:

Do you knowGerman or French? - გერმნული იცი თუ ფრანგული?

Neither.- არც ერთი ვიცი და არც მეორე.

I saw neither Anna nor her sister - არც ანა მინახავს და არც მისი და.

I not only saw Gegi, butalso spoke with him - მე არა მხოლოდ ვნახე გეგი, არამედ ველაპარაკე კიდეც მას.

If you don’t go, neither shall I - შენ თუ არ წახვალ, არც მე წავალ.

ნ ა წ ი ლ ა კ ი - not- და ზ მ ნ ი ს ა რ ა შ ე მ ა ს მ ე ნ ლ უ რ ი ფ ო რ მ ე ბ ი :

ა) not - და ინფინიტივი:

I was in hurry not to miss the train - ვჩქარობდი რომ მატარებელზე არ დამგვიანებოდა.

You must be at the Universiti at 9’ o clock sharp, (in order) not to be late for English lecture - უნივერსიტეტში უნდა იყო ზუსტად 10 საათზე, რომ ინგლისურის ლექციაზე არ დააგვიანო.

ბ) not და ing იანი სუფიქსის მიმღეობა:

Not knowing what to do,, Gegi went out - გეგიმ არ იცოდა, რა გაეკეთებინა და წავიდა.

Having not found her book, Anna had to go to the library - ანამ თავისი წიგნი რომ ვერ იპოვა, ბიბლიოთეკაში მოუხდა წასვლა.

გ) not და ed სუფიქსიანი მიმღეობა:

He was not seen anywhere - ის არსად არ ჩანდა.

The boy was ill and so, he was not sentto school - ბიჭი ავად იყო და ამიტომ სკოლაში არ გაუშვეს.

დ). ჩართული სიტყვა და not ნაწილაკი:

Do you think we'll get there in time? - თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ იქ დროზე მივალთ? Certainly not - რა თქმა უნდა არა.

Will you take part in thecompetition? - შეჯიბრებაში მიიღებ მონაწილეობას? ალბათ არა.

ე). კავშირი და not ნაწილაკი:

If I have time I'll go out, if not, not. ---თუ დრო მექნება წავალ თუ არადა არა.

Are you coming or not? - მოდიხარ თუ არა?

ვ) გამოთქმებში:

Iam not in the least hungry - სრულებით არა მშია.

Are you tired? - დაღლილი ხარ?

Not at all - სრულებითაც არა.

ინგლისური ენის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ წინადადებაში შეგვიძლია გამოვიყენოთ, მხოლოდ ერთი უარყოფითი მნიშვნელობის სიტყვა, იქნება ეს უარყოფითი ნაცვალსახელი თუ ზმნა უარყოფით ფორმაში, ნაწილაკი - not- და არსებითი სახელი თუ -not და ინფინიტივი და ა.შ.

ქართულში კი ვიყენებთ იმდენ უარყოფით სიტყვას, რამდენსაც მივიჩნევთ საჭიროდ, იმისთვის რომ აზრი ზუსტად გადმოვცეთ. მაგალითად, ზემოთ მოცემული ინგლისური წინადადებებიდან მოვიყვანთ ზოგიერთს და მათ ქართულ შესატყვის, სადაც ინგლისური და ქართული ენის ეს სპეციფიკა კარგად გამოჩნდება;

I never saw Gegi here - მე გეგი აქ არასოდეს არ მინახავს.

She was not seen anywhere - ის არსად არ ჩანდა.

როგორც ვხედავთ, ამ (ინგლისურ) წინადადებაში თითო უარყოფითი მნიშვნელობის სიტყვაა, ქართულში კი ორ - ორი;

I never heared anything about it - ამის შესახებ არასოდეს, არაფერი არ გამიგონია.

She never loved anyone - მას არასოდეს არავინ არ ჰყვარებია.

ამ (ინგლისურ) წინადადებაში თითო უარყოფითი მნიშვნელობის სიტყვაა, ქართულში კი სამ - სამი. გამონაკლის შეადგენს, ის ინგლისური წინადადებები, სადაც ზმნის არაშემასმენლური ფორმა, უარყოფითი მნიშვნელობითაა გამოყენებული და ამიტომ უარყოფით ფორმაშიდგას; ასეთ წინადადებებში ორი უარყოფა იყრის თავს:

I did not know anything of your not being there. - მე არაფერი არ ვიცოდი, შენი აქ არყოფნის შესახებ.

I'll not come to you, not to meet him. - შენთან არ მოვალ, რომ მას არ შევხვდე.

ინვერსია-

INVERSION

ინვერსია - ნიშნავს წინადადებაში სიტყვათა მტკიცედ, განსაზღვრული რიგის დარღვევას, თვით ასეთ წინადადებას კი ეწოდება ინვერსიული წინადადება. რომელშიც დარღვეულია სიტყვათა რიგი: ქვემდებარე,შემასმენელი, დამატება, გარემოება.

ინვერსია საერთოდ არის გამოიყენებული კითხვით ფორმის საწარმოებლად. იგი წარმოადგენს, აგრეთვე, სხვადასხვა ლექსიკური სტილისტური ნიუანსის გადმოცემის საშუალებას;

ინვერსიული კითხვითი წინადადება, რომლის შემასმენელი შეიცავს ზმნებს to be და to have:

Are you unwell? - ცუდად ხარ?

Have you a headache? - თავი გტკივა?

ნაწილობრივ ინვერსიულია კითხვითი წინადადებები, რომ-ლებიც შეიცავს დამხმარე ზმნებს: to be, to have, to do, shall/will

Can you come to me? - შეგიძლია ჩემთან მოხვიდე?

Shall we go back? - უკან დავბრუნდეთ?

Wat are youreading? - რას კითხულობ?

ამ წინადადებაში მობდალური და დამხმარე ზმნები ქვემდებარის წინ დგას, ხოლო ლექსიკური ზმნა მოსდევს ქვემდებარეს. ამიტომ არ არის ისინი ნაწილობრივ ინვერსიული.

ინვერსიულია წინადადება,რომელიც იწყება კონსტრუქციით there + to be;

There wa greatlove between them - მათ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ.

There is someone to see you - ვიღაცა მოვიდა თქვენს სანახავად.

ინვერსიულია წინადადება, რომელიც შეიცავს შემცვლელ ზმნას to do-

I like this picture - მომწონს ეს სურათი.

So do I - მეც.

I'm sorry this happened - ვწუხვარ რომ ეს მოხდა.

So am I. - მეც.

ახლა კი დავაკვირდეთ იმ წინადადებებს, სადაც ინვერსია გამოყენებულია, როგორც სხვადასხვა აზრობრივი ნიუანსის გამოხატვის საშუალება;

May you be happy - ბედნიერი იყავი.

ამ წინადადებაში მოდალური ზმნა დგას ქვემდებარის წინ და ინვერსიული ძახილის წინადადებით გამოხატულია კეთილი სურვილები.

Anxious to see his old friends at his house was standing Gegi at the door waiting for them to come. -გეგის ძალიან უნდოდა, რომ ძველი მეგობრები თვის სახლში მიეწვია; იგი კარებში იდგა და მათ მოსვლას ელოდა ეს წინადადება ინვერსიულია, რადგან ქვემდებარე (Gegi) მოსდევს შემასმენელს(was standing)

ინვერსიის მიზანია გადმოსცეს ,,გეგის'' განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობა.

Here comes Anna! - აი, ანაც მოდის!

როგორც ვხედავთ, ეს წინადადება წარმოადგენს სიხარულის შეძახილს.

A long way away from us is he now - შორს არის ის ახლა ჩვენგან. ამ წინადადებაში კი ინვერსია გამოყენებულია, დანანებისა და უკმაყოფილების გამოსახატავად.

კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა -

THERE AND TO BE

თანამედროვე ინგლისურში ფართოდ არის გავრცელებული ისეთი წინადადებები, სადაც პირველ ადგილზე დგას კონსტ-რუქცია -there, რომელსაც მოსდევს -to be - ზმნის შემასმენლური ფორმაა, კერძოდ, ასეთი წინადადებები იწყება შემდეგი სიტყვე-ბით: there is, there are, there was, there were, there will be, there have been,(Had been)

კონსტრუქცია - there and to be გამოხატავს ყოფნას, არსებობის მნიშვნელობას აწმყო დროში. იგი ქართულად გადმოიცემა ისე-თი სიტყვების საშუალებით, როგორიცაა: არის, დევს, დგას, აწყვია, არსებობს და ა.შ. იგი ხშირად გადმოიცემა ბოლო კიდური -ა -ს საშუალებითაც;

There is a man in my room. - ჩემს ოთახში ვიღაც კაცია.

Are there any English books in this book - shop?- ამ წიგნების მაღაზიაში, რაიმე ინგლისურის წიგნი თუ არის?

There are many books on the table - მაგიდაზე ბევრი წიგნი აწყვია.

There is a bed in my room - ჩემს ოთახში ერთი საწოლი დგას.

There is something on the table - მაგიდაზე რაღაცა დევს.

There is only one way out - ამ მდგომარეობიდან, მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს.

ასეთი ტიპის წინადადებაში - there მოკლებულია რაიმე კონკ-რეტიულ ლექსიკურ მნიშვნელობას: - to be დგას მეორე ადგილზე, მაგრამ იგი წარმოადგენს წინადადების პირველ სრულმნიშვნელოვან სიტყვას, რომელიც ასრულებს მარტივი შემასმენლის ფუნქციას, ხოლო ქვემდებარე დგას მის შემდეგ. როგორც ვხედავთ, ასეთი ტიპის წინადადებები არის ინვერ-სიული, რადგან ქვემდებარე მოსდევს შემასნენელს:

There is a mistake in your written test - თქვენს საკონტროლო ნამუშევარში, შეცდომაა,

თუ ქვემდებარე მხოლობით რიცხვშია, მას ჩვეულებრივ ახლავს განუსაზღვრელი არტიკლი, ხოლო თუ ქვემდებარე მრავლობით რიცხვშია, იგი უარტიკლოდ იხმარება, მოყვანილი წინადადება მრავლობით რიცხვში შემდეგნაირად იქნება;

There are mistakes in your written test - თქვენს საკონტროლო ნამუშევარში შეცდომებია.

შემასმენელი უთანხმდება ქვემდებარეს რიცხვში. ამიტომაა, რომ პირველ წინადადებაში, სადაც ქვემდებარე მხოლობით რიცხვშია, შემასმენელი გამოყენებულია - to be ზმნის მხოლობითი რიცხვის ფორმა-is ,ხოლო მეორესი, სადაც ქვემდებარე მრავლობითშია, გამოყენებულია მრავლობითის ფორმა- are.

ქვემდებარის წინ, არტიკლის გარდა გვხვდება აგრეთვე განუსაზღვრელი ნაცვალსახელები: -some, any. უარყოფითი ნაცვალსახელი -no და მათი შესატყვისი რთული ნაცვალსახელი -something, anything, nothing, აგრეთვე, ზედსართავი სახელები: many, few.

There are some mistakes in your written test -თქვენ საკონტროლო ნამუშევარში რამდენიმე შეცდომაა.

There are many mistakes in my written test - ჩემ საკონტროლო ნამუშევარში შეცდომები არის.

Is there any thing interesting in today's newspapers? - დღევანდელ გაზეთებში არაფერია საინტერესო?

There isnothing interesting in today's newspapers - დღევანდელ გაზეთებეში არაფერი არ არის საინტერესო.

უარყოფით ფორმაში ნაწილაკი -no ან not თავსდება უშუა-ლოდ ქვემდებარის წინ;

There is no sense in it -ამას არავითარი აზრი არ აქვს.

There are no mistakes in your written test - თქვენ საკონტროლო ნამუშევარში შეცდომები არ არის.

კონსტრუქციაში შემავალი -to be შეიძლება-ing სუფიქსიანი მიმღეობის ფორმითაც იხმარებოდეს;

There being very manypeople at the theatre, we couldn't get tickets - რადგან, თეატრში ბევრი ხალხი იყო, ბილეთები ვერ ვიშოვეთ.

Tere beingtoo much work, I had to stay at the University till evening.-- რადგან ძალიან ბევრი საქმე იყო, უნივერსიტეტში მომიხდა საღამომდე დარჩენა.

ამ წინადადებაშში -there and to be - კონსტრუქცია გამოხატავს მიზეზს, რომელმაც განაპირობა შემასმენლით აღნიშნული მოქმედების შესრულება, ამიტომ, იგი ასრულებს მიზეზის გარემოების ფუნქციას - there and to be -ანი წინადადების ქარ-თულად გადმოცემის თარგმნა უნდა დავიწყოთ ბოლოდან:

Are there many people at the theatre? - თეატრში ბევრი ხალხია?

There is a newstudent in our group - ჩვენს ჯგუფში ახალი სტუდენტია.

ზოგჯერ კონსტრუქციაში - there and to be შედის მოდალური ზმნაც;

There mustbe anotherreason - სხვა მიზეზი უნდა იყოს.

There must be some misunderstanding - რაღაც გაუგებრობას უნდა ჰქონდეს ადგილი.

There can be no doubt about it - ეს უეჭველია.

როგორც აღვნიშნეთ, კონსტრუქციაში - there and to be სიტყვას there არავითარი ლექსიკური მნიშვნელობა არა არა აქვს. იგი არ უნდა აგვერიოს ზმნიზედაში -there, რომელიც ნიშნავს - იქ, ასრულებს ადგილის გარემოების ფუნქციას და ჩვეულებრივ, წინადადების ბოლოი დგას;

შევადაროთ:

Thereare many people at the stadium.- სტადიონზე ბევრი ხალხია.

There are many people there - იქ ბევრი ხალხია.

რთული წინადადება

რთულია წინადადება, რომელიც შედგება ორი ან ორზე მეტი მარტივი ან შერწყმული წინადადებისაგან. რთული წინადადება შეიძლება იყოს თანწყობილი, ქვეწყობილი ან თანწყობილ -- ქვეწყობილი.

რთული თანწყობილი წინადადება

THE COMPOUND SENTENCE

რთული თანწყობილი ჰქვია ისეთ წინადადებას, რომელიც შედგება ორი ან მეტი ერთმანეთისგან გრამატიკულად და მოუკიდებელი მარტივიან შერწყმული წინადადებისაგან. ეს წინადადებები გრამატიკულად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი იმიტომ არიან, რომ ყველა მათგანს აქვს თავ- თავისი მთავარი წევრები: ქვემდებარე და შემასმენელი, მართალია, რთული თანწყობილ წინადადებაში შემავალი მარტივი წინადადებები გრამატიკულად დამოუკიდებელნი არიან, მაგრამ ისინი ერთმანეთთან მჭიდრო აზრობრივ კავშირში იმყოფებიან.

რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალი მარტივი წინადადებები ერთმანეთს უკავშირდება მაერთებელი კავშირებით, მაერთებელი ზმნიზედებით ან უკავშიროდ. მაერთებელი კავშირებია: - and-და, მაგრამ, because - ამიტომ, - but –still -მაგრამ, მაინც დაა.შ. მაერთებელი ზმნიზედებია: however - თუმცა, therefore - ამიტომ, ამის გამო, other wise -თორემ, never less მიუხედავად ამისა, მაგრამ, მაინც და ა.შ.

It was Sunday evening and we went for a walk - კვირის საღამო იყო და ჩვენ სასეირნოდ წავედით.

Gegi hurried home, for it was already late - გეგი შინ მიიჩქაროდა, რადგან უკვე გვიან იყო.

phoned youyesterday, but youwere out - გუშინ დაგირეკეთ, მაგრამ შინ არ იყავი.

Gegi can’ttranslate this article, nor can Anna - გეგის არ შეუძლია ამ სტატიის გადათარგმნა და არც ანას შეუძლია.

Be quite, otherwise you’ll be late for the lecture - იჩქარე, თორემ ლექციაზე დაგაგვიანდება.

Our time is up, therefore we must leave - ჩვენი დრო ამოიწურა და ამიტომ უნდა წავიდეთ.

Anna knows English , so we can speak English to her - ანამ იცის ინგლისური, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია მას ინგლისურად ველაპარაკოთ.

Will you take the book from the library, or will be teacher give it to you? - წიგნს ბიბლიოთეკიდან გამოიტან, თუ მასწავლებელი მოგცემს? როგორც აღვნიშნეთ, რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალი მარტივი წინადადებები შეიძლება ერთმანეთს დაუკავშირდეს მაკავშირებელი სიტყვები გარეშეც. ასეთ შემთხვევაში მათ შორის დაისმის მძიმე, ხოლო თუ ეს მარტივი წინადადებები გრძელია დაისმის წერტილ -- მძიმე. ზეპირმეტყველებაში კი ასეთ წინადადებებს შორის კავშირი ხორციელდება შესაბამისი ინტონაციის მეშვეობით: Let's hurry, it looks like rain.- ვიჩქაროთ, შეიძლება იწვიმოს. Every evening Gegi and Anna go for a walk; ყოველ საღამოს გეგი და ანა სასეირნოდ დადიან. Gegi is reading a newspaper, Anna is doing the same. --- გეგი გაზეთებს კითხულობს, ანაც იგივეს აკეთებს.

რთული ქვეწყობილი წინადადება

THE COMPLEX SENTENCE

რთული ქვეწყობილი ჰქვია ისეთ წინადადებას, რომელიც შედგება ერთი მთავარი და ერთი ან რამდენიმე მასზე დამოკიდებული წინადადებისაგან. დამოკიდებული წინადადებები განსაზღვრავენ, ავსებენ და აზუსტებენ მთავარი წინადადების მნიშვნელობას. დამოკიდებულ წინადადებათა ფუნქციები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ისეთივეა, როგორც წინადადების წევრთა ფუნქციები მარტივ წინადადებაში, კერძოდ,

დამოკიდებულ წინადადებებს შეუძლიათ შეასრულონ ქვემდებარის, შემასმენლის, დამატების, განსაზღვრებისა და გარემოების ფუნქციები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. ამიტომ, დამოკიდებული წინადადებები თავის ფუნქციის მიხედვით არის ქვემდებარული შემასმენლური, დამატებითი და გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები, რომელებიც მთავრს უერთდებიან მაქვემდებარებელი კავშირებით, ნაცვალახელებითა და ზმნიზედებით:

გეგიმ მითხრა რომ მას ფული სჭირდება.

აქ მთავარი წინადადებაა --Gegi toldme -გეგიმ მითხრა. როგორც ვხედავთ, ამ წინდადების აზრი არ არის დასრულებული, რადგან არ ჩანს, თუ რა მითხრა გეგიმ, ხოლო წინადადება-he needed some money, რომელიც ასრულებს დამატების ფუნქციას მთავარი წინადადების შემასმენლის-told- მიმართ და ამიტომ არის დამატებითი დამოკიდებული წინადადება. მთელ წინადადებას აძლევს აზრობრივად დასრულებულ ხასიათს. იგი მთავარ წინადადებას უერთდება მაქვემდებარებელი კავშირებით -that- განვიხილოთ დამოკიდებული წინადადებები:

ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ უ ლ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა THE SUBJECT CLAUSES SENTENCE

ქვემდებრულ დამოკიდებული წინადადება - ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. იგი მთავარ წინადადებას უერთდება მაქვემდებარებელი კავშირებით -that რომ, if -თუ, wheter -თუ, ნაცვალსახელებით: who --ვინც, What-რაც, რასაც, which - რომელიც და ზმნიზედებით - who თუ, როგორ,when - როდესაც, როცა, Where -სადაც, why -

თუ, რატომ. What she sayscan/t be true. რასაც ის ამბობს, არ შეიძლება სწორი იყოს. ამ რთული ქვეწყობილი წინადადების ქვემდებარე გამოხატულია დამოკიდებული წინადადებით: -whatshe says - მართალია იგისტრუქტურულად დასრულებული წინადადებაა, რადგან, გააჩნია ორივე მთავარი წევრი: ქვემდებარე - she - და შემასმენელი- says, მაგრამ იმის გამო, რომ შეიცავს მაკავშირებელ სიტყვას-what,იგი არ გამოხატავს დასრულებულ აზრს. აზრი სავსებით დასრულებული ხდება, როდესაც მას დაერთვის წინადადების მეორე ნაწილი- can't be -, რომელიც ასრულებსშემასმენელის ფუნქციას; ე.ი. ამ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ორი წევრია :ქვემდებარე --what he says - და შემასმენელი -can't be true. That nick and Anna got married surprised us all - ნიკოს და ანნას დაქორწინებამ ყველა გაგვაკვირვა. ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს წინადადება - That Nick and Anna got married -ხოლო შემასმენელია --surprised.

How he managed to do it is a mystery to me. ჩემთვის გაუგებარია, თუ როგორ მოახერხა მან ამის გაკეთება.

ქვემდებარულ დამოკიდებული წინადადება -how he managed to do it,- რომელსაც შემასმენლის ფუნქციას უწევს შედგენილი სახელადი შემასმენელი -it is a mystery.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის წინადადებაში, ხშირად ორი შემასმენელი ერთად იყრის თავს, ერთმანეთის გვერდით. აქედან, პირველი შემასმენელი ქვემდებარულ

დამოკიდებულს მიეკუთვნება, ხოლო მეორე რთულ-ქვეწყობილს. დავაკვირდეთ უკვე მოყვანილ მაგალითებს: -what she says can't be true - ამ წინადადებაში ერთმანეთის გვერდით დგას ორი შემასმენელი -says და-can't be true. როგორც აღვნიშნეთ, -says -ქვემდებარული წინადადების შემასმენელია-can't be true- კი რთული ქვეწყობილის.

That Nick and Anna got married surprised us all - აქაც ორი შემასმენელია ერთმანეთის გვერდით- got married - და -surprised.

შემასმენლისური დამოკიდებული წინადადება PREDICATIVE CLAUSES

როგორც ცნობილია, შემასმენლისური ეწოდება შედგენილი შემასმენელის სახელად ნაწილს.

Gabriel is my brother - გაბრიელი ჩემი ძმაა.

ამ წინადადებაში ქვემდებარეა -Gabriel - ხოლო შემასმენელია -is my brother, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: ერთია ზმნური ნაწილი ანუ მაერთი - is ხოლო მეორე კი სახელადი ნაწილი- my brother. შემასმენლის ფუნქციას ზოგჯერ ასრულებს მთელი წინადადება, რომელსაც ეწოდება შემასმენლისური დამოკიდებული წინადადება. მაერთის ფუნქციას უმეტესად -to be - ზმნა ასრულებს. მაერთის ფუნქციით გვხვდება, აგრეთვე, ზმნები: to see, to look, to appear. ე.ი. შემასმენელური დამოკიდებული წინადადება ასრულებს არა მთლიანად შემასმენელის, არამედ მისი სახელადი ნაწილის ფუნქციას. შემასმენლისურ დამოკიდებულ წინადადებასა და მაერთს შორის კავშირი ხორციელდება ისეთი კავშირებით, როგორიცაა - that -რომ, -if - თუ, what - თუ; აგრეთვე მაკავშირებელი სიტყვებით: who - ვინ, თუ ვინ, what -რა, თუ რა, where - სად, თუ სად, when - როდის, თუ როდის, which - რომელი, თუ რომელი.

The trouble is that we are short of money - უბედურება ისაა, რომ ფული არ გვყოფნის.

ამ წინადადების ქვემდებარეა -the trouble, ხოლო შემასმენელია is that we areshort of money. შემასმენელი შედგება მაერთისა და სახელადი ნაწილისაგან. მაერთია -is, ხოლო სახელადი ნაწილი ანუ შემასმენლისი-- გამოხატულია დამოკიდებული

წინადადებით we are short of money. შემასმენლისური დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება კავშირით - that.

The main question is how we must get there - მთავარი საკითხია, თუ როგორ უნდა მივიდეთ იქ.

ამ წინადადების შემსმენელია -is how we must get there . აქედან - is მაერთია, ხოლო -we must get there შემასმნლისი, გამოხატული შემასმენლისური დამოკიდებული წინადადებებით. კავშირი მაერთსა და შემასმენლის შორის ხორციელდება მაკავშირებელი სიტყვით - how.

დამატებითი დამოკიდებული წინადადება

OBJECT CLAUSES

წინადადებას, რომელიც ასრულებს დამატების ფუნქციას რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, ეწოდება-- დამატებითი დამოკიდებული წინადადება. იგი მთავარ წინადადებას უერთდება კავშირებით --that - რომ, whether - თუ, if - თუ, მაკავშირებელი სიტყვებით: who -ვინ, ვინც, თუ ვინ; what - რა, რაც, თუ რა; which - რომელი, თუ რომელი; why - რატომ, თუ რატომ; where - სად, თუ სად; when როდის, თუ როდის;

I don't doubt,that Gegi will win - ეჭვიარ მეპარება, რომ გეგი გაიმარჯვებს.

ამ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, მთავარი წინადადებაა I don't doubt , ხოლო დამატებით დამოკიდებულია -Gegi will win, რომელიც მთავარს უერთდება კავშირით-that.

He asked me if Iwas really ill - მან მკითხა, მართლა თუ ვიყავი ავად.

დამატებითი დამოკიდებული წინადადებაა -I was really ill რომელიც მთავარს -He asked me უერთდება კავშირით -if.

ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურში დამატებით დამოკიდებულ წინადადებებს აქ და მთავარს შორის მძიმე არ დაისმის:

I hope that you'll do this work well - იმედი მაქვს, ამ საქმეს კარგად გააკეთებ.

დამატებითი დამოკიდებული წინადადება you'll do this work well დაერთვის ზმნას-hope და მის მიმართ დამატების ფუნქციას ასრულებს.

I didn't realize that it was so late - წარმოდგენა არ მქონდა, რომ ასე გვიანი იყო.

დამატებითი დამოკიდებული წინადადებაა - it was so late რომელიც დაერთვის შემასმენელს- didn't realize. ამ წინადადებაში კავშირი- that შეიძლება საერთოდ გამოვტოვოთ. მაშინ ზემოთ მოყვანილი წინადადებები შემდეგ სახეს მიიღებს: I hope you'll do this work well. - I didn't realize it was so late.

დროთა შეთანხმების წესი, რომელიც მოქმედებს დამატებით დამოკიდებულ ინადადებაში

THE SEQUENCE OF TENSES -I- OBJECT CLAUSES

დროთა შეთანხმების წესი ნიშნავს დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემასმენლის შეთანხმებას დროში მთავარი წინადადების შემასმენელთან, შეთანხმებას ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მთავარი წინადადების შემასმენელი ნამყო დროშია. ეს შეთანხმება შემდეგი ხასიათისაა: თუ მთავარი წინადადების შემასმენელი ნამყო დროშია,

დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემასმენელიც უნდა დადგეს ერთ - ერთ ნამყო დროში, კერძოდ, გამოიყოფა დროთა შეთანხმების სამი ძირითადი შემთხვევა:

1 - თუ მთავარ და დამოკიდებულ წინადადებაში, აღნიშნული მოქმედებები ერთდროულად ხდება, დამატებით დამოკიდე-ბულში შემასმენელი უნდა იდგეს Past Indefinite ან Past Continuous - ში;

They said they were waitingfor us - მათ თქვეს, რომ ჩვენ გველოდებიან. (ე.ი. მათ ეს თქვეს მაშინ, როდესაც გველო-დებოდნენ).

2 - თუდამოკიდებული წინადადებების მოქმედება უფრო ადრე მოხდა, ვიდრე მთავარი წინადადებისა, დამატებით დამოკიდებულში უნდა გამოვიყენოთ -The Past Perfect or The Past Perfect Continuous:

They said they had been waiting for us - მათ თქვეს რომ ჩვენ გველოდებოდნენ. (ე.ი. მათ ეს თქვეს, როდესაც ისინი ჩვენ უკვე აღარ გველოდებოდნენ)

3 - თუ დამოკიდებულ წინადადებაში გადმოცემული მოქმედება მთავარი წინადადების შემდეგ უნდა მოხდეს, დამოკიდებულში გვექნება The Future -in – the Past Indefinite, The Future –in – the – Past Continuouse or The Future –in the- Past Perfect:

They said they would be waiting for us -მათ თქვეს, რომ დაგველოდებიან.

როგორც აღვნიშნეთ, სამივე შემთხვევაში, მთვარი წინადადება დგას ნამყო განუსაზღვრელ დროში - They said.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც მთავარი წინადადების შემასმე-ნელი აწმყო ან მომავალ დროშია, დროთა შეთანხმების წესი აღარ მოქმედებს და დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში შეგვიძლიაგამოვიყენოთ ნებისმიერი დრო ჩვენი სურვი-ლისამებრ:

They say they are waiting for us - ისინი ამბობენ, რომ ჩვენგველოდებიან/

Theysaythey were waiting for us - ისინი ამბობენ, ჩვენ გველოდებოდნენ. They say they will be waiting for us - ისინი ამბობენ, რომ ჩვენ დაგველოდებიან/ დროთა შეთანხმების წესი მოქმედებს აგრეთვე ისეთ დამატებითდამოკიდებულ წინადადებაში, რომელიც დაერთვის ზმნის არაშემასმენლურ ფორმას - ინფინიტივს ან სუფიქსიან მიმღეობას;

I phoned to tell you that I was waiting for you - დაგირეკე იმის სათქმელად, რომ შენ გელოდები.

I phoned to tell youthat I had been waiting for you - დაგირეკე იმის სათქმელად, რომ შენ გელოდებოდი.

I phoned to tell you that I should be waiting for you - დაგირეკე იმის სათქმელად, რომ დაგელოდები.

დროთა შეთანხმების წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში გამოთქმული აზრი აბსოლუტურად ჭეშმარიტებას ან საზოგადოდ ცნობილ ფაქტს წარმოადგენს:

Anna was five when she heared that Nona Gaprindashvili is the world chempion - ანნა ხუთი წლის იყო, როდესაც გაიგო, რომ ნონა გაფრინდაშვილი არის ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება

ATTRIBUTIVE CLAUSES

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ეწოდება ისეთ დამოკიდებულ წინადადებას, რომელიც შედის რთულ - რთულ ქვეწყობილ წინადადებაში და განსაზღვრავს, მთავარი წინადადებისს რომელიმე წევრს, გამოხატულს არსებითი სახელით ან

ნაცვალსახელით. მნიშვნელობის მიხედვით, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები არის ძირითადად ორგვარი:

1 - ზოგიერთი განაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება იძლევა, არასაზღვრული სიტყვის დახასიათებას. ასეთი განსაზ-ღვრებითი დამოკიდებული წინადადება, შეიძლება ამოვიღოთ რთული - ქვეწყობილი წინადადებიდან. ამით მთავარი წინადა-დების აზრი არ დაირღვევა:

We met the students of our University who had already passed all their exams - შეგვხვდნენ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც უკვე ყველა გამოცდა ჩააბარეს.

აქ მთავარი წინადადებაა -we met the students of our University , ხოლო განსაზღვრებითია -who had all ready passed all the exam. იგი იძლევა დამატების -the students ერთგვარ დახასიათებას. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ამოღების შემდეგ, რჩება მთავარი წინადადება -we met the students of our University რომელიც შეიძლება. დამოუკიდებლადაც ვიხმაროთ.

I am looking for my bag which I puthere a few minutes ago. ვეძებ ჩემს ჩანთას, რომელიც რამდენიმე წუთის წინ აქ დავდე.

ამ წინადადებიდანაც განსაზღვრებით ი დამოკიდებული წინდადები ამოღების შემდეგ, რჩება მთავარი წინადადება - I'm looking for my bag, რომელიც არ კარგავს დასრულებულ ხასიათს და შეიძლება დამოუკიდებლადაც ვიხმაროთ.

2 - ზოგიერთი გნსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება კი საზღვრული სიტყვის ისეთ დახასიათებას იძლევა, რომლის საფუძველზე საგანი მკვეთრად გამოიყოფა სხვა მისი მსგავსი საგნებიდან. ასეთი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადა-დება ისეთ მჭიდრო აზრობრივ კავშირშია მთავართან, რომ მისი ამოღებით მთავარი წინადადების აზრი კარგავს დასრულებულ ხასიათს და დამოუკიდებლად ხმარება შეუძლებელია:

I can't bear a man who has no friends - ვერ ვიტან ისეთ ადამიანს, რომელსაც მეგობრები არ ჰყავს.

ამ რთულ - ქვეწყობილ წინადადებაში, მთავარი წინადადებაა -I can't bear a man ხოლო განსაზღვრებითი დამოკიდებულია - who has no friends . თუ ამ უკანსკნელს ამოვიღებთ, დარჩება - I can't bear a man- ვერ ვიტან (ისეთ) ადამიანს... როგორც ვხედავთ, დასრულებულ აზრს არ შეიცავს და ამ სახით მისი გამოყენება შეუძლებელია.

He is the only person who understand me - ის არის ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ესმის ჩემი.

ცხადია, თუ ამ წინადადებიდან ამოვიღებთ განსაზღვრებით დამოკიდებულს -who understands me - (რომელსაც ჩემი არ ესმის), დარჩება მთავარი -he is only person -ის არის ერთადერთი ადამიანი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ასეთ წინადადებაში არტიკლის მნიშვნელობა. არტიკლი რომელიც მთავარწინადადებაში საზღვრული სიტყვის წინ დგას, ამ სიტყვის მნიშვნელობის ისეთ დაკონკრეტებას ახდენს , რომ შემდგომ აუცილებელია მისი განსაზღვრა - განმარტება. მაგალითად:

I'll always remember the day I first saw him - ყოველთვის მემახსოვრება ის დღე, როდესაც იგი პირველად ვნახე.

განსაზღვრული არტიკლი -the არსებით სახელს -day განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მთავარი წინადადებიდან ვგებულობთ, რომ ეს იყო განსაკუთრებული დღე, მაგრამ თუკონკრეტულად რითი იყო იგი ღირსშესანიშნავი, ამას ჩვენ მხოლოდ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება გვატყობინებს. განსაზღვრული არტიკლი გვამზადებს იმისათვის, რომ გვინდა რაიმე შევიტყოთ ამ დღის შესახებ და ამდენად , განაპირობებს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების აუცილებლობას ამ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. I couldn'trecognize the girl you were speaking with. - ვერ ვიცანი ის გოგონა , რომელსაც შენ ელაპარაკებოდი. მთავარ წინადადებაში ნახსენებია გოგონა -the girl, რომელიც განსაზღვრული

არტიკლის წყალობით ღებულობს სავსებით ინდივიდუალურ მნიშვნელობას. აქ არის ლაპარაკი გოგონაზე, მაგრამ თუ რომელზე, ამის შესახებ მთავარი წინადადება არაფერს გვეუბნება. ამის პასუხს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება გვაძლევს.

ასეთივე დამაკონკრეტებელ მნიშვნელობას იძენენ ჩვენებითი ნაცვალახელები- that, such.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები მთავარს უერთდება მაკავშირებელი ნაცვალსახელებით -who - ვინც, რომელიც that -რომელიც, რაც; which - რომელიც; მაკავშირებელი ზმნიზედებით : when -როდესაც, where - სადაც; why- თუ რატომ, რატომ; მიმართებითი ნაცვალსახელი -whom ,with whom, for whom…. აკავშირებს განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას, მთავართან, როდესაც საზღვრული სიტყვა აღნიშნავს სულიერ საგანს:

This is thestudent who is always late. - ეს არის ის სტუდენტი, რომელიც ყოველთვის იგვიანებს.

I know the girl for whom you buy these flowers - მე ვიცნობიმ გოგონას, ვისთვისაც შენ ამ ყვავილებს ყიდულობ.

მიმართებითი ნაცვალსახელი -whose აკავშირებს განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან, განურჩევლად იმისა, საზღვრული სიტყვა სულიერს აღნიშნავს თუ უსულოს:

Hamingway is the writer whose books are famous all over the world - ჰემინგვეი არის მწერალი, რომლის წიგნებიც ნობილია მთელ მსოპლიოში.

Did you read the articlewhose little is ‘’Dreams Comes True’’? - წაიკითხე სტატია სათაურით, ,,ოცნებათა განხორციელება?’’

ნაცვალსახელი-which მიემართება მხოლოდ არასულიერი საგნის აღმნიშვნელ სიტყვას:

Where is the house in which you live? - სად არის ის სახლი, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ?

ამ რთულ - ქვეწყობილ წინადადებაში განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადაადება შეიძლება შეუერთდეს მთავარს უკავშიროდაც -where is the house you live in?

მაქვემდებარებელი კავშირი - that ფართოდ არის გამოყენებული განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადა-დების დასაკავშირებლად მთავართან. იგი გამოიყენება განურ-ჩევლად იმისა, საზღვრული სიტყვა სულიერს აღნიშნავს თუ უსულოს:

You are the only person that can help me. - შენ ხარ ერთადერთი ადამიანი, ვისაც ჩემი შველა შეუძლია

The letter that came this morning was from my brother - დღეს რომ წერილი მოვიდა, ჩემი ძმისგან იყო.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ განსაზღვრებითი დამოკი-დებული წინადაადების მთავართან დაკავშირების სპეციფიკა ინგლისურსა და ქართულში. ინგლისურში ფართოდ არის გამოყენებული განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადა-დების უკავშირო შეერთება მთავართან. კერძოდ, ერთი და იგივე განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადაადება მთავარს შეიძლება შეუერთდეს, როგორც მაკავშირებელი სიტყვების საშუალებით, ისე მათ გარეშეც, ქართულში კი , უკავშირო შეერთებას ადგილი არა აქვს. დავაკვირდეთ შემდეგ წინაა-დადებებს:

The woman we met in the street is my neighbor. - ქუჩაში რომ შეგვხვდა ის ქალი ჩემი მეზობელია.

აქ მთავარი წინადადებაა- The woman ……is my neighbor , რომელსაც უკავშიროდ უერთდება განსაზღვრებითი დამოუკი-დებელი წინადადება -we met in the street. ეს წინადადება შეიძლება მთავარს შეუერთდეს, მაკავშირებელი სიტყვითაც, მაშინ მივიღებთ the woman with whom met in the street is my

neighbor. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთავარი წინადადების ქვემდებარეს ახლავს განსაზღვრული არტიკლი - the, რომელიც განაპირობებს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების აუცილებლობას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ;ქართულში კი ქვემდებარეს ახლავს მისათითებელი ნაცვალსახელი -ის (ის ქალი), რომლის კონკრეტული მნიშვნელობა ზუსტდება განსაზღვრებითი დამოკიდებულ წინადაადებაში. ეს უკანასკნელი მთავარს უერთდება - რომ კავშირით. იგივე ითქმის შემდეგი წინადადებების მიმართაც:

Did you like the dress we saw in the shop? - მაღაზიაში რომ ვნახეთ, ის კაბა თუ მოგეწონა?

I couldn't recognize the girl you were speaking with/ - ვერ ვიცანი, ის გოგონა, რომელსაც შენ ელაპარაკებოდი.

როგორც ვხედავთ, ინგლისურ ენაში, კავშირი მთავარ წინადადებასა და განსაზღვრებით დამოკიდებულ შორის, შეიძლება განხორციელდეს, როგორც მაკავშირებელი სიტყვებით, ისე მათ გარეშე. ქართულში კი ეს ხორციელდება მხოლოდ მაკავშირებელი სიტყვების მეშვეობით. ამიტომ, ინგლისური ტექსტის სწორად გაგებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს უკავშირო გნსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების სწორად გამოყოფას. მაკავშირებელ სიტყვებს, რომლებიც ერთმანეთთან აერთებენ მთავარსა და განსაზრვრებით დამოკიდებულ წინადადებას, თავისი ფუნქცია გააჩნიათ, დამოკიდებულ წინადადებაში. ავიღოთ უკვე ზემოთმოყვანილი მაგალითები:

-You were the only person that can help me.

აქ მთვარი წინადადებაა: you are the only person, ხოლო განსაზღვრებითი დამოკიდებულია -that can help me, კავშირი - that ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას განსაზღვრებით წინადადებაში. ე.ი. ქვემდებარე - that; შემასმენელი -can help; პირდაპირი დამატება -me; The girl who waters flowers is my sister - გოგონა, რომელიც ყვავილებს რწყავს, ემის დაა. ამ

წინადადებაში, განსზღვრებით - დამოკიდებულია -who waters flowers. აქაც მაკავშირებელი- who ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას დამოკიდებულ წინადაადებაში.

ქვემდებარე -who.

შემასმენელი - waters.

პირდაპირი დამატება -flowers.

განვიხილოთასეთი წინადადება:

Is the man whom you greeted your deen? შენ რომ მიესალმე , ის შენი დეკანია?

აქ მთავარია -- is the man.... your dean? ხოლო დამოკიდებულია - whom you greeted? ეს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მიემართება მთავარი წინადადების ქვემდებარეს (the man), ხოლო თვით მაკავშირებელი სიტყვა- whom ასრულებს პირდაპირი დამატების ფუნქციას, დამოკიდებულ წინადადებაში:

ქვემდებარე -you.

შემასმენელი- greeted.

პირდაპირი დამატება -whom.

ეს წინადადება შეიძლება გამოყენებული იქნეს მაკავშირებელი სიტყვის გარეშეც:

Is the man you greeted your dean?

შეიძლება გამოტოვებული იქნეს, აგრეთვე ისეთი მაკავშირებელი სიტყვა, რომელიც წინდებულიანი დამატების პუნქციას ასრულებს, განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში:

Where are the boys you were playing with? - სად არიან ბიჭები, რომელებსაც თქვენ ეთამაშებოდით?

ინგლისურ წინადადებას აკლია მაკავშირებელი სიტყვა- whom; თუ მას აღვადგენთ, მივიღებთ -where are the boys with whom you were piaying? - ეს წინადება შეიძლება ასეც ითქვას: -

where are the boys with whom you were playing? ასევე იქნება შემდეგი წინადადებაც:

I know the girl you buy these flowers for. - მე ვიცნობ იმ გოგონას, ვისთვისაც შენ ამ ყვავილებს ყიდულობ.

იგივე ინგლისური წინადადებაშეიძლება შეიძლება ასეც ითქვას: I know the girl for whom you buy these flowers. ან -I know the girl whomyou buy these flowers for.

უკავშირო განსააზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები, თანამედროვე ინგლისურ ენაში ფართოდ არის გამოყენებული. კავშირის გამოტოვება არ შეიძლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს:

Do you know the man who was speaking with Gegi - გეგის რომ ელაპარაკებოდა, იმ კაცს იცნობ?

კავშირი - who ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას, განსაზღვ-რებით დამოკიდებულ წინადადებაში და მისი გამოტოვება არ შეიძლება:

ქვემდებარე -who.

შემასმენელი- was speaking.

დამატება -with Gegi.

ე.ი. ამ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შედის მთავარი და განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები. მთავარია do youknow the man, ხოლო განსაზღვრებით- დამოკიდებულია - who was speaking with Gegi , რომელიც განსაზღვრავს მთავარი წინადადების დამატებას(the man).

გარემოებითი დამოკიდებული წინადადები - ADVERBIAL CLAUSES

წინადადებას, რომელიც ასრულებს გარემოების ფუნქციას რთულ ქვეწყობილ წინადადებაში - გარემოებითი დამოკი-

დებული წინადადება ეწოდება. მნიშვნელობის მიხედვით, ასეთი წინადადებები სხვადასხვა სახისაა. კერძოდ, ისინი გამოხატავენ მოქმედების დროს, ადგილს, მიზეზს, მიზანს, პირობას და ასე შემდეგ. ამის მიხედვით, გამოიყოფა გარე-მოებითი დამოკიდებული წინადადების შემდეგი ძირითადი ტიპები: ადგილის, დროის,ვითარების, მიზნის, მიზეზის, პირო-ბითი, შედეგობითი და დათმობითი.

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება - ADVERBIAL CLAUSES OF PLACE

ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება განსა-ზღვრავს მთავარი წინადადების ზმნას და გამოხატავს თუ სად ხდება მის მიერ გადმოცემული მოქმედება; ასეთი წინადადება მთავარს უერთდება მიმართებითი ზმნიზედებით:

Where -სადაც; wherever -სადაც, იქ სადაც, სადაც კი.

Sit wherever you like - დაბრძანდით სადაც გენებოთ.

I'll find you wherever you go - გიპოვნი, სადაც არ უნდა წახვიდე.

I wanted to go where Anna was. -- წასვლა მინდოდა იქ,სადაც ანნა იყო.

We returned to where ourfriends were waiting for us - დავბრუნდით იქ, სადაც ჩვენი მეგობრები გველოდებოდნენ.

როგორც ვხედავთ, გარდა მიმართებითი ზმნიზედებისა, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ მთავარსა და ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას, ქართულში მთავარი წინადადებაში, შეიძლება გვქონდეს, აგრეთვე, მისათითებელი ზმნიზედა იქ, რომლის კონკრეტულ შინაარს გამოხატავს ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება.

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ADVERBIAL CLAUSES OF TIME

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება განსაზღვრავს მთავარი წინადადების შემასმენელს და გამოხატავს, თუ როდის ხდება, მის მიერ გადმოცემული მოქმედება. დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს შემდეგი კავშირები: when - როდესაც, როცა; as - როდესაც, როცა; as soon as - როგორც კი, რაწამს, თუ არა; since - რაც, მას შემდეგ რაც; before - სანამ, ვიდრე; after - როდესაც, როცა; while - ვიდრე, სანამ; whenever - როცა, როდესაც კი;till - ვიდრე, სანამ;

It was raining when we went out - როდესაც გარეთ გავედით, ციოდა.

As I was goinghome, I slipped and fell down - როდესააც შინ მივდიოდი, ფეხი დამისხლტა და წავიქეცი.

I'll phone you as soon as I am in - როგორც კი შინ მივალ, მაშინვე დაგირეკავ.

Where have you been since I saw you last? - სად ხარ მას შემდეგ, რაც უკანასკნელად გნახე?

Let's work together before yougo. - ვიდრე წახვალთ, ერთად ვიმუშაოთ.

I'll be here till you come back - ვიდრე დაბრუნდები, მე აქ ვიქნები.

When ever Gegi comes to me, he always brings flowers - როდესაც კი გეგი ჩემთან მოდის, ყოველთვის ყვავილები მოაქვს.

After Anna had gone, her little nephew began to cry - როდესაც ანნა წავიდა, მისმა პატარა დისშვილმა ტირილი დაიწყო.

I'll come to you, as soon as I'm free - როგორც კი გავთავისუფლდები, შენთან მოვალ.

დროთა შეთანხმების წესი, რომელიც მოქმედებს დროის გარემოებით -- დამოკიდებულ წინადადებაში - THE SEQUENCE OF TENSES IN ADVERBIAL OF TIME

დროის გარემოებით დამოკიდებული წინადადებაში მოქმედებს დროთა შეთანხმების შემდეგი წესი: ისეთი მაკავშირებელი სიტყვების შემდეგ, როგორიცაა: when, as soon as, since, before, after, till, until… , არ შეიძლება, არცერთი მომავალი დროის გამოყენება; კერძოდ , არ შეიძლება გამოვიყენოთ Future Indefinite, Future –in – the Past Indefinite, Future Perfect დაFuture –in the – Past Perfect. როდესაც დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში აღნიშნული მოქმედება მომავალში უნდა მოხდეს, იგი გადმოიცემა არა მომავალი დროის, არამედ აწმყო დროით, მაგრამ ამ აწმყო დროს მომავლის მნიშვნელობა ენიჭება;

I'll tell you everything when Isee you.-- როდესაც გნახავ, ყველაფერს გეტყვი.

დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში - When I see you შემასმენელი - see, რომელიც აწმყო დროში დგას, გამოხატავს მომავალ მოქმედებას, დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში მოქმედი დროთა შეთანხმების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, აწმყო დრო იძენს მომავალი დროის მნიშვნელობას, ამიტომ, when I see you ნიშნავს - როდესაც გნახავ.

ასეთი ტიპის წინადადებაში Future –in – the- Past - ის ნაცვლად იხმარება Past Indefinite. განვიხილოთ შემდეგი წინადადება:

He told me (that) he would come to me when he arrived in Tbilisi - მან მითხრა, რომ ჩემთან მოვა, როდესაც თბილისში ჩამოვა.

ეს არის რთული ქვვეწყობილი წინადადება. He told me - არის მთავარი წინადადება, ხოლო he would come to me - დამატებითი დამოკიდებული, ხოლო when he arrived in Tbilisi - დროის გარემოებითი, რომელიც დაერთვის დამატებით დამოკიდებულ წინადადებას, ვინაიდან მთავარი წინადადების შემასმენელი დგას -Past indefinite -ში, დამატებით დამოკიდებულ წინადადებაშიThe Future Indefinite-ის ნაცვლად გამოყენებულია -The Future –in – the Past. ამიტომ გვაქვს დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში შემასმენელი - would come მაგრამ, ვინაიდან დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში მოქმედი დროთა შეთანხმების საფუძველზე, არ შეიძლება არცერთი მომავალი დროის გამოყენება, აქ შემასმენელი დგას The Past Indefinite - ში -arrived . რეალურად ორივე შემასმენელი ერთსა და იმავე დროს გამოხატავს, კერძოდ, ისინი გამოხატავენ მომავალ მოქმედებას მთავარ წინადადების შემასმენლის მიმართ, მაგრამ სხვადასხვა დროში დგანან, ვინაიდან- would come ექვემდებრება დამატებითი დამოკიდებული წინადადების დროთა შეთანხმების წესს; ხოლო arrived - დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებისას.

დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში, მომავალი სრული დრო გადადის აწმყო სრულ დროში , მაგრამ, იგი ინარჩუნებს მომავალი სრული დროის მნიშვნელობას;

Wait for me, I'll come to you, as soon as I have finishedmy work - დამელოდე, როგორც კი სამუშაოს მოვრჩები, შენთან მოვალ.

ვითარებითი დამოკიდებული წინადადება - ADVERBIAL CLAUSES OF MANNER

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ახასიათებს მთავარი წინადადების შემასმენლის მიერ გამოხატულ მოქმედებას და გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება იგი; მთავარ წინადადებას უერთდება კავშირით: -as-ისე, როგორც;

Do as I told you --- გააკეთე ისე, როგორც გითხარი.

ამ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარია ერთსიტყვიანი წინადადება - do - გააკეთე, რომელიც შედგება ზმნისაგან ბრძანებით კილოში, ხოლო გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაა - as I told you - როგორც გითხარი. იგი გვატყობინებს, თუ როგორ უნდა შესრულდეს მთავარი წინადადების მოქმედება:

He pronounces the consonantsas he was taught at school - იგი წარმოთქვამს თანხმოვნებს ისე, როგორც სკოლაში ასწავლეს.

Annamade everything as she liked. - ანნამ ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც უნდოდა.

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ADVERBIAL CLAUSES OF PURPOSE

მიზნის გარემოებით დამოკიდებული წინადადება განაზღვრავს მთავარი წინადადების შემასმენელს და გამოხატავს მის მიერ გადმოცემული მოქმედების მიზანს. იგი მთავარ წინადადებას უერთდება კავშირებით: so that- რომ, რათა, იმისთვის

რომ; in order that- რომ, რათა; that - რომ, იმისთვის რომ; lest - იმისთვის, რომ,...არა;

Speak clearly so that everybody can understand you - გარკვევით ილაპარაკე, რომ ყველამ გაიგოს რას ამბობ

I went to the sea in order that I mighthave a good rest - ზღვაზე წავედი, რომ კარგად დამესვენა.

Hurry up lest you shouldbe late - იჩქარეთ, (იმისათვის) რომ არ დაგაგვიანდეთ.

დროთა შეთანხმების წესი, რომელიც მოქმედებს მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში

THE SEQUENCE OF TENSES IN ADVERBIAL OF PURPOSE

მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში უნდა დავიცვათ დროთა შეთანხმების შემდეგი წესი: თუ მთავარ წინადადებაში შემასმენელი ნამყო დროში უნდა გადავიყვანოთ, ასეთ შემთხვევაში დამოკიდებულ წინადადებაში უმეტესად გვაქვს: could დამატებული ინფინიტივი, should (would) დამატებული ინფინიტივი, might დამატებული ინფინიტივი.:

She spoke clearly so that everybody could understand her - ის გარკვევით ლაპარაკობდა, რათა ყველას გაეგო მისი ნათქვამი.

I came here in order that I might speak with you - მე აქ მოვედი, რომ თქვენთან მელაპარაკა.

როდესაც მთავარი წინადადების შემასმენელი აწმყო ან მომავალ დროშია, მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემასმენელი უმეტესად can პლუს ინფინიტივით ან shall(will) პლუს ინფინიტივითაა გამოხატული:

I shall adjust my watch so that I can go to the university in time - საათს გავასწორებ, რომ უნივერსიტეტში დროზე წავიდე.

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ADVERBIAL CLAUSES OF CAUSE

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება განსაზღვრავს მთავარი წინადადების შემასმენელს და გამოხატავს მიზეზს, რომლის გამოც სრულდება მთავარი წინადადების მოქმედება; ასეთი ტიპის დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება შემდეგი მაქვემდებარებელი კავშირებით: because - იმიტომ რომ, რადგან, ვინაიდან; as - რადგან, იმის გამო რომ; since - რაკი;

I'd better go home because it is already very late - უმჯობესია სახლში წავიდე, ვინაიდან უკვე ძალიან გვიანაა.

I've come to say good – bye, as tomorrow I leave for Batumi - მოვედი, რომ გამოგემშვიდობოთ, რადგან ხვალ ბათუმში მივემგზავრები.

As Anna was very tired, she fell a sleep atonce - რადგან ანნა ძალიან გადაღლილი იყო, მას უკვე ჩაეძინა.

Since you can't stay with us, we'll see you home - რაკი ჩვენთან დარჩენა არ შეგიძლია, სახლში გაგაცილებთ.

პირობითი დამოკიდებული წინადადება ADVERBIAL CLAUSES OF CONDITION

პირობითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს პირობას, რომელიც განაპირობებს მთავარი წინადადების შემასმე-

ნლით გამოხატული მოქმედების შესრულებას. ე.ი. მთავარი წინადადების მოქმედება შესრულდება, იმ შემთხვევაში, თუ შესრულდება დამოკიდებული წინადადებაში მოცემული პირობა. პირობითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება შემდეგი კავშირებით: -if- თუ, რომ, თუკი; in case - თუ, თუკი; on condition that - პირობით, თუ, თუკი;unless -თუ , თუ არა;

I'll come to you, if it is necessary - მოვალ შენთან თუ აუცილებელი იქნება.

Ring me, in case you can't come - დამირეკე, თყუ ვერ მოხვალ.

I'll wait for you, on condition that, you are not late - იმ პირობით დაგელოდები, თუ არ დაიგვიანებ.

You'll fail in your exams, uniess you work hard - გამოცდებს ვერ ჩააბარებ, თუ ბევრი არ იმეცადინე.

პირობა -- სამი სახის არსებობს: რეალური, არარეალური და სავარაუდო.

1) რეალური პირობის შემცვლელი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს ისეთ პირობას, განხორციელება სავსებით შესაძლებელია; მთავარი კი გამოხატავს შედეგს, რომელიც ამ პირობის განხორციელებას მოჰყვება. ამისათვის საჭიროა, მთავარ წინადადებაში შემასმენელი დადგეს -The Future Indefinite -ში, ხოლო პირობით დამოკიდებულში - The Present Indefinite-ში;

If you goto the University, you will find Gegi there - უნივერსიტეტში თუ წახვალ, იქ ნახავ გეგის.

რეალური პირობის გამომხატველ დამოკიდებულ წინადადებაში, Present Indefinite - ს აქვსFuture Indefinite-ის მნიშვნელობა. ასეთი ტიპის წინადადება გამოხატავს, აგრეთვე, ისეთ რეალურ პირობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში; ამისათვის, შემასმენელი მთავარ წინადადებასა და დამოკიდებულში დადგება წარსულ დროში;

We would go to the theatre if we got tickets - ბილეთებს თუ ვიშოვიდით, თეატრში მივდიოდით ხოლმე.

If he said so, he was not right --- ის შემცდარა, თუასე უთქვამს.

2. არარეალური პირობა ეწოდება ისეთ პირობას, რომელიც არ განხორციელებულა და არც შეიძლება განხორციელდეს; იგი განეკუთვნება წარსულ დროს. არარეალური პირობის გამოსა-ხატავად მთავარ წინადადებაში შემასმენელი უნდა დადგეს ნამყოს- მიმართ -მომავალ სრულ დროში(The Future Perfect –in -thePast), ხოლო დამოკიდებულში - ნამყო სრულში(The Past Perfect)

If he had come to me , I should have told him everything --- ის რომ ჩემთან მოსულიყო, ყველაფერს ვეტყოდი.

3. სავარაუდო პირობის გამომხატველი წინადადება გამოხა-ტავს პირობას, რომელიც შეიძლებოდა რომ განხორციელე-ბულიყო, მთავარი წინადადება კი გამოხატავს შედეგს, რომელ-საც მივიღებდით იმ შემთხვევაში, თუ ეს პირობა შესრულ-დებოდა. მოქმედება ეხება აწმყო ან მომავალ დროს.მთავარ წინადადებაში შემასმენელი დგას -The Future –in –the Past -ში, ხოლო პირობით დამოკიდებულში-The Past Indefinite - ში, დროთა ასეთი შეთანხმებით ვაღწევთ იმის გამოხატავს, რომ მოქმედება სავარაუდოა, მისი შესრულება გამორიცხული არ არის.

If he came to me today, I should tell him everything - ის რომ დღეს ჩემთან მოვიდოდეს, მე მას ყველაფერს ვეტყოდი.

შეადარეთ:

ა) If he comes to me, I shall tell him everything. - ის თუ მოვა ჩემთან, მე მას ყველაფერს ვეტყვი.

ბ)არა რეალური პირობა:

If he had come, I should have told himeverything. - ის რომ ჩემთან მოსულიყო, მე მას ყველაფერს ვეტყოდი.

გ) სავარაუდო პირობა:

If he came to me today, I should tell him everything --- ის რომ დღეს ჩემთან მოვიდეს, მე მას ყველაფერს ვეტყოდი.

როდესაც პირობით დამოკიდებულ წინადადებაში შედის ერთ- ერთი ისეთი ზმნა, როგორიცაა could, had, were - შეიძლება გამოტოვებული იქნეს კავშირი -if, მაგრამ ამასთან სიტყვათა წყობაც შეიცვლება - ზმნები-could, had, were დაიკავებენ პირველ ადგილს.

If they were here, they would tell us everything

Were they here, they would tell us everything. --ისინი რომ აქ ყოფილიყვნენ, ყველაფერს გვეტოდნენ.

If they could have got the book, theu would have told us about it.

Could they have got the book, they would have told us about it - მათ რომ ამ წიგნის შოვნა შეძლებოდათ, გვეტყოდნენ ამის შესახებ.

შ ე დ ე გ ო ბ ი თ ი გ ა რ ე მ ო ე ბ ი თ ი დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა -ADVERBIAL CLAUSES OF RESULT

შედეგობითი გარემოებითი წინადადება გამოხატავს იმ მოქ-მედების შედეგს, რომლის შესახებ მთავარ წინადადებაშია ლაპარაკი. იგი მთავარ წინადადებას უერთდება კავშირებით -so that -ასე რომ, რის გამოც; so.... that- ასე....რომ; კავშირი - so that - შედეგობით დამოკიდებულებაშია მოთავსებული და ეს დამოკიდებული წინადადება მთავარისაგან გამოიყოფა მძიმით;

Gabriel had changed very much , so that I could hardly recognize - გაბრიელი ძალიან შეცვლილა, ასე რომ ძლივს ვიცანი.

The new dictionary is on sale, so that you must hurry to buy it - ახალი ლექსიკონი უკვე იყიდება, ასე რომ უნდა იჩქარო ყიდვა.

კავშირისso....that პირველი კომპონენტიso, რომელიც ზმნი-ზედაა, მთავარ წინადადებაშია მოთავსებული, მეორე კომპო-ნენტი that -კი, დამოკიდებულში. ასეთი დამოკიდებული წინადადებები უფრო უფრო მჭიდრო კავშირშია მთავართან და ამიტომ, მისგან მძიმით არ გამოიყოფა;

Mother was so ill, that we had to send for the doctor - დედა ისე ცუდად იყო, რომ მოგვიხდა ექიმის გამოძახება.

It was so late that we didn't go to Anna's and hurried home - ისე გვიან იყო, რომ ანნასთან აღარ წავედით და შინისაკენ გავეშურეთ.

დათმობის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

ADVERBIAL CLAUSES OF CONCESSION

დათმობის გარემოებითი დაამოკიდებული წინადადება თავი-სი შინაარსით უპირისპირდება მთავარს. კერძოდ, დათმობის დამოკიდებულში ისეთი ამბავია გადმოცემული, რომლის საფუძველზე მთავარი წინადადების შემასმენლით გამოხა-ტული მოქმედება არ უნდა მოხდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ხდება.

დათმობის დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება შემდეგი კავშირებით:

Though - მართალია, თუმცა, მაგრამ - მაინც

Although - მიუხედავად იმისა, რომ; თუმცა;

However - გინდ, რაგინდ, როგორი.

Even though - თუმცა მიუხედავად იმისა, რომ;

No matter what - რაც უნდა, რასაც უნდა.

No matter how - როგორც უნდა, რაც გინდა, რაც უნდა.

Even if - მიუხედავად იმისა, რომ; თუმცა;

ქართულში - მთავარ წინადადებაში გვაქვს ნაწილაკი: მაინც;

She went on working though she left tired - ის განაგრძობდა მუშაობას, თუმცა დაღლილი იყო.

Although I have a lot to do, I'll try to return home in time - მიუხედავად იმისა, რომ საქმე მაქვს, შევეცდები შინ დროზე დავბრუნდე.

However clever you are, nothing will come of you, if you don't study well. - რადგან ნიჭიერიც არ იყო, შენგან მაინც არაფერი გამოვა თუ არ იმეცადინე კარგად.

Even though we looked for him everywhere , we couldn't find him - მიუხედავად იმისა, რომ ყველგან ვეძებთ ის მაინც ვერსად ვერ ვნახეთ.

No matter what he says , we'll do every thing for you - მან რაც უნდა თქვას, ჩვენ მაინც ყველაფერს გავაკეთებთ თქვენთვის.

Even if you don't like grammar, you have to learn it - მიუხედავად იმისა, რომ გრამატიკა არ გიყვართ, თქვენ მაინც მოგიხდებათ მისი შესწავლა.

შედარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ADVERBIAL CLAUSES OF COMPARISON

შედარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემასმენლით გამოხატული მოქმედება შეედრება მთავარი წინადადების შემასმენლის მოქმედებას და ამ გზით ხდება მთავარი წინადადების შემასმენლის დახასიათება. შედარების გარემოებით დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება შემდეგი კავშირებით:

As…….as - ისე როგორც, ისევე, როგორც;

Not so….as - ისე არა - როგორც;

As if - ისე , თითქოს, ისე - ვითომ;

As though - ისე თითქოს;

Than -უფრო - ვიდრე, ვიდრე;

I go to the theatre as often as I go to the cinema. - თეატრში ისევე ხშირად დავდივარ , როგორც კინოში.

It was not so hot yesterday, as it is today. - გუშინ ისე არ ცხელოდა, როგორც დღეს.

She knows English better, than it seems to you. - მან ინგლისური უკეთესად იცის, ვიდრე თქვენ გგონიათ;

He came to me as though he didn't know I was angry with him. -ის ჩემთან ისე მოვიდა, თითქოს არ იცოდა, რომ მასზე ნაწყენი ვიყავი. He be have as if he were my friend. --- ის ისე იქცევა, თითქოს ჩემი მეგობარი იყოს.

თანწყობილ-ქვეწყობილი წინადადება

THE COMPOUND COMPLEX SENTENCE

ზოგი რთული წინადადება შედგება რამდენიმე მარტივი წინადადებისაგან; ამათგან, ზოგიერთი მათგანი გრამატიკულად დამოუკიდებელია, ზოგი კი დამოკიდებული. დამოუკიდებელ წინადადებებს თავისი ქვემდებარე და შემასმენელიაქვთ. ასეთი წინადადებები ერთმანეთის მიმართ არიან თანწყობილნი. დამოკიდებული წინადადებები კი გრამატიკულად სხვა წინადადებაზე არიან დამოკიდებული იმის გამო, რომ არ გააჩნიათ თავისი მთავარი წევრები; მაშასადამე, ერთ რთულ წინადადებაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს მარტივ

წინადადებათა როგორც თანწყობას, ისე ქვეწყობას. ასეთ წინადადებას ეწოდება - თანწყობილ - ქვეწყობილი წინადადება.

My mother who came from the country yesterday fell ill and doctor that lives next door to us said we must take her to the hospital. - დედაჩემი, რომელიც გუშინ ჩამოვიდა სოფლიდან, ავად გახდა და ექიმმა, რომელიც ჩვენს გვერდით ცხოვრობს, გვითხრა, რომ საავადმყოფოში წაგვეყვანა.

ამ რთული თანწყობილ - ქვეწყობილ წინადადებაში ხუთი მარტივი წინადადებაა; აქედან ორი დამოუკიდებელია: My mother fell ill დაThe doctor said - ხოლო სამი წინადადება კი დამოკიდებულია:

1. who came from the country yesterday - განსაზღვრავს პირველი დამოუკიდებელი წინადადების ქვემდებარეს - my mother და ასრულებს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ფუნქციას.

2. that lives next door to us - განსაზღვრავს მეორე დამოუკიდებელი წინადადების ქვემდებარეს - the doctor და ისიც ასრულებს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ფუნქციას.

3. we must take her to the hospital - დაერთვის მეორე დამოუკიდებელი წინადადების შემასმენელს და ასრულებს დამატების ფუნქციას მის მიმართ. ამიტომ იგი არის დამატებითი დამოკიდებული წინადადება.

I wanted to send a letter to my friend, who lives in Batumi but as I have no time, I decided to wait until I take my exam, when I am quite free and I've plenty of time.

მინდოდა წერილი გამეგზავნა ჩემი მეგობრისათვის, რომელიც ბათუმში ცხოვრობს, მაგრამ რადგან დრო არა მაქვს, გადავწყვიტე მოვიცადო, ვიდრე გამოცდებს ჩავაბარებ, როდესაც სრულიად თავისუფალი ვიქნები და დროც ბევრი მექნება.

ამ რთულ წინადადებაში გამოიყოფა შემდეგი მარტივი წინადადებები:

1. I wanted to send a etter to my friend.
2. Who lives in Batumi.

3 -As I have no time.

4 –I have decided to wait.

5 - Until I take my exam.

6 - When I am quite free and have plenty of time

ამ ექვსი წინადადებიდან ორი არის დამოკიდებული:

1—I wanted to send a letter to my friend.

2 –I have decided to wait.

დანარჩენი მარტივი წინადადებები დამოკიდებულნი არიან: 1- Who lives in Batumi - არის განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება და განსაზღვრავს პირველი მთავარი წინადადების წინდებულიან - ირიბ დამატებას. (to my friend) ; 2- As I have no time -- მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება განსაზღვრავს, მეორე მთავარი წინადადების შემასმენელს (have decided to wait); 3 –Until I take my exam -- დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება აგრეთვე განსაზღვრავს, მეორე მთავარი წინადადების შემასმენელს; 4 – When I am quite free and have planty of time - დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, აგრეთვე განსაზღვრავს მეორე მთავარი წინადადების შემასმენელს.

პირდაპირი და ირიბი ნათქვამი-
DIRECT AND INDIRECT SPEECH

სხვისი ნათქვამი შეიძლება ორგვარად გადმოვცეთ. კერძოდ, იგი შეიძლება გადმოვცეთ სიტყვა -- სიტყვით, ყოველგვარი ცვლილების გარეშე.-- ასეთ ნათქვამს, პირდაპირი ნათქვამი ეწოდება.

He says: ,, I am tired'' --- ის ამბობს: ,,დაღლილი ვარ''

პირდაპირი ნათქვამი, ჩვეულებრივ შედგება ორი ნაწილისაგან; ერთი ნაწილში მითითებულია, თუ ვინ არის ამ სიტყვების ავტორი, ხოლო მეორე ნაწილი -- თვით პირდაპირ ნათქვამს -- წარმოადგენს; სხვისი ნათქვამი შეიძლება, აგრეთვე, ისე გადმოვცეთ, რომ იგი ყოველგვარი ცვლილების გარეშე, კი არ იყოს გამეორებული, არამედ მისი აზრი იყოს გადმოცემული. ასეთ ნათქვამს ირიბი ნათქვამი ჰქვია. He says that he is tired. - ის ამბობს, რომ დაღლილია. თხრობის დროს, ხშირად საჭირო ხდება, პირდაპირი ნათქვამი ირიბ ნათქვამად გადავაკეთოთ. ამისათვის საჭიროა შემდეგი რამ: 1- ავტორის სიტყვების შემცვლელი წინადადება გადავაკეთოთ მთავარ წინადადებად, ხოლო პირდაპირი ნათქვამის შემცვლელი დამატებითი დამოკიდებულ წინადადებად. ამგვარად, რთული თანწყობილი წინადადებიდან პირდაპირ ნათქვამში მივიღებთ, რთულ წინადადებას ირიბ ნათქვამში. He says that he is tired. -ეს არის რთული ქვეწყობილი წინადადება. მთავარია -- He says - ხოლოhe is tired - არის დამატებით დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთავარს უერთდება კავშირით- that;

2 -- როგორიც არ უნდა იყოს პირდაპირი ნათქვამის გამომ-ხატველი წინადადება - მტკიცებითი, კითხვითი, ძახილის თუ ბრძანებითი, ირიბი ნათქვამად მისი გადაკეთებისას, იგი გადაიქცევა დამატებით დამოკიდებულ წინადადებად, რომე-

ლსაც უნდა ჰქონდეს მტკიცებითი ფორმის წინადადების სიტყ-ვათწყობა, კერძოდ, ასეთია: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, გარემოება;

Anna asked: -Are you glad ? - ანნამ იკითხა: - გახარებული ხარ?

ეს წინადადება ირიბ ნათქვამში შემდეგნაირად იქნება:

Anna asked (me) if was glad.

They asked: when did you work at school?

მათ იკითხეს: სკოლაში როდის მუშაობდი?

ირიბ ნათქვამში იქნება:

They asked (me) when I had worked at school.

3.- თუ მთავარ წინადადებაში ზმნა ნამყო დროშია, პირდაპირი თქმის ირიბად გადაკეთებისას უნდა დავიცვათ დროთა შეთან-ხმების წესი, რომელიც მოქმედებს დამატებით დამოკიდებულ წინადადებააში.

4 - ირიბი ნათქვამის ბოლოს კითხვის ნიშანი არ დაისმის.

5- დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში, პირის ნაცვალ-სახელები შეიცვლებიან შემდეგნაირად: პირველი და მეორე პირი -- შეიცვლება მესამე პირით:

They say: we always help each other.

They say they always help each other. - ისინი ამბობენ, რომ ყოველთვის ეხმარებიან ერთმანეთს.

გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც ავტორი თვითონ გადმოსცემს თავის სიტყვებს ირიბ თქმაში.

I said: I am eager to know English well ირიბ თქმაში იქნება: I said that I was eger to know English well - მე ვთქვი, რომ ძალიან მინდა ინგლისური ვიცოდე კარგად. 6 -შეიცვლება ჩვენებითი ნაცვალ-სახელები: this -შეიცვლება that -ით; these – those -ით; He asked:,,Do you know this man?''

ირიბ თქმაში იქნება:

He asked (me) I knew that man.

7- შეიცვლებიან დროის ზმნიზედები:

Now - that.

Today - thatday.

Yesterday - the day before; / or --on the previous day/

Ago - before.

First night - the previous night.

The day before yesterday - two days before.

Tomorrow - in two day's time.

Tomorrow - the next day; / or - the following

He said: - I'll call on you tomorrow.

He said he would call on the next day - მან მითხრა, ხვალ შენთან მოვალ.

He said: I passed my exam the day before yesterday.

He said he had passed his exam two days before. - მან მითხრა, რომ გამოცდა ჩააბარა, ორი დღის წინ

8- ავტორის სიტყვების შემცვლელ წინადადებაში, უმეტესად გვხვდება ზმნა- to say . ირიბ ნათქვამში- to say ხშირად იცვლება სხვა ზმნით, რაც განაპირობებს პირდაპირი ნათქვამის საერთო მნიშვნელობა, კერძოდ- to say ხშირად იცვლება ისეთი ზმნებით. როგორიცაა: to tell, to ask, to inquire, to order და ასე შემდეგ.

He said: who is knocking at the door?

He asked who was knocking at the door - მან იკითხა, თუ ვინ აკაკუნებდა კარზე.

He said: what is worring you?"

He said what was worring me - მან მკითხა, თუ რა მაწუხებდა.

Gegi said: I agree with you"

Gegi told me that he agreed with me --- გეგიმ მითხრა, რომ იგი მე მეთანხმებოდა. 9 -- კავშირი -that, რომელიც აერთებს მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებას, ირიბ ნათქვამში შეიძლება გამოვტოვოთ:

He said: It's your fault".

He said it was my fault - მან მითხრა, რომ ეს ჩემი ბრალი იყო.

10- როდესაც პირდაპირი ნათქვამის შემცვლელი წინადადება ბრძანებით კილოშია, ირიბ ნათქვამში მისამართი პირი წინ გადმოდის:

He said: Open the window Anna.

He ordered Anna to open the window.

She said: Come to me Gegi!

She told Gegi to come to her.

He said: Don't take my pen!

He told me, not to take his pen.

I said to Anna and Gegi: Learn English well"

I told Anna and Gegi to learn English well.

სარჩევი

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა 3

შინაარსი 3

ზმნა - VERB 5

ბოლოდებული..... 10

The POSTPOSITION 10

ლექსიკური და დამხმარე ზმნები - 12

LEXICAL AND AUXILIARY VERBS 12

ზმნის ძირითადი ფორმები 20

THE BASIC FORMS OF THE VERB..... 20

ზმნის შემასმენლური და არა შემასმენლური ფორმები -.. 21

FINITE AND NON—FINITE OF THE VERB 21

წესიერი და არაწესიერი ზმნები -..... 23

REGULAR AND IRREGULAR VERBS 23

შ ე რ ე უ ლ ი ზ მ ნ ე ბ ი - 24

MIXED VERBS: 24

გარდამავალი და გარდაუალი ზმნები - 25

TRANSITIVE AND INTRANSITIVE VERBS 25

ზმნის გრამატიკული კატეგორიები - 28

GRAMMATICAL CATEGORIES OF THE VERB..... 28

რიცხვი - NUMBER..... 29

ასპექტი - ASPECT 29

დ რ ო - TIME..... 31

ჯგუფი - I 33

THE (INDEFINITE) SIMPLE TENSES: განუსაზღვრელი დროები: 33

I-2 ნამყო განუსაზღვრელი დრო - 36

THE PAST(INDEFINITE) SIMPLE TENSE 36

I –3 - მომავალი განუსაზღვრელი დრო - 39

THE FUTURE (INDEFINITE) SIMPLE TENSE 39

ნამყოს მიმართ- მომავალი განუსაზღვრელი დრო 42

The Future in-the-Past (Indefinite) Simple Tense..... 42

ჯ გ უ ფ ი --- II The Group --- II..... 44

II -- 1 გ ა ნ გ რ ძ ო ე ბ ი თ ი დროები C O N T I N U O U S TENSES: 44

II –1 აწმყო განგრძობითი დრო..... 44

The Present Continuouse Tense 44

II---2 ნამყო განგრძობითი დრო 46

Past Continuous tense. 46

II –3 მომავალი განგრძობითი დრო - 48

The Future Continuous Tense..... 48

II 3 ნამყოს მიმართ - მომავალი განგრძობითი დრო..... 49

The Future in- the –Past Continuous Tense..... 49

III -- ჯგუფი - III-rd Groups –..... 50

ს რ უ ლ ი დროები - 50

PERFECT TENSES..... 50
აწმყო სრული დრო -..... 51
The Present Perfect Tense 51
აწმყო სრული დროის წარმოება 55
III – II . ნ ა მ ყ ო სრული დრო 55
The Past Perfect Tense 55
მომავალი სრული დრო..... 59
The Future Perfect Tense..... 59
IV ჯ გ უ ფ ი - IV Groups: 62
ს რ უ ლ ი გ ა ნ გ რ ძ ო ბ ი თ ი დ რ ო ე ბ ი..... 62
- PERRFECT CONTINUOUS TENSES 62
ნ ა მ ყ ოს ს რ უ ლ ი განგრძობითი..... 66
The Past Perfect Continuous Tense 66
ნამყოს მიმართ მომავალი სრული დრო - 70
THE FUTURE PERFECT CONTINUOUS –IN-THE-PAST TENSE 70
გ ვ ა რ ი -- VOICE 71
მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი გ ვ ა რ ი -..... 72
ACTIVE VOICE 72
ვ ნ ე ბ ი თ ი გ ვ ა რ ი - 72
PASSIVE VOICE 72
ვნებითი გვარის წარმოება..... 75
ვნებითი გვარის განგრძობითი დროები -..... 78
THE PRESENT CONTINUOUS PASSIVE 78

ნამყოს განგრძობითი ვნებითი-..... 79
The Past Conyinuous Passive 79
ვნებითი გვარის სრული დროები -..... 80
THE PERFECT PASSIVE TENSES 80
ნამყოს სრული ვნებითი -..... 81
Past Perfect Passive 81
კ ი ლ ო - MOOD 81
თ ხ რ ო ბ ით ი კ ი ლ ო 82
The Indicative Mood 82
ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი კ ი ლ ო..... 82
The Imperative Mood 82
კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი კ ი ლ ო 87
The Subjunctive Mood 87
ზმნის არაშემასმენლური ფორმები - 94
NONE—FINITE FORMS OF THE VERBS 94
ი ნ ფ ი ნ ი ტ ი ვ ი----THE I N F I N I T I V E 94
მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი გ ვ ა რ ი ს ინფინიტივი: 100
ვ ნ ე ბ ი თ ი გ ვ ა რ ი ს ინფინიტივი..... 100
გ ე რ უ ნ დ ი ვ ი ---- THE GERUND 107
გერუნდივი - დროის გარემოება: 109
გ ე რ უ ნ დ ი ვ ი ს ზმნური თვისებები: 111
Ed- PAETICIPLE-ed სუფიქსიანი მ ი მ ღ ე ო ბ ა 115
Ed- სუფიქსიანი მიმღეობის ზმნური თვისებები 119

ING--- სუფიქსიანი მიმღეობა 121
-ing- სუფიქსიანი მიმღეობის ზმნური თვისებები 123
-ing - სუფიქსიანი მიმღეობის ზმნიზედური თვისებები ... 125
მ ო დ ა ლ უ რ ი ზ მ ნ ე ბ ი..... 127
MODAL VERBS..... 127
მოდალური ზმნა- უნდა - MUST 129
მოდალური ზმნა - TO HAVE TO 132
მოდალური ზმნა - To be to 133
მოდალური ზმნა - CAN 134
მოდალური ზმნა -M A Y..... 137
მოდალური ზმნა - OUGHT TO..... 139
მოდალური ზმნა - NEED 141
მოდალური ზმნა- DARE 142
მოდალური ზმნა - SHOULD..... 143
მოდალური ზმნა - WOULD 145
მოდალური ზმნა SHALL---WILL..... 146
ბოლოდებულები -..... 148
THE POSTPOSITION 148
ზმნიზედა 150
THE ADVERBS 150
წ ი ნ დ ე ბ უ ლ ი- PREPOSITION 156
პირი..... 161
ქ ც ე ვ ა 161

გ ე ზ ი 162

კ ა ვ შ ი რ ი 164

მ ა ე რ თ ე ბ ე ლ ი კავშირები - 164

COORDINATING CONJUNCTIONS 164

მ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ე ლ ი კავშირები - 165

Subortinating Conjunctions 165

ნაწ ი ლ ა კ ი - The Particle 166

კონვერსია - CONVERSION 172

სინტაქსი 185

ქვემდებარე - THE SUBJECT 185

შემასმენელი - 192

THE PREDICATE 192

შედგენილი შემასმენელი - 194

THE COMPOUND PREDICATE 194

შემასმენლის შეთანხმება ქვემდებარესთან CONCORD 199

დამატება - OBJECT 202

ირიბი დამატება - 209

THE INDIRECT OBJECT 209

უბრალო დამატება 212

THE MERE OBJACT 212

შენარჩუნებული დამატება 213

THE RETAINED OBJECT 213

განსაზღვრება - 214

THE ATTRIBUTE 214
განმარტოებული განსაზღვრება 219
გარემოება - 222
THE ADVERBIAL MODIFIRE 222
განკერძოებული გარემოება 229
THE DETACHED ADVERBIAL MODIFIER 229
წ ი ნ ა დ ა დ ებ ა 231
THE SENTENCE 231
მ ა რ ტ ი ვ ი წინადადება 231
THE SIMPLE SENTENCE 231
შ ერ წ ყ მ უ ლ ი წინადადება - 232
SENTENCES WITH HOMOGENEOUS PARTS 232
ს რ უ ლ ი და უ ს რ უ ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა - 234
NON - ELLIPITICAL AND ELLIPITICAL ENTENCES 234
უ პ ი რ ო წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა - 237
IMPERSONAL SENTENCE 237
გ ა ნ ზ ო გ ა დ ე ბ უ ლ პ ი რ ი ა ნ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა - .. 238
INDEFINITE PERSONAL SENTENCES 238
ს ი ტ ყ ვ ი ს ა დ გ ი ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ი - 240
WORD --- ORDER IN A SENTENCE 240
სიტყვათა განლაგება მტკიცებითი ფორმის
წინადადებაში 241
კითხვითი წინადადება - 243
THE INTERROGATIVE SENTENCE 243

უარყოფის შემცვლელი წინადადება 247
ინვერსია- 250
INVERSION 250
კონსტრუქცია- 252
THERE AND TO BE 252
რთული წინადადება 255
რთული თანწყობილი წინადადება 256
THE COMPOUND SENTENCE 256
რთული ქვეწყობილი წინადადება 257
THE COMPLEX SENTENCE 257
ქვემდებარულ დამოკიდებული 258
წინადადება THE SUBJECT CLAUSES SENTENCE 258
შემასმენლისური დამოკიდებული 260
წინადადება PREDICATIVE CLAUSES 260
დამატებითი დამოკიდებული წინადადება 261
OBJECT CLAUSES 261
დროთა შეთანხმების წესი, რომელიც მოქმედებს დამატებით დამოკიდებულ ინადადებაში 262
THE SEQUENCE OF TENSES -I- OBJECT CLAUSES 262
განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება 264
ATTRIBUTIVE CLAUSES 264

გარემოებითი დამოკიდებული წინადადებ
ი - ADVERBIAL CLAUSES 271
ადგილის გარემოებითი დამოკიდებული. 272
წინადადება - ADVERBIAL CLAUSES OF PLACE..... 272
დროის გარემოებითი დამოკიდებული..... 273
წინადადებاADVERBIAL CLAUSES OF TIME 273
ვითარებითი დამოკიდებული წინადადებ
ა - ADVERBIAL CLAUSES OF MANNER 276
მიზნის გარემოებითი..... 276
დამოკიდებული წინადადება 276
ADVERBIAL CLAUSES OF PURPOSE 276
დროთა შეთანხმების წესი, რომელიც მოქ
მედებს მიზნის გარემოებით დამოკიდებუ
ლ წინადადებაში..... 277
THE SEQUENCE OF TENSES IN ADVERBIAL OF PURPOSE
..... 277
მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული.. 278
წინადადება ADVERBIAL CLAUSES OF CAUSE 278
პირობითი დამოკიდებული წინადადება.. 278
ADVERBIAL CLAUSES OF CONDITION 278
შედეგობითი გარემოებითი დამოკიდებულ
ი..... 281
წინადადება-ADVERBIAL CLAUSES OF RESULT 281
დათმობის გარემოებითი დამოკიდებული
..... 282

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა 282
ADVERBIAL CLAUSES OF CONCESSION 282
შ ე დ ა რ ე ბ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ი თ ი დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი
წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ADVERBIAL CLAUSES OF COMPARISON
..... 283
თ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ - ქ ვ ე წ ყ ო ბ ი ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა .. 284
THE COMPOUND COMPLEX SENTENCE 284
პ ი რ დ ა პ ი რ ი დ ა ი რ ი ბ ი ნ ა თ ქ ვ ა მ ი - 287
DIRECT AND INDIRECT SPEECH..... 287

თინა ონიანი - პროფესორი

განათლება

თინა ონიანმა 1986-1991 წწ დაამთავრა ქ. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი(ილიაუნი), ინგლისური და რუსული ენის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

1987-1991 წწ- ამავე ინსტიტუტის (ილიაუნი) გიდი-თარჯიმანის ფაკულტეტი.

1995-1999 წწ. არჩეულია საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა (ETAG) ასოციაციის წევრად.

2010წლიდან - დღემდე მინიჭებული აქვს,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარული ფაკულტეტზე ინგლისური ენის გრამატიკაში ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის(PHD-in English Grammar) აკადემიური ხარისხი . არის სრული პროფესორი.

2010 წელს არჩეული იქნა საქართველოს ტექნოლოგიური და ჰუმანიტარული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

2014 წელს არჩეული იქნა საქართველოს ტექნოლოგიური და ჰუმანიტარული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

2014 წელს არჩეული იქნა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად.

გამოქვეყნებული აქვს 45-მდე სამეცნიერო ნაშრომი. როგორც ინგლისური ენის გრამატიკის, ასევე სხვა სამეცნიერო მიმართულებით. საქართველოს, ევროპის და სხვა ქვეყნის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.

თინა ონიანმა 1996 წელს გამოსცა ინგლისურენოვანი - ინგლისური ენის გრამატიკის (I და II ნაწილი მორფოლოგია-სინტაქსი) სახელმძღვანელო-პირველი გამოცემა ,ხოლო 2017 წელს კი იგივე სახელმძღვანელოს მეორე გამოცემა. წიგნი განკუთვნილია უნივერსიტეტის სპეციალური ფაკულტე-ტებისა და უცხო ენათა უნივერსიტეტის, როგორც პროფესორ მასწავლებელ-თათვის ასევე ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის. ზემოთ აღნიშნული წიგნი გამოყენებულია სახელმძღვანელოდ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მწვრთნელთა, მედიცინისა და რეაბილიტაციის, სპორტის მენეჯმენტის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

აქვს პედაგოგიური გამოცდილების 29 წლის სტაჟი (უფროსი მასწავლებელი-1991-2000წწ. და სრული პროფესორი 2010-2020წწ.).